ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

II, 2008

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:
ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოედერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი,
დ. თვალთვაძე, გ. კარტოზია, ბ. უტიე, ჰ. ფენრიხი, მზ. შანიძე,
კ.ჰ. შმიდტი, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:
E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, I. Gippert,
J. Giunashvili, A. Harris, G. Kartozia, B. Outtier, M. Shanidze,
K.H. Schmidt, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, **თ. გამყრელიძე** (მთავარი რედაქტორი),
თ. გვანცელაძე, რ. ენუქიძე, **ივ. ლეჟავა** (პასუხისმგებელი მდივანი),
დ. მელიქიშვილი, **ირ. მელიქიშვილი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ეთ. სოსელია, ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:
R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th.V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),
T. Gvanceladze, M. Jikia, I. Kobalava, M. Kurdiani, N. Kutelia, **I. Lezhava**
(Executive Secretary), D. Melikishvili, **I**. **Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief),
E. Soselia

ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს ***თამაზ გამყრელიძისა*** *და* ***ზურაბ სარჯველაძის*** *მიერ*

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISSN 1512-0473

კრებული ეძღვნება გურამ რამიშვილის
დაბადების 75-ე წლისთავს

ენა და კულტურა/ენის თეორია

კონსტანტინე გრეგაძე

ნოვალისის ფრაგმენტი „მონოლოგი“

გერმანელი რომანტიკოსი პოეტისა და ფილოსოფოსის ნოვალისის (ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი 1772-1801) ეს ორიგინალური ფრაგმენტი (როგორც ფორმის, ისე შინაარსიის მხრივ), რომელიც დაახლოებით 1798 წელსაა შექმნილი, და რომელსაც იტალიელი ჰუმბოლდტოლოგი დ. დი ჩეზარე რომანტიზმის ენის ფილოსოფიის მანიფესტს უწოდებს (Di Cesare 1995, 149), ფაქტობრივად, წარმოადგენს ნოვალისის ენის ფილოსოფიის სუმმას, სადაც ნოვალისის მიერ კიდევ ერთხელ წარმოჩენილია ენის ენერგეისტული არსი. ამ პატარა ფრაგმენტში „შეკუმშული“ სახით, in nuce გადმოცემულია ენის ფილოსოფიის საკვანძო პრობლემატიკა და ამ პრობლემატიკის ნოვალისისეული ხედვა, რაზეც იგი მანამდე სხვადასხვა ფილოსოფიურ ფრაგმენტებში მსჯელობს (მაგ. „ფიხტე-შტუდიები“, „ლოგოლოგიური ფრაგმენტები“, „ზოგადი ჩანაწერები“, „ფრაგმენტები და შტუდიები“, „შერეული ფრაგმენტები“ და სხვ.). კერძოდ, ნოვალისის „მონოლოგი“ იმპლიციტურად მოიცავს ენის ფილოსოფიის შემდეგ საკვანძო საკითხებს: ენის ონტოლოგიური არსის განსაზღვრა, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების პრობლემა, ადამიანის, როგორც ენობრივი არსების საკითხი, ტრიადის – ადამიანი-ენა-სინამდვილე – პრობლემა.

საინტერესოა, რომ ამ ფრაგმენტს ჯერ კიდევ მ. ჰაიდეგერმა მიაქცია ყურადღება სტატიაში „გზა ენისაკენ“ – "Der Weg zur Sprache" (Heidegger 1986, 241-268). თავისი სტატიის დასაწყისშივე, სადაც ჰაიდეგერი ენის ონტო-ლოგიური არსის, და, აქედან გამომდინარე, ზოგადად ყოფიერების პირველ-საწყისისა და პირველარსის საკითხს აყენებს და შემდგომ მათს განსაზღვრას ცდილობს, ფილოსოფოსს სწორედ ნოვალისის „მონოლოგიდან“ მოჰყავს ციტატა და მთელი მისი შემდგომი მსჯელობა ენის ონტოლოგიურ არსზე სწორედ ამ ციტატაში მოცემულ დებულებაზეა აგებული.

„მონოლოგში“ ნოვალისი ენის არსის ამგვარ ორიგინალურ დახასიათებას გვთავაზობს:

„ჭეშმარიტი საუბარი წმინდაწყლის სიტყვათამაშია. პირდაპირ გასაოცარია ერთი სალაღობო ცდომილება, როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ თითქოს ისინი საგნების გამო საუბრობენ. ენის სწორედ ის თავისებურება, რომ იგი თავის თავზე თვითონ ზრუნავს, არავინ უწყის. ამიტომაც არის ენა ასე გასაოცარი და ნოყიერი საიდუმლო, – რამეთუ ის, ვინც საუბრობს მხოლოდ იმიტომ, რომ

ისაუბროს, სწორედ ის წარმოთქვამს დიად და ორიგინალურ ჭეშმარიტებებს. მაგრამ თუ ვინმე რაღაც განსაზღვრულზე მოინდომებს საუბარს, მაშინ ცელქი ენა მას სასაცილო და აბდაუბდა რამეს ათქმევინებს“ (Novalis 1981, 672).

„მონოლოგის“ დასაწყისშივე ნოვალისი ცდილობს გამოყოს ენის ჭეშმარიტი მახასიათებლები და ჩამოაცილოს მას ენისათვის განმანათლებლობის მიერ დადგენილი და რეგლამენტირებული საკომუნიკაციო, საგნის აღმნიშვნელი და აზრის გამომხატველი მეორადი ფუნქციები[1], რასაც ნოვალისი „მონოლოგში“ „საგნების გამო“ ("um der Dinge willen") საუბარსა და „რაიმე განსაზღვრულზე საუბარს უწოდებს“ ("von etwas Bestimmten sprechen"). ზემოთ მოხმობილ ენის დახასიათებაში მოცემულია ენის პირველადი, უფრო მაღალი ფუნქცია, კერძოდ, ცნობიერების აგებაში ენის მონაწილეობა, რასაც ნოვალისი მეტაფორულად ენის მიერ „თავის თავზე ზრუნვას“ ("um sich selbst bekümmert") უწოდებს. აქედან გამომდინარე, ნოვალისისათვის ენა არის არა მხოლოდ რაიმე „განსაზღვრულზე საუბარი“, როდესაც ხდება ენის როგორც ნიშანთა სისტემის გამოყენება საგანთა მარკირებისა და საკომუნიკაციო აქტის განხორციელებისათვის, არამედ ენა უპირველეს ყოვლისა არის „თავის თავზე ზრუნვა“, ანუ სუბიექტის ნებელობისადმი არ დაქვემდებარება, რაც ქმნის სწორედ სუბიექტის ცნობიერებაში საგანთა წარმოქნის წინაპირობას, ანუ ჰუმბოლდტის ენაზე რომ ვთქვათ, ხდება ენის მიერ „სამყაროს გარდაქმნა გონის საკუთრებად“ ("Umschaffen der Welt in das Eigentum des Geistes"). სწორედ ამ „თავის თავზე ზრუნვაში“ იკვეთება ენის ენერგეისტული ბუნება, რაც ნოვალისის თანახმად უპირველესყოვლისა ვლინდება „საუბარში“ ("Gespräch"). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში *საუბარი* არ გულისხმობს ჩვეულებრივ საკომუნიკაციო აქტს, როდესაც ენას ენიჭება ინფორმაციის გამტარის ფუნქცია, არამედ ნოვალისისათვის ჭეშმარიტი *საუბარი* ეს იგივე „სიტყვათთამაშია“ ("Wortspiel"), რომელშიც აისახება სწორედ თავად „საგანთა გასაოცარი ურთიერთთამაში“ ("spiegelt sich […] das seltsame Verhältnisspiel der Dinge"). აქ ნოვალისის მიერ მეტაფორულად მინიშნებულია სწორედ ენის წარმომქმნელ ფუნქციაზე, ანუ აქ ენა მოაზრებულია როგორც *წარმოქმნა* ("Erzeugung"), ("Erzeugtes"). ამიტომაცაა, რომ ენა როგორც *საუბარი,* ანუ *სიტყვათთამაში* თავისი არსით *თავისუფალია* ("frei"), რითაც „მონოლოგში“ მინიშნებულია, რომ ენა სინამდვილის საგნების ან სააზროვნო ნაკადების მხოლოდ ბგერითი ასახვა, ან გამოხატვა კი არ არის, და აქედან გამომდინარე, ენის არსებობა საგნებსა ან

[1] ი. კანტმაც თავის „ანთროპოლოგიაში“ ენის ცნების განმანათლებლური დეფინიცია გაიზიარა: „საერთოდ, ყველა სახის ენა აზრის აღნიშვნაა. აზრის აღნიშვნის საშუალება- თაგან ყველაზე საუკეთესო კი აზრის ენის საშუალებით, გაგებინების ამ ბრწყინვალე საშუალებით, აღნიშვნაა“ (Kant 2000, 93). ამგვარად, კანტთანაც ენის მთავარი ფუნქციები დაყვანილია აღმნიშვნელ და საკომუნიკაციო ფუნქციებზე.

აზროვნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ენა სწორედ თავისი „თავისუფალი სიტყვათთამაშითა და მოძრაობებით“ ("in ihren freien Bewegungen") თავად არის სუბიექტის ცნობიერებაში საგნებისა და სააზროვნო ერთეულების წარმოქმნის წინაპირობა. ამ შემთხვევაში ნოვალისისეული *საუბარი* უნდა გავიაზროთ როგორც ენით განსაზღვრული სააზროვნო პროცესი, რომელიც „მდუმარე მდგომარეობაშიც მიმდინარეობს“ (ვ. ფონ ჰუმბოლდტი). ამგვარად, ნოვალისის „მონოლოგში“ ინტენციონალიზებულია თეზა, რომ ენა როგორც *წარმოქმნა (ენერგეია* energeia), ენა როგორც ენერგეისტული ფენომენი უპირველეს ყოვლისა ვლინდება *საუბარში*, ხოლო „მონოლოგში“ *საუბარი* გულისხმობს სწორედ სააზროვნო ნაკადების დანაწევრებასა და შემეცნების პროცესის აგებას (ნოვალისის ტერმინოლოგიით "Zerlegen" da "Bildungtrieb").

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ვ. ფონ ჰუმბოლდტი თავის პირველ ენის ფილოსოფიურ თხზულებაში „აზროვნება და მეტყველება“ – "Denken und Sprechen" (Humboldt 2000, 5-7), რომელიც ასევე ფრაგმენტს წარმოადგენს, და რომელიც, დაახლოებით, იმავე პერიოდში შეიქმნა როგორც ნოვალისის „მონოლოგი“, ენის ენერგეისტული ბუნების გადმოსაცემად იყენებს სიტყვას *მეტყველება* (Sprechen), რაც შინაარსობრივად უახლოვდება ნოვალისისეულ *საუბარს* (Gespräch). ჰუმბოლდტს, რა თქმა უნდა, შეეძლო სათაურშივე გამოეტანა სიტყვა ენა (Sprache), მაგრამ იგი შეგნებულად იყენებს სიტყვას *მეტყველება* (Sprechen), რითაც მის მიერ მინიშნებულია ენის ენერგეისტულ ბუნებაზე: ამ შემთხვევაში ჰუმბოლდტთანაც *მეტყველება* გულისხმობს არა მარტო საკომუნიკაციო აქტს, არამედ პირველ რიგში სააზროვნო ნაკადების დანაწევრების აქტსაც, ანუ აქ ენა როგორც *მეტყველება* ვლინდება აზროვნების შესაძლებლობის წინაპირობად.

ნოვალისის მიერ „მონოლოგში“ ენის როგორც *საუბარის*, ხოლო *საუბარის* როგორც *სიტყვათთამაშის* გაგება თავის თავში მოიცავს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებისა და ტრიადის შიგნით (ადამიანი-ენა-სინამდვილე) ენის ფუნქციის განსაზღვრის საკითხს, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ადამიანის როგორც ენობრივი არსების საკითხს.

„მონოლოგში“ ადამიანი წარმოჩენილია სწორედ როგორც ენობრივი არსება: ნოვალისის თანახმად ენა ადამიანის არსს სრულად მოიცავს, იგი არ ეგზისტირებს ადამიანის არსის მიღმა და პირუკუ. ენა და ადამიანი ქმნიან დიალექტიკურ მთლიანობას და ურთიერთგამომდინარეობენ[1]. ამ თვალსაზრისით ნოვალისი „მონოლოგში“ სვამს კითხვას:

[1] მსგავს თვალსაზრისს ავითარებს მ. ჰაიდეგერი: „თავად ჩვენ *თქმადობას* (Sage) მივეკუთვნებით“ ("wir […] selbst in die Sage gehören") (Heidegger 1986, 265). ანუ ამით მინიშნებულია, რომ ადამიანის ყოფიერება, მისი ცნობიერება ენითაა მოცული, რომ

„მაგრამ, თუკი დავუშვებთ იმას, რომ მე ჩემდაუნებურად მაინც რაიმე უნდა ვთქვა და თქმისადმი ჩემი ეს ენობრივი მოთხოვნილება ჩემში ენის ინტუიტიური მოქმედების ნიშანია?“ (Novalis 1981, 672). ამგვარად, ნოვალისის თანახმად, ადამიანის არსში ჩადებულია *ენობრივი მოთხოვნილება* ("Sprachtrieb"), ანუ *ენობრივი უნარი* ("Sprachvermögen"), სამეტყველო უნარი. შესაბამისად, ადამიანის ენობრივი არსიდან გამომდინარე, მის მიერ წარმოებული სააზროვნო პროცესი (რეფლექსია) ენობრივად დეტერმინირებული პროცესია და იგი მხოლოდ ენობრივად თუ იქნება განპირობებული. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ნოვალისი სხვა ფრაგმენტში:

„ერთმანეთზე მიმართული და ერთდროულად წარმართული მეტყველება და აზროვნება (ქმედითი ჭვრეტა) ახდენს სასწაულს – წარმოქმნის სუბსტანციას (ცეცხლს), რომელიც მეტყველებასა და აზროვნებას ჰარმონიულად წარმართავს და მათ შორის ჰარმონიას აფუძნებს“ (Novalis 1983, 443). ეს „სუბსტანცია“, ანუ მეტაფორულად „ცეცხლი“, კი არის ენობრივად დეტერმინირებული რეფლექსიის პროცესის შედეგად სინამდვილის საგანთმიმართებებზე სუბიექტის ცნობიერებაში წარმოქმნილი წარმოდგენა (Vorstellung). აქედან გამომდინარე, ნოვალისის თანახმად, ენა წარმოჩნდება იმ სულიერ ძალად, რომელიც სინამდვილესა და ადამიანს შორისაა „ჩასმული“, რომლის საფუძველზეც სუბიექტი ახდენს სინამდვილისაგან დისტანცირებას, მოიაზრებს თავის თავს როგორც საკუთარი თავის, ისე სინამდვილის მიმართ და რომლის საფუძველზე სუბიექტი სინამდვილის საგანთმიმართებებს აფუძნებს ცნობიერებაში.[1]

ლიტერატურა

Di Cesare 1995 – Di Cesare, Donatella: Anmerkungen zu Novalis' "Monolog" (S. 149-168), in: AthenÑum, Jahrbuch fär Romantik 5, Padeborn.

Heidegger 1986 – Heidegger, Martin: Unterwegs zur Sprache, 8 Aufl., Neske, Pfulingen.

Humboldt 2000 – Humboldt, Wilhelm von: Schriften zur Sprache; hrsg. von Michael Bohler, Reclam, Stuttgart.

ადამიანი ენობრივი არსებაა: „ჩვენ უპირველეს ყოვლისა ენაში და ენასთან ვართ“ ("So sind wir denn allem zuvor in der Sprache und bei der Sprache" (Heidegger, 1986, 241).

[1] ენისა და აზროვნების სინთეზზე ნოვალისი ასევე სხვა ფრაგმენტშიც მიანიშნებს: „ყოველ ქმედებას (აქ ნოვალისი პირველ რიგში გულისხმობს აზროვნებას, რეფლექსიის პროცესს - კ. ბ.) თან ახლავს სიტყვები, ანდა მას შეიძლება თან ახლდეს სიტყვები, ისევე როგორც წარმოდგენას „მე“-ს შესახებ ("Alle Tätigkeiten werden von Worten, oder können von Worten begleitet werden - wie alle Vorstellungen vom Ich") (Novalis 1983, 345).

Kant 2000 – Kant, Immanuel: Anthropologie in Pragmatischer Hinsicht; hrsg. von Reinhardt Brandt, Felix Meiner Verlag, Hamburg.
Novalis 1981 – Novalis: Schriften. Die Werke Friedrich von Hardenbergs; hrsg. von Paul Klukhohn und Richard Samuel, 3. Aufl., Stuttgart, Bd II.
Novalis 1983 – Novalis: Schriften, Bd III.

Konstantine Bregadze

Novalis' Fragment "The Monologue"

Summary

This original fragment of the German Romantic poet and philosopher Novalis (Friedrich von Hardenberg, 1772-1801), composed in approximately 1798 and called by the Italian Humboltologist D. di Cesare the manifesto of language philosophy of Romanticism, sums up Novalis' perception of language philosophy, once again revealing the energeistic nature of language. This small fragment renders in nuce the key points of language philosophy and Novalis' interpretation of these points, which he had previously offered in various philosophical fragments (e.g. "Fichte-Studien", "Logologische Fragmente", "Das Allgemeine Bruillon", "Fragmente und Studien", "Vermischte Fragmente", etc.). In particular, Novalis' "Monologue" implicitly covers the following issues of language philosophy: ontology of language, interrelationship between language and intellect, human as a language being, the triad – human-language-reality.

ლევან დალაქიშვილი

ენა – ფილოსოფიური კვლევის საგანი

დასავლურ კულტურულ-ისტორიულ არეალში ენის რაობით უკვე პლატონი ინტერესდება. დიალოგ „კრატილოსში“ იგი დასვამს სიტყვისა და მისით აღნიშნული საგნის ურთიერთმიმართების საკითხს, როცა იკითხავს: გამოხატავს და ავლენს სიტყვა მისი აღსანიშნი საგნის არსებას თუ კავშირი მათს შორის პირობითია, კონვენციონალურია; სიტყვას არ ევალება მისით აღნიშნული საგნის არსების გაგებისკენ უბიძგებდეს გონებას?

პლატონი დიალოგის დასაწყისში პირველი დაშვების სასარგებლო არგუმენტებს ეძებს; ცდილობს დაასაბუთოს, რომ სახელი შეთანხმების საფუძველზე საგანს „მიკრული“ ბგერათკომპლექსი კი არა, საგნის ბუნებისადმი თავისებურად შესაბამი რამ არის. ამ აზრით ლაპარაკობს იგი „სახელთა სისწორეზე“ და თვლის, რომ ეს მოვლენა ერთნაირად ახასიათებს როგორც ბერძნულ, ისე ბარბაროსთა ენებსაც (პლატონი 1953, 383)*. ცოტა უფრო დეტალურად განვიხილოთ, როგორ შესაბამისობაზეა აქ ლაპარაკი, რას ნიშნავს „სახელთა სისწორე.“

ზოგადად რომ ითქვას, აქ იგულისხმება სახელის საგანთან რაიმე წესით დაკავშირება ისე, რომ სახელი როგორც ბგერათმიმდევრობა ოდენ ხმასავით არ მიებმოდეს საგანს. ასე, მაგალითად: მეფის სახელი რაიმენაირად უნდა გულისხმობდეს მეუფებისთვის ნიშანდობლივ რასმე. ასეთად დიალოგში მიჩნეულია სახელი ჰექტორი, რადგან ἕκτωρ „მპყრობელს“ ნიშნავს, პყრობა კი მეფობის შესაფერია (პლატონი 1953, 393). რადგან ჰექტორში მეფური თვისებაა ჩადებული (მპყრობლობა), მეფის ჰექტორად წოდება გამართლებულია. ასეთია სახელთა სისწორის ერთი სახე თუ ტიპი.

სხვა წესით უკავშირდება β გრაფემის სახელი „ბეტა“ ბგერას, რომელსაც გრაფიკული ნიშანი β გადმოსცემს: აქ სახელში აღსანიშნი ბგერა ხმიანობს – ბ; და არა აქვს მნიშვნელობა, თუ სახელს რაიმე ბგერა მიემატება ან მოაკლდება; მთავარია მან საგნის ბუნება გადმოსცეს. ε, τ, α-ს მიმატება არ უშლის ხელს სახელ „ბეტა“-ს ბ ბგერის ბუნების გამოხატვაში, რადგან ბგერა ბ დაცულია, შენახულია სახელში. ასეთია სახელისა და საგნის კავშირის „მოწესრიგების“ ტიპი ამჯერად. პლატონის თქმით: მთავარია ხელუხლები დარჩეს საგნის არსება სახელში გამოხატული (პლატონი 1953, 393).

„კრატილოსში“ სახელთა სხვა ტიპის სისწორესაც განიხილავს პლატონი. იგი თვლის, რომ ῥῶ ბგერა ყოველნაირი მოძრაობის გამომხატველი საშუალებაა

* გვერდი, აქ და ყველგან ქვემოთ, მითითებულია საერთაშორისო პაგინაციით.

(ὀργανον) და სახელმდებიც მრავალჯერ ხმარობს მას ამ მიზნით. მაგალითად: სიტყვებში ῥειν (დინება) და ῥοή (მიმდინარე) იგი ახდენს სისწრაფის იმიტაციას ამ ბგერის მეშვეობით (პლატონი 1953, 426). გამოდის, რომ ῥῶ ბგერა მოძრაობის გამოსახატად ვარგისი თავისებურების გამო სხვა ბგერებზე მეტად გამოსადეგი ყოფილა იმ ზმნათა ბგერით შემადგენლობაში, რომლებიც ინტენსიურ მოძრაობას აღნიშნავენ. „კრატილოსში“ ამგვარადვეა დახასიათებული და კლასიფიცირებული ბერძნული ანბანის სხვა ბგერებიც. ამ დახასიათებებს აქ არ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ, რომ მტკიცებათა ერთი რიგის მიხედვით, „კრატილოსში“ გატარებულია აზრი: სახელები საგანთა არსებას გამოხატავენ.

მაგრამ იმავე დიალოგში პლატონი საპირისპირო თვალსაზრისსაც სინჯავს და არსებობის საფუძველს უძებნის მას, როცა ასე ალაპარაკებს სოკრატეს: თუ სახელები საგანთა არსებას გვამცნობენ, პირველ სახელმდებს თვით ეს საგნები უნდა სცოდნოდა იმისთვის, რათა მართებულად დაერქმია მათთვის სახელები. მაგრამ რომელი სახელების მიხედვით შეისწავლა და გამოიკვლია მან ეს საგნები, თუ სახელი ჯერ არაფერს ერქვა? ამიტომ საეჭვოა სისწორე იმ აზრისა, რომლის მიხედვითაც საგნის შესწავლა მხოლოდ მისი სახელის შეცნობით არის შესაძლებელი.

პლატონი დაასკვნის: „თუ ყოველივე ეს სწორია, ჩანს, საგნები შეიძლება შესწავლილ იქნენ სახელთა გარეშე“ (პლატონი 1953, 438). „კრატილოსის“ შემაჯამებელ ნაწილში ნათქვამია: სახელი საგანს შეთანხმების საფუძველზეც შეიძლება დაუკავშირდეს და მსგავსების გამოც. ეს იმას ნიშნავს, რომ დიალოგში თანაბარუფლებიანადაა მიჩნეული სახელდების კონვენციურობისა და „მიმსგავსებითი“ ანუ „სახელთა სისწორის“ თეორიები; ოღონდ ეს არის: პლატონი ერთგან ათქმევინებს სოკრატეს: მირჩევნია, სახელები რაც შეიძლება მეტად ჰგვანდნენ საგნებს, მაგრამ ძალიან რომ არ მივენდოთ მსგავსების მაცდურ პრინციპს, გვიწევს ამ დასანანი ხერხითაც (ანუ კონვენციურით – ლ. დ.) სარგებლობაო (პლატონი 1953, 435).

დიალოგ „კრატილოსის“ ანალიზიდან ისე ჩანს, რომ პლატონი მასში ორ ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისს თანაბარმართებულად თვლის, რაც აზროვნების ჩვეული წესის მიხედვით, მისი „ლინგვისტური თეორიის“ ნაკლად ჩაითვლება. ამავე წესით, დიალოგის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ხუმრობანი, რომელთაც პლატონი უხვად ჩაურთავს მასში. ერთგან სოკრატე ასე ეუბნება თანამოსაუბრეს: „რთულ კითხვებს მისვამ, ჰიპონიკეს ძევ. ამ ღმერთების სახელები სერიოზულადაც შეიძლება იკვლიო და გასართობადაც. თუ სერიოზული კვლევა გაინტერესებს, სხვებს დაეკითხე, ხოლო სახუმარო პასუხს მეც გაგცემ, რადგან ხუმრობის მოყვარენი არიან თავად ღმერთებიც“ (პლატონი 1953, 406).

ღმერთებისას ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ პლატონის რანგის მოაზროვნენი ხუმრობით ნათქვამშიც ბევრს გვეუბნებიან ისეთს, რაც ფიქრის ძლიერ იმპულსებს იძლევა და სიახლის აღმოჩენისკენ გვიბიძგებს. სიტყვა ἀμαθία-ს ნამდვილად არასერიოზულად მისაღებ ანალიზში პლატონი წერს: ἡ μέν γάρ τοῦ ἅμα θεῷ ἰόντος πορεία φαίνεται ἡ ἀμαθία... (პლატონი 1953, 437); რაც ასე ითარგმნება: „ეს, თითქოს, ღმერთის გვერდით მოარულის წინსვლასა ჰგავს“. ანუ ἀμαθία არის: "τοῦ ἅμα θεῷ ιόντος πορεία."

ἀμαθία-ს ამგვარად „წაკითხვის“ ფანტასტიკურობა სავსებით ცხადია; ἀμαθία უცოდინრობას, გაუნათლებლობას ნიშნავს. პლატონი აქ ირონიანარევ ხუმრობას გვთავაზობს, ლამაზს, დახვეწილს, როგორც სჩვევია. მაგრამ ასე გახუმრების საშუალებას მას "ἀμαθία "-ს ბგერითი ქსოვილი, მისი ერთგვარი დაშლადობა აძლევს – „ჰამა თეო...“ – რაც ბერძნულის თავისებურებაა და სხვა ენებში არ მეორდება: უვიცობა გერმანულად და ინგლისურად, მაგალითად – Unwissenheit da ignorance – ბერძნულის მსგავსად არც ჟღერს და არც დაიშლება. პლატონი ბერძნულის შესაძლებლობათა ფარგლებში მოქმედებს, აკეთებს იმას, რის გასაქანსაც ეს ენა აძლევს. თვითონ მისი ინდივიდუალური წვლილი ამ საქმეში ის არის, რომ ენის შესაძლებლობებს უფრო ღრმად ხედავს, ვიდრე ვინმე სხვა.

ენა გონითი შემოქმედების გასაქანს შემოწერს. პლატონი შესანიშნავად გრძნობს ამას, თუმცა „კრატილოსში“ საგანგებოდ ამის შესახებ არაფერს ამბობს. როგორც გენიალური შემოქმედისათვის, მისთვის ბერძნულის ბგერითი ფაქტურა, სინტაქსურ-სემანტიკური არსენალი პრაგმატულად უმნიშვნელოვანესი, შეუცვლელი მონაცემია. პლატონი ცხოვრობს ბერძნულ ენაში, როგორც ამ მონაცემთა ერთობლიობაში. თავისი დიალოგების შინაარსს ის ბერძნულად და ბერძნულიდან „ქსოვს.“ მისთვის სავსებით ცხადია საკუთარი შემოქმედებითი ყოფის ურღვევი კავშირი ბერძნულთან. პლატონის ნაწერებში შემხვედრია ამგვარი მეტყველი ფრაზა: „ჰელენ მენ ესტი კაი ჰელენიძეი“ – „ის ხომ ბერძენია და ბერძნულად ლაპარაკობს“. „ჰელენიძეი“ მესამე პირის ფორმაა „ჰელენიძეინ“ ინფინიტივიდან, რაც ქართულად „ბერძნულად ლაპარაკად“ ითარგმნება, მაგრამ „ჰელენიძეის“ მონოლექსემური ლაკონიზმი უფრო ენერგიულად აჩენს „ბერძნულ მეტყველებას“, როგორც ყოფნის უნიკალურ სახეთაგანს.

ერთგვარი ხედვით – რომელსაც ლინგვისტიკაში ობიექტის პრაგმატულ ასპექტში განხილვა ჰქვია – ენა ჩვენი სულიერი ცხოვრების თავისებური მასალა, გასაქანი და იარაღია და პლატონმა შესანიშნავად იცის ეს. დასავლურ კულტურულ სივრცეზე ანტიკური საბერძნეთის დიდი ხნის „უკვე აღარ არსებობის“ შემდეგ, ენის ფენომენის ღრმად ანთროპოლოგიურ ბუნებას აკვირდება და ნათლად ხედავს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი. მისი ენათმეცნიერული კვლევების შედეგია დასკვნა: „ენა შინაგანი ყოფის ორგანო და თვით ეს

ყოფაა“ (ჰუმბოლდტი 1984, 47). ჰუმბოლდტსვე ეკუთვნის არაჩვეულებრივ მდიდარ ლინგვისტურ ცოდნას დამყარებული ასეთი დებულებანი ენის არსების შესახებ: თავისი ჟღერადობის კეთილხმოვნებით ენა ჰარმონიულად, დამამშვიდებლად და ამამაღლებლად მოქმედებს გრძნობასა და აზროვნებაზე. ენის ჭეშმარიტ ღირსებას შეადგენს სხვადასხვა გზით განსაკუთრებული მიმართულება და განწყობა შესძინოს აზროვნებას და გრძნობებს; ეს უნარი განსაზღვრავს მის ზემოქმედებას გონითს განვითარებაზე (ჰუმბოლდტი 1984, 58). „ადამიანი... ისე ცხოვრობს საგნებთან, როგორც მათ ენა მოიტანს მასთან... ყოველი ენა მასზე მოლაპარაკე ხალხის ირგვლივ შემოწერს წრეს, რომლიდანაც ადამიანს მხოლოდ იმდენად ძალუძს გამოსვლა, რამდენადაც მაშინვე სხვა ენის წრეში შეაბიჯებს“ (ჰუმბოლდტი 1984, 80).

ჰუმბოლდტის მიერ ლინგვისტურად საფუძველგამაგრებულ ენის ამგვარ ხედვას მეოცე საუკუნის გერმანული ფილოსოფია ერთგულობს, რომლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები არიან ჰანს გეორგ გადამერი და მარტინ ჰაიდეგერი. ის, თუ როგორ აფასებს გადამერი ენის მნიშვნელობას ფილოსოფიური აზრის განვითარებაში, მისი შემდეგი გამონათქვამებიდან ირკვევა: „ბერძენთა თანადროულობა ჩვენი საუკუნისადმი, უპირველეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ სიტყვა და ცნება მათთან ჯერაც ურთიერთში გადაედინება“... ბერძნებთან გვაქვს: „აზროვნების სიახლოვე სამყაროს ენობრივი ცდის მთლიანობასთან“. გადამერის აზრით, ენა და ცნება იმდენად მჭიდროდაა გადანასკული ერთმანეთს, რომ დაშვება, თითქოს ცნებები შესაძლებელია „მოვიხმაროთ,“ ან განცხადება: „მე ამ საგანს ასე და ამგვარად ვარქმევ სახელს“ ფილოსოფოსობის თვით ქსოვილის რღვევის ტოლფასია (გადამერი 1991, 25). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გადამერი ასეთ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს: „ენა სულ უფრო მეტად ინაცვლებს თანამედროვე ფილოსოფიის ცენტრში“ (გადამერი 1991, 26).

არანაკლებ რადიკალურია ფილოსოფიის ენასთან შეწნულობის მტკიცებისას მარტინ ჰაიდეგერი, რასაც მისი შემდეგი გამონათქვამი მოწმობს:

"...gleichwohl ist es am Ende das Geschäft der Philosophie, die Kraft der elementarsten Worte, in denen sich das Dasein ausspricht, davor zu bewahren, daß sie durch den gemeinen Verstand zur Unverständlichkeit nivelliert werden, die ihrerseits als Quelle für Scheinprobleme fungiert" (ჰაიდეგერი 1927, 220). ჰაიდეგერი აქ შემდეგს ამბობს: „... თუმცა საბოლოოდ ფილოსოფიის საქმეა, ძალა უელემენტარულესი სიტყვებისა, რომლებშიც მუნყოფიერება თავს გამოთქვამს, დაიცვას ჩვეულებრივი განსჯის მიერ გაუგებარზე დაყვანით ნიველირებისაგან, რაც თავის მხრივ, მოჩვენებით პრობლემათა წარმოშობის სათავეა“.

მნიშვნელოვანია ენის პრობლემა სიცოცხლის ფილოსოფიისა და ფენომენოლოგიისთვისაც. ფრიდრიხ ნიცშე წერს: „ყველა ინდურ, ბერძნულ, გერმანულ ფილოსოფიათა საოცარი ოჯახური ურთიერთმსგავსება საკმაოდ ადვილად

ასახსნელია. სადაც ენათა ნათესაობა გვაქვს, იქ ვერ გავექცევით იმას, რომ გრამატიკის ფილოსოფიის საერთოობის გამო – იმის გამო რომ, როგორც მე გამეგება, არაცნობიერ ვემორჩილებით ერთნაირ გრამატიკულ ფუნქციებს – ფილოსოფიური სისტემები იმთავითვე არ იყონ განწირულნი ერთგვაროვანი განვითარებისათვის; არ გადიოდნენ მსგავს რიგებს: თითქოს გზა სხვა შესაძლო მსოფლხედვათაკენ მოჭრილი იყოს. ურალურ-ალთაური ლინგვისტური ჯგუფის ფილოსოფოსები (რომელთაც „სუბიექტის“ ცნება სუსტად აქვთ განვითარებული) სხვაგვარად აღიქვამენ „სამყაროს“ და სხვა ბილიკებზე შემოგვხვდებიან, ვიდრე ინდოევროპელნი ან მუსლიმნი“... (ნიცშე 1903, 31-32).

ედმუნდ ჰუსერლის ნაწერებშიც მოიძებნება პრობლემები და მათი იმგვარი ხედვა, ძალიან რომ ჰგავს ჰუმბოლდტის ნააზრევს. ჰუსერლი აღნიშნავს: „უაღრესად რთული პრობლემები იწყება ფენომენებიდან, რომლებიც „აღნიშვნისა“ და „მნიშვნელობის“ რუბრიკებს განეკუთვნება. რამდენადაც ნებისმიერი მეცნიერება თავის თეორიულ შინაარსეულ აღვსებაში, ყველაფერ იმაში, რაც მასში „მოძღვრებას“ (თეორემა, დასაბუთება, თეორია) შეადგენს, სპეციალურ „ლოგიკურ“ მედიუმში ობიექტივირდება – გამოსახვის მედიუმში, ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგისთვის, რომლებიც ზოგადლოგიკური მომენტებით ინტერესდებიან, გამოხატვისა და მნიშვნელობის პრობლემები უახლოესია და იგინივეა პირველი, რომლებიც საერთოდ, როგორც კი სერიოზულად ვცდილობთ თვით მათს არსებამდე მივიდეთ, ფენომენოლოგიურ-არსებითი კვლევაძიებისკენ გვიბიძგებენ“ (ჰუსერლი 1999, 270). ცოტა ქვემოთ, „იდეების“ იმავე, 124-ე პარაგრაფში ვკითხულობთ: „ამასთან დაკავშირებული სტრუქტურების სრული ნათელყოფა სერიოზულ სირთულეებს გვიჩენს. უკვე იმის აღიარება, რომ გახმიანებულ სიტყვათა გრძნობადი ფენისგან აბსტრაჰირების შემდეგ, სახეზე მართლაც რჩება კიდევ ერთი ამგვარი ფენა... და მაშ, ნებისმიერ შემთხვევაში – თვით რაგინდ გაუგებარი, ცარიელი, წმინდად ვერბალური აზროვნების დროსაც – გამომსახველი მონიშვნისა და გამოსახულის ქვედა ფენა, – უკვე ეს არის არც თუ იოლად საწვდომი და მით უფრო ძნელია ყველა ამ ფენის არსებითი ურთიერთკავშირების გააზრება. ხატოვან გამოთქმას ფენისა სრული ნდობით არ უნდა მოვეკიდოთ; გამოხატავს არაა ზემოდან წაცხებული ლაქი და არაა გადაცმული კაბა; ესაა – გონითი ფორმირება, რომელიც ქვედა ინტენციურ ფენაში ახალ ინტენციურ ფუნქციებს ასრულებს და თავისზე გამოსცდის მის კორელატურ ინტენციურ ფუნქციებს“ (ჰუსერლი 1999, 271).

საკითხის აქ წარმოდგენილი ერთობ არასრული და სახელდახელო განხილვა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ დასავლურ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში ენის არსის ფილოსოფიური კვლევა მუდმივი პროცესია. ევროპული ფილოსოფიისა და ენათმეცნიერების ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელნი არსებითად თანახმანი არიან ერთ საკითხში: ენა ადამიანის სულიერი ცხოვრების ის ორგანონია, რომელიც მიმართულებას, ხასიათსა და

შინაარსს სძენს თვით ამ ცხოვრებას. თუ ამგვარ ხედვას გავიზიარებთ, ენათა კვლევისა და სწავლების საქმე ახლებურ ფილოსოფიურ, ასევე კულტურულ-ანთროპოლოგიურ დატვირთვას შეიძენს; რაც, თავის მხრივ, უფრო საინტერესოს გახდის გარჯას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში.

ლიტერატურა

გადამერი 1991 – Гадамер Г. Г., Философские основания XX века, Актуальность прекрасного, «Искусство», Москва.
ნიცშე 1903 – Фридрих Ницше, По ту сторону добра и зла, Москва.
პლატონი 1953 – Plato, Cratylus, Plato with an English translation VI, by H. N. Fowler of western reserve University, Cambridge, Massachusetts Harvard University press London William Heinemann Ltd MCMLIII.
ჰუმბოლდტი 1984 – Вильгельм фон Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества, Избранные труды по языкознанию, Прогресс, Москва.
ჰუსერლი 1999 – Эдмунд Гуссерль, Идеи к чистой феноменологии и феноменологической философии, книга I, Общее введение в чистую феноменологию, Дом интеллектуальной книги, Москва.
ჰაიდეგერი 1927 – Martin Heidegger, Sein und Zeit.

Levan Dalakishvili

Language - an Object of Philosophic Research

Summary

The article deals with the problem of the understanding of the essence of language in Western culture beginning from *Cratylos* by Plato to E. Husserl and M. Heidegger. The conclusion is drawn that language appears as a phenomenon giving the direction and meaning to man's inner life.

ვლადიმერ ლეკიაშვილი

სუბიექტის ვარაუდის აღმწერი ფრაზების ფორმალური ანალიზის ფსევდოპრობლემები

„ასეთ შემთხვევებში სუბიექტისთვის ვარაუდის (რწმენის) მიწერისა და ინტერპრეტაციის ჩვეული მეთოდები უდიდეს სირთულეებს უკავშირდება, შესაძლოა ასეთი მცდელობა საერთოდაც წარუმატებელი იყოს“ (Kripke 1979). კრიპკეს ეს დრამატული განცხადება ეხება ყბადაღებულ „პადერევსკის“ მსგავს მაგალითებს („პიტერი თვლის, რომ პადერევსკის აქვს მუსიკალური ტალანტი“, „პიტერი არ თვლის, რომ პადერევსკის აქვს მუსიკალური ტალანტი“, ე. ი. არის რაღაც, რაც პიტერს ერთდროულად სჯერა და არ სჯერა და ეს მაშინ, როცა, პირობის თანახმად, პიტერი შერაცხადი და რაციონალურია. ამ ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ პიტერს პირველ და მეორე წანამძღვრებში ნახსენები „პადერევსკები“ სხვადასხვა ადამიანები ჰგონია). სიტუაცია არც ისე დრამატულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს (მავანს მართლაც შეიძლება შემაშფოთებლად მოეჩვენოს ის გარემოება, რომ კრიპკე თავისი „სემანტიკით“ და ვირტუალურ სამყაროთა უზადოდ კოორდინირებული ლეგიონით ასეთი მაგალითების ინტერპრეტაციისთვის სასოწარკვეთილი ეძებს ახალ მეთოდებს), მის უკიდურეს გართულებას კი სწორედ ე. წ. ენის ფილოსოფოსთა დაუღალავ მეცადინეობას უნდა ვუმადლოდეთ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფრეგემ თავის სტატიაში "Über Sinn und Bedeutung" (Frege 1892) ერთმანეთისგან გამიჯნა ენობრივ ობიექტთა მნიშვნელობა და „აზრი“ და სუბიექტის ვარაუდის ან რწმენის აღმწერ რთულ წინადადებებში დაქვემდებარებული წინადადების ჩანაცვლება სხვა წინადადებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნია დასაშვებად (მთელი წინადადების ჭეშმარიტული მნიშვნელობის შენარჩუნების პირობით), თუკი ამ ორ ურთიერთ-მონაცვლე წინადადებას საერთო ექნებოდა არა მხოლოდ რეფერენციული მნიშვნელობა, არამედ „აზრიც“ (თანამედროვე გამოკვლევებში ხშირად იყენებენ ამერიკული კომიქსის სიუჟეტს: „ლუისი თვლის, რომ სუპერმენს შეუძლია ფრენა“, „ლუისი თვლის, რომ კენტ კლარკს შეუძლია ფრენა“: ორივეგან დაქვემდებარებული წინადადებები შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად, მთლიანი ფრაზებიდან კი პირველი ჭეშმარიტია, მეორე – მცდარი. ანუ გამოდის, რომ მნიშვნელობით იდენტური დამოკიდებული წინადადებების ურთიერთჩანაცვლება სუბიექტის ვარაუდის აღმწერ ფრაზებში ყოველთვის არაა დასაშვები, რამაც ენის ფილოსოფოსებს დიდი თავსატეხი გაუჩინა).

ფრეგესეული ინტერპრეტაცია ბევრისთვის მისაღები აღმოჩნდა, ბევრისთვის კი – სრულიად მიუღებელი და მისი ნაშრომის გამოსვლის შემდეგ

სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფოსები (ფრეგეისტები, ნეორასელისტები, ანტინეორასელისტები, ნეოფრეგეისტები და ა. შ.) საუკუნეზე მეტია შესაშური გულმოდგინებით და წარმატებითაც ეძებენ კონტრმაგალითებს თავიანთი კოლეგების კონცეფციებისა თუ ინტერპრეტაციებისთვის. ჩვენ არ შევუდგებით ამ თეორიების დეტალურ განხილვას, რადგან წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით ეს მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც სახალისო. პრობლემა მართლაც არსებობს და ის უკავშირდება არა ერთი რომელიმე სკოლის ან მიმართულების მიერ ენობრივი ფაქტების არადამაკმაყოფილებელ ახსნას, არამედ იმ მიდგომას, რომელიც საერთოა ენის ფილოსოფოსთა ყველა ამ მიმართულების წარმომადგენლებისთვის. ვგულისხმობთ ენობრივი ობიექტების, როგორც მათგან დამოუკიდებელ რეფერენტებთან დაკავშირებული ნიშნების ინტერპრეტაციას.

ამ კონცეფციის ფარგლებში ნებისმიერი ენობრივი ნიშნისთვის კონტექსტი ახდენს უკვე არსებული მნიშვნელობებიდან რომელიმეს აქტუალიზაციას და სრულიად უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ ეს მნიშვნელობებიც, თავის მხრივ, სხვა კონტექსტების მიერ ფორმირდება და საბოლოო ჯამში, ხდება მნიშვნელობის არა აქტუალიზაცია, არამედ შექმნა. ეს თვისება ახასიათებს მხოლოდ ბუნებრივ ენებს და სრულიად უცხოა ფორმალური ენებისთვის. ამის გაუცნობიერებლობა კი საფუძველს აძლევს ენის ფილოსოფოსს ალალად იმსჯელოს ბუნებრივ ენათა ,,არასრულყოფილებაზე'' და ,,სრულყოფილებასთან მიახლოებულ'' ფორმალურ ენებზე. უცნაურია კორეფერენციულობის ცნების გამოყენება გარკვეულ კონტექსტებში ერთეულთა ურთიერთჩანაცვლების შეუძლებლობის საჩვენებლად და შემდგომ იმაზე თავის მტვრევა, თუ რატომ ხდება ასე. კორეფერენციულობის მიჩნევა ურთიერთჩანაცვლებადობის საკმარის საფუძვლად ,,ჩვეულებრივ'' კონტექსტებში დაუშველებელია მისი ინტუიციურობის გამო. საბოლოო ჯამში, ფრაზები ,,უივერლის ავტორი'' და ,,სკოტი'' მხოლოდ იმიტომ ითვლება კორეფერენტულად, რომ ჭეშმარიტია ,,სკოტი არის უივერლის ავტორის'' მსგავსი გამონათქვამები. მითიური რეფერენტების განსაზღვრის მცდელობა ნებისმიერი ენის ფილოსოფოსს აქცევს საკუთარი ინტუიციის მძევლად, და თუ რაოდენ ფანტასტური ფორმები შეიძლება მიიღოს ამ ინტუიციამ, ამას მოგვიანებითაც შევეხებით.

ბუნებრივენობრივი ,,პარადოქსული ფრაზის'' ინტერპრეტაციის მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა ფორმალურ ენაზე ჩამოყალიბებული პარადოქსის წაკითხვა ბუნებრივ ენაზე და შემდგომ ამ, ბუნებრივი ენისთვის მაინც უცხო პრობლემის გადაჭრა ფორმალური გზით. ენობრივი ფრაზებისა და მათ შემადგენელთა პოლისემიურობა და იმპლიციტური პრესუპოზიცია პრობლემატურს ხდის პარადოქსული ფრაზების თვით ,,პარადოქსულობას''. მაგალითად, კრეტელის მიერ ნათქვამი ფრაზის ,,ყველა კრეტელი მატყუარაა'' ბუნებრივი ინტერპრეტაციისას ,,ყველა''-დან ბუნებრივადვე გამოირიცხება ფრაზის მთქმელი. ბუნებრივი ენა გაურბის პარადოქსებს და ფრაზების ავტორეფერენციას. ამის

საშუალებას მას ენობრივ ერთეულთა არამყარი და მუდმივი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი „რეფერენტები“ აძლევს. „ყველა“ შეიძლება ნიშნავდეს „უკლებლივ ყველას“ და მეტაფორულ ან ჰიპერბოლურ „ყველას“. ენობრივ ერთეულთა ე. წ. კორეფერენციულობაზე დაფუძნებული თავსატეხებიც სრულიადაც არ უნდა იყოს თავსატეხი, თუკი გავაცნობიერებთ კორეფერენტულობის პირობითობას: „ლუისი თვლის, რომ სუპერმენს შეუძლია ფრენა“; „ლუისი თვლის, რომ კლარკ კენტს არ შეუძლია ფრენა“; *„ლუისი თვლის, რომ სუპერმენს არ შეუძლია ფრენა“. („სუპერმენი“ და „კლარკ კენტი“ კორეფერენციული ერთეულებია, და შესაბამისად, უნდა შეიძლებოდეს მათი ურთიერთჩანაცვლება). ამ ორი სიტყვის კორეფერენციულობა არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება. მსჯელობის ავტორისთვის ეს ასეა, ლუისისთვის – არა. ფსიქიატრი კი ალბათ იტყოდა, რომ კლარკ კენტს პიროვნების გაორება სჭირს, გაორებული კი ორს უფრო უდრის, ვიდრე ერთს. მსგავს შემთხვევებში ყოველთვის აღინიშნება, რომ სუბიექტი (აქ – ლუისი) რაციონალური და შერაცხადია, მან უბრალოდ არ იცის იგივეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ლოგიკურ გამომდინარეობებში ფაქტის უცოდინრობით მიღებული დასკვნა, ამ ფაქტის მცოდნის თვალსაზრისით, სწორედ არარაციონალურობაზე დაიყვანება (მით უმეტეს, თუ ფაქტის მცოდნისთვის ეს ფაქტი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა).

სუბიექტის (ანუ იმის, ვისაც მიეწერება ესა თუ ის ვარაუდი) თვალსაზრისის ხაზგასასმელად კენეთ ტეილორს (Taylor 2002) ფილოსოფოსებისთვის ჩვეული გამომგონებლობით შემოაქვს ტერმინი "in-the-head-co-referential". თუ თანმიმდევრულები ვიქნებით, მსგავსი მაგალითების განხილვისას კორეფერენციის ყოველ ხსენებას უნდა დავურთოთ ასეთი ატრიბუტი (in-the-head) ამ „ჰეად“-ის პატრონის აუცილებელი მითითებით: სხვისი ვარაუდის აღმწერი, სუბიექტი, რომელსაც ეს ვარაუდი მიეწერება, ფილოსოფოსი, რომელიც ამ თავსატეხის ამოხსნას ცდილობს და ა. შ. ოღონდ პრობლემა ამით არ გადაწყდება: თუკი ბუნებრივენობრივი ფრაზებისგან ფორმალური ლოგიკის წესებით დასკვნის მიღებას მოვინდომებთ, ეს დასკვნა ერთზე მეტიც იქნება და წინააღმდეგობრივიც, კორეფერენციული ერთეულების ურთიერთჩანაცვლება კი ხშირად არა მხოლოდ სუბიექტის ვარაუდის ფარგლებში მოქცეულ დამოკიდებულ წინადადებებშია დაუშვებელი, არამედ უამრავ სხვა კონტექსტშიც ასეთი ჩანაცვლება იმთავითვე შეიცავს წინააღმდეგობრივი შედეგის მიღების საფრთხეს. თუკი მავანი შეეცდება ისეთი თეორიის შექმნას, რომელიც ახსნიდა ამ ტიპის ფრაზებში კორეფერენციული სიტყვების ჩანაცვლების შესაძლებლობას სხვადასხვა სიტუაციურ კონტექსტებში, მან ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთ სიტუაციათა რაოდენობა უსასრულოა, ოპონენტთა ფანტაზია და კონტრმაგალითების ძიების აზარტი კი – დაუშრეტელი (აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ყოველი ასეთი თეორია იმდენად აშკარად ატარებს ახალ-ახალი

შემთხვევების კვალდაკვალ თანმიმდევრული – დროითი და არა ლოგიკური თვალსაზრისით – გართულების შედეგად მიღებული კონცეფციების დაღს, რომ მათ მეცნიერულობაზე ლაპარაკი უხერხულიც კია). საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც რიჩარდის (Ricard 1990) მიერ შეთხზული სიტუაცია, რომელიც წარმატებით იხსნება მისივე თეორიის ფარგლებში და საიდერის (Sider 1995) კონტრმაგალითი – თითქმის დეტექტიური სიუჟეტით და მოსულელო პერსონაჟებით.

მსგავს ენობრივ თავსატეხებთან დაკავშირებით მეორე პრობლემაც არსებობს, კერძოდ, ენის ფილოსოფიის ტრადიცია საკმაოდ უცნაურად აღიქვამს ერთი შეხედვით სრულიად ნათელ ბუნებრივენობრივ ფრაზებს. ვგულისხმობთ სუბიექტის ვარაუდის ან რწმენის აღმწერი წინადადებების de re da de dicto ინტერპრეტაციებს. პირველ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევა კორეფერენტული ობიექტების ურთიერთჩანაცვლება, მეორეში – არა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ტიპის ნებისმიერი ფრაზა ორაზროვნად აღიქმება:
"Ralph believes that someone is spy". – 1) Ralph believes that there are spies; 2) Someone is such that Ralph believes that he is a spy (McKay, Nelson 2006) (იგულისხმება რალფის ეჭვი ერთ კონკრეტულ ადამიანთან დაკავშირებით).

ან: "George IV believed that the person who wrote Waverly was famous." "1) George IV believed that some person wrote Waverly, at most one person wrote Waverly, and every person who wrote Waverly is famous; 2) Some person wrote Waverly, at most one person wrote Waverly, and every person who wrote Waverly is such that George IV believed that he was famous (McKay, Nelson 2006-a). (ამ მარგალიტების ავტორს იმის თქმა სურს, რომ პირველი ინტერპრეტაციით ჯორჯ IV-მ შეიძლება არც იცოდეს, რომ უივერლის ავტორი სკოტია და ის თითქოსდა ამბობს: „ვინც არ უნდა იყოს უივერლის ავტორი, ცნობილი ვინმე იქნებაო“, მეორე ინტერპრეტაციით კი მეფე კარგადაა ინფორმირებული). რალფის მაგალითის „ორაზროვნება“ აშკარად ყურით მოთრეულია, მეორე მაგალითის პირველ და მეორე „ინტერპრეტაციებზე“ კი მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: მსგავსი კონსტრუქციების დანერგვას ერთს და მხოლოდ ერთ ადამიანს უნდა ვუმადლოდეთ და ვისაც არ უნდა გაეკეთებინა ეს, სერ ვალტერ სკოტზე არანაკლებ ცნობილი ადამიანი იქნებოდა – მოკლედ, ბერტრან რასელი. ერთი ეგ არის, რასელი, ბევრი თავისი სულიერი მემკვიდრისა თუ ოპონენტისგან განსხვავებით (ენის ფილოსოფიის სფეროში), თავადაც შესანიშნავად აცნობიერებდა თავისი აღნიშვნის თეორიის მეტისმეტ სპეკულატიურობას და ცნობილ სტატიას "On Denoting" (Russell 1973) შემდეგი ფრაზით ამთავრებს: „მკითხველს მხოლოდ იმას ვთხოვდი, ნუ განეწყობა ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ – რაც არ უნდა დიდი იყოს ასეთი ცდუნება მისი უკიდურესი სირთულიდან გამომდინარე – იქამდე მაინც, ვიდრე თავად არ შეეცდება დენოტაციის საკუთარი თეორიის შექმნას. ასეთი მცდელობა, ვფიქრობ,

დაარწმუნებს, რომ, როგორიც არ უნდა იყოს სწორი თეორია, ის არ იქნება ისეთი მარტივი, როგორც წინასწარ შეიძლება გვევარაუდა.“

სიტუაცია აშკარად კურიოზულია: ერთი მხრივ, ენის ფოლოსოფია ძალზე ხშირად ბუნებრივ ენაზე (ანუ თავისი კვლევის ობიექტზე) ადეკვატურად ვერ აყალიბებს სათქმელს, მეორე მხრივ კი, მისი მსჯელობების ჯაჭვში ერთი რგოლი მაინც მისსავე ბუნებრივენობრივ ინტუიციას (!) და ენობრივი ნიშნების რეფერენციასთან დაკავშირებულ ბანალურ მითებს ეფუძნება. მთავარი პრობლემა კი, ანუ სუბიექტის ვარაუდის (და მსგავსი მიმართებების) აღმწერი ფრაზების ინტერპრეტაციის ირგვლივ გამართული საუკუნოვანი დებატები ჩვენთვის ძნელადასახსნელი გარემოებიდან გამომდინარეობს: რამდენადაც ადვილად ახერხებს ენის ფილოსოფია მსჯელობის სუბიექტთა თვალსაზრისის რელატივაციას, იმდენადვე უცხოა მისთვის მსჯელობის ავტორთა თვალსაზრისის პირობითობის გაცნობიერება და მისგან დისტანცირება.

ლიტერატურა

Frege 1892 – Frege G. ,"Über Sinn und Bedeutung", in *Zeitschrift für Philosophie und philosophische Kritik*, 1892, **100**: 25-50.

Kripke 1979 – Kripke S., "A puzzle about belief" in A. Margalit (ed.). *Meaning and Use* (Dordrecht: Reidel, 1979), 268.

McKay, Nelson 2006 – McKay Th. and Nelson M., The De Re/De Dicto Distinction, Supplement to "Propositional Attitude Reports", *The Stanford Encyclopedia of Philosophy (Winter 2006 Edition)*, Edward N. Zalta (ed.), URL = <http://plato.stanford.edu/archives/win2006/entries/prop-attitude-reports/>.

McKay, Nelson 2006-a – McKay Th. and Nelson M., Definite Descriptions, Supplement to "Propositional Attitude Reports", *The Stanford Encyclopedia of Philosophy (Winter 2006 Edition)*, Edward N. Zalta (ed.), URL = <http://plato.stanford.edu/archives/win2006/entries/prop-attitude-reports/>.

Ricard 1990 – Richard M., *Propositional Attitudes*. New York: Cambridge University Press.

Russell 1973 – Russell B., "On Denoting," in *Essays in Analysis*, London: Allen and Unwin, 1973, 103-119.

Sider 1995 – Sider Th., "Three Problems for Richard’s Theory of Belief Ascription", *Canadian Journal of Philosophy* 25 (1995): 487-514.

Taylor 2002 – Taylor K. A., "De re and de dicto: against the converntional wisdom", *Philosophycal Perspectives, 16, Language and Mind, 2002*

Vladimir Lekiashvili

Pseudo Problems of Formal Analysis of the Propositional Attitude Reports

Summary

Methodological grounds conducing to the variety of the puzzles concerning propositional attitude reports is the main topic of the paper. We suppose that unconcern for the complete relativization of the notion of co-reference might be one of the reasons that have made many language philosophers puzzle over the topics that otherwise would produce no perplexity for formal analysis of the phrases of this type.

ირინე მელიქიშვილი

„თავისუფლების“ ცნების ეტიმოლოგიური დიაპაზონი. სოციალურიდან ინდივიდუალურამდე[1]

დიაქრონიული სემანტიკური ტიპოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა სიტყვათა მნიშვნელობების ცვალებადობის ტენდენციების გამოვლენა, – განსაზღვრა იმისა, თუ რა შინაგან სიღრმისეულ სემანტიკას ატარებს ესა თუ ის სიტყვა სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა კულტურულ წრეში – და მიღებული შედეგების შედარების საფუძველზე განვითარების ზოგადი ტენდენციების დადგენა. ამგვარი კვლევა შეიძლება განხორციელდეს ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვების ეტიმოლოგიურ აგებულებათა შედარების საფუძველზე.

ერთი და იმავე ძირითადი სემანტიკის მატარებელი სიტყვების წარმოება ხშირად სხვადასხვა პრინციპებს ეფუძნება. რთული სიტყვათწარმოებითი მოდელების მქონე სიტყვათა ეტიმოლოგიური ანალიზი ავლენს სიტყვათწარმოების სემანტიკურ მოტივაციას, ანუ სახელდების მომენტში შესაბამისი ცნების გააზრების ხასიათს სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა კულტურულ წრეში. ეს ეტიმოლოგიური სხვაობები ასახავს ამა თუ იმ ცნების კონცეპტუალურ სხვაობას ადამიანის ცნობიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ერთი მნიშვნელობისა და განსხვავებული წარმოების სიტყვათა ერთმანეთთან შედარება წარმოდგენას გვიქმნის კაცობრიობის ცნობიერების ევოლუციის შესახებ. „თავისუფლების“ ცნების აღმნიშვნელ სიტყვათა ეტიმოლოგიების შედარება ამ ცნების განვითარების საინტერესო ხაზს ავლენს.

ინდოევროპულ ენებში „თავისუფალი ადამიანის“ აღმნიშვნელი სიტყვების ეტიმოლოგიური ჯგუფები განხილული აქვს ე. ბენვენისტს (ბენვენისტი 1970). ამ მონაცემების და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე ჩვენ ბერძნულ-რომაულ, გერმანიკულ, სლავურ, ქართველურ ცნებებს ვერტიკალურ ღერძზე განვიხილავთ, როგორც ურთიერთმომდევნო კულტურული ეპოქების კუთვნილებებს.

[1] წაკითხულია მოხსენებად გურამ რამიშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე 2008 წლის 9 ივნისს.

1. „თავისუფლების“ აღმნიშვნელი სიტყვები ბერძნულ-ლათინურ ენობრივ წრეში

ინდოევროპულ ენებში „თავისუფლების“ ცნების აღმნიშვნელ სიტყვათა რამდენიმე ეტიმოლოგიური წრე დასტურდება. ერთ ეტიმოლოგიურ ჯგუფს ქმნიან ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ლათინური *liber* და ბერძნული *ἐλεύθερος*. ეს სიტყვები მომდინარეობენ საერთო-ინდოევროპული ძირიდან **leudh-* „ამოზრდა, აღმოცენება“. უკვე საერთო-ინდოევროპულისთვის არის აღდგენილი ამ ძირიდან ნაწარმოები ფორმები: **leudho-, leudhi-* „მოზარდი თაობა, ხალხი“ და **leudhero-* „ტომის წევრი, თავისუფალი“ (პოკორნი 1959, 684). „ზრდის“ მნიშვნელობით ეს ძირი დადასტურებულია ინდურ-ირანულ ენებში: ძვ. ინდ. *rōdhati,* ავ. *raodati* „იზრდება“; გოთურში: liudan „ზრდა“. „ხალხის, მოდგმის“ მნიშვნელობით ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები დადასტურებულია ბალტურ-სლავურ და გერმანიკულ ენებში: ძვ. სლავ. *ljudje* „ხალხი“, რუს. *Люди;* ლატვ. *làudis,* ლიტვ. *liádis* „ხალხი, ტომი“, ძვ. ზემო გერმ. *Liut-,* ანგ. საქს. *lēod-* „ხალხი“, საშ. ზემო გერმ. *liute* „ხალხი“, გერმ. *Leute;* როგორ უნდა გავიაზროთ სემანტიკური განვითარება ზმნური ძირიდან „ზრდა“ > „თავისუფლების“ აღმნიშვნელ სიტყვებამდე? „ზრდის“ მნიშვნელობიდან ვითარდება ერთის მხრივ „გაზრდილის, მოზარდის, ბავშვის“ მნიშვნელობები: იხ. ლათ. *līberi-/līberōrum* ასევე „იერსახის, აღნაგობის (Gestalt)“ მნიშვნელობა: გოთ. *laudi* „იერსახე, Gestalt“, ავ. *roadh-* „აღნაგობა, იერსახე“, ხოლო შემდეგ „ხალხის, მოდგმის მნიშვნელობა“ – ერთი ძირიდან აღმოცენებული ადამიანების ერთობლიობა იძლევა კრებით ცნებას, როგორიცაა „მოდგმა, ნათესაობა, ხალხი“; გერმანული *Leute* და რუსული *люди* „ერთი ძირიდან ამოზრდილი ადამიანები“ არიან. ამგვარად წარმოიქმნება სოციალური შინაარსის ცნება *leudho- „ხალხი“; ხოლო არსებითი სახელისაგან *leudho- „ხალხი“ წარმოიქმნება ზედსართავი**(e)leudhero-,* რომელიც ჯერ ნიშნავს „ერთი ეთნიკური ძირის კუთვნილებას“ ხოლო შემდეგ – თავისუფალი ადამიანის მდგომარეობას; ასეთებია: ლათ. *liber* ბერძნ. *ἐλεύθερος, რუს. людин „თავისუფალი ადამიანი“, ბურგუნდ. Leudis „თავისუფალი კაცი“* (ფასმერი II, 545). ამრიგად, თავისუფალნი არიან ისინი, ვინც ერთ მოდგმას, ერთ ხალხს ეკუთვნის, რამდენადაც ისინი ერთი ძირიდან არიან ამოზრდილნი. ამის საპირისპიროდ, ერთგვაროვან ეთნიკურ სოციუმში არათავისუფალია უცხო ეთნიკური წარმომავლობის პირი (ტყვე > მონა). სოციალური ერთობის საფუძველია საერთო **ბიოლოგიური** წარმომავლობა, ხოლო თავისუფალია ის, ვინც ამ ბიოლოგიური ერთობის წევრია. მსგავს სემანტიკურ განვითარებად შესაძლებელია მივიჩნიოთ გერმანული *Stamm* და ინგლისური *stock* „1. ღერო; 2. გვარი, მოდგმა“; მათ მცენარეული და ეთნიკური მნიშვნელობა აქვთ; ამასთან, ცხადია, რომ *„ღეროს“* მცენარეული მნიშვნელობა ეთნიკური მნიშვნელობისათვის ამოსავალია: ერთი გვარისანი არიან ისინი, ვინც ერთი ღეროს განშტოებებს წარმოადგენენ.

არსებითად მსგავსი საზრისი უდევს საფუძვლად „თავისუფლების“ აღმნიშვნელ ძველ სპარსულ სიტყვას: āzāta (ახ. სპ. āzād) „მემკვიდრეობით ნაკადში ნაშობი“. კეთილი შობის შინაარსს მოიცავს ძველი ირანული ā-znā-ya-ც „დიდ სახლში დაბადებული“ ე. ი. „კეთილშობილი“ (ბეილი 1960; მოგვყავს მ. ანდრონიკაშვილის ნაშრომის მიხედვით: ანდრონიკაშვილი 1960, 221; ბენვენისტი 1974, 359). სპარსულიდან ნასესხები სიტყვები *აზნა* და *აზნაური* „წარჩინებულის, კეთილშობილის, თავისუფალის“ მნიშვნელობით წარმოდგენილია ძველ ქართულში (ანდრონიკაშვილი 1966, 214-221).

2. „თავისუფლების“ აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენობრივ წრეში

„თავისუფლების“ აღმნიშვნელ სიტყვათა მეორე ეტიმოლოგიური წრე წარმოდგენილია გერმანიკულ ენებში. აქაც „თავისუფლების“ ცნებას სოციალური საფუძველი აქვს, ოღონდ თუ პირველ შემთხვევაში სოციუმი ბიოლოგიური ერთობის საფუძველზე განისაზღვრებოდა, აქ სოციალური ერთობის მშვინვიერი, ფსიქიკური ასპექტი გამოდის წინ.

გერმანული *frei*, ინგლისური *free* მომდინარეობენ ინდოევროპული ძირიდან **prāi-* „კეთილგანწყობა, მშვიდობიანი და ხალისიანი დამოკიდებულება, დაცვა“. ამ ძირიდან ნაწარმოები ინდოევროპული ფუძეებია: **pri-to* „საყვარელი“, **prija* „მეუღლე“, **prijo-tā* „სიყვარული“ (პოკორნი 1959, 844). მისი მემკვიდრე ფორმები წარმოდგენილია ბერძნულ, ინდურ-ირანულ, სლავურ, გერმანიკულ, კელტურ ენებში. „თავისუფალის“ მნიშვნელობა ამ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს გერმანიკულ ენობრივ წრეში განუვითარდათ: გოთ. *freis*, ძვ. ზემო გერმ. *frī,* ანგლ. საქს. *freō, frī,* ძვ. ისლ. *frijāls* „თავისუფალი“. ეს მნიშვნელობა განვითარდა მნიშვნელობიდან: „საყვარელი, სათნო, მოყვასი“: სანსკრ. *priya-*. ავ. *frya-,* „საყვარელი, სათნო“, აქედან: „მეუღლე“; ამავე რიგის განვითარებაა ძვ. სლავ. *prêyo* „კეთილგანწყობილი, მზრუნველი“; რუს. *приятель;* გოთ. *frijōns* „ნათესავი“, ძვ. ზ. გერმ. *friudal* „საყვარელი, სასიძო, მეუღლე“, ძვ. ისლ. *friðill* „საყვარელი“, გერმ. *Freund* „ამხანაგი, მეგობარი“, შვედ. *Frände* „ნათესავი“. საყვარელის, სათნოს მნიშვნელობიდან გერმანიკულმა ენებმა განავითარეს ნათესავისა და მეგობრის, მოყვასის შინაარსი. მნიშვნელობათა დიაპაზონისათვის იხ. გოთ. *frijōn* „სიყვარული (ზმნა)“, ძვ. ისლ. *friyā,* ანგ. საქს. *frōgan* „სიყვარული, განთავისუფლება“, გოთ. *freidjan* „დაცვა, ზრუნვა“, ანგ. საქს. *friđjan* „დაცვა“, ძვ. ზ. გერმ. *fridu,* გერმ. *Friede* „მშვიდობა“, ძვ. ისლ. *friđa* „მშვიდობის დამყარება, შერიგება“. ამ ძირიდან განვითარდა სოციალური სამართლებრივი ცნება „თავისუფალი“: „ადამიანები, რომლებიც გვიყვარს და ამიტომ ვიცავთ, არიან საკუთარი მოდგმისანი, მოყვასნი, ამხანაგები“ – *"Freunde"*, ამდენად – სოციუმის სრულუფლებიანი წევრები, უცხო არათავისუფლების (ტყვეების, დამორჩილებულების) საპირისპიროდ. ერთი ძირიდან მომდინარეობენ სიტყვები: frei „თავისუფალი“, *Freund* „მეგობარი“, *Friede*

„მშვიდობა“, *Freude* „სიხარული“ (Herkunftswőrterbuch, 1988, 203). „თავისუფლების“ ცნების განვითარების სემანტიკური გზა ასე გამოიყურება: საყვარელი, სათნო > მოყვასი, ნათესავი, მეგობარი > თავისუფალი. ამ კონტექსტში საინტერესოა ქართული სიტყვა *მოყვასი.* „თავისუფლების“ ცნების გამომხატველ ამ სიტყვათა ემოციური, აფექტური საფუძველი თვალსაჩინოა.

ამრიგად, ამ ენობრივ წრეშიც „თავისუფლება“ სოციალური ცნებაა (თავისუფალნი არიან საკუთარი მოდგმისანი, ესენი არიან სათნონი და დასაცავები), ოღონდ ამჯერად სიტყვის ეტიმოლოგიური საფუძველი **ემოციური, ფსიქიკური** ხასიათისაა.

3. „თავისუფლების“ აღმნიშვნელი სიტყვები სლავურ ენობრივ წრეში

საინტერესო განვითარებას გვიჩვენებენ სლავური ენები: ძვ. სლავ. sveboda და ამ სიტყვის მემკვიდრე ფორმები რუსულში, ბულგარულში, ჩეხურში, პოლონურში ... ისინი მომდინარეობენ საერთო-ინდოევროპული ნაცვალსახელური ძირიდან: *seûe/sûe „свой, საკუთარი, თვით“; ინდოევროპულ დონეზევე რეკონსტრუირდება ნაწარმოები ფორმა * sûe-bho „თავისი მსგავსი, თავისიანი“ (პოკორნი 1949, 883; ფასმერი 1971, 582-3).

ამ ფორმიდან ეთნიკური შინაარსის სიტყვები სხვა ინდოევროპულ ენებშიც განვითარდა. იხ. მაგ. გოთ. sibja, ძვ. ზ. გერმ. sipp(e), გერმ. Suēbi, ძვ. ზ. გერმ. Swāba, გერმ. Schwaben „შვაბები“. ამრიგად, სლავური свобода-ც სოციალური შინაარსის ცნებაა და გამოხატავს „თავისიანს, საკუთარი გვარის წევრს“. მას რეფლექსურ-კუთვნილებითი ხასიათი აქვს და ემყარება ნაცვალსახელურ ძირს. თავისუფალია ის, ვინც თავისიანია. ამავე ტიპის წარმოებად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთში გადასახლებულ ქართველთა თვითდასახელება „ჩვენებურები“ (ფუტკარაძე 1993, 9). ეს არის რეფლექსურ-კუთვნილებით ნაცვალსახელზე დამყარებული ეთნიკური თვითდასახელების ნიმუში. ამრიგად, „თავისუფლების“ აღმნიშვნელი სლავური სიტყვა ნაცვალსახელური სოციალური ტერმინიდან მომდინარეობს. პიროვნება თავს სოციუმში მოიაზრებს და საკუთარ თავზე ორიენტირებულად (свои „თავისიანები“) განსაზღვრავს თავის ეთნოსოციალურ ერთობას, ხოლო შემდეგ, „თავისუფლად“ კვალიფიცირდება ამ „თავისიანთა“ ერთობის წევრი.

„თავისუფლების“ აღმნიშვნელი განხილული ტერმინები ეთნიკურ-სოციალური ხასიათისაა. თავისუფალია ის, ვინც მოცემულ მოდგმას, გვარს, ხალხს ეკუთვნის. ცხადია, დღეს ყველა ეს სიტყვა, ეტიმოლოგიის მიუხედავად, ძირითადად პიროვნული თავისუფლების შინაარსის მატარებელია.

თუმცა ყველა განხილულ ენობრივ წრეში „თავისუფლება“ სოციალური ტერმინია, სოციუმის განმსაზღვრელი პრინციპი განსხვავებულია:

ა) ბერძნულ-ლათინურ ენობრივ წრეში ეს არის *ბიოლოგიური* პრინციპი: ἐλθεύρος, liber; ეტიმოლოგიური საფუძველია „ზრდის“ სემანტიკა.

ბ) გერმანიკულში ეს არის *ემოციურ-ფსიქოლოგიური მოტივი*: frei, free; ეტიმოლოგიური საფუძველია ,,სათნო, საყვარელი".

გ) სლავურში - *პიროვნულეულ-რეფლექსური*: свобода; ეტიმოლოგიური საფუძველია ,,თავისიანი".

4. ,,თავისუფლების" ცნება ქართველურ ენებში

ქართული სიტყვა *თავისუფალი* არ შეიცავს მითითებას სოციალურ მიმართებებზე. ეს სიტყვა უკვე მთლიანად პიროვნული თავისუფლების შინაარსის გამომხატველია. *თავისუფალი* არის საკუთარი თავის უფალი, საკუთარი თავის მფლობელი; სიტყვა თვითორიენტირებულია. იგი არც ერთი ზემოთ განხილული აზრით არ მიემართება ადამიანთა ნათესაურ თუ სხვაგვარ სოციალურ ერთობას. *თავისუფალი* ფლობს თავის თავს; მხოლოდ ნეგატიური აზრით გამომდინარეობს მისი ეტიმოლოგიური შინაარსიდან მიმართება *სხვებთან.* რადგან იგი საკუთარი თავის უფალია, ამდენად იგი სხვებისაგან დამოუკიდებელია, სხვა არ ბატონობს მასზე. ამ აზრით დამოუკიდებლობა ,,თავისუფლების" შედეგია. ქართული სიტყვის პირველადი შინაარსი პიროვნული ხასიათისაა, პოზიტიური აზრით ეს სიტყვა მხოლოდ საკუთარი თავის ფლობაზე მეტყველებს, იგი არ გადის პიროვნების ფარგლებიდან.

საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა მრავალმხრივ გააზრებას ექვემდებარება. *თავისუფალი* შესაძლებელია ფლობდეს თავს როგორც ფიზიკურ არსებას, მაგრამ ასევე ახორციელებდეს ემოციურ, მორალურ, გონით თვითკონტროლს, თვითფლობას. სიტყვა *თავისუფალი* ძალდაუტანებლად მოიცავს ადამიანური თავისუფლების გოეთესეულ მოაზრებასაც:

Wer nicht sich selbst befielt,
bleibt immer ein Knecht (Zahme Xenien)
,,ვინც საკუთარ თავს თვით არ უბრძანებს, ყმად დარჩება მუდამ".

სიტყვა *თავისუფალი* დადასტურებულია სახარების უძველეს ქართულ თარგმანებში:

ინ. 8.32 გულისხმა-ჰყოთ ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამან **განგათავისუფლნეს** თქვენ.

8.33 ნათესავნი აბრაამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონეთ; ვითარ შენ იტყჳ, ვითარმედ: **თავისუფალ** იქმნეთ?

8.36 უკუეთუ ძემან **განგათავისუფლნეს,** ჭეშმარიტად **თავისუფალ** იყვნეთ.

ეს სიტყვა საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველი აღთქმის თარგმანის ტექსტებშიც. მაგ. მცხეთურ ხელნაწერში: გამოსლვ. 21. 5, 26, 27; I ეზრ. 1. 4, 50, 53; II ეზრ. 11. 19, 36; ფს. 87. 6; იერ. 34. 41; იობ. 39. 5; ტობ. 1. 14; გვხვდება იგი ოშკის ბიბლიაშიც, პარიზის ლექციონარშიც, ექვთიმე

მთაწმინდლისეულ იოანე ოქროპირის თხზულებათა თარგმანებში და ძველი ქართული ენის ბევრ სხვა ძეგლში. ეს არის ძველი ქართული ენის ლექსიკის მყარი, გავრცელებული ერთეული, ჩვეულებრივი, ყოფითი ენის კუთვნილება. როგორც წესი, ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებში იგი ბერძნული ორიგინალის ἐλεύθερος, ἐλεύθερια-ს ფარდად არის წარმოდგენილი. იშვიათად ენაცვლება მას ნასესხები სიტყვა *აზნაური.* იგი გვხვდება სახარების უძველეს თარგმანებში (თარგმანებში, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ადიშის, ისე ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებში), და ამდენად, ქართული დოკუმენტირებული ლექსიკის უძველეს ფენას ეკუთვნის. შესაბამისად, სიტყვის წარმოქმნის ზედა დროითი ზღვარი პირველი ქრისტიანული საუკუნეებია. ქვედა ზღვრის დოკუმენტური დადგენა შეუძლებელია, რადგან უფრო ადრეული წერილობითი ძეგლები არ არსებობს, ხოლო შესატყვისობათა უქონლობის გამო მას ქართულ-ზანური ერთობის დონემდეც ვერ ავიყვანთ. მეგრულსა და სვანურში ამ ცნების აღსანიშნად ქართულიდან ნასესხები სიტყვა იხმარება.

დაისმის კითხვა: ქართული კომპოზიტური წარმოება საკუთრივ ქართულ სიტყვათშემოქმედებას წარმოადგენს თუ უცხო წარმონაქმნის კალკირების შედეგია? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული *თავისუფალი* საკუთარ წარმოებას წარმოადგენს, რადგან ქართულთან შეხებაში მყოფ სხვა ენობრივ წრეებში უზუალურ ლექსიკაში ამგვარად ნაწარმოებ სიტყვებს ვერ ვხედავთ. სახარების ბერძნულ ტექტში ქართული *თავისუფალის* ფარდად სრულიად სხვაგვარი ეტიმოლოგიის მქონე ἐλεύθερος არის წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ როდესაც თეოლოგიური ლიტერატურა ითარგმნებოდა ქართულად, რომელშიც ადამიანის თავისუფლების, მისი თავისუფალი ნების შესახებ ქრისტოლოგიური განსჯა იყო წარმოდგენილი, მთარგმნელები არ იყენებდნენ სიტყვას *თავისუფალი*, რომელიც ქართული ენის ბუნებრივი, ყოველდღიური ენის ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენდა, არამედ ქმნიდნენ თეოლოგიურ ტერმინებს, როგორიცაა *თჳთმფლობელი, თჳთმფლობელობა, თჳთჴელმწიფე, თჳთჴელმწიფება.* ასე მაგალითად:

თჳთმფლობელად დაუბადებიეს ღმერთსა ბუნება ჩვენი (იოანე ოქროპირი Ath. 29. 92).

არამედ რაოდენნი უმიზეზებენ ღმერთსა ამისთჳს, რომელ კაცი არა შექმნა ბოროტთა არმიმთუალველად, არამედ თჳთჴელმწიფედ (ნემესიოს ემესელი 159, 20; მოგვყავს თ. ცქიტიშვილის ნაშრომის მიხედვით: „ნების თავისუფლების პრობლემა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში“, 2001, 85, 87).

აშკარაა, რომ ეტიმოლოგიურ საფუძველს ქართული სიტყვისათვის *თავისუფალი* წარმოადგენს ადამიანის პიროვნული თავისუფლება და იგი სოციალურად ორიენტირებული არ არის. ამასთან, იგი დადასტურებულია პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში. არსებობდა თუ არა ეს წარმოება ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ამის შესახებ პასუხს ვერ გაგვცემენ ვერც წერილობითი

ძეგლები და ვერც შედარებითი კვლევა. მაგრამ ასეთი დათარიღებაც კითხვების წინაშე გვაყენებს, რადგან ქართული *თავისუფალი* წარმოადგენს უზუალური ენის კუთვნილებად ისეთი ცნების ქცევას, რომელიც პირველ საუკუნეებში მხოლოდ ფილოსოფიური განსჯის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ კაცობრიობის განვითარების პროცესში პიროვნული თავისუფლების ცნება სოციალური თავისუფლების ცნებიდან ვითარდება თანდათანობით.

ძველ ბერძნულ ენაში იყო სიტყვა ᾽αυτοκρατής „თვითმფლობი, თვითმპყრობელი, დამოუკიდებელი“. მაგრამ ეს იყო კულტურულ-ფილოსოფიური ლექსიკის კუთვნილება და ჩვეულებრივი, ყოფითი აზრით, „თავისუფლების“ აღსანიშნავად იგი არ გამოიყენებოდა. ის იყო ისეთი სიტყვების ატრიბუტი, როგორებიცაა νους „გონება“ (პლატონთან), λόγος „სიტყვა“ (პლუტარქესთან) და იძლეოდა მნიშვნელობებს „თავისუფალი გონება“, „თავისუფალი სიტყვა“, ან გამოხატავდა „თვითმპყრობელს“ (βασιλεια დვორეცკი 1958, 267). საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა არ გვხვდება სეპტუაგინტაში – ძველი აღთქმის უძველეს ბერძნულ თარგმანში. აქ გვხვდება მხოლოდ არსებითი სახელი ᾽αυτοκράτωρ „თვითმპყრობელი, სრული ბატონ-პატრონი“ (Lust, Eunikel, Hauspie 1992, 71). ამრიგად, ამ სიტყვის მნიშვნელობა დიდად განსხვავდება „თავისუფლების“ ცნებისაგან. საერთოდ არ გვხვდება ეს სიტყვა ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტში (ეს ჩანს ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის ლექსიკონიდან: ბაუერი 1971). ამდენად ბერძნული ენის ვერც ტექსტურ და ვერც ზეპირ გავლენას ქართულ ენაზე ამ სიტყვის წარმოქმნისას ვერ ვივარაუდებთ.

სვანურსა და მეგრულში ამ ცნების აღსანიშნავად ქართულიდან ნასესხები სიტყვები იხმარება. თუმცა სვანურში ეს სემანტიკური სფერო საკმაოდ დიფერენცირებული ჩანს – რამდენიმე სიტყვა ასახავს თავისუფლების ცნების სხვადასხვა ასპექტს. ოთარ ონიანის ცნობით, *თავისუფალ* არის „თავისუფალი, გახსნილი, პირდაპირი, გულწრფელი, ლაღი“; *მიჩაშურა* „მისებური, თავისებური > შეუვალი, დამოუკიდებელი, თავისი სიტყვის პატრონი, პიროვნება, რომელიც სხვის გავლენას არ ექვემდებარება და რომლის გადარწმუნება ძალზე ძნელია“; *თხუმე მახუში* – „საკუთარი თავის უფროსი > ძლიერი პიროვნება, ძლიერი მეობის მქონე, თვითმაკონტროლებელი, პრინციპული, შინაგანი სიმტკიცის მქონე, გავლენისათვის შეუვალი“. სვანურში „თავისუფლების“ ისეთსავე გააზრებას და წარმოებას ვხედავთ, როგორიც ქართულ სიტყვაში არის წარმოდგენილი. ესეც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქართული *თავისუფალი*, ისევე როგორც სვანური *თხუმე მხუში* საკუთრივ ქართველური სიტყვათშემოქმედების შედეგს წარმოადგენს და არ არის კალკირების შედეგი.

ძველ ქართულში არის ისეთი კომპოზიტები, რომლებიც პირველ კომპონენტად შეიცავენ ელემენტს *თავის-*: *თავისმოთნე /თავის მოთნება* , „თავმომწონე, თავმომწონება“; *თავისმოყუარე / თავისმოყვარება* „თავმოყვარე,

თავმოყვარეობა“; *თავისმყოფელი* „პატივისმცემელი“; *თავის-ყოფა* „პატივისცემა, დამორჩილება“, თუმცა გასახაზია, რომ *თჳთ-* ნაცვალსახელური ელემენტით ნაწარმოები კომპოზიტები გაცილებით უფრო ბევრია. ბერძნული *'αυτο*-ს შემცველი კომპოზიტების გადმოქართულებისას სწორედ ეს *თჳთ- გამ*ოიყენება: *თჳთმოქმედი* „თვითონგამკეთებელი“, *თჳთმჴრობელი, თჳთმფლობელი, თჳთჴელმწიფეჲ; თჳთმცნარეჲ* „თავისთავად გაჩენილი“ *თჳთმხილველი; თჳთნებაჲ* „თავნება, ურჩი“; *თჳთრჩულებაჲ; თჳთუფალი* „კადნიერი“; *თჳთძრვადი* „თვითმავალი“; *თავის-* და *თჳთ-* კომპონენტებს კომპოზიტებში სხვადასხვა სემანტიკა შეაქვთ. *თავის-* არის ობიექტის სემანტიკის მატარებელი "себя, sich, himself" მნიშვნელობის ფარდი; ხოლო *თჳთ-* – „თვითონ, сам, selbst" საკუთარი ძალით მოქმედის, რეფლექსური აგენსის, აღმნიშვნელი. სიტყვა *თავისუფალის* გვერდით ორი ახალწარმოების არსებობა: თჳთმფლობელი, თჳთმფლობელობა და თჳთჴელმწიფე, თჳთჴელმწიფება, გვიჩვენებს, რომ თავისუფალი საყოველდღეო ლექსიკის კუთვნილებაა, მისი ეტიმოლოგია ხელშესახები, ცნობიერი აღარაა და როდესაც კონცეპტუალურად გააზრებული საკუთარი თავის მფლობელობის გამოხატვა ხდება საჭირო, ეს ახალი წარმოებების მეშვეობით ხორციელდება.

საინტერესოა, რომ ოსურში თავისუფლების ცნების აღმნიშვნელი სიტყვა ისევე ჩანს ნაწარმოები, როგორც ქართულში. ამ ცნებას აღნიშნავს კომპოზიტი *særībar* ირანული წარმომავლობის *azat*-თან ერთად: *særibar adæm/ azat adæm* „თავისუფალი ხალხი“ (ქართულ-ოსური ლექსიკონი 1955;). ვ. აბაევის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ ცნების აღმნიშვნელი რამდენიმე ფორმა არის წარმოდგენილი: *særībaræ, særībar/særebar* „თავისუფალი, თავისუფლება“. კომპოზიტის შემადგენელი ნაწილებია *sær „თავი“ და bar* „უფლება, ნება, ძალაუფლება“; *ī/e* შემაერთებელი ხმოვნებია. ვ. აბაევი პარალელს ავლებს ქართულ წარმოებასთან *თავისუფალი* და ყაბარდოულ სიტყვასთან *šhäxuit* „თავისუფალი“, სადაც *šhä* აღნიშვნავს „თავს“, ხოლო *xuit* არის „უფლების მქონე“. აბაევი წერს: „ამ კომპოზიტებში „თავი“ გამოდის უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში: „თავისი, საკუთარი“; საკუთარი ნების მქონე“. ქართულში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა: *თავი <–> თავისი* (აბაევი 1979, 84). ამრიგად, კავკასიაში ქართულის მსგავსი წარმოება გავრცელებული ჩანს. ჩვენთვის კვლევის ამ ეტაპზე ძნელია გადაწყვეტით იმის თქმა, ქართულის გავლენით არის ჩამოყალიბებული ოსური და ყაბარდოული კომპოზიტები, თუ დამოუკიდებელ წარმოებებთან გვაქვს საქმე, თუმცა ის, რომ „თავი“ ამ ენებში არ არის უკუქცევითი ნაცვალსახელი საერთოდ და სხვა კავკასიურ ენებში ამ ფუნქციით ყოველთვის არ ვხვდებით კომპოზიტს, არამედ ხშირად „უფლების, ნების“ აღმნიშვნელ სიტყვას, მაინც პირველი შესაძლებლობისაკენ გვიბიძგებს. შდრ. ჩეჩნური bako „უფლება, თავისუფლება“. საკითხი კავკასიურ ენებში შემდგომ კვლევას საჭიროებს.

შემდგომში განზრახული გვაქვს „თავისუფლების“ ცნების ეტიმოლოგიური გააზრების შესწავლა სხვა ენობრივ წრეებშიც. საყურადღებოა თავისუფალი ადამიანის აღმნიშვნელი ანატოლიური სიტყვები: ხეთური arawanni, „თავისუფალი (ადამიანი)“, ლიკიური arawa „თავისუფალი (გადასახადებისაგან)“ რომელთაც, როგორც ჩანს, სამეურნეო გააზრება უდევს საფუძვლად. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ამ სიტყვას აკავშირებენ ინდოევროპულ *aru-სთან: ლათ. aruum, „მინდორი“, ბერძნ. ἄρουρα „სახნავი მიწა“ და თავისუფალი ადამიანის აღმნიშვნელი ლექსემა „თავისუფალი მიწათმოქმედის“ მნიშვნელობიდან გამოჰყავთ (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 477). ეკონომიკური წარმომავლობის ტერმინად მიიჩნევს ხეთურ სიტყვას გრ. გიორგაძეც. თავისუფალს ხეთები უწოდებდნენ ადამიანს, რომელიც თავისუფალი იყო იძულებითი შრომისაგან – ჩვეულებრივ იგულისხმებოდა სახელმწიფო ან სატაძრო ბეგარა (გიორგაძე 1974, 299-308; 1999, 93-95; 96-105).

5. „თავისუფლების“ ცნება სოციალურიდან ინდივიდუალურამდე

ამრიგად, ცნება „თავისუფალის“ აღმნიშვნელი წარმოებები სხვადასხვა დროით სიბრტყეთა კუთვნილებად წარმოგვიდგება; ისინი ვერტიკალურ ღერძზე შეიძლება განვალაგოთ. განხილულთაგან პირველი სამის ეტიმოლოგია „თავისუფლების“ სოციალურ გააზრებაზე მიგვითითებს. სოციალური მოტივირება ჯერ არის **ბიოლოგიური** – ემყარება „ზრდის“ კონცეპტს: ბერძნულ-რომაული ეპოქა; შემდეგ **მშვინვიერ-ფსიქიკური** – ემყარება „კეთილგანწყობის“ ცნებას: გერმანიკული ენობრივი წრე; შემდეგ **რეფლექსურ-კუთვნილებითი** – ემყარება „საკუთარის, თავისიანის“ შინაარსს – სლავური ენობრივი წრე; ძველ ქართულში წარმოდგენილია ამ ცნების **ინდივიდუალური, სრულიად არასოციალური** მოტივირება.

„თავისუფლების“ ცნების ინდივიდუალური გააზრება დოკუმენტურად დასტურდება უკვე პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში. ეს კი თავისუფლების ინდივიდუალური ცნების ჩამოყალიბებისათვის ძალიან ადრეული პერიოდია. კაცობრიობის განვითარებაში ინდივიდუალური თავისუფლების კონცეპტი ყველაზე ადრე X საუკუნეში ჩნდება.

თანამედროვე გააზრების თანახმად, „თავისუფლების“ იდეა სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ეროვნული თავისუფლება – ეროვნული თვითგანსაზღვრა, თავისუფლება უცხო ეროვნების კონტროლისაგან.
2. პოლიტიკური თავისუფლება – თავისუფალი არჩევნის უფლება; ვფიქრობთ, არსებითად ინდივიდუალური თავისუფლების იდეიდან გამომდინარეობს.
3. ინდივიდუალური თავისუფლება – პიროვნული თავისუფლების კომპლექსური ცნება, სხვაობს ეპოქებში.

მოაზროვნეები, რომლებმაც სპეციალური შრომები მიუძღვნეს თავისუფლების იდეას, მიუთითებენ, რომ ინდივიდუალური თავისუფლების იდეა გვიან ჩნდება კაცობრიობაში. საინტერესოა, რომ ეგვიპტურ ენაში „თავისუფლების“ აღმნიშვნელი სიტყვაც კი არ არსებობდა. ჩინურ ფილოსოფიაში, მაგალითად, კონფუცისთან, გვაქვს „წესრიგის“ იდეა, მაგრამ არა გვაქვს „თავისუფლების“ იდეა. თანამედროვე მკვლევრები წერენ, რომ შუა აზიას დღემდე არა აქვს ინდივიდუალური და პოლიტიკური თავისუფლების ცნება. ასევე მოარული აზრია, რომ რუსეთს XIX საუკუნემდე, და შეიძლება ითქვას, დღემდე არ განუვითარებია პოლიტიკური და ინდივიდუალური თავისუფლების მკაფიო იდეები. ინდივიდუალური თავისუფლების იდეა საკმაოდ ადრე ყალიბდება ინგლისში. საყურადღებოა ინგლისური გამონათქვამი: „ქარი და წვიმა შეიძლება შევიდეს ღარიბი ინგლისელის ოჯახში, მაგრამ მეფე მთელი თავისი დიდებულებით – არა“. ინდივიდუალური თავისუფლების იდეა ევროპულ კაცობრიობაში X, XI საუკუნეებიდან ჩნდება. მანამდე ყოველი ადამიანის ღირებულება სოციალურად იყო დეტერმინირებული, იქნებოდა ეს ეროვნული თუ წოდებრივ-პროფესიონალური სოციუმი.

ამდენად, საქართველოში საკმაოდ თავისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე: თავისუფლების აღმნიშვნელი სიტყვა ეტიმოლოგიურად მთლიანად ინდივიდუალურად არის ორიენტირებული; ამასთან, პირველი საუკუნეები უაღრესად ადრეული ეპოქაა ინდივიდუალური თავისუფლების იდეის აღმოცენებისათვის. თვით თავისუფლების აღმნიშვნელი სიტყვის ეტომოლოგიური სტრუქტურა ფართო გააზრების საშუალებას იძლევა: *თავისუფალი* საკუთარი თავის ფლობას შესაძლებელია გულისხმობდეს ფიზიკური სხეულის დონეზე (პიროვნება არ არის ყმა ან მონა), ან ახორციელებდეს ფსიქიკურ თვითფლობას, თვითკონტროლს როგორც აზროვნების, ისე გრძნობისა და ნების დონეებზე. მას შეუძლია დაიტიოს „თავისუფლების“ როგორც არქაული გააზრებები, ისე თანამედროვე და, ალბათ, ასევე მომავალში წარმოქმნილი გაგებებიც. ინდივიდუალური თავისუფლების იდეის ასეთი ნაადრევი წამომოშობა ქართულ ენობრივ სინამდვილეში, ვფიქრობთ, ჩვენს წინაშე აყენებს კითხვებს ეთნოფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი სტრუქტურის სფეროებიდან, რომელთა გააზრებაც ეროვნული და საზოგადოებრივი კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა; რადგანაც, როგორც ჰუმბოლდტმა თქვა: „ენა არის ერის სულის პროდუქტი და ერის სულის შემეცნება შესაძლებელია ენათა აგებულების საფუძველზე“.

ლიტერატურა

აბაევი 1979 – Абаев В. А., Этимологический словарь осетинского языка, III, Ленинград.

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
ბაუერი 1971 – Bauer W., Griechisch-Deutsches Wőrterbuch zu den Schriften des Neuen Testaments, Berlin.
ბენვენისტი 1974 – Бенвенист Э., Словарь индоевропейских социальных терминов, Общая лингвистика, Москва.
გამყრელიძე, ივანოვი 1984 – Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси.
გერმანული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1959 – Das Herkunftswőrtebuch, Etymologie der Deutschen Sprache, Mannheim.
გიორგაძე 1974 – Die Begriffe "Freie" und "Unfreie" bei den Hethitern, Acta Antiqua Academiae Scientiarum Hungaricae, XXII, F. 1-4 Budapest.
გიორგაძე 1999 – გრ. გიორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.
დვორეცკი 1958 – Дворецкий, Древнегреческо-русский словарь И. Х., I, Москва.
ლუსტი, ეუნიკელი, ჰაუსპი 1992 – Lust J., Eunikel E., Hauspie K., A Greek-English Lexicon of the Septuagint, Stuttgart 1992.
ფასმერი 1967 – Фасмер М., Этимологический словарь русского языка, II, Москва.
ფასმერი 1971 – Фасмер М., Этимологический словарь русского языка, III, Москва.
ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.
ფრისკი 1960 – Frisk H., Griechisches Etymologisches Wőrterbuch, Heidelberg.
შტაინერი 1894 – Steiner R., Philosiphie der Freiheit, Berlin.
ცქიტიშვილი 2001 – თ. ცქიტიშვილი, ნების თავისუფლების პრობლემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 30, თბილისი.

Irine Melikischwili

Über den etymologischen Umfang des Begriffes der "Freiheit"
Vom Sozialen zum Individuellen

Zusammenfassung

Worte, die den Begriff der "Freiheit" bezeichnen, besitzen verschiedene Etymologien in verschiedenen Sprachen. Durch die Betrachtung dieser Bezeichnungen ergibt sich ein Bild interessanter inhaltlicher Entwicklung. Es ist zu verfolgen, wie der Begriff, der früher einen sozialen Charakter trug, allmählich

eine persönliche, individuelle Qualität annimmt. Es werden vier verschiedene semantische Wege der Bildung der Worte für die Bezeichnung des Begriffes der "freiheit" betrachtet.

1. Das Lateinische *liber* und das Griechische *eleutheros* (frei) stammen von der indogemanischen Wurzel *[x]leudh-* "emporwachsen, hochkommen".Von der Bedeutung des Wachstums entwickelt sich die Bedeutung des Emporgewachsenen, der Gestalt (got. *laudi* "Gestalt"), dann die Bedeutung "die Leute, das Volk" - "Emporgewachsene aus einer Wurzel" und dann die Bedeutung des „freien Menschen", das ist der, der zu dem Volke gehört, da er aus der selben Stamm emporgewachsen ist. Also von der Verbalwurzel *[x]leudh´-* „wachsen" entwickelt sich das Attribut *[x](e)leudhero-*, der den Status des freien Menschen bezeichnet.

2. Eine andere etymologische Reihe bilden die Bezeichnungen der "Freiheit" im germanischen Sprachkreis: im Deutschen *frei*, im Englischen *free*. Diesen Wörtern liegt auch sozialer, kollektiver Sinn zugrunde, obwohl von mehr seelischer Qualität. Sie stammen vom indogermanischen *[x]prāi-* "gernhaben, schonen; friedlich-frohe Gesinnung"; mit Ableitungen: *[x]pri-to*, "geliebt", *[x]prijo*, prija "Gattin", *[x]prijotā* "Liebe". Die Nachkommen dieser Wurzel sind belegt im Griechischen, in indoiranischen, slavischen, germanischen und keltischen Sprachen. Die Bedeutung „frei" ist im germanischen Sprachraum entwickelt: got. *frijōn*, ahd. *frï* , ags. *frēo, frī*, aisl. *frijāls* "frei", ursprünglich "zu den Lieben gehörig": die Personen, die man liebt, und daher schützt, sind die eigenen Sippen- und Stammesgenossen, die "Freunde", sie allein stehen frei, d.h. vollberechtigt in der Gemeinschaft im Gegensatz zu den fremdbürtigen Unfreien (Unterworfenen, Kriegsgefangenen). Frei und Freund haben gemeinsame Herkunft aus got. *frijon* "lieben", Freund – alte Bedeutung "Blutsverwandter, Stammesgenosse", dann "persönlich Vertrauter, Kamerad". Auch im Indischen und Slavischen sind solche Bedeutungen entwickelt, wie *priyā* "Geliebte, Gattin" und aksl. *prijatel* "Freund, Geliebter". Die gefühllsmäßige, affektive Herkunft dieser Reihe von Wörtern ist leicht erkennbar. Also, auch in diesem Sprachkreis hat die Bezeichnung der Freiheit den sozialen Sinn, aber mehr vom seelischen Charakter.

3. Eine andere Entwicklung zeigen die slavische Sprachen: Aksl. *svoboda* "Freiheit" stammt von idg. *[x]seųe/sųe* "eigen, selbst", die abgeleitete Form *[x]seųe/sue* „zum eigenen Volk gehörig". In einigen indogermanischen Sprachen sind von dieser Form die Worte für Sippenzugehörigkeit entwickelt: z.B. got. *sibja* , ahd. *sipp(e)* "Sippe, Gesamtheit der eigenen Leute"; germ *Suēbu*, ahd. *Swāba* "Schwaben". Das slavische Wort für "frei" hat auch den sozialen Sinn der Sippenangehörigkeit; dieses Mal gründet sich die Bildung auf dem Possessivpronomen und die persönliche Beziehung rückt etwas mehr in den Vordergrund.

4. In georgischer Sprache ist der Begriff der "Freiheit" durch das Wort *tavisupali* bezeichnet. Es ist zusammengesetzt aus den Wörtern *tavi* "Selbst" und

upali "Herr". Es entsteht die Bedeutung "Herr von sich selbst, der Selbstbeherrscher". Das Wort enthält keinen Hinweis auf die soziale Zugehörigkeit. *Tavisupali* ist der Herr von sich selbst und folglich kein Untertan. Er ist unabhängig, hat keinen anderen Herren (*upali*) als sich selbst (*tavi*). Dieses Wort ist belegt in den ältesten georgischen Übersetzungen des neuen Testaments, aus den ersten christlichen Jahrhunderten (IV-V Jh). Da entsprechen dem *eleutheros, eleutheria* des griechischen Originals immer diese Worte *tavisupali* "frei", *tavisupleba* "Freiheit". Dies ist belegt auch in den altgeorgischen Übersetzungen des Alten Testaments, z.B. im Deuteronomium 15, 12 u.a.

Volglich, die Etymologien von den Worten *eleutheros, frei, svoboda, tavisupali* stellen die Stufen der Entwicklung des Begriffes der "Freiheit" dar:

I. Frei sind die Menschen, die aus einer Wurzel emporgewachsen, in einem Erbstrom geboren sind (*liber*, *eleutheros*, *āzāt)*. Der Begriff ist begründet auf den Ideen des "Wachstums, des im Erbstromgeborenseins".
II. Frei sind die Menschen, die in einer Sippe in seelischer Zuneigung vereint sind (*frei, free)*
III. Frei sind die Menschen, die zu unserer Sippe, Gemeinschaft gehören, die Unsrigen (*svoboda*).
IV. Frei ist ein Mensch, der sich selbst beherrscht, der Herr von seinem Selbst ist.

Erste drei Bildungen sind sozial-, die vierte aber individuell orientiert.

თეო ჩხეიძე

„ავესტა“ – სუფიზმის ერთ-ერთი წყარო

სუფიზმის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ძველი ირანული რელიგია – მაზდეანობა, რომლის კავშირი სუფი პოეტების შემოქმედებასთან შესანიშნავად დაასაბუთა ცნობილმა ირანელმა მკვლევარმა მოჰამედ მო'ინმა.[1] მისი აზრით, სუფი პოეტებთან არსებული „იდეოგრამები“ და „შიფრები“ არის მათთვის მაზდეიზმის რემინისცენცია, ნოსტალგია ძველი ირანული თავისუფალი რელიგიისა, რომელსაც ახშობდა ოფიციალური რელიგიის კანონი. მო'ინის, ბოუზანის,[2] დიუშენ-გილმენის[3] და სხვათა ნაშრომებიდან ირკვევა, რომ სუფი პოეტებისთვის დამახასიათებელ სიმბოლოთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – მოგვების ღვინო, კათხა, სამიკიტნო, ვენახი.

სიმბოლოებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ავესტაში“ (ძველი ირანელების საღვთო წიგნში). გოეთემ, პირველმა ევროპელთაგან, აღნიშნა, რომ ირანელები არ არიან ცეცხლთაყვანისცემლები, რომ ისინი ადიდებენ უზენაეს ღმერთს, ხოლო ცეცხლი, სინათლე მათთვის არის „ღმერთის ტახტი“, ღმერთთან უშუალო კავშირში მყოფი რამ და ამიტომ მისი სიმბოლო[4] ზოროასტრის რელიგიაში. ზოროასტრულ დუალისტურ რელიგიაში კეთილი სულის მიერ შექმნილ სამყაროს აქვს ორი სახეობა – მატერიალური და სულიერი, აბსტრაქტული. მათ შორის არსებობს თანაფარდობა და კავშირი. ზოროასტრთან მიწიერ სამყაროში ექვსი ელემენტია: ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი, მცენარე, ცხოველი. კეთილ სულიერ სამყაროში მათ შეეფარდება ჭეშმარიტება, კეთილი ფიქრები, მმართველობა (ხელმწიფობა), მორჩილება, ჯანმრთელობა, სიცოცხლის მარადიულობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი აბსტრაქტული ცნებებია, მაგრამ ამ უძველეს სულიერ სამყაროში ეს ცნებები არ არის აბსტრაქტული, ისინი შეესაბამება მოქმედ ძალას და პერსონიფიცირებულია. ისინი არიან ღმერთის მიერ შექმნილი და მას ემსახურებიან და ეხმარებიან მიწიერი პრობლემების მოგვარებაში. ექვსივე წარმოადგენს კაცობრიობის მორალურ თვისებას. ეს ორმხრივი ასპექტი ჩვენთვის (ევროპელებისთვის) საკმაოდ ძნელი გასაგებია. ჩვენ აღვიქვამთ ჭეშმარიტებას, სიწმინდეს (ე. ი. სულიერ თვისებას) როგორც კაცის შინაგანს, რომელიც გარეთ ვლინდება. ხოლო ზარათუშტრას მოძღვრებაში იგი არის გარეგანი ძალა,

[1] M. Moïn, Mazdayasnā va ta'thir-i ān der adabiygāt-i Pārsi.Tehran, 1948.
[2] A. Bausani, Persia religiosa, 1959.
[3] I. Duchesne-Guillemin, La religion de L'Iran ancien, 1962.
[4] ციტირებულია ნაშრომიდან H. Lommel, Symbolik der Elemente in der zoroastrischen Religion, 1959.

რომელიც მას მართავს და ამოქმედებს. ჩვენთვის ის არის სუბიექტური, მათთვის ობიექტური და ვითარცა სულიერი – ადამიანზე ზემოთ მყოფი. ის არის მოქმედი და ამიტომ უნდა გავიგოთ როგორც ცოცხალი, პიროვნული. გამოთქულია მოსაზრება, რომ უზენაესი სული არის ღმერთის გაპიროვნებული ატრიბუტი.[1] ამიტომ ადამიანისთვის ის არ არის აბსტრაქტული, არამედ ესაა ღმერთის მიერ ბოძებული ძალა, რომელიც ემსახურება ადამიანს. ამრიგად, ექვსი მიწიერი ელემენტის ზემოთ დგანან სულიერი ელემენტები, რომლებიც არიან ცოცხალნი და მოქმედნი.

ჭეშმარიტება განსაზღვრავს ადამიანის ბედს. კეთილი ფიქრები მოიცავს მართალ აზრებსა და გრძნობებს. რაც შეეხება ძალაუფლებას ანუ მმართველობას, იგი გულისხმობს სამართლიანობის განხორციელებას მატერიალურ სამყაროში. ესაა თანაფარდობა ძალაუფლებასა და მის განხორციელებას შორის, რაც ერთგვარად ასახულია მის აღმნიშვნელ ტერმინში xšatra-vairya-, xšatra-ს აქვს ორი მნიშვნელობა: ძალაუფლება და სახელმწიფო. ყოვლისმომცველი ღმერთის ძალაუფლება ვრცელდება სახელმწიფოზეც. ეს ორი ცნება ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე, მეფიდან დაწყებული, ცალკეული ოჯახით დამთავრებული. ამგვარი მმართველობა არის მორჩილება ღმერთის წინაშე. თვით მეფეც არის მორჩილი ღმერთისა და მისი ნება-სურვილის წინაშე.

ჩვეულებრივ მმართველობასთან ერთად იხსენიება „ჯანმრთელობა“ და „უკვდავება“. „ჯანმრთელობა“ გაგებულია როგორც ღვთის წყალობა. „უკვდავებაში“ იგულისხმება, რომ ადამიანის სიცოცხლე დაუსრულებელია, მასაც ზეციურ სიძლიერეს ანიჭებს ღმერთი და მატერიალურ სამყაროში სიცოცხლის დასრულების შემდეგ, იგი გრძელდება ზეციურ სამყაროში.

მეტად თავისებურია სიმბოლოების ცნება ძველ ირანულ ფილოსოფიაში; მაგ., ჩვენთვის ლომი არის ვაჟკაცობის, გმირობის სიმბოლო; არწივი – აღმაფრენის, სისწრაფის, ზოროასტრთან შებრუნებული ვითარებაა: აბსტრაქტული ცნება გამოხატავს მატერიალურს.

ერთგვარ ხიდად და მეტად მნიშვნელოვან მოვლენად ძველ ირანულ ფილოსოფიასა და სუფიზმს შორის გვევლინება სოჰრავარდი, რომელიც გარდაიცვალა 1191 წ. მან შეისწავლა ირანისა და საბერძნეთის მემკვიდრეობა. მისი მოძღვრება დაფუძნებულია „აღმოსავლურ დოქტრინაზე“, ე. ი. ირანულ სიბრძნეზე. მეტად ორიგინალურად აქვს მას ახსნილი სინათლისა და სიბნელის დაპირისპირება. ერთია სიმბოლო აუცილებლობის, მეორე – შესაძლებლობის. მრავალი ზოროასტრული ტერმინი გადმოტანილ იქნა შემდგომ ხანაში, მაგ. ცნობილი ფალაური ფორმულა pat nām i yazdān i rāyōmand i x^{v} varrōmand კალკირებულია ცნობილ მუსლიმურ ფორმულაში bismi'llāh.

[1] Lommel-ის დას. ნაშრ. კრებულში Zarathustra, Darmstadt, 1970.

მეცნიერთა შორის კამათის საგნად იქცა anwār qāhira- „გამარჯვების ვარსკვლავი“, ზოგიერთის აზრით, ესაა მრ. რიცხვში გადატანილი Ɣtāši Bahrām მაზდეანთათვის მეტად პრინციპული ცეცხლი.

სოჰრავარდი ასევე ღრმად იცნობდა ბერძნულ ფილოსოფიას და თავის შრომაში იყენებდა მის დებულებებს. ამიტომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მან მოახდინა ამ ორი ფილოსოფიის სინთეზი და მის შრომაში ინკორპორირებულია ბერძნული და ირანული ელემენტები. სოჰრავარდის მოძღვრებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანული სუფიზმის განვითარებაში.

Teo Chkheidze

"Avesta" – one of the sources of Sufism

Summary

After the take-over of Iran by the Arabs and the consequent spread of Islam, the new official religion expelled the Old Iranian Zoroastrian religion. The connection with Old Iranian world and the Zoroaster's teachings, however, still existed. The Ideograms and ciphers found in the Sufi poets' works could be explained as nostalgia for the past and reminiscence of Mazdaism. The most important symbols used by Sufi poets associated with older epoch are the priests' wine, bowl, inn, and vine.

The "Avesta" – a collection of Zoroastrian sacred texts – is full of symbols. In this Dualistic religion, the world created by the good deity has two sides – material and spiritual, abstract, and there's a connection and balance between these. It needs to be said that abstract part is also effective and represents a power, a tool for the deity to rule earthly matters.

The nature of symbols in Old Iranian world is peculiar as well. For example, for us a lion is a symbol of heroism and courage. An Eagle is a symbol of enchantment and speed. In Zoroastrianism, the situation is inverted – an abstract notion convenes a material one.

Sohravadi (died 1191) played a great role in explaining the connection between the old Zoroastrian religion and Sufism.

Many Zoroastrian notions were transferred into Islamic epoch, such as pat nānı i yazdān i rāyōmand i xvarōmand is copied as bism'illah.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა

რუსუდან ასათიანი, ნუცა ფერეთელი

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: იმპლიკაციური ტოპიკი ქართულში

I. შესავალი

1.1. საკითხის დასმა

წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების სხვადასხვაგვარი საშუალებები ცვლის წინადადების პრაგმატიკულ შინაარსს და იმპლიკაციურად უფრო ფართო კონტექსტურ შინაარსებს მოიცავს. ამ ფენომენის საკვლევად თანამედროვე ენათმეცნიერებაში შემუშავდა გარკვეული მეთოდოლოგია და განისაზღვრა ძირითადი ცნებები, რომელთა საშუალებით, მეტ-ნაკლები წარმატებით, შესაძლებელია წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის კვლევა. **ფოკუსი** და **ტოპიკი** წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის განმსაზღვრელი სწორედ ასეთი ძირითადი ცნებებია.

1.2. ფოკუსი

წინადადებაში ფოკუსის გარდა წარმოდგენილ ინფორმაციას ეწოდება ფონი (Common Ground). ორივე მათგანი გამოხატავს სხვადასხვა დატვირთვის მქონე ინფორმაციას. ფოკუსი ძირითადად გამოხატავს ახალ ინფორმაციას, რომლითაც საინფორმაციო ნაკადში, ძირითადად კითხვა-პასუხის დისკურსში, ივსება ინფორმაციული ხარვეზი, ხოლო ფონი – ძველ ინფორმაციას, რომელიც მოსაუბრეთა საერთო საფუძველს ქმნის. მაგ.: კითხვაზე – *ვინ დახატა სურათი?* – პასუხში: *ბიჭმა დახატა სურათი* – ფოკუსირებული იქნება *ბიჭი*, ხოლო ფონს (Common Groud) ქმნის კომუნიკაციის აქტში მონაწილეთა საერთო 'ცოდნა' იმის შესახებ, რომ *ვიღაცამ დახატა სურათი.* საკომუნიკაციო აქტის დროს, ინფორმაციის სტრუქტურირებისას, ფონი უწყვეტად იცვლება და ივსება მოპოვებული ინფორმაციისდა შესაბამისად.

უ. ჩეიფი არის ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა ტერმინი ფოკუსი. იგი საუბრობდა ფოკუსზე, როგორც ინფორმაციის შეფუთვის მექანიზმზე, რომელიც უშუალოდ პასუხობს მოსაუბრეთა საკომუნიკაციო მოთხოვნილებებს. უ. ჩეიფი ფოკუსს უწოდებს ახალ ინფორმაციას, რომელიც გამოკვეთილი ინტონაციის წყალობით წარმოაჩენს ინფორმაციის ცენტრალურ ნაწილს; ხოლო ფონი გამოხატავს ძველ ინფორმაციას, რომელიც საფუძველს ქმნის ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მანფრედ კრიფკას აზრით, ყველაზე ზუსტი განსაზღვრება ფოკუსისა უნდა ასახავდეს შესაძლებელ პასუხთა ალტერნატივების რიგს. მაგ.: ზემოთ მოხმობილ კითხვაზე – *ვინ ხატავს სურათს?* – პასუხი შეიძლება იყოს: *ბიჭი, გოგო, კაცი, ქალი, მხატვარი* და ა. შ. ამ შესაძლებელ პასუხთა ალტერნა-

ტივებიდან, სიტუაციისდა შესაბამისად, ირჩევა ერთ-ერთი, რომელიც სწორედ ამ შერჩევის წყალობით არის ფოკუსირებული. აქედან გამომდინარე, მ. კრიფკა იძლევა ფოკუსის უფრო ზუსტ დეფინიციას:

ფოკუსი მიუთითებს იმ ალტერნატივების არსებობაზე, რომლებიც რელევანტურია ლინგვისტურ გამოხატულებათა ინტერპრეტირებისთვის.

ამდენად, ფოკუსი, ზოგადად, გვიჩვენებს, რომ არსებობს ინტერპრეტაციის სხვადასხვა ალტერნატივები. ფოკუსის სხვადასხვა ქვეტიპი სწორედ ამ ზოგადი იდეის სხვადასხვაგვარი ვარიაციაა. ფოკუსირებული შეიძლება იყოს წინადადების სხვადასხვა ზომის შემადგენელი: მთელი წინადადება, სახელური თუ ზმნური ფრაზები ან მათი ნაწილები (ზედსართავები, ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელები, გარემოებები და სხვ.). ზოგჯერ გამოყოფენ **ფართო** და **ვიწრო** ფოკუსს. ქვემოთ მოხმობილ მაგალითში ფოკუსი თანდათან ვიწროვდება B1-დან B4-მდე (C. Gessenhoven):

A1: What else can you tell us about Helen?
B1: She [used to drive a Renault CLIO]Foc
A2: Has she driven any other cars besides Fords and Chevrolets?
B2: She used to drive [a Renault CLIO]Foc
A3: What kind of Renault did she drive?
B3: She used to drive a Renault [CLIO]Foc
A4: Does she drive a Renault CLIO?
B4: She [USED TO]Foc drive a Renault Clio

B1 ფართო ფოკუსს წარმოგვიდგენს, ხოლო B2, B3, B4 სხვადასხვა სახის ვიწრო ფოკუსებს. ყველა პასუხი ერთი და იმავე წინადადებით არის წარმოდგენილი, ინფორმაციულ სხვაობას ქმნის მხოლოდ ინტონაციური კონტური, რაც სხვადასხვა ფოკუსის მაჩვენებელია. ამ ინტონაციების არევა პასუხს არაადეკვატურად აქცევს. მაგალითად, A1-ზე B2, B3, ან B4 პასუხთა შესაბამისი ინტონაციური კონტური არაადეკვატური იქნება და საკომუნიკაციო სიტუაციის რღვევას გამოიწვევს.

არსებობს სხვადასხვა ტიპის ფოკუსები, მაგალითად:

1.**Verum** ფოკუსი, რომელიც წინადადების ჭეშმარიტული ღირებულების ფოკუსია. ის ძირითადად გამოიხატება დამხმარე ზმნის აქცენტირებით: *She DOES like broccoli*

2. **კომპლექსური** (Complex) ფოკუსი, რომელიც ორ ან მეტ შემადგენელს აერთიანებს და ვერ დაიყვანება ერთამდე: *John only introduced BILL to SUE.*

3. **მრავალრიცხოვანი** (Multiple) ფოკუსი, რომელიც ერთსა და იმავე წინადადებაში წარმოგვიდგენს ორ (ან მეტ) დამოუკიდებლად ფოკუსირებულ შემადგენელს: *John only introduced BILL only to SUE.*

4. **კონტრასტული** (Contrastive) ფოკუსი გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც კითხვაშივე შემოსაზღვრულია ალტერნატივების რიგი.

ის გამოიყენება მხოლოდ ნამდვილად კონტრასტული აზრის გამოსახატავად:

A: What do you want to drink tea or coffee?

B: I want TEA.

5. **ამომწურავი** (Exhaustive) ფოკუსი გვიჩვენებს იმას, რომ ის არის ერთადერთი სწორი ალტერნატივა: *It's JOHN and BILL that stole a cookie.* (ანუ: სწორედ JOHN-მა და BILL-მა მოიპარეს ნამცხვარი და სხვამ არავინ.)

6. **შკალური** (Scalar) ფოკუსის შემთხვევაში (რომელსაც ასევე ემფატიკურ (Emphatic) ფოკუსს უწოდებენ) ალტერნატივები დალაგებულია შკალური პრინციპით და ფოკუსი არის ამ ალტერნატივების ყველაზე დაბალი ან ყველაზე მაღალი (ანუ პოლარული) ელემენტი: *WILD HORses wouldn't drag me there.*

1.3. ტოპიკი

ფოკუსისაგან განსხვავებით, **ტოპიკი** ძირითადად ძველ ინფორმაციას წარმოგვიდგენს და ინფორმაციის პრაგმატულად აქტუალიზებულ ნაწილს გამოხატავს: ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციის ასახვისას საჭირო ხდება ინფორმაციის დაზუსტება, მისი პრაგმატული ღირებულებების გახაზვა, მოვლენებს შორის არსებულ (ან არარსებულ) კავშირებზე მინიშნება, ინფორმაციის მოსალოდნელობა-მოულოდნელობის ასახვა, ინფორმაციაში იმპლიკაციური ან პრესუპოზიციული მიმართებების დაფიქსირება და სხვა ამგვარი. ტოპიკი სწორედ ამგვარ დამატებით ინფორმაციას გადმოგვცემს და ძირითადად არის წინადადების ის წევრი, რომლის შესახებაც მოვიპოვებთ ინფორმაციას. ტოპიკის დასადგენად ყველაზე მოხერხებულია ფრაზები: **რას იტყვით X-ის შესახებ?** შემდგომი ინფორმაცია სწორედ ამ X-ის შესახებაა და, როგორც წესი, გულისხმობს გამონათქვამს: **რაც შეეხება X-ს, ის...** თუ ფოკუსით ხდება უცნობი ინფორმაციის შევსება, ტოპიკი, პირიქით, ცნობილია და მის შესახებ ვაგროვებთ დამატებით ინფორმაციას.

ფონ დერ გაბელენცი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ტოპიკი გამოიყენა მოსაუბრის მიერ ნაგულისხმები ობიექტის აღსანიშნავად. იმ ტერმინთა შორის, რომლებიც უკავშირდება კომუნიკაციისას ინფორმაციის სტრუქტურირებას, ტოპიკი არის ისეთი ცნება, რომლის იდენტიფიცირებასაც ახდენს მოსაუბრე და რომლის შესახებაც შემდგომი ინფორმაცია, ანუ კომენტარი, არის მოცემული. ტერმინები „ტოპიკი" და „კომენტარი" ხშირად გამოიყენება ე. წ. „ფსიქოლოგიური სუბიექტისა" (resp. ის, რაზეც ფიქრობს მოსაუბრე) და „ფსიქოლოგიური პრედიკატის" (resp. ის, რასაც ამ უკანასკნელზე ფიქრობს მოსაუბრე) მიმართ. მაგალითად, წინადადება Aristotle Onassis married Jacqueline Kennedy შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული:

a. [Aristotle Onassis]*Topic* [married Jacqueline Kennedy]*Comment*

b.[Jacqueline Kennedy]*Topic* [married Aristotle Onassis]*Comment*

a-ს შემთხვევაში ვსაუბრობთ, ინფორმაციას მოვიპოვებთ ა. ონასისის შესახებ და, ფაქტობრივად, ვპასუხობთ კითხვაზე: *რას იტყვით ონასისის შესახებ?*; ხოლო b-ს შემთხვევაში – ჟ. კენედის შესახებ: *რას იტყვით კენედის შესახებ?*

ამგვარად, შეიძლება წარმოვადგინოთ ტოპიკის შემდეგი დეფინიცია:

ტოპიკური შემადგენელი არის ერთეული ან ერთეულთა სიმრავლე, რომლის შესახებაც კომენტარში გადმოცემული ინფორმაციაა მოპოვებული.

არსებობს სხვადასხვა ტიპის ტოპიკები, მაგალითად:

1. **კონტრასტული**, რომელიც გვიჩვენებს კონტრასტს წინა დისკურსულ თემასთან. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინა თემიდან ახალ თემაზე გადასასვლელად, რამდენადაც ახალ ინფორმაციას გვაწვდის არა ძველ, არამედ ძველთან დაპირისპირებულ, ტოპიკალიზებულ, შედარებით ახალ შემადგენელზე:

A: Do you think that Fritz would buy this suit?

B: Well, [I]Top certainly wouldn't.

(ამ შემთხვევაში მოპასუხე B პირდაპირ არ პასუხობს A-ს შეკითხვას, არამედ იძლევა განსხვავებულ, თუმცა კითხვასთან დაკავშირებულ, კონტრასტულ, პასუხს).

2. **ნაწილობრივი,** რომელიც გამოიყენება ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც მოსაუბრე თავს არიდებს კითხვაზე პირდაპირ, ამომწურავ პასუხს და ძველი ინფორმაციიდან მხოლოდ გარკვეული ნაწილის შესახებ გვაწვდის ახალ ინფორმაციას:

A: What did the pop stars wear?

B: [The female pop stars]Top wore [caftans]Foc.

(ამ შემთხვევაშიც, მოპასუხე B არ პასუხობს კითხვაზე პირდაპირ, ყოველ შემთხვევაში, ამომწურავად).

3. **იმპლიკაციური,** რომელიც გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ მოთხოვნილ წევრზე, არამედ ნაგულისხმებ (ძირითადად, საპირისპირო სიტუაციაში მყოფ) წევრზეც:

A: What about the men, do they smoke cigarettes?

B: [Only men]Top smoke cigarettes.

(ამ პასუხში იგულისხმება, რომ მხოლოდ კაცები (და არა ქალები) ეწევიან სიგარეტს).

1.4. ტოპიკისა და ფოკუსის წარმოდგენის ენობრივი საშუალებები

ფორმალური თვალსაზრისით, ტოპიკი და ფოკუსი შეიძლება მარკირებულ იქნეს სხვადასხვა ენობრივ დონეზე:

1. **ფონეტიკა-ფონოლოგიის** (ინტონაცია, მახვილი, ტონი, სპეციფიკური ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესები: გამჟღერება-დაყრუება, ასიმილაცია-დისიმილაცია და სხვ.);

2. **მორფოლოგია-სინტაქსის** (მორფოლოგიური მარკერი, სპეციალური ბრუნვა, შერწყმული ნაწილაკი ან კლიტიკა; სიტყვათა რიგის ცვლა, ელიფსი, სპეციფიკური კონსტრუქციები, ფრაზების გაგლეჯა, ტმესი და სხვ.);

3. **ლექსიკა-სემანტიკის** (სპეციალური სიტყვები, ნაწილაკები, არტიკლი, კვანტორული სიტყვები: მხოლოდ, მართლაც, ნამდვილად, ასევე, კიდეც და სხვ.).

ხშირად ეს ფორმალური მექანიზმები თანაარსებობს და შედეგად ვღებულობთ რთულ, კომპლექსურ ენობრივ მოდელებს, რომლებიც ემსახურება

ინფორმაციის სტრუქტურირებასა და შეფუთვას წინადადებაში. ფორმალური მექანიზმები ხშირად იმპლიკაციური ხასიათისაა (მაგ., სიტყვათა რიგის ცვლა ხშირად ინტონაციურ გამოკვეთასაც იწვევს და გარკვეულ შემთხვევებში სინტაქსური მიმართებების ცვლასაც; სპეციალური ნაწილაკების გამოყენება ზოგჯერ იწვევს წინადადების წევრთა შორის სინტაქსური მიმართებების ცვლას და სპეციალურ ინტონაციურ გაფორმებასაც მოითხოვს და სხვ.). ტოპიკისა და ფოკუსის მარკირების ძირითადი უნივერსალური მექანიზმია სპეციფიკური ინტონაციური კონტური, თუმცა არსებობს ენათა მიხედვით განსხვავებული სხვადასხვაგვარი ფორმალური მოდელებიც. ენებში, რომლებიც ორიენტირებულია საინფორმაციო ნაკადში პრაგმატულად აქტუალიზებული ელემენტების კონცეპტუალურ მარკირებაზე, როგორც წესი, ტოპიკის აღმნიშვნელი სპეციალური მორფოლოგიური მაწარმოებელიც გამოიყოფა (მაგალითად, ასეა იაპონურში). მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები ენათა მიხედვით სპეციფიკურია (ყოველი ენა თავისი სტრატეგიის მიხედვით ახორციელებს ტოპიკ-ფოკუსისა თუ სხვა აქტუალიზებული წევრის ფორმალიზებას), უნივერსალურ მახასიათებლებსა და ნიშნებზე საუბარი მაინც შესაძლებელია.

1.5. საკვლევი ობიეტის დადგენა; კვლევის მიზნები და ამოცანები

იმპლიკაციური ტოპიკი, როგორც აღვნიშნეთ, იმით არის გამორჩეული, რომ ის დამატებით, დამაზუსტებელ ინფორმაციას გვაწვდის საუბრის თემის შესახებ და, იმავდროულად, მას გარკვეულად უპირისპირებს, აცალკევებს სხვა ნაგულისხმები ინფორმაციისგან. სპეციფიკური კონტრასტული ინტონაცია გარკვეული შემადგენლისა გულისხმობს კონტრასტულ, საპირისპირო ინფორმაციას სხვა ობიექტზე, რაც ნაგულისხმებია და გამომდინარეობს ან ზოგადი ცოდნიდან ჩვენი სამყაროსა და წარმოდგენების შესახებ (ზოგადი იმპლიკაციური ტოპიკი) ან, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ამ კონკრეტული სიტუაციური ცოდნიდან (კონტექსტურად განსაზღვრული იმპლიკაციური ტოპიკი). მაგალითად, წინადადებაში: [*აი ქალები*] *Top არ ეწევიან*, იგულისხმება ჩვენი ცოდნა და გამოცდილება იმის შესახებ, რომ *კაცები ეწევიან* (ზოგადი იმპლიკაციური ტოპიკი). ხოლო სიტუაციიდან: *სანადიროდ წავიდნენ ბიჭი და მონადირე.* [*აი მონადირემ*] *Top მოკლა ირემი* – გამომდინარეობს, რომ *ბიჭმა არ მოკლა ირემი* (კონტექსტური იმპლიკაციური ტოპიკი).

ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ:

1. გამოიხატება თუ არა ფორმალურად იმპლიკაციური ტოპიკი ქართულში;
2. თუ კი, კონკრეტულად რა ფორმალური მოდელები გამოიყენება ქართულში იმპლიკაციური ტოპიკის გამოსახატავად;
3. რა როლს ასრულებს ამ მოდელებში ინტონაცია;
4. რა სახის სინტაქსური კონსტრუქციებია დამახასიათებელი იმპლიკაციური ტოპიკისათვის;
5. თუ გამოიყენება (და რომელი) ნაწილაკები იმპლიკაციური ტოპიკისათვის ქართულში.

1.6. მეთოდოლოგია

რამდენადაც ტოპიკისა და ფოკუსის ფორმალური მოდელების მოძიებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამეტყველო სიტუაციები, საანალიზო მასალის მოსაპოვებლად შემუშავდა სწორედ ასეთ ბუნებრივ სიტუაციათა მასტიმულირებელი საექსპერიმენტო ამოცანები, რომლებიც ეყრდნობა პოტსდამ-ბერლინის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ მრავალფეროვან ტესტებსა და კითხვარებს. ტესტები შედგენილია სიტუაციის ორი ძირითადი მონაწილის ტოპიკალიზაციისთვის (აგენტი, მიმღები): იმპლიკაციური ტოპიკის რეალიზება მოწმდება მხოლოდ ორი მონაწილისთვის (აგენტი, მიმღები). ამ ამოცანების გადაწყვეტის პირობებში ცდისპირთა მიერ სპონტანურად წარმოთქმულ გამონათქვამთა სიმრავლე ქმნის საანალიზო ერთეულთა ბაზას.

II. მასალის მოპოვება

2.1. ექსპერიმენტის აღწერა

იმპლიკაციური ტოპიკის ძირითადი ენობრივი მოდელების გამოსავლენად ჩატარდა ორი ტიპის ექსპერიმენტი.

პირველი ამოცანა: ცდისპირებს ეძლეოდათ ილუსტრირებული ბარათები. მათ უნდა ეხელმძღვანელათ შემდეგი ინსტრუქციით: ცდისპირებს ისე უნდა გაეცათ პასუხი დასმულ შეკითხვაზე, რომ არ დაესახელებინათ ის პირი, რომლის შესახებაც გვსურდა მოგვეპოვებინა დამატებითი ინფორმაცია. ამდენად, ტოპიკალიზებული ინფორმაცია წინადადებაში ფიქსირდებოდა არა უშუალოდ, არამედ იმპლიკაციურად.

მეორე ამოცანა: ცდისპირებს ეძლეოდა ერთი და იგივე, ორნახატიანი, ბარათები. ერთ-ერთი ცდისპირის ბარათზე შემოხაზული იყო ერთ-ერთი ნახატი. შემოხაზულნახატიანი ბარათის მფლობელ ინფორმანტს ისე უნდა გაეცა პასუხი დასმულ შეკითხვაზე, რომ მეორე ინფორმანტი, რომლის ბარათიც არ შეიცავდა შემოხაზულ ნახატს, გამოეცნო, რომელი ნახატი იყო შემოხაზული.

ექსპერიმენტში მონაწილეობას იღებდა თექვსმეტი ადამიანი, ძირითადად სტუდენტები – გოგონები და ბიჭები. მუშაობა ძირითადად წყვილებთან მიმდინარეობდა. ცდა ტარდებოდა ბუნებრივი დისკურსის პირობებში. ცდისპირებს ილუსტრირებული ფურცლები ჰქონდათ დარიგებული და მათი ამოცანა იყო სპონტანურად, ბუნებრივად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გაეცათ პასუხი დასმულ შეკითხვაზე ან აღეწერათ ნახატი. სულ ჩატარდა ცამეტი სესია.

2.2. მასალის ჩაწერა

კითხვა-პასუხების ჩაწერა ხორციელდებოდა წარმოთქმისთანავე Praat პროგრამაში. ეს პროგრამა საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს ფონეტიკური ჩანაწერები, რომლის სპექტოგრამაზეც აისახება წინადადების მთლიანი ინტონაციური კონტური, ტონური ცვლილებები, მახვილი, ინტენსივობა და ხმოვანთა ფორმანტები.

2.3. მასალის ანოტირება

მოპოვებული მასალის ანალიზი-ანოტირება ხდებოდა პროგრამა Exmaralda-ში, სადაც ყოველ წინადადებას შეესაბამებოდა სხვადასხვა პარამეტრების შესაბამისად დამუშავებული სტრიქონები:

1. საერთაშორისო, ლათინური ანბანის საფუძველზე მიღებული და სპეციალური სიმბოლოებით გამდიდრებული, ტრასლიტერაცია;
2. მორფემებად დაშლილი მიმდევრობები;
3. მორფებების შესაბამისი გლოსები;
4. ინგლისური თარგმანი;
5. ქართული ანბანური ჩანაწერი;
6. ფონეტიკური ჩანაწერი;
7. ფონოლოგიური ჩანაწერი;
8. მეტყველების ნაწილების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
9. სინტაქსური ფუნქციების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
10. სემანტიკური როლების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
11. შემადგენლური სტრუქტურის მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
12. ახალი-ძველი ინფორმაციის მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
13. ტოპიკის განმსაზღვრელი ჩანაწერი;
14. ფოკუსის განმსაზღვრელი ჩანაწერი;
15. სულიერობის მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;

III. მოპოვებული მასალის ნიმუშები

პირველი ამოცანა:

ინსტრუქტორი აძლევს ერთ ბარათს ორი სურათით:

34-1

P.1: კაცი ეწევა

P.2: ქალი სვამს

ინსტრუქცია: უპასუხეთ კითხვას ისე, რომ არ ახსენოთ კაცი, უბრალოდ მიუთითეთ ქალზე იმგვარად, რომ გასაგები იყოს, თუ რას აკეთებს კაცი.

კითხვა: *ვინ ეწევა?*
პასუხი: *აი, ქალი არ ეწევა*

34-2
P.3: გოგოს და არა ბიჭს ახურავს ქუდი



ინსტრუქცია: უპასუხეთ კითხვას ისე, რომ არ ახსენოთ გოგო, უბრალოდ მიუთითეთ ბიჭზე იმგვარად, რომ გასაგები იყოს, თუ რას აკეთებს გოგო.

კითხვა: *ვის ახურავს ქუდი?*

პასუხი: *აი, ბიჭს ქუდი არ ახურავს*

მეორე ამოცანა: იმპლიკაციური ტოპიკი (უარყოფითი იმპლიკაცია) ინსტრუქტორი აძლევს ერთ ბარათს ორი სურათით (რომელზეც არ არის შემოხაზული არც ერთი სურათი) ერთ-ერთ ცდისპირს, მეორეს კი იმავე ბარათს, სადაც ერთ-ერთი სურათი შემოხაზულია:

34-7

P.8ა: ქალი (და არა კაცი) კითხულობს წიგნს	P.8ბ: ქალი და კაცი კითხულობენ წიგნს



P.8a	P.8b (შემოხაზვის გარეშე)

ინსტრუქცია პირველ ინფორმანტს:

თქვენს პარტნიორს აქვს იგივე სურათები, რაც თქვენ. თქვენს წყვილზე ერთი სურათი შემოხაზულია. თქვენმა პარტნიორმა უნდა გამოიცნოს, რომელია შემოხაზული და ამ მიზნით უნდა გკითხოთ, *კითხულობს თუ არა ქალი წიგნს* თქვენს სურათზე. თქვენ უპასუხებთ რომ *კითხულობს*, რაც ცხადია ორივე სურათიდან. თქვენი ამოცანაა, ისე უპასუხოთ, რომ თქვენი პარტნიორი მიხვდეს, კითხულობს თუ არა მეორე პირი წიგნს და, შესაბამისად, ის გამოიცნობს, თუ რომელია შემოხაზული სურათი.

ინსტრუქცია მეორე ინფორმანტს:

გთხოვთ ჰკითხოთ პარტნიორს, *კითხულობს თუ არა ქალი წიგნს* თქვენს სურათზე?

პასუხი: *კი, მხოლოდ ქალი კითხულობს წიგნს.*

მეორე ამოცანა: იმპლიკაციური (დადებითი) ტოპიკი

34-8

P.9a: ქალი და კაცი ქუდების გარეშე	P.9b: კაცი ქუდის გარეშე, ქალი ქუდით
= P.6a	= P.6b

=P.6a (შემოხაზვის გარეშე)	=P.6b

ინსტრუქცია პირველ ინფორმანტს:

თქვენს პარტნიორს აქვს იგივე სურათები, რაც თქვენ. თქვენს წყვილზე ერთი სურათი შემოხაზულია. თქვენმა პარტნიორმა უნდა გამოიცნოს, რომელია შემოხაზული და ამ მიზნით უნდა გკითხოთ, *ახურავს თუ არა ბიჭს ქუდი* თქვენს სურათზე. თქვენ უპასუხებთ, რომ *არ ახურავს*, რაც ცხადია ორივე სურათიდან. თქვენი ამოცანაა, ისე უპასუხოთ, რომ თქვენი პარტნიორი მიხვდეს, ახურავს თუ არა მეორე პირს ქუდი და, შესაბამისად, ის გამოცნოს, თუ რომელია შემოხაზული სურათი.

ინსტრუქცია მეორე ინფორმანტს:

გთხოვთ ჰკითხოთ პარტნიორს, *ახურავს თუ არა ბიჭს ქუდი* თქვენს სურათზე.

პასუხი: *არც ბიჭს არ ახურავს ქუდი*

IV. მასალის ანალიზი

4.1. ექსპერიმენტების შედეგად დადასტურებული გამონათქვამები

ექსპერიმენტის შედეგად დაფიქსირდა პასუხები, სადაც კარგად ჩანს იმპლიკაციური ტოპიკის ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფორმალური მოდელები (სულ მოპოვებული მასალა მოიცავს 13 წინადადებას). ნიმუშად წარმოვადგენთ რამდენიმეს:

1. *აი ქალი, არ ეწევა.*



	0	1	2	3	4	5	6
words1	D:	AI	KALI	ar	ɛfs'eva	.	
words2							
morph		ai	kal-i	ar	e-fs'ev-a		
gloss		here.is	woman–NOM	not	[IO.3]PASS.OV-smoke:PRS-PASS.PRS.SUBJ.3.SG		
translation		Here is a woman (who) is not smoking.					
orthography		აი ქალი არ ეწევა.					
sound		ai	kʰali	ar	ɛfs'ɛva		
phonemic		ai	kali	ar	ɛfs'ɛva		
class		PTC	NCOM	PTC	VTRA		
function			SUBJ				
role			AG				
const			NP				

2. *აი ბიჭს, ქუდი არ ახურავს*



	0	1	2	3	4	5	6	7	8
words1	An:	ai	biʧ's	kudi	ar	axuravs	.		
words2									
morph		ai	biʧ'-s	kud-i	ar	a-xur-av-s			
gloss		here.is	boy-DAT	hat-NOM	not	[SINV.3]NV-cover-HAB-PRS.OINV.3[SINV.3.SG]			
translation		Here is a boy (who) has no hat on (as well).							
orthography		აი ბიჭს ქუდი არ ახურავს.							
sound		ai	biʧs	kʰudi	ar	axuravs			
phonemic		ai	biʧ's	kudi	ar	axuravs			
class		PTC	NCOM	NCOM	PTC	VINV			
function			SINV	OINV					
role			EXPER	CAUSE					
const			NP	NP					

3. *არა, ბიჭი მარტო არ არის ნავში*





	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
words1	An:	ara	,	biʧ'i	mart'o	ar	aris		navʃi		.	
words2												
morph		ara		biʧ'-i	mart'o	ar	a-r-i-s		nav-ʃi			
gloss		no		boy-NOM	alone	not	NV-be-0-PRS.SUBJ.3.SG		boat[DAT]-in			
translation		No, a boy is not alone on the boat.										
orthography		არა, ბიჭი მარტო არ არის ნავში.										
sound		ara		biʧ'i	mart'ɔ	ar	aris		naʃi			
phonemic		ara		biʧ'i	martɔ	ar	aris		navʃi			
class		PTC		NCOM	ADV	PTC	VAUX		NCOM	P		
function				SUBJ	ADJ				ADJ			
role				THEME	MAN				LOC			
const				NP					NP			

ჩატარებულმა ექპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ქართულ ენაში იმპლიკაციური ტოპიკი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სპეციფიკური ინტონაციით. ასევე, გაირკვა, რომ, მართალია, არა გვაქვს სპეციალური მორფოლოგიური მარკერი, მაგრამ ნაწილაკები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იმპლიკაციური ხასიათის ინფორმაციის ფორმირებაში, გარკვეულწილად ასეთი „მარკერის“ ფუნქციას ასრულებენ. მოცემული ცამეტი მაგალითიდან ოთხჯერ დაფიქსირდა ***ა(ი)*** ნაწილაკი, ორჯერ დაფიქსირდა ***მხოლოდ*** ნაწილაკი და თითო-თითოჯერ დაფიქსირდა ***სწორედ, არც*** და ***-ც*** ნაწილაკები.

4.2. ნაწილაკების ანალიზი

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათლად ჩანს ნაწილაკების გადამწყვეტი როლი იმპლიკაციური ტოპიკის გამოსახატავად. მასალაში დადასტურდა ***ა(ი), -ც, მხოლოდ, სწორედ*** მარტივი და ***არც*** რთული ნაწილაკები. ამ ნაწილაკების ფუნქციებისა და სემანტიკის დასადგენად მოგვყავს ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში არსებული მოსაზრებები:

განმარტებით ლექსიკონში ***ა(ი)*** ნაწილაკი შემდეგნაირად არის დახასიათებული: 1. მიუთითებს იმაზე, რაც ხდება ან რაც უნდა მოხდეს: *აი რის თქმაც მინდოდა. აი ერთი მაგალითიც.* 2. იგივეა, რაც *ჰაი: აი, შე ეშმაკო, შენა! აი გიდი!* – იგივეა, რაც *ჰაი გიდი.*

სულხან-საბა ორბელიანი ***აი***-ს აიგივებს ***აჲ***-სთან და ასე განმარტავს: „იხილე აქა, თუ ვითარ განჰყოფს აობასა და მყოფსა. მყოფი ზოგადი სახელი არს არსებისა და შემთხვევითისა, რამეთუ არსება თავით თვისით მყოფი არს და არა სხვისა შორის მქონებელი მყოფობისა და ამისთვის ქვემორე დამიწერია მყოფსა თანა. ხოლო ***აჲ*** რაღათა განეყოფოს არსსა, იხილე მეჭვრეტმან: რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სთქვა, მყის თანავე გვარსა წარმოუყენებს ხედულისასა, რაჲცა ხროა იყოს განცდად ხედული იგი. ხოლო ოდეს ოდენ ***აჲ*** ნიშნიდეს, მათ ოდენ არაობისაგან განჰყოფს და რეცა თუ ***ა***-თა შორის წარმოაჩენს, მაგრამ უგვაროდ და პირშეუპყრობლად, და მერმე უკუანა სღა ზედა დაურთავს ***ა***-სა, ვითარმედ ***რა აო,*** და მიუგებთ თანგანვლით, ვითარმედ ცეცხლი, აირი ანუ გონებაჲ და სული და ესევითარი რაჲვე გვარი მყოფთა.“

აკაკი შანიძე კი **აი** ნაწილაკს შემდეგნაირად განმარტავს: **აი** მისათითებელი ნაწილაკია: *აი ეს კაცი, რომ გეუბნებოდი, აი შენი წივნი.* შეიძლება შეუერთდეს **იქ** და **იმ** სიტყვებს და მივიღოთ **აიქ, აიმ**: *აიქ ხიდი არის, აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის.*

-ც ნაწილაკს შემდეგი განსაზღვრება აქვს: **ცა, ც, ც-ც, ც კი** მიმართებითი ნაწილაკია; გამაძლიერებელი ნაწილაკია.

-ც ნაწილაკის გამეორებულად ხმარება აუცილებელია, თუ მსჯელობა უკუთქმითია. ამ შემთხვევაში **-ც** ემატება არა წინადადების წევრს, არამედ უკუთქმით ნაწილაკს, რის გამოც მიღებულია: *არც-არც, აღარც-აღარც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც.*

სწორედ განიმარტება შემდეგნაირად: 1. ნამდვილად, მართლაც, ზუსტად: სწორედ ასე უნდა გაკეთდეს და არა სხვაგვარად. ბიჭი სწორედ იქ მივიდა, სადაც ელოდნენ. 2. იგივეა, რაც **სწორად**: კითხვაზე სწორად უპასუხა.

მხოლოდ ნაწილაკი: 1. არა უმეტეს იმისა, რაც ვინც არის. სწორედ ის (ისინი), სწორედ იმ დროს, იმ ადგილს და ა. შ., - მარტო: *მანქანაში მხოლოდ ორი კაცი იჯდა. მხოლოდ ახლა დაინახა. ჯერჯერობით მხოლოდ მერცხლები მოფრინდნენ.* 2. იგივეა, რაც ოღონდ: *წადი, მხოლოდ დროზე დაბრუნდი! მხოლოდ და მხოლოდ* = მარტოოდენ, მხოლოდ.

როგორც ვხედავთ, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი ნაწილაკების როლზე წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში. ამ როლის გასაანალიზებლად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ ნაწილაკების სემანტიკას, არამედ მათ ფუნქციასაც.

ნ. შენგელაია ნაწილაკებს არასრულ სიტყვებს უწოდებს. რამდენადაც არასრული სიტყვების ფორმა არის მარტივი, იმდენად რთულია მათი სემანტიკა და სწორედ ასეთი არასრული სიტყვების დახმარებით შეიძლება გამოიხატოს საბოლოოდ მოლაპარაკისთვის სასურველი ინფორმაცია. არასრულ სიტყვათა მნიშვნელობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაღაც შემადგენელი მნიშვნელობების ერთიანობას. ისინი წარმოადგენენ მარტივ ფორმებს. მათ ცალკე არ გააჩნიათ საკუთარი მნიშვნელობა, ისინი მნიშვნელობას იძენენ წინადადებაში სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან ერთად ხმარებისას. არასრული სიტყვები უზრუნველყოფენ ლოგიკურად აზრობრივ მთლიანობას, ერთგვაროვნებას და გაბმულობას. არასრული სიტყვების გარეშე ტექსტი უბრალო მშრალი წინადადებების მთლიანობად იქცევა.

ამ მსჯელობის დადასტურებაა ექსპერიმენტებით მოპოვებული მასალაც. მეტიც, გაირკვა, რომ ნაწილაკების როლი ტექსტის მთლიანობის ფორმირებაში განისაზღვრება მათი, შეიძლება ითქვას, პირველადი ფუნქციით ფორმალურად გამოხატონ გარკვეული ცვლილებები წინადადების საინფორმაციო სტრუქტურაში.

V. დასკვნები

5.1 ნაწილაკების როლი წინადადების ინფორმაციის სტრუქტურირებაში

1. ***აი*** ნაწილაკი ცდისპირების მიერ გამოიყენებოდა ისეთი იმპლიკაციური ტოპიკის გამოსახატავად, რომელიც დამატებით, ძირითადად საპირისპირო, ინფორმაციას გვაწვდიდა როგორც ზოგადი (34-1), ასევე კონკრეტული სიტუაციის მეორე წევრზე: 34-2, 34-3, 43-4. იმპლიკაციური ტოპიკის გამოსახატავად ყველაზე ხშირად სწორედ ეს ნაწილაკი დაფიქსირდა. საზოგადოდ, საინტერესოა, ***აი*** ნაწილაკის ზოგადი ფუნქცია: „მითითება+პრედიკაცია“, რაც მას ა. ვეჯბიცკას მიერ ნავარაუდები ერთ-ერთი პრიმიტივის (დემონსტრატივის, სუბსტანტივისა და პრედიკაციის ელემენტებით) შესაბამის ენობრივ რეალიზაციად წარმოგვიდგენს. სწორედ ამ ფუნქციების გამო, ის ბავშვთა მეტყველების ადრეული ფორმების აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენს, რაც, ასევე, თანხმობაშია ა. ვეჯბიცკას მიერ წინასწარმეტყველურად „აღდგენილ“ (რამდენადაც ინგლისურში მსგავსი, სამი ფუნქციის გამაერთიანებელი, სემანტიკური პრიმიტივის რეალიზაცია არ დასტურდება) პრიმიტივთან.

2. ***მხოლოდ*** ნაწილაკი სიხშირით მეორეა იმპლიკაციური ტოპიკის მარკირების პროცესში. ის გულისხმობს, რომ ტოპიკთა შესაძლებელ ვარიანტთაგან ერთი და მხოლოდ ერთია დასაშვები სიტუაციისდა შესაბამისად და ის მხოლოდ ასეთ კონკრეტულ შემთხვევებშია მისაღები: 34-6, 34-7.

3. ერთმა ცდისპირმა უპირატესობა მიანიჭა ***მარტო*** ნაწილაკის გამოყენებას ***მხოლოდ*** ნაწილაკის ნაცვლად. ამ ნაწილაკს, როგორც ჩანს, იგივე ფუნქციები აქვს, რაც ***მხოლოდ*** ნაწილაკს: ალტერნატივებიდან შეარჩიოს ერთადერთი (34-9), თუმცა თავისუფლად მონაცვლე ლექსემებად მათ მაინც ვერ ჩავთვლით, რამდენადაც არსებობს კონტექსტები, სადაც ისინი ერთმანეთს ვერ ჩაენაცვლებიან; მაგ.: *მარტო კაცი სიკვდილშიაც ცოდოაო.* ამის მიზეზი, როგორც ჩანს, მათი განსხვავებული ფუნქციებია: ***მხოლოდ*** კვანტორული ზმნიზედაა, ***მარტო*** ნაწილაკს კი შეიძლება ჰქონდეს, დამატებით, ზედსართავის ფუნქციაც, ამიტომაც ფრაზა ***მარტო კაცი*** სინტაქსური წყვილია (უშუალო შემადგენელი წინადადებისა; ე.ი. აქ იგი სრულმნიშვნელობიანია), მაშინ როდესაც ****მხოლოდ კაცი*** სინტაქსურ ფრაზას ვერ ქმნის (ე.ი. ის ნაწილაკად რჩება).

4. ასევე ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ***არ+ც*** ნაწილაკი: 34-8. ამ რთული, ნაწარმოები ნაწილაკის ფუნქციაა შესაძლებელ ალტერნატიულ ტოპიკთაგან უარყოფითი ნიშნით გამოარჩიოს ერთ-ერთი იმგვარად, რომ იმპლიკაციურად მეორის იგივე მდგომარეობა დააფიქსიროს. ეს ნაწილაკი ინფორმანტმა გამოიყენა კითხვაში მოცემული უარყოფითი მნიშვნელობის დასადასტურებლად იმგვარად, რომ იპლიკაციურად მეორის შესახებაც მსგავსი, უარყოფითი ინფორმაცია მოგვაწოდა.

5. ***სწორედ*** ნაწილაკი დაფიქსირდა იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმანტი იმპლიკაციურად ადასტურებდა კითხვაში მოცემული ინფორმაციის

საპირისპირო ინფორმაციას. საინტერესოა, რომ 'უარყოფითი დადასტურების' გასაძლიერებლად მან გამოიყენა კომპლექსური ფრაზა: ***სწორედ რომ*** (43-5).

6. ***-ც*** ნაწილაკი შეგვხვდა, ასევე, ინფორმაციის (მხოლოდ დადებითის) დადასტურებისას (34-10). როგორც ჩანს, ***სწორედ*** და ***-ც*** ნაწილაკების ფუნქცია არის 'დათანხმება, დადასტურება' სიტუაციის მერე წევრის შესახებ დამატებით მსგავსი (დადებითი ან უარყოფითი) იმპლიკაციური ხასიათის ინფორმაციის გადმოცემის მიზნით.

7. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაწილაკები, როგორც მოსალოდნელიც იყო, არ დადასტურდა მარტივი იმპლიკაციური ტოპიკის შემთხვევებში: 34-11, 34-12, 34-13.

5.2. ინტონაციის როლი იმპლიკაციური ტოპიკის ფორმირებაში

საზოგადოდ, ტოპიკის ძირითადი ფორმალური ნიშანია სპეციფიკური ინტონაციური კონტური, რომელიც განსხვავდება ფოკუსირებული ან ნეიტრალური ფრაზის ინტონაციისგან. მისთვის დამახასიათებელია ***აღმავალი*** (მაგრამ არა იმდენად, როგორიც გვაქვს კითხვით კონსტრუქციებში) ინტონაცია ***ფრაზის სასაზღვრო დაბალი*** ინტონაციით **(LH*Lp)**. ასეთივე ინტონაციური კონტური ახასიათებს იმპლიკაციურ ტოპიკს. ნაწილაკები, ძირითადად, ტოპიკალიზებულ წევრთან ერთად ერთ მთლიან ფონოლოგიურ (ინტონაციურ) ფრაზას ქმნიან.

5.3. მორფოსინტაქსური მოდელები

ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ქართულში იმპლიკაციური ტოპიკისათვის სპეციალური მორფოლოგიური მარკერი არ არსებობს, სინტაქსური თავისებურება კი არის ის, რომ ტოპიკალიზებული წევრი მიისწრაფვის დაიკავოს წინადადების საწყისი, ძირითადად ზმნის წინა, პოზიცია.

ლიტერატურა

ასათიანი 2006 – ასათიანი რ., ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, *ენათმეცნიერების საკითხები,* „უნივერსალი", თბილისი 2006.

ორბელიანი 1991 – ორბელიანი, ს.ს. ლექსიკონი ქართული, „მერანი", თბილისი 1991.

შანიძე 1973 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი 1973.

შენგელაია 2000 – შენგელაია ნ., არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, „დიოგენე", თბილისი 2000.

ჩიქობავა, ჭაბაშვილი 1986 – ჩიქობავა არნ., ჭაბაშვილი მ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი 1986.

Чейф 1975 – Чейф У. Л., Старая и новая информация, *Значение и структура языка*, "Прогресс", Москва 1975.

Buring 1995 – Buring D. Topic, Cologne University, Electronic Version.

Gussenhoven 2006 – Gussenhoven C., Notions and subnotions in information structure. Radboud Universiteit Nejmegen and Queen Mary, University of London, Electronic Version.
Krifka 2006 – Krifka M., Basic Notions of Information Srtucture, Humboldt Universitñt zu Berlin and Zentrum fur Allgemeine Sprachwissenschaft, Electronic Version.
Skopeteas – Skopeteas, S. (in collaboration with Cornelia Endriss), Implicational Topic. *ProjektD2: Typologie der Informationsstruktur. Questionnaire on Information Structure,* Universitñt Potsdam/Humboldt Universitñt zu Berlin, Electronic Version.
Gabelentz 1986 – Von der Gabelentz G., Ideen zu einer vergleichenden Syntax, *Zeitschrift fär Volkerpsychologie und Sprachwissenschaf.* 6, **1986**, 376-384.
Wierzbicka 1996 – Wierzbicka A., Semantics (Primes and Universals), Oxford, New-York 1996.

Rusudan Asatiani, Nutsa Tsereteli

The Information Structure of a Sentence: Implicational Topic in Georgian

Summary

Structuring of information proceeds through the foregrounding of certain parts of the information. Any kind of 'foregrounding' (res. 'Highlighting', 'Logical Emphasis', 'Promotion', 'Standing out as the first, important' and etc) could be regarded as **one, common phenomenon** which represents the main strategy of structuring of linguistic information. From this point of view Topic, Focus, Subject, Theme, Point of view and so on – are the same as far as they represent various forms of 'foregrounding'.

The goal of the work is to study implicational topic in Georgian. The data was experimentally accumulated on the basis of various experimental tasks that were carried out within natural discourse. The data is recorded in PRAAT Program and it is annotated in EXMARaLDA Program. On the basis of analyses some conclusions were made and various means of topicalization were suggested: Intonation patterns; Morpho-Syntactic devices and the role of particles in the main models of topicalization.

ᲝᲚᲔᲒ ᲙᲐᲐᲜᲐᲫᲔ

ᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ-ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ონტოლოგიური სემანტიკა არის თეორია ტექსტის შინაარსის შესახებ, რომელიც იყენებს ადამიანის მიერ კონსტრუირებულ სამყაროს მოდელს, ანუ ონტოლოგიას, როგორც მთავარ რესურსს ბუნებრივი ენის ტექსტის მნიშვნელობის წარმოსადგენად. ონტოლოგიურ სემანტიკაში წინადადების მნიშვნელობა მიიღება ამოსავალი ტექსტისადმი სინტაქსური ანალიზის წესების გამოყენების გზით. შემდგომ სინტაქსური დამოკიდებულებანი ონტოლოგიურ ურთიერთმიმართებებში გადაისახება და მათზე დაყრდნობით დგინდება ამოსავალი ტექსტის ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობა. ონტოლოგიური სემანტიკის გამოყენებაზე ორიენტირებული მუშა ვარიანტი ემყარება სტატიკური ცოდნის წყაროს, კერძოდ, **ონტოლოგიას**, **ფაქტების მონაცემთა ბაზას**, **ონტოლოგიის ბუნებრივ ენასთან დამაკავშირებელ ლექსიკონს** და **ონომასტიკონს,** ანუ სახელთა ლექსიკონს – თითო ლექსიკონი და ონომასტიკონი ყოველი ენისათვის.

ამ თეორიის ქვაკუთხედია სამყაროს ფორმალური მოდელი, რომელიც ასევე საფუძვლად უდევს ლექსიკონს და წარმოადგენს ბაზისს ლექსიკური სემანტიკის კომპონენტისათვის. ნებისმიერი სისტემისათვის, რომელიც ონტოლოგიურ სემანტიკას ეფუძნება, მთავარი საზრუნავი არის ცოდნა, ანუ სამყაროსა და ენის შესახებ ფაქტების ცოდნის სიღრმე და მოცულობა; ამავდროულად ასეთი სისტემების ძალისხმევა მიმართულია სტატიკური ცოდნის წყაროების ასათვისებლად (რომლებშიც სიტყვათა და წინადადებათა მნიშვნელობები გამოხატულია ონტოლოგიის კონცეპტთა ნიმუშების საშუალებით) და ონომასტიკონის დასახვეწად (რომელშიც მოიპოვება ფაქტების მონაცემთა ბაზიდან შესატყვისობანი ადამიანების, კონკრეტული ადგილის, დაწესებულებათა და სხვათა შესახებ).

ხსენებული ოთხი სტატიკური ტიპის რესურსიდან ქართული ენისთვის ხელმისაწვდომია ონტოლოგიურ-სემანტიკური ლექსიკონი, რომელის სამუშაო ვარიანტი სადღეისოდ მონაცემთა დაახლობით 4000 გვერდს მოიცავს. მასში წარმოდგენილია სალექსიკონო სტატიები ქართულ და ინგლისურ ენაზე: ქართულად თვით სალექსიკონო სტატია და შესატყვისი ინგლისური ერთეული მოკლე საენციკლოპედიო განმარტებასთან ერთად. სალექსიკონო ერთეულები გაჯერებულია მათი შესაბამისი სინტაქსური და სემანტიკური მონაცემებით, რომელიც სპეციფიური ფორმატით არის წარმოდგენილი. სალექსიკონო ერთეულები სისტემის სემანტიკური კომპონენტის მეშვეობით სამყაროს აღწერის ონტოლოგიურ მოდელს უკავშირდება.

სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობის აღწერა, რომელიც კომპიუტერული დამუშავებისათვის არის საჭირო, ზოგადად უფრო ფართო უნდა

იყოს, ვიდრე ადამიანისათვის განკუთვნილი ლექსიკონებია. იდეალურ შემთხვევაში ყოველი მნიშვნელობა უნდა იქნეს წარმოდგენილი სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლებით, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვისათვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობის შერჩევას, თუმცა ითვლება, რომ რეალურ სიტუაციებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

ლექსიკონში შემავალი ლექსიკური ერთეული იწყება ,,სათაურით'', რომლის შიგნით ფრჩხილებში მოქცეულ ერთი ტიპის ინფორმაციას წინ უძღვის შესაბამისი აკრონიმული აღნიშნვა:

("***Head word*** "- სალექსიკონო ერთეულის ,,სათაო სიტყვა'' (**სალექსიკონო ერთეულის ორთოგრაფიული ვარიანტი**, მეტყველების ნაწილის შემოკლებული აღნიშვნით და ამ სალექსიკონო ერთეულის ფარგლებში მნიშვნელობის რიგითი ნომრით).

(***cat*** – მეტყველების ნაწილი მიუხედვად იმისა, რომ ზედა სტრიქონში იგი უკვე არის ნაჩვენები)

(***par*** –ზმნის უღლების და სახელის ბრუნების პარადიგმა მხოლოდ ქართულისათვის, სხვა ენებისათვის ეს პარამეტრი არ ფიგურირებს)

(***morph*** – არაწესიერი მორფოლოგიური წარმოების მქონე ფორმები. ქართულისათვის ეს პარამეტრი არ გვაქვს ლექსიკონის ერთეულებში)

(***anno*** –ანოტაციის ზონა, განკუთვნილი სალექსიკონო ერთეულის განმარტებისათვის (def), მაგალითისა (ex) და სხვა კომენტარისათვის.

(***def*** "")
(***ex*** "")
(***comments*** "")
)*

ბოლო სამი პარამეტრი სალექსიკონო ერთეულში შეიძლება საერთოდ იქნეს იგნორირებული, ან დარჩეს მნიშვნელობის გარეშე.

სალექსიკონო ერთეულის კონკრეტული მაგალითის სახით განვიხილოთ არსებითი სახელი *ადვოკატი* და ზმნა *განხილვა,* რომელიც ლემის სახით ლექსიკონში ზმნის აწმყოს დროის მესამე პირის ფორმით არის წარმოდგენილი:

```
(ადვოკატი
 (ადვოკატი-n1
 (cat n)
 (par 1)
 (morph )
 (anno
  (def "")
  (ex "lawyer-n1")
```

---

* დახურული ფრჩხილები ლექსიკური ერთეულის ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა ვიზუალურად აღქმის გასაადვილებლად ამ ნაწილის დასაწყისის აღმნიშვნელ გახსნილ ფრჩხილს უნდა ეთანადებოდეს ბოლო სტრიქონის შესაბამის სვეტში.

(comments "")
)

(განიხილავს
(განიხილავს-v1
(cat v)
(par 0926bc)
(morph)
(anno
(def "go into [with human as a subj.]=discuss")
(ex „საბჭომ განიხილა მომავლის გეგმები“)
(comments "go-v19; He went into the reasons why this happened ")
)

სალექსიკონო ერთეულის სინტაქსური სტრუქტურის წარმოსადგენად გამოიყენება ვალენტობის აღსაწერი სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთა კონფიგურაცია დამოკიდებულია სალექსიკონო ერთეულის ვალენტობაზე. ასე, მაგალითად, არსებითი სახელის სინტაქსურ სტრუქტურაში მხოლოდ ერთი სტრიქონი იქნება წარმოდგენილი და იგი კონსტრუქციის ***თავს***, ანუ ამ შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულის ეკვივალენტურ არსებით სახელს შეესაბამება.

(syn-struc
((root $var0) (cat n))
)

ზმნებისათვის syn-struc უფრო რთულად აღიწერება. ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემთხვევაში მას ქვემოთ წარმოდგენილი სახე ექნება:

(syn-struc
((subject ((root $var1) (cat n)))
(root $var0) (cat v)
(directobject ((root $var2) (cat n))))).

ორპირიანი გარდაუვალი ზმნისათვის –

(syn-struc
((subject ((root $var1) (cat n)))
(root $var0) (cat v)
(indirectobject ((root $var2) (cat n))))),

ხოლო სამპირიანი ზმნის შემთხვევაში –

(syn-struc
((subject ((root $var1) (cat n)))
(root $var0) (cat v)
(directobject ((root $var2) (cat n))))
(indirectobject ((root $var3) (cat n))))).

სინტაქსური სტრუქტურის ყოველი სტრიქონი აღწერს რაიმე სინტაქსურ ფუნქციას – root, subject, directobject და ა.შ. თითოეული მათგანის წარმოსადგენად აუცილებელია ინფორმაცია, რომელიც ნებისმიერი მიმდევრობით შეიძლება იქნეს ჩაწერილი და უნდა შეიცავდეს:

1. მეტყველების ნაწილს, რომელიც შესაბამისი შემოკლების სახით ჩაიწერება ***cat*** პარამეტრის მომდევნოდ და კომპიუტერული პროგრამის მიერ მის მიმდინარე მნიშვნელობად აღიქმება.

2. ცვლადის აღმნიშვნელი, რომელიც სინტაქსურ ელემენტს დააკავშირებს სემანტიკურ სტრუქტურასთან (sem-struc). არსებული შეთანხმებით სინტაქსურ სტრუქტურაში ცვლადებს შემდეგი ფორმატი ენიჭებათ: ***$ + var + რიცხვი.*** მაგალითად, $var1, $var2,$var3 და ა.შ. ცვლადებისათვის სურვილისამებრ შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ნატურალური რიცხვი 0-ის გარდა. იგი ერთადერთი გამონაკლისია და ყოველთვის სინტაქსური კონსტრუქციის მთავარი ელემენტის ცვლადს, ანუ თავს უნდა მიენიჭოს. იგი სემანტიკური სტრუქტურის არცერთ ელემენტთან არ არის დაკავშირებული, ვინაიდან $var0 როგორც თავი მთლიან სემანტიკურ სტრუქტურას შეესაბამება.

გარდა ხსენებული სინტაქსური ფუნქციებისა (სუბიექტის, პირდაპირი ან ირიბი ობიექტის სახით) კონსტრუქციის ერთ-ერთ ელემენტად ***NP***-სახელის ფრაზის წარმოდგენის შემთხვევაში, მის შესაბამის კატეგორიად შეიძლება მითითებული იყოს როგორც ***n***, ასევე ***np***, რომლებიც სისტემის მიერ სინონიმურ კატეგორიებად აღიქმება. მაგრამ თუ ***NP*** სინტაქსურ ელემენტად არის წარმოდგენილი კონსტრუქციაში, მისი კატეგორია აუცილებლად ***np***-ს სახით უნდა დაფიქსირდეს.

სალექსიკონო ერთეულის სემანტიკური სტრუქტურის აღწერა ეყრდნობა ონტოლოგიის მოდელს, რომელიც საწყის დონეზე სამ ზოგად ელემენტს ცნობს. ესენია - **ობიექტი** (OBJECT), **მოვლენა** (EVENT) და **თვისება** (PROPERTY), რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს **მიმართება** (RELATION) ან **ატრიბუტი** (ATRIBUTE). სემანტიკური სტრუქტურის აგების პროცესში სინტაქსური აღწერისას გამოყენებული ცვლადები უნდა დაკავშირებულ იქნენ სემანტიკური სტრუქტურის შესატყვის ცვლადებთან. ფორმალურად მათი ერთმანეთისაგან განსასხავავებლად სემანტიკურ სტრუქტურაში ცვლადების წინ თავსდება „^“ ნიშანი და ვერბალურად გულისხმობს მის მომდევნოდ ჩაწერილი ცვლადის მნიშვნელობას. შესაბამისად, ***^$var1*** იკითხება როგორც „***ცვლად var1-ის მნიშვნელობა***“.

სალექსიკონო ერთეულის ლექსიკური მნიშვნელობის ონტოლოგიური მოდელის ერთეულებით გადმოსაცემად არსებობს სხვადასხვა საშუალება, რომლებიც **ტექსტის მნიშვნელობის წარმოდგენისას (TMR - Text-Meaning Representation)** გამოიყენება. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ უმარტივესი შემთხვევა, როდესაც რაიმე არსებითი სახელი ემთხვევა ონტოლოგიურ მოდელში მის ობიექტს, ანუ ხდება პირდაპირი “ზედდება”. ასე, მაგალითად, ქართული ენის სიტყვები *ვექილი* და *ადვოკატი* ემთხვევა **ATTORNEY**

ონტოლოგიურ ობიექტს და სინტაქსური სტრუქტურის *თავი* ***$var0*** პირდაპირ შეესაბამება სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილ ერთადერთ ელემენტს. ამგვარად, სრული სალექსიკონო სტატია ასე ჩაიწერება:

```
(ადვოკატი
 (ადვოკატი-n1
 (cat n)
 (par 1)
 (morph )
 (anno
  (def  "lawyer: professional legal adviser and representative")
  (ex "")
  (comments "")
 )
(syn-struc
  ((root $var0) (cat n)))
(sem-struc
  (ATTORNEY))
)
```

იმისათვის, რომ ონტოლოგია შენარჩუნებულ იქნეს ადვილად აღსაქმელ და სამართავ ერთეულად, მისმა შემქმნელებმა მოახდინეს არა ყველა მნიშვნელობის „ონტოლოგიზაცია“, რომლებიც პრინციპში შეიძლება ასეთ პროცედურას დაქვემდებარებოდა. დავუშვათ, თუ შესაძლებელია მნიშვნელობის მიღება უშუალოდ ონტოლოგიური კონცეპტისა და მისთვის რაიმე თვისების დამატებით, მაშინ ამ გზას ეძლევა უპირატესობა. მაგალითად, გამართლებული არ იქნებოდა ონტოლოგიურ მოდელში ერთდროულად წარმოდგენილი იყოს კონცეპტი ***და-ძმა*** (SIBLING) და ამასთან ერთად, ცალკე ერთის მხრივ, ***და,*** ხოლო მეორე მხრივ, ***ძმა*** ონტოლოგიური კონცეპტები. ლექსიკონის შესაბამისი ერთეულების სემანტიკური სტრუქტურის აღსაწერად ჩვენ შეიძლება დავტოვოთ მხოლოდ პირველი და უბრალოდ დავუმატოთ მას ნიშნები „*მამრობითი სქესის მქონე*“ (gender male) და „*მდედრობითი სქესის მქონე*“ (gender female):

```
(და
 (და-n1
 (cat n)
 (par 3)
 (morph )
 (anno
   (def „ და-ძმათაგან მდედრობითი სქესის წარმომადგენელი“)
   (ex "")
  (comments "")
  )
    (syn-struc
      ((root $var0) (cat n)))
    (sem-struc
```

```
    (SIBLING
     (gender female))))
  )
```

ზმნებთან მიმართების თვალსაზრისით ასევე შესაძლებელია ონტოლოგიურ მოდელში **მოვლენასთან** პირდაპირი ზედდება, როდესაც **მოვლენის** აღწერა სრულად ემთხვევა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას და სემანტიკური როლები, რომლებიც ამ **მოვლენით** არის განსაზღვრული, შეესაბამება ლექსიკური მნიშვნელობით მოთხოვნილ როლებს. ასეთი შემთხვევა გვაქვს ქვემო მაგალითში:

```
(განიხილავს
 (განიხილავს-v1
  (cat v)
  (par 0926bc)
  (morph )
  (anno
   (def "go into [with human as a subj.] = discuss")
    (ex „საბჭომ განიხილა მომავლის გეგმები“)
   (comments "go-v19")
    )
    (syn-struc
       ((subject ((root $var1) (cat np)))
        (root $var0) (cat v)
        (directobject ((root $var2) (cat np)))))
     (sem-struc
       (DESCRIBE
        (agent (value ^$var1))
        (theme (value ^$var2)))))
  )
```

ხშირად ონტოლოგიურ მოდელში ზოგიერთი **მოვლენის** აღწერა საკმაოდ კარგად „ერგება“ რაიმე ლექსიკურ მნიშვნელობას, თუმცა საჭიროა ხოლმე ამ უკანასკნელისათვის დამატებითი დაზუსტების, ან შეზღუდვის შემოტანა. მაგალითად, *წარმოდგენა* ლექსიკური ერთეულის ერთ-ერთი ზმნური მნიშვნელობა არის „თეატრალური სპექტაკლის ან რაიმე წარმოდგენის გამართვა“. ამიტომ ზმნის პირდაპირი ობიექტი უნდა მიუთითებდეს შესაბამის ობიექტს ონტოლოგიიდან. ამრიგად, *წარმოადგენს* ზმნის ხსენებული მნიშვნელობის სემანტიკური აღწერა გულისხმობს:

– $var2-ის მნიშვნელობა სემანტიკურად შეზღუდულია მოვლენებით, რომელთა ზედდება ონტოლოგიაში **თეატრალური-წარმოდგენა** (PLAY-THETER) ობიექტებზე ხდება.

– $var2-ის მნიშვნელობა (სპექტაკლი ან წარმოდგენა) არის ვიღაც ადამიანების, ან დაწესებულების მიერ განხორციელებული, რაც რეალიზებული იქნება სინტაქსურად $var1-ის სახით.

შესაბამისი სალექსიკონო ერთეული ღებულობს შემდეგ აღწერას:

```
(წარმოადგენს-v1
 (cat v)
 (par 1128a)
 (morph )
 (anno
  (def „სპექტაკლის ან რაიმე წარმოდგენის გამართვა“)
  (ex „მათ წარმოადგინეს შექსპირის დრამა „რიჩარდ მე-3“)
  (comments "")
 )
  (syn-struc
     ((subject ((root $var1) (cat n)))
      (root $var0) (cat v)
      (directobject ((root $var2) (cat n))))
   (sem-struc
      (^$var2 (sem PLAY-THEATER)
       (CAISED-BY (value ^$var1))))
)
```

ონტოლოგიურ მოდელში **თვისების** როლში შეიძლება **ატრიბუტი** ან **მიმართება** მოგვევლინოს. ეს უკანასკნელი ამყარებს ურთიერთობას ორ ონტოლოგიურ კონცეპტს შორის. რაც შეეხება **ატრიბუტს**, იგი ზოგიერთ ონტოლოგიურ კონცეპტს შეუსაბამებს კონკრეტულ რიცხვით, ან ლიტერალურ მნიშვნელობას, ანდა მნიშვნელობის რაიმე ხარისხს. ლექსიკური ერთეულების ზედდება **მიმართებაზე** გვხდება თანდებულების, ზედსართავი სახელების, ზმნიზედებისა და ზოგიერთ სხვა კატეგორიათა შემთხვევაში. ასეთი შემთხვევები გვაქვს ქართული ენის ზმნიზედებისათვის, როდესაც ზედდება ხდება **განსაკუთრებულ-მიმართების** (SPETIAL-RELATION) ტიპის ონტოლოგიურ ერთეულთან. მაგალითად, ლექსიკური მნიშვნელობა *მიმდებარე*-ს ზედდება **BESIDE** (*გვერდით-მდებარეობა*) ონტოლოგიურ კონცეპტთან შეიძლება შემდეგნაირად იქნეს აღწერილი:

```
(მიმდებარე
 (მიმდებარე-adv1
 (cat adv)
 (morph )
 (anno
  (def "")
  (ex „სახლის მიმდებარე ქუჩა“)
   (comments "")
  )
 (syn-struc
  ((root $var1) (cat n) (case gen))
   (root $var0) (cat adv)
    (object ((root $var2) (cat n)))))
```

```
(sem-struc
 (^$var1
  (BESIDE (value ^$var2)))))
)
```

ატრიბუტზე ზედდებისათვის აუცილებელია, რომ ერთი არგუმენტი გვევლინებოდეს კონცეპტად, მეორე კი ლიტერალურ მნიშვნელობას, ან ასეთი მნიშვნელობის რაიმე საზომს წარმოადგენდეს. ონტოლოგიური მოდელის **ატრიბუტები** იყოფა **ლიტერალურ-ატრიბუტებად,** რომელთაც ლიტერალური მნიშვნელობა აქვთ, და **სკალარლურ-ატრიბუტებად**. მათი მნიშვნელობა შეიძლება იყოს გამოთვლილი რაიმე 0-სა და 1-ს შორის არსებულ შკალაზე (ცვლილების არე), ან გააჩნდეთ ნამდვილი მნიშვნელობა ისეთი, როგორიც გვხვდება მაგალითში „ფეხბურთის მოედნის **სიგანე** არის 60 მეტრი".

ლიტერალური-ატრიბუტის მაგალითია **სქესი** მნიშვნელობით ***მამრობითი*** და ***მდედრობითი***. მაგალითად, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, ლექსიკური მნიშვნელობა *და* აღიწერება ***და-ძმა*** კონცეპტის და სქესის შესაბამისი მნიშვნელობის გამოყენებით:

```
(sem-struc
  (SIBLING
    (gender female))
)
```

მსგავსადვე *უცოლო* შეიძლება აღიწეროს როგორც **ადამიანი** (HUMAN), რომლის **ლიტერალურ-ატრიბუტთა** როლში გვევლინებიან მნიშვნელობები **სქესი:** *მამრობითი* (gender male) და **ოჯახური-სტატუსი**: *უცოლო* (merital-status: single):

```
(sem-struc
  (HUMAN
    (gender male)
    (merital-status single))
)
```

საჭიროა ხაზი გაესვას, რომ თავისთავად **ლიტერალურ-ატრიბუტთა** მნიშვნელობანი კონცეპტებს არ წარმოადგენენ.

რაც შეეხება **სკალარულ-ატრიბუტებს,** მის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ატრიბუტი **ასაკი** (age). მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა აღვწეროთ ლექსიკური ერთეული *მეცხრე კლასელი*, ჩვენ შეიძლება მისი ასაკი აღვწეროთ, დავუშვათ, < > 14-15 შორის:

```
(sem-struc
  (HIGH-SCHOOL_STUDENT
    (age (<> 14 15)))
)
```

განსაკუთრებულად ხაზი უნდა გავუსვათ, რომ

– შეთანხმების თანახმად, **ასაკი** სკალარული-ატრიბუტის საზომი ერთეული არის წლები. ზოგადად კი შეთანხმებული საზომის ტიპი ყოველთვის მითითებულია ონტოლოგიურ ფრეიმში.
– საჭიროა ცალკე ყურადღება მიექცეს ფრჩხილებს რიცხვებისა და შუალედების წარმოდგენისას:

(age 14)
(age (> 14))
(age (<> 14 15))

გარდა განხილული საშუალებებისა ონტოლოგიური მნიშვნელობების გადმოსაცემად **TMRs (Text-Meaning Representations)** იყენებს მრავალ სხვა ხერხს. ქვემოთ ჩვენ მოკლედ შევეხებით ამ მიზნით შემუშავებულ რამდენიმე პროცედურას: **Null-Sem** (სემანტიკურად არარელევანტური ელემენტი), **Refsem** (რთული სემანტიკური ერთეული), **Modality** (მოდალობა), **Aspect** (ასპექტი), **Time** (დრო), **Meaning Procedures** (მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურები).

სემანტიკურად არარელევანტური ელემენტი **(null-sem)** აღნიშნავს, რომ მოცემული ერთეული არ უკავშირდება რაიმე სემანტიკურ მნიშვნელობას. ქართული ენის ტექსტის აღწერისას იგი ყველაზე ხშირად თანდებულებს შეესაბამება. მაგალითად, წინადადებაში

მან სურათი კედელზე დაბჭატა,

-ზე თანდებული გვიჩვენებს ზემოქმედების მიმართულებას *კედლის*ადმი. ამდენად, ვინაიდან *კედელი* გამოდის **მიმართულება** (DESTINATION) სემანტიკური კონცეპტის როლში, სინტაქსურ სტრუქტურაში დაფიქსირებული უბრალო დამატების (*კედელზე*) თავი (თანდებული – *ზე*) სემანტიკურად არარელევანტურია ონტოლოგიური აღწერისათვის და წარმოიდგინება (**null-sem +)** სახით.

რთული სემანტიკური ერთეული (**refsem**) გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც რაიმე სემანტიკური პოზიციის შესავსებლად არ არის საკმარისი მარტივი ელემენტი და საჭიროა კომპლექსური ერთეულის წარმოდგენა, რომელიც განპირობებულია **მოვლენა**-ტიპის კონცეპტის ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, წინადადება

კაცმა ქალს დაქორწინება შესთავაზა,

მოგვცემს შემდეგ კორელაციას სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურას შორის:

(სთავაზობს
(სთავაზობს-v1
(cat v)
:
(syn-struc
((subject ((root $var1) (cat n)))

(root $var0) (cat v)
(indirectobject ((root $var2) (cat n))
(directobject ((root $var3) (cat n))))
(sem-struc
(PROPOSE
(agent (value ^$var1))
(theme **(value refsem1)**)
(beneficiary (value ^$var3))
(**refsem1**
(MARRY
(agent (value ^$var1))
(agent (value ^$var2))))
)

მოდალობა (**modality**) შეიძლება ვრცელდებოდეს მთელს გამონათქვამზე, ან გამონათქვამის თავზე და გვხვდება ისეთ ზმნებთან, რომლებსაც დამატების როლში საწყისის ფორმა, ან მსგავსი სემანტიკური ხასიათის ინფინიტიური კონსტრუქციები ესაჭიროებათ. ამ ტიპის ზმნები გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამის ზმნით გამოხატული მნიშვნელობის მიმართ და აკონკრეტებენ მის შინაარსს. შესაბამისად, გვაქვს მოდალობის შემდეგი ტიპები:

ეპისტემიური: *შეიძლება, დასაშვებია, მოსალოდნელია* და ა.შ.

რწმენის გამომხატველი: *ეჩვენება, ჰგონია, ფიქრობს, ეჭვობს, უშვებს, სჯერა* და ა.შ.

ვალდებულების გამომხატველი: *აუცილებელია, ვალდებულია, არ არის აუცილებელი* და ა.შ.

ნებელობის გამომხატველი: *შეუძლია, არ შეუძლია, ნება აქვს, ეკრძალება* და ა.შ.

პოტენციურობის გამომხატველი: *შესწევს უნარი, ძალუძს, ხელეწიფება* და ა.შ.

განზრახვის გამომხატველი: *გეგმავს, განიხილავს, ესწრაფვის, ფიქრობს, ჰპირდება* და ა.შ.

ძალისხმევის მაჩვენებელი: *ცდილობს, ძალისხმევას მიმართავს.*

სურვილის გამომხატველი: *უნდა, სურს, იმედოვნებს.*

საჭიროების გამომხატველი: *მთავარია, საჭიროა, არ არის საჭირო.*

სემანტიკურად ***მოდალობის*** გადმოცემა ხდება სემანტიკურ სტრუქტურაში მისი შესაბამისი მახასიათებელი ნიშნების სხვადასხვა მნიშვნელობათა ერთობლიობით, რომელიც **modality**-ის ქვეშ ერთიანდება. მაგალითისათვის განვიხილოთ წინადადება

მე დარწმუნებული ვარ წარმატებაში,

და ვნახოთ, თუ როგორ არის *მოდალობა* წარმოდგენილი სემანტიკურ სტრუქტურაში:

(დარწმუნებული
(დარწმუნებული-adj1

```
  (cat adj)
   :
 (syn-struc
  ((subject ((root $var1) (cat n)))
   (adj((root $var0) (cat adj)
   (root $var2) (cat v)
   (pp-adjunct
    ((root  - ში)  (root $var4) (cat pp)
     (obj ((root $var3) (cat n) (case gen))))))
 (sem-struc
  (modality
   (type belief)
   (value 1)
   (scope (value ^$var3))
   (attributed-to(mods (value ^$var1)))
  (^$var3) (null-sem +))
  (^$var4) (null-sem +))))
 )
```

ასპექტუალური (**Aspect**) მნიშვნელობის წარმოდგენა ონტოლოგიურ სემანტიკაში ორი ნიშან–თვისების **ᲤᲐᲖᲘᲡᲐ** და **ᲘᲢᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ** მახასიათებლების საშუალებით ხდება. პირველი მათგანი ოთხი მნიშვნელობით შეიძლება მოგვევლინოს – **ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ**, **ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ**, **ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ** და **ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ/ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ/ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ**. ბოლო მნიშვნელობა ფარავს იმ ტიპის მოვლენებს, რომლებიც ადამიანისათვის ჩვეულ შეფასების დროით სკალაზე მომენტალურ პროცესად აღიქმება. ბუნებრივია, ამ მოვლენებს, შეიძლება მეტად უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული დროითი ხანგრძლივობა აქვთ. **ᲘᲢᲔᲠᲐᲪᲘᲐ**, რომელიც პროცესის განმეორებადობას შეესაბამება, წარმოდგენილია რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობით, ან განუსაზღვრელი **მრავალჯერადი** მნიშვნელობის საშუალებით. **ᲤᲐᲖᲘᲡ** მნიშვნელობა შეესაბამება რაიმე პროცესში დროით საფეხურს, და მიუთითებს მის საწყის (BEGIN), ან დასასრულ (END) ფაზაზე, ან არ გულისხმობს ამ ორთაგან არცერთს (CONTINUE).

ასპექტუალურ ზმნათა ტიპიური წარმომადგენლებია *დაიწყო, შეუდგა, გააგრძელა შეწყვიტა, დაასრულა, მიატოვა.* მაგალითად, *გააგრძელა* ზმნის ერთერთი შესაძლო მნიშვნელობათაგანი გვაძლევს შემდეგ სალექსიკონო ერთეულს:

```
(აგრძელებს
 (აგრძელებს-v1
 (cat v)
  (par 1128a)
    (morph )
    (anno
     (def "phrasal 'go on' meaning 'continue'")
```

```
    (ex „მან გააგრძელა კითხვა“)
    (comments " go-v1")
  )
 (syn-struc
    ((subject ((root $var1) (cat n)))
     (root $var0) (cat v)
     (directobject ((root $var2) (cat (or nv np))))))
 (sem-struc
  (^$var2 (sem EVENT)
   (AGENT (value ^$var1))
   (phase continue)))
 )
```

ტექსტის მნიშვნელობის წარმოდგენის (**TMR**s) ელემენტთა დროითი (**Time**) მახასიათებლები გამოიხატება მარტივ პარამეტრთა სიმრავლით, რომელშიც შედის ონტოლოგიური მიმართებები *წინ/ადრე* (<) და *გაცილებით ადრე* (<<), მათი შებრუნებული ვარიანტები *შემდეგ* (>), *გაცილებით გვიან* (>>). ამათ ემატებათ კონცეპტების *საწყისი-დრო*, *დასრულების-დრო*, *წარმოთქმის-დრო*, *ხანგრძლივობა* და დროის საზომი ერთეულები, რომელთა შორის ზოგიერთი ონტოლოგიური კონცეპტია. თვით ონტოლოგიურ სემანტიკაში დრო შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა საშუალებით:

1. როგორც ონტოლოგიური მიმართება **ხანგრძლივობა-ჩვეულებრივი** (DURATION-TYPICAL)
2. როგორც ონტოლოგიური **დროითი-ერთეულები (დღე, საათი)** (TEMPORAL-UNITS)
3. როგორც არაონტოლოგიური დროთი მიმართება (*ადრე, შემდეგ და ა. შ.)*
4. როგორც დროზე-ორიენტირებული მნიშვნელობის მქონე პროცედურის ფუნქცია.

რეალური დროის გამოხატვა არ არის ონტოლოგიის მიზანი, რომელიც თავისთავად ტექსტის მნიშვნელობის წარმოდგენის (**TMR**s) ნაწილია. მიუხედავად ამისა **ხანგრძლივობა-ჩვეულებრივი** ონტოლოგიურ კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან იგი მოვლენის ზოგად ნიშნად განიხილება და არ გვევლინება ამ მოვლენის რაიმე კონკრეტულ მახასიათებელად. ამის მაგალითად, ჩვენ შეიძლება მოვიყვანოთ ფეხბურთის მატჩის ხანგრძლივობის განმარტება, რომელიც საათნახევარს შეადგენს. პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით **ხანგრძლივობა-ჩვეულებრივ** მიმართებას უმრავლეს შემთხვევაში ლექსიკონის ერთეულებში ან **TMR**-ში ვერსად შეხვდებით. ონტოლოგიაში მისი გამოყენება მხოლოდ დასკვნების მიღების პროცესში არის საჭირო.

იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია რაიმე სამყაროსეული რეალური მოვლენაში ხანგრძლიობის აღნიშნვა, გამოიყენება *მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურა*, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან ყოველივეს ცნობილს *საწყისი-დროის*, *დასრულების-დროის* და საერთოდ *დროის* შესახებ.

დროითი-ერთეულები, რომლებიც ონტოლოგიაში არის წარმოდგენილი, შემდეგ გვარ-სახეობრივ იერარქიას ექვემდებარებიან:

დროითი-ერთეული
  შუადღე
  საშჯუნე
  დღე
    ორშაბათი
    სამშაბათი
      :
  დეკადა
  საღამო
  ფისკალური-კვარტალი
  საათი
  წუთი
  თვე
    იანვარი
    თებერვალი
      :
  დილა
  წამი
  კვირა
  წელი
    ფისკალური-წელი

ისინი გამოიყენებიან, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დროის შესახებ აბსტრაქტული თვალსაზრისით. მაგალითად, *ერთი საათი საკმაო დროა, მაისი ჩემი საყვარელი თვეა.* რაც შეეხება **TMR-**ის საშუალებით წარმოდგენილ წინადადებას *ათი წუთი საკმაო დროა,* იგი *ათი წუთი*-ის წარმოსადგენად შემდეგ ჩანაწერს უნდა შეიცავდეს:

```
(set
 (member-type minute)
 (cardinality 10)
 )
```

არაონტოლოგიურ დროთ მიმართებათაგან, რომლებიც ლექსიკონსა და **TMR-**ში გამოიყენება, *საწყისი-დრო*, *დასრულების-დრო* და *დრო* არ არის ონტოლოგიური ერთეულები, ვინაიდან ისინი გამოხატავენ სამყაროსეულ მოვლენაში წარმოდგენილ რეალურ დროს. მაგალითად:
თამაში სალამოს 8 საათზე დაიწყო **(საწყისი-დრო)**
ფილმი დილის 7 საათზე დასრულდა **(დასრულების-დრო)**
მე სახლში სალამოს 8 საათზე წავედი **(დრო)**

აბსოლუტური დრო არის ნებისმიერი დრო, რომელსაც რეალური რიცხვი და დრო შეიძლება მიეწეროს. იგი იშვიათად გვხვდება ლექსიკონში, მაგრამ **TMR-**ში მისი გამოყენება ზოგადი ფორმატით განისაზღვრება:

```
(time
 (absolute-time
  (year YYYY)
 (month MM)
 (day DD)
 (hour HH)
 (minute MM)
 (seconds SS.FFFF)))
```

დროზე-ორიენტირებული მნიშვნელობის მქონე პროცედურებს ვიყენებთ ლექსიკონის ერთეულებისა და ტექსტის დამუშავების პროცესში, როდესაც საჭიროა ***დროის ათვლის წერტილის*** (**anchor-time**) დაფიქსირება. ერთ-ერთი ასეთი **combine-time** (*დააკავშირე დრო)* პროცედურაა, რომელიც ახდენს დროის ათვლის რაიმე წერტილის დაკავშირებას ტექსტში არსებულ სხვა დროით ინფორმაციასთან და 3 არგუმენტს საჭიროებს:

time1
time2
before/after

time1 შეიძლება იყოს აბსოლუტური ან რეალაციური, **time2** კი, აუცილებლად აბსოლუტური დროის მაჩვენებელია. ამ ტიპის მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურა გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა რეალური გამოთვლის ჩატარება *დროის ათვლის წერტილის*ა და ტექსტში მოცემული ზოგიერთი სხვა მნიშვნელობის დახმარებით.

განვიხილოთ დროითი ხასიათის გამონათქვამის ორი მაგალითი, სადაც cl(ause) სინტაქსური ფუნქცია ამ შემთხვევაში მარტივ წინადადებას შეესაბამება:

```
(წინ  -  adv1
 (cat adv)
  :
 (anno
   (def  “indicates a time in the past“)
   (ex „10  წლის  წინ  მან  სკოლა  დაამთავრა“)
  )
(syn-struc
  ((n((root $var1) (cat n)  (case gen)))
   (adv((root $var0) (cat adv)))
   (cl((root $var2) (cat cl)))))
(sem-struc
  (^$var1 (sem (or EVENT TEMPORAL-UNIT)))
  (^$var2 (time (combine-time (find-anchor-time)
   ^$var2 before)))
 )
```

```
(შემდეგ-adv1
 (cat adv)
  :
 (anno
  (def " a temporal relation; absolute time")
  (ex „ლექციის შემდეგ მე ბანკში წავალ")
  )
(syn-struc
  ((n((root $var1) (cat n)  (case gen)))
   (adv((root $var0) (cat adv)))
   (cl((root $var2) (cat cl)))))
(sem-struc
  (^$var1
   (sem EVENT)
   (time (> (value ^$var2.time))))
  (^$var2
   (sem EVENT)))
 )
```

მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურები (Meaning Procedures) საჭიროა კონტექსტის შესაბამისი მნიშვნელობის გამოთვლათა ჩასატარებლად. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც ასეთი აღწერა პირდაპირ ვერ ხერხდება იმ ცვლადების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამებიან ბაზური სემანტიკური დამოკიდებულების სტრუქტურის კომპონენტთა მნიშვნელობებს.

seek-specification (*მოძებნე მახასიათებლები*) მრავალ- მიზნობრივი დანიშნულების პროცედურაა და საჭიროა მოვლენის ან მიმართების შემდგომი ნიშნების დაზუსტებით აღსაწერად. ამისათვის იგი იყენებს ზედაპირულ არგუმენტებს და დამატებებს მარტივი წინადადების (clause) ფარგლებში. მაგალითად, ზმნის მნიშვნელობისათვის წინადადებიდან

მან შეჰქმნა ქანდაკება,

წარმოდგენილი იქნება შემდეგი სალექსიკონო ერთეული:

```
(ჰქმნის
 (ჰქმნის-v1
  (cat v)
    :
 (anno
 (def "to engage in the activity that brings something into being
       of physical objects")
  (ex  „მან შეჰქმნა ფილმი"; „ირაკლიმ შეჰქმნა ჯარი")
(comments "")
 )
   (syn-struc
      ((subject ((root $var1) (cat n)))
       (root $var0) (cat v)
```

```
        (directobject ((root $var2) (cat n)))))
    (sem-struc
        (refsem1
         (CREATE-ARTIFACT
         (AGENT (value ^$var1))
         (THEME (value ^$var2))
         (phase continue))))
   (meaning-procedure
    (seek-specification (value refsem1)
    (value ^$var1) (value ^$var2)))
)
```

ანალიზატორმა მოახდინა პროცედურების განზოგადება, რომლებიც ცდილობენ უფრო ზუსტად აღწერონ სემანტიკა, თუ ამისათვის საჭიროა მოცემული კონტექსტის დამუშავება ცალსახობის (disambiguation) უზრუნველსაყოფად. ავტორთა მოსაზრებით, ასეთი *მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურის* არსებობა აუცილებლია, ვინაიდან პროცედურული სემანტიკა გვეხმარება ზედაპირული სინტაქსის არგუმენტების ნათლად წარმოდგენაში, რათა მოხდეს მათი სემანტიკურ წარმოდგენაში ასახვა.

apply-meaning (*შეუსაბამე მნიშვნელობა*) ასევე მრავალ-მიზნობრივი დანიშნულების პროცედურაა. იგი საშუალებას იძლევა აღვწეროთ, თუ როგორ გვსურს რაიმე სალექსიკონო ერთეულში ცვლადების ურთიერთკომბინირება მოხდეს. მაგალითად, კავშირი *და* წინადადებისათვის

კარგად და სწრაფად სიარული

ღებულობს შემდეგ აღწერას:

```
    (და-conj
     (cat conj)
        :
     (anno
      (def " ‘and’ when it joins adverbs ")
      (ex „სწრაფად და ენერგიულად სიარული"  )
      (comments "")
      )
     (syn-struc
       ((adv ((root $var1) (cat adv)))
        (root $var0) (cat conj)
        (adv ((root $var2) (cat adv)))
        (root $var3) (cat v)))))
     (sem-struc
       (^$var1 (null-sem +))
       (^$var2 (null-sem +))))
     (meaning-procedure
       (apply-meaning (value ^$var1)(value ^$var3))
       (apply-meaning (value ^$var2)(value ^$var3)))
```

)

ამგვარად, *და* სალექსიკონო ერთეულისათვის, როდესაც იგი ზმნიზედებს აკავშირებს, უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად:

1. აღვწეროთ იმ სინტაგმის სრული სინტაქსური სტრუქტურა, რომლის წარმოდგენასაც ვცდილობთ;

2. სინტაქსურად არარელევანტურ ელემენტად (null-sem +) მივიჩნიოთ ვარ1 და ვარ2, რათა მათი შესაბამისი სალექსიკონო ერთეულების სინტაქსური ანალიზი ავიცილოთ თავიდან ზმნიზედების მნიშვნელობის განსასაზღვრავად გამოვიყენოთ **apply-meaning** (*შეუსაბამე მნიშვნელობა*) პროცედურა, რომელიც ამისათვის შესაბამის ცვლადებს დაეყრდნობა.

მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურა **fix-case-role** (*დაუსტე სემანტიკური როლი*) ამოწმებს, მისაღებია, თუ არა არგუმენტით ნავარაუდევი *სემანტიკური როლი* (ჩვეულებრივ AGENT). უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში პროცედურა არგუმენტისათვის ირჩევს შესაფერის სემანტიკურ როლს მისი და ზმნის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, ზმნის მნიშვნელობისათვის, რომელიც რეალიზებულია წინადადებაში

მათ პრეზიდენტს გადადგომა აიძულეს

მივიღებთ შემდეგ აღწერას:

```
(აიძულებს
  (აიძულებს-v1
   (cat v)
   (anno
   (def "force someone to do something")
   (ex "" )
   (comments "")
   )
   (syn-struc
    ((subject ((root $var1) (cat n)))
     (indirectobject ((root $var2) (cat n)))
     (directobject ((root $var3) (cat n)))
     (root $var0) (cat v)))
   (sem-struc
    (^$var3
     (AGENT (value ^$var2))
     (caused-by  (value ^$var1))))
   (meaning-procedure
    (fix-case-role (value ^$var2) (value ^$var3)))
  )
```

გარდა ამისა გვაქვს კიდევ ორი დროითი მნიშვნელობის გამოსათვლელი პროცედურა - **combine -time** (*დააკავშირე დრო)* და **find-anchor-time** (*იპოვნე დროის ათვლის წერტილი).* პირველის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემო

ნაწილში. რაც შეეხება მეორეს - *მნიშვნელობის გამოსათვლელ პროცედურა* **find-anchor-time** - იგი ეძებს აბსოლუტურ დროს, რომელთა მიმართ *გუშინ, ორ საათში* და მსგავსი გამონთქვამები იხმარება. ეს საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს რეალური დრო ან დროითი ინტერვალი. მრავალ შემთხვევაში ლექსიკური ერთეულის სემანტიკური წარმოდგენა საკმარისია გამოთვლისათვის რაიმე დამატებითი პროგრამის ჩართვის გარეშე. მაგალითად:

```
(შორეულ–წარსულში
 (შორეულ–წარსულში - adv
 (cat adv)
  (anno
   (def "indicates a time in the distant past")
   (ex „იგი გარდაიცვალა შორეულ–წარსულში“)
    (comments "")
  )
 (syn-struc
  ((cl ((root $var1) (cat cl)))
   (adv(root $var0) (cat adv)))))
 (sem-struc
  (^$var1(time (<< (find-anchor-time)))))
)
```

აღწერილ მეტა-ენას ეყრდნობა ქართული ენის ონტოლოგიურ-სემანტიკური ლექსიკონი, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უნდა დაედოს ონტოლოგიური სემანტიკის გამოყენებით ამ ენის კომპიუტერულ დამუშავებას. ონტოლოგიური სემანტიკის ზოგადი მოდელი და ლექსიკონის აგების პრინციპები შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-მექსიკოს შტატის კომპიუტერულ კვლევათა ლაბორატორიაში და წლების განმავლობაში, როგორც ცალკეულ ნაწილებად, ასევე სრულად, დანერგილ იქნა ბუნებრივი ენის დამუშავების მრავალ სისტემაში.

ონტოლოგიურ სემანტიკას უშუალოდ ეყრდნობა ისეთი გამოყენებითი დარგები, როგორიც არის ბუნებრივი ენის მანქანური თარგმანი, ინფორმაციის ექსტრაგირება დოკუმენტებიდან, ტექსტის მოკლე შინაარსის მიღება, კითხვაზე პასუხი, კომპიუტერული პროგრამის მიერ მომხმარებლისათვის რჩევის მიცემა, ადამიანისა და კომპიუტერის პროგრამულ აგენტთა ქსელების თანამშრომლობა და ა.შ.

ზოგადი გამოყენებისათვის განკუთვნილი არქიტექტურა ასევე შეიცავს „ეკოლოგიურ“, მორფოლოგიურ და სინტაქსურ კომპონენტს. სისტემის წარმოდგენილი არქიტექტურა წლების განმავლობაში, როგორც ცალკეულ ნაწილებად, ასევე სრულად, დანერგილ იქნა ბუნებრივი ენის დამუშავების მრავალ სისტემაში. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოგვყავს მათი ჩამონათვალი:

Translator, 1984-86, განკუთვნილია ცოდნაზე-დამყარებული მანქანური თარგმანისათვის იხ. Nirenburg et al. 1986.

Poplar, 1985-86, მიძღვნილია მოაზროვნე აგენტის მოდელირებისადმი, იხ. Nirenburg et al. 1985; აგრეთვე Nirenburg and Lesser 1986.

KBMT-89, 1987-89, საშუალო ზომის ცოდნაზე-დამყარებული მანქანური თარგმანის იაპონურ-ინგლისური სისტემა. იხ. Nirenburg et al. 1991, Goodman and Nirenburg 1991.

Ontos, 1988-90, მიძღვნილია ონტოლოგიური მოდელირებისადმი და მის ასაგებად და შემუშავებული საშუალებების გასააზლებად. იხ. Monarch and Nirenburg 1987, 1988, Carlson and Nirenburg 1990.

SMEARR, 1988-91, Ontos გავრცობა; ლინგვისტური სემანტიკის შესაბამება კომპიუტერულ სემანტიკასთან; იხ. Raskin et al. 1994.

KIWI, 1989-91, ადამიანის ცოდნის გამოყენება სემანტიკური ანალიზის დასახმარებლად. იხ. Brown and Nirenburg 1990.

Dionysus (შეიცავს DIANA და DIOGENES), 1989-92, ერთიანი პროექტი, რომელიც მოიცავს მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ ანალიზს; ტექსტის გენერირებას და ონტოლოგიური და ლექსიკური ცოდნის ჩამოყალიბებას. Defrise and Nirenburg 1990; Onyshkevych and Nirenburg 1991.

Pangloss, 1991-95, ცოდნაზე დამყარებული ესპანურ-ინგლისური მანქანური თარგმანის სისტემა; ჰიბრიდული სისტემა ონტოლოგიური სემანტიკის ელემენტებით. იხ. Nirenburg 1994

Mikrokosmos, 1993-99, ფართო მასშტაბის ცოდნაზე-დამყარებული მანქანური თარგმანის სისტემა – ესპანური, ინგლისური, ჩინური; ონტოლოგიური სემანტიკის გამოყენების პირველი თანმიმდევრული ცდა. იხ. Beale et al. 1995; Mahesh and Nirenburg 1995; Mahesh et al. 1997a,b; Beale 1997

Savona, 1997-98, ადამიანისა და კომპიუტერის შერეული ქსელური აგენტი წარმოქმნილ კრიზისთა შესახებ შეტყობინებათა გენერირებისათვის, იხ., Nirenburg 1998

MINDS, 1998-2000, ინფორმაციის ინტელექტუალურად ექსტრაქცია, იხ., Ludovik et al. 1999; Cowie et al. 2000a,b

Expedition, 1997, ნახევრად ავტომატური გარემო მანქანური თარგმანის სისტემების კონფიგურირებისათვის და ენის შესახებ ცოდნით მათ უზრუნველსაყოფად. იხ.Nirenburg and Raskin 1998;

CAMBIO, 1999-2000, Mikrokosmos-lite, იხ. მაგ, Nirenburg 2000

ლიტერატურა

1. Nirenburg, S., V. Raskin and A. Tucker 1986. On Knowledge-Based Machine Translation. Proceedings of International Conference on Computational Linguistics, COLING-86, Bonn, Germany.627-632.
2. Nirenburg, S. and V. Lesser 1986. Providing Intelligent Assistance in Distributed Office Environments. Proceedings of the Third International ACM Conference on Office Automation Systems, Providence, RI. November. Reprinted

in: A. Bond and L. Gasser (eds.), Readings in Distributed Artificial Intelligence. San Mateo, CA: Morgan Kaufmann: 590-598.
3. Goodman, K. and S. Nirenburg (eds.) 1991. KBMT-89: A Case Study in Knowledge-Based Machine Translation. 250 pp. San Mateo: Morgan Kaufmann.
4. Monarch, I. and S. Nirenburg 1988. ONTOS: An Ontology-Based Knowledge Acquisition and Maintenance System. Proceedings of the Second Workshop on Knowledge Acquisition. Banff, Canada. August.
5. Brown, R. and S. Nirenburg. 1990. Human-Computer Interaction for Semantic Disambiguation. Proceedings of COLING-90, Helsinki, August.
6. Defrise, C. and S. Nirenburg 1990. TAMERLAN: A Text Meaning Representation Language. Proceedings of the TKE International Conference, Trier, West Germany.
7. Onyshkevych, B. and S. Nirenburg 1991. Lexicon, Ontology and Text Meaning. Proceedings of the ACL Workshop on Lexical Semantics. Berkeley, CA.
8. Nirenburg, S., J. Carbonell, M. Tomita and K. Goodman 1991. Machine Translation: A Knowledge-Based Approach. San Mateo: Morgan Kaufmann.
9. Nirenburg, S. (ed.) 1994. The Pangloss Mark III Machine Translation System. A Joint Technical Report by NMSU CRL, USC ISI and CMU CMT.
10. Mahesh, Kavi, and Sergei Nirenburg 1995. A situated ontology for practical NLP. A paper presented at the IJCAI '95 Workshop on Basic Ontological Issues in Knowledge Sharing. Montreal, August 19-21.
11. Mahesh, Kavi, Sergei Nirenburg and Stephen Beale 1997. If You Have It, Flaunt It: Using Full Ontological Knowledge for Word Sense Disambiguation. In: Proceedings of Theoretical and Methodological Issues in Machine Translation (TMI-97), Santa Fe, NM, 1-9.
12. Mahesh, K., S. Nirenburg, S. Beale, E. Viegas, V. Raskin, B. Onyshkevych 1997. Word Sense Disambiguation: Why Statistics If We Have These Numbers. In: Proceedings of Theoretical and Methodological Issues in Machine Translation (TMI-97), Santa Fe, NM, 151-159.
13. Beale, S., S. Nirenburg, and K. Mahesh 1995. Semantic Analysis in the Mikrokosmos Machine Translation Project. In: Proceedings of the Second Symposium on Natural Language Processing (SNLP-95), Bangkok, Thailand.
14. Nirenburg, S. and V. Raskin. 1998. Universal Grammar and Lexis for Quick Ramp-Up of MT Systems. Proceedings of ACL/COLING-98. Montreal, Canada.
15. Nirenburg, S. 2000. CAMBIO: Progress Report. Working Paper, NMSU CRL.
16. Nirenburg, S. and V. Raskin. Ontological Semantics. 332 pp. 2002.
17. Ludovik, Y., J. Cowie, H.Molina-Salgado and S. Nirenburg 1999. Ontology-Based Information Extraction. Proceedings of MT Summit, Singapore.
18. Cowie, J., Y. Ludovik, H. Molina-Salgado, Sergei Nirenburg and Svetlana Sheremetyeva. 2000a. Automatic Question Answering. Proceedings of the RIAO Conference, Paris, April.
19. Cowie, J., Y. Ludovik, S. Nirenburg, H. Molina-Salgado. 2000 b. The week at a glance - cross- language cross document information extraction and translation . Proceedings of COLING 2000, Saarbruecken, Germany, 1007-1010.

Oleg Kapanadze

Ontological-Semantic Lexicon for the Georgian Language

Summary

Ontological Semantics is a general-purpose approach to automatic text processing that is based on the use of the meaning of the natural language. The paper discusses the principles of the creation of the lexicon of ontological semantics – the resource of lexical knowledge – for the Georgian language. It consists of about 4000 pages and it includes as lexicon entries units of both languages – the entry proper in Georgian and the respective English variant together with a brief encyclopaedic explanation. Lexicon entries are supplied with their corresponding syntactic and semantic data, offered with the format specific for computer processing.

ნათია შუბქარაძე

ინტერნეტის ენის ზოგი საკითხისათვის

გლობალური ქსელი, ანუ ინტერნეტი თანამედროვე კომუნიკაციის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა. ვირტუალური კომუნიკაციისას შესაძლებელია როგორც წერილობითი, ასევე აუდიო- და ვიდეოკონფერენცია; ჩვენ საინტერნეტო მიმოწერით დავინტერესდით, რამდენადაც ქართულენოვანი მიმოწერა უკვე სპეციალური სლენგის სახეს იღებს.

როგორც ვიცით, ზეპირი მეტყველებისას გადაცემული ინფორმაციის „შევსება-დაზუსტება“ არასამეტყველო ორგანოებით შესრულებული საკომუნიკაციო საშუალებებით ხდება.

ქართული და არაქართული ფორუმების, მყისიერ შეტყობინებათა სერვისების (ე. წ. „მესინჯერების“) და ე. წ. „ჩატების“ ენაზე დაკვირვებამ პარალინგვიზმების კიდევ ერთი სახეობა გამოავლინა, ესაა ე. წ. „ღიმილაკები“.

ღიმილის სიმბოლო პირველად გვხვდება 1963 წელს, როდესაც დიზაინერმა ჰარვი ბელმა მასაჩუსეტსის სახელმწიფო სადაზღვეო კომპანიისთვის შექმნა ლოგო, რომელსაც უნდა გამოეხატა კომპანიის კეთილგანწყობა მომხმარებლებისადმი. ლოგო (ვერტიკალურად) გამოხატავდა ადამიანის თვალებს, ტუჩებს, იგი ყვითელი ფერის წრეში იყო ჩასმული. ეს იყო პირველი ნახატი ღიმილი, ოღონდ არათავსებადი ტექსტური შეტყობინებისათვის.

მოგვიანებით, სარეკლამო აბრიდან ღიმილის სიმბოლომ ინტერნეტ-გვერდებზე გადაინაცვლა, მცირეოდენი ცვლილებით, კერძოდ:

პიტსბურგის კარნეჯ-მელონის უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი (აშშ), რომელიც დღესაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას, 80-იან წლებში საუნივერსიტეტო ფორუმზე ხშირად აქვეყნებდა ოფიციალურ განცხადებებს. დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიერ დატოვებული ელექტრონული გზავნილები ხშირად იუმორისტული ხასიათისაც იყო, რაც ზოგიერთი თანამშრომლის გულისწყრომასაც იწვევდა. ყოველივე ამის შემდეგ, პროფ. სკოტ ფალმენმა, რომელიც დღემდე კომპიუტერულ მეცნიერებათა კათედრის პროფესორია, გადაწყვიტა შეექმნა რაიმე სიმბოლო, რომელიც იქნებოდა მარტივი და, რაც მთავარია, თავსებადი Word-ის პროგრამისთვის.

ამგვარად, სკოტ ფალმენმა 1982 წლის 19 სექტემბერს (11^{45}-სთ.) საუნივერსიტეტო ფორუმზე გაგზავნა წინადადება, სადაც თანამშრომლებს ურჩევდა გამოეყენებინათ **:-(** სიმბოლო, თუ სერიოზულ თემაზე წერდნენ, ორწერტილი თვალებს აღნიშნავდა, ტირე – ცხვირს, ფრჩხილი კი – გაუცინარ ბაგეს და, პირიქით, არასერიოზული/სახუმარო გზავნილისთვის უნდა დაერთოთ **:-)** – ეს ე. წ. გაღიმებული ფიგურა.

[19-Sep-82 11:44 Scott E Fahlman :)
From: Scott E Fahlman <Fahlman at Cmu-20c>

I propose that the following character sequence for joke markers: **:-)**
Read it sideways. Actually, it is probably more economical to mark things that are NOT jokes -
given current trends. For this, use **:-(**
(http://research.microsoft.com/~mbj/smiley/smiley.html)]

პროფ. სკოტ ფალმენი

1982 წლის სექტემბერში სკოტ ფალმენის შემოთავაზებამ დიდი მოწონება დაიმსახურა აღნიშნულ პროფესიულ წრეში. დღეს უკვე ღიმილაკების გამოყენების არე ძალზე გაფართოებულია.

როგორც ვიცით, მობილურ ტელეფონებში, ელექტრონულ ფოსტებში, ფორუმებსა თუ მყისიერ შეტყობინებათა სერვისებში (ე. წ. „მესინჯერებში“) ღიმილაკებისთვის სპეციალური განყოფილება არსებობს; მათ აქტიურად იყენებენ მომხმარებლები. ჩვენ გამოვკითხეთ სხვადასხვა ასაკის ადამიანები და გავარკვიეთ, რომ ახალგაზრდები ძირითადად ფერად, არასტანდარტულ ღიმილაკებს ირჩევენ. უფროსი თაობის წარმომადგენლები კი დროის ეკონომიის მიზნით არ ააქტიურებენ „მენიუში“ ღიმილაკების სპეციალურ ბრძანებებს და ორწერტილისა და ფრჩხილისგან შექმნილ „სიცილაკს“ ანიჭებენ უპირატესობას.

ღიმილაკები მარტო სევდას, ან ღიმილს არ გამოხატავენ. მაგალითად,

;-) – თვალის ჩაკვრას;

:-0 – გაოცებას;

ხშირია ცნობილ ადამიანთა თუ პერსონაჟთა სახე-სიმბოლოებიც, მაგალითად:

:-.) – მერლინ მონრო – (მისი ცნობილი ხალი ტუჩის კუთხეში)

CI:-= – ჩარლი ჩაპლინი – CI - შლაპას აღნიშნავს და ა.შ.

ზოგი სიმბოლო მთელ წინადადებას ან გამონათქვამს გამოხატავს:

:-§ – ფულს კბილები მოუჭირე;

:-y – ცალყბად მეღიმება;

ელექტრონულ ენობრივ სივრცეში შემუშავებული „ემოციური ხატები“ თანდათან იფართოებენ გამოყენების არეს და ინტერნეტსამყაროდან თითქმის შეუზღუდავად გადადიან რეალურ საკომუნიკაციო სივრცეშიც. მაგ., ჩვენ მიერ მოპოვებულ ხელნაწერ არაფორმალურ წერილებში საკმაოდ ხშირია ე.წ. „ღიმილაკები“/„ხატულები“; თუმცა პირადული ხასიათის წერილების გარდა „ღიმილაკებს“/„სიცილაკებს“ უკვე ვხვდებით აბრებზე, იშვიათად პრესის ენაშიც. მაგალითად, ჩვენ ხელთ გვაქვს გერმანიაში მცხოვრები ქართველი გოგონას დედისადმი მოწერილი ხელნაწერი წერილებიდან ამოღებული მასალა. ტექსტში ხშირია ე.წ. „სიცილაკები“/„ხატულები“, რომლებიც ავტორს სჭირდება საკუთარი ემოციის გამოსახატავად. გამოიკვეთა რამდენიმე ტიპის „ღიმილაკი“, მაგალითად,



[აქ ისე მოწესრიგებულად ვსაუზმობ. სურათიც გადავუღე ჩემს საუზმეს :)]

მოყვანილ მაგალითში ავტორის მიერ გამოყენებული ღიმილის აღმნიშვნელი სიმბოლო გასაგებია ვიწრო წრისათვის, ამ შემთხვევაში ავტორისა და ადრესატისთვის, რომლისთვისაც ცნობილია შვილის საუზმის წესი;

შემდეგ მაგალითში გადმოცემული მსუბუქ-ირონიული ღიმილი ყველასთვის ნათელია, ნაკლებად პირადულია, შდრ. :



[ისე ტყუილია ხალხს რომ ჰგონია (მეც მეგონა :) :) 3 თვით წავალ, ენას ვისწავლი და ჩამოვალო :) მეცინება მაგაზე!]

შემდეგ ჩანაწერში:



[ცუდად ვარ, იმდენი ვჭამე. მგონი პირველად არ მშია :) კარგი ჭამის მერე რა უნდება ქართველ ადამიანს? რა და ძილი :)]

ავტორი თითქოს დედის დასამშვიდებლად დაურთავს ღიმილაკს, რათა ადრესატმა არ იდარდოს მის კვებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ღიმილაკს ძირითადად იყენებს კომუნიკაციაში მონაწილე პირი საკუთარი ემოციის გადმოსაცემად, პირველი პერსონალური პირი ხშირად რეფლექსივია, ზოგჯერ, საუბარი მიემართება მეორე პირსაც, ფორუმების ენასა თუ ხელნაწერ წერილებში მესამე პირის ემოცია, ჯერ-ჯერობით, არ გადმოიცემა.

პოპულარიზაციის შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, მთქმელის ემოციის გამომხატველი ვერბალური რემარკები მისი ეკვივალენტური ნიშნებით შეიცვალოს არა მხოლოდ პირად მიმოწერაში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკასა და სხვა სახის ტექსტებშიც, რაც, რასაკვირველია, არასასურველი პერსპექტივაა ქართული და ზოგადად, ნებისმიერი ენისათვის;

ღიმილაკების მსგავსად, ინტერნეტენისთვის დამახასიათებელია სასვენი ნიშნების ჭარბი გამოყენება (მაგ., „მოდი!!!!!!“), ან ბოლოკიდური ასო-ბგერების განმეორება (მაგ., „ნათიიიიიიიიი“). ორთოგრაფიულად ეს გაუმართლებელია, მაგრამ ელექტრონული ფორმატის გზავნილებში მათი პროცენტული მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ჭარბი სასვენი ნიშნების გარდა ვხვდებით გაზრდილი შრიფტით დაწერილ სიტყვებსაც, როდესაც ავტორს სურს წინადადებაში რაიმე სიტყვაზე ყურადღების გამახვილება.

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც ელექტრონულ კომუნიკაციაში მონაწილე პირი არ იყენებს სტანდარტულ ღიმილაკებს და თავად ქმნის მათ უკვე სიტყვების გამოყენებით, შდრ., მესინჯერის, ე.წ. „სკაიპის’’ მასალიდან ამოღებული მაგალითები :

- <„ჩხუბი“>
- <„სახლში წასვლა მინდას“ სმაილი>
- <„მიდი, რა, გამეგზავნე ბიძიკოს“ სმაილი>

მოკლედ, თანამედროვე ინტერნეტსაზოგადოება ძალიან ჭრელია, შესაბამისად მრავალფეროვანი ხდება ინტერნეტურთიერთობებში გამოყენებული ქართულიც. ინტერნეტის ენაზე მომუშავე მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ მოვლენას გადატანითი მნიშვნელობით, პიჯინიზაციას უწოდებს (იხ. Л. Ю. Иванов, www.ivanoff.ru/rus/OZHWEB.htm), მეორენი – კრეოლიზაციას (იხ. Т.И. Рязанцева, www.ffl.msu.ru/img/pages/File/ryazantseva_1_07.doc)

ერთი მხრივ, ეს არის ემოციის გამოხატვის სახალისო და იოლი ფორმა, ნაბეჭდი ტექსტისა და მეტყველების დროს გამოყენებული კინესიკური პარალინგვიზმების საინტერესო სინთეზი, შეიძლება ასეც ვუწოდოთ: "ლაპარაკი წერილობით"; მეორე მხრივ, ეს ტენდენცია საშიში რომ არ აღმოჩნდეს ქართული ენისთვის, სასურველია რიგი ღონისძიებების გატარება, მაგ., ჩამოყალიბდეს სამეთვალყურეო ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ვებგვერდების ქართულს. აკრძალვით ალბათ ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს, უმჯობესია დამკვიდრდეს ტენდენცია: გაუმართავი ქართულით წერა ითვლებოდეს არაპრესტიჟულად და არამოდურად.

შესაძლებელია ამ ე. წ. „ღიმილაკებს" პრაქტიკული დანიშნულებაც მიეცეს; მაგ., დიალექტური ან სხვა სახის ზეპირი ტექსტების გადაწერისას რესპონდენტის ემოციის გადმოსაცემად რამდენიმე სიტყვის ნაცვლად ერთი სიმბოლო იქნას გამოყენებული. ამ შესაძლებლობის გამოყენებას დიალექტური ტექსტების ელექტრონულ ვერსიებში დასაშვებად მიიჩნევენ ამ საკითხებზე პრაქტიკულად მომუშავე სპეციალისტები.

ინგლისური ტერმინის "smiley" და მის ქართული კალკირებული ვარიანტიც – („ღიმილაკი") მხოლოდ დადებით ემოციას არ გამოხატავს: ამავე ტერმინით გამოიხატება უარყოფითი და სხვაგვარი ემოციაც. დღეს ტერმინი „ღიმილაკი" გავრცელებულია და მოსახერხებელიც. კატეგორიულები ვერ ვიქნებით, მაგრამ, ვფიქრობთ, შეიძლება ორიგინალური, ქართული ყალიბისთვის მორგებული ტერმინიც მოვიძიოთ მაგ., „განწყობის ნიშნები" - სასვენი ნიშნების ანალოგიით. შეგვიძლია მათ „ემოც-ხატებიც" ვუწოდოთ, ან „მიმიკები" – უფრო ზოგადი რომ იყოს.

რამდენადაც, „ღიმილაკები" მოდერნიზებული პიქტოგრამებია, ცუდი არ იქნება თუ აღსანიშნავად გამოვიყენებთ ტერმინს: „ხატული"/„ხატულები".

ვფიქრობთ, მართლაც მოსანახია „სიცილაკზე" უკეთესი ქართული ტერმინი, ვინაიდან ე. წ. „ღიმილაკები"/„ხატულები" აშკარად იფართოებს გამოყენების ველს: მოსახერხებელია ისინი განწყობის გამოსახატავად, წერა უფრო ეკონომიურადაა შესაძლებელი, ნაწერსაც მეტი ექსპრესია ახლავს...

ქართულენოვან ფორუმებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ საინტერნეტო დიალოგების ენის ცვლილების ტემპი სხვაობს გლობალური ქსელის მომხმარებლის ასაკის, პროფესიისა და ინტერესების სფეროს მიხედვით. ფორუმის წევრთა მიერ განისაზღვრება ე. წ. „ჩატების" თემატიკა, მაგ., ქართულ ინტერნეტ-საუბრებში გვხვდება შემდეგი თემები: საქართველოს

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომანტიკა, სიყვარული, პოეზია, მხატვრობა, კინო და თეატრი, ისტორია, ლიტერატურა, მეცნიერება, განათლება და ა.შ. ფორუმის წევრები ძალიან დიდ დროსა და ვირტუალურ სივრცეს უთმობენ საკუთარი თუ სხვისი მოსაზრების გამოქვეყნება-განხილვას.

ცხადია, ისევე, როგორც პირისპირ საუბრისას, ელექტრონული კომუნიკაციის დროსაც ჩნდება ემოციის გამოხატვის მოთხოვნილება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა განწყობილებითა თუ მოქმედება-მდგომარეობით დატვირთული „ხატულების“/„ღიმილაკების“ გარდა, ემოციის გამოხატვა ხდება ბოლოკიდური ასოებისა და სასვენი ნიშნების „არაბუნებრივი“ გამეორებით (შდრ.: ფორუმელების ენას ახასიათებს აკადემიური პუნქტუაციის სიმწირე). ე. წ. „ჩათების“ ენისთვის დამახასიათებელია აგრეთვე: სიტყვებისა და ფრაზების შემოკლება, საგანგებოდ გაზრდილი შრიფტით ცალკეულ სიტყვებზე ხაზგასმა, „თავისებური“ ტერმინოლოგია და სხვ.

ამგვარად, ელექტრონულ კომუნიკაციაში მკვიდრდება დიალოგის ახალი ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია:

– პარალინგვიზმების ახალი სახეობანი („ღიმილაკები“),
– თხრობის მაქსიმალური ეკონომია,
– სპეციფიკური ტერმინოლოგია.

ქართული ვირტუალური საუბრების ტერმინოლოგია ქართული ინტერნეტ-სივრცის გამორჩეული უბანია. კომპიუტერის ენა, შესაბამისად, ძირითადი ტერმინებიც ჯერჯერობით ინგლისურს ეყრდნობა; შესაბამისად, ქართული „ჩათების“ ტერმინოლოგიაც „გადატვირთულია“ ინგლისური ტერმინებით, ინგლისურ ტერმინთა კალკებითა და ქართულაფიქსიანი, მაგრამ ინგლისურ-ფუძიანი სიტყვებით. მაგალითად, მაღალრეიტინგული „თბილისის ფორუმის“ ერთ-ერთი წევრი - "hermione" წერს:

„ერთხელ დავპოსტე ის, რასაც თსუ-ს იურ ფაკზე ვფიქრობდი და ვორნი მივიღე“ (http://forum.ge/?f=79&showtopic=33778817);

შდრ.: to post „წერილის გაგზავნა“; to warn „გაფრთხილება“; იურ ფაკზე - „იურიდიულ ფაკულტეტზე“.

შდრ., აგრეთვე, ფორუმელი "TukijaT" -ის ფრაზა:

„პასვორდი დამეკარგა რომელ ოთახში მივიდე მითხარი პლზ“ (http://forum.ge/?f=79&showtopic=33778817)...

password „პაროლი“; plz - please „გთხოვ“...

ამგვარი ტერმინების სიჭარბე ყოველთვის ვერ აიხსნება ფორუმის მონაწილეთა ქართულის ცოდნის ხარისხით; გლობალური ქსელის მომხმარებელთა დიდი ნაწილი განათლებული ადამიანია; მათი ნაწილი კარგად ფლობს საერო თუ სასულიერო მწერლობის ტერმინოლოგიას, მაგრამ მაინც უხვად იყენებს კალკირებებს თუ უცხოურ ტერმინებს; შდრ.:

"მუნ არს ქოფირაითნი" (იხ.:www.bigcrow.wordpress.com).

copywrites „საავტორო უფლებები“.

ფორუმებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა სტანდარტული ენის ნორმების დაცვას, მაგრამ, ამავე დროს, მკაცრად იზღუდება უცენზურო/უტაქტო სიტყვების გამოყენება. მაგ., ფორუმებზე არაიშვიათია ასეთი ცნობები: „მომხმარებლის ნიკი „კოტე“ მოსპობილია ფორუმის წესებისა და ნეტიკეტის სისტემატური და ბოროტი დარღვევისათვის“
(იხ.:
www.mamuli.net/portal/ge/forum/forum_posts.asp?TID=208&PN=4&get=last).

nick/nickname „მეტსახელი“; netiquette/ნეტიკეტი: net etiquette > netiquette „ინტერნეტში (ნეტ-ში) ქცევის წესები“.

ქართული ფორუმების ენაში ინგლისური ტერმინები ქართული ფონეტიკისა და მორფოლოგიური ყალიბების გათვალისწინებით ფორმდება; მაგალითად,

1. ინგლისური ზმნა To log out „სისტემიდან გამოსვლა“, ქართულში სახელობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით გადმოდის: „ლოგაუთი“.

2. ინგლისური ზმნა To sit down ქართული ზმნის ფუძე ხდება: "დავსითდაუნდეეთ" (იხ. „გოგჩოების“ ლექსიკონი - www.teen.ge).

3. ინგლისური წინადადება Speak to me „დამელაპარაკე“ ქართული ანბანით გადაწერილი გვხვდება: სფიქ 2 მი, სადაც ორიანი ინგლისურში მიმართულების to -წინდებულის შესატყვისია, ვინაიდან ორის ინგლისური წარმოთქმა to-წინდებულისას წააგავს. მსგავსი მაგალითები უხვად გვხვდება ინგლისურ ფორუმებზეც და ისინი აკრონიმების სახელწოდებითაა ცნობილი: 4U= For You „შენთვის“, AFAIK - As far as I know „როგორც ვიცი“, „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია“ და სხვ... შდრ. ქართულ ვებ-გვერდიდან ამოღებული მაგალითი: gi2gi – მნიშვნელობა: „გიორგი“ (http://tops.ge/?id=7131&cat=12#306) შდრ., მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ე. წ. „მესიჯების“ ენისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ქართული აბრევიატურა: „მსჯ“ – „მესიჯი“, „გკ“ – „გკოცნი“, „პკ“ – (<<"пока") „დროებით“, შდრ. მაგალითები: „შენი მსჯ არ მომსვლია“, „კარგი, გკ პკ“.

4. ზმნათა წარმოებისას მომხმარებელთა უმრავლესობა მოქმედებითი გვარის, ორპირიანი გარდამავალი ზმნის ყალიბს იყენებს, მაგ.:

„ვ-ა-ლოგაუთ-ებ“ (მოქმედებითი გვარი, აწმყოს მწკრივით გამოხატული მოქმედება),

„და-ვ-ა-შათდაუნ-ე“ (მოქმედებითი გვარი, წყვეტილის მწკრივით გამოხატული მოქმედება),

„და-მ-ი-ლინკ-ე“ (მოქმედებითი გვარი, ობიექტური წყობა, მწკრივი: მეორე ბრძანებითი, დრო მომავალი),

„ვ-ლოგაუთ-დ-ებ-ი“ (-დ სუფიქსიანი ვნებითი, აწმყოს მწკრივით გამოხატული მოქმედება)...

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური სიტყვების (log out, netiquette, net და ა. შ.) დამკვიდრება საინტერნეტო ქართულში შესაბამისი ტერმინოლოგიის არ-

არსებობამ განაპირობა. აქვე დგება მომავალში ინგლისურის, როგორც უნივერსალური ენის სტატუსის საკითხიც.

რა ხდება ამ მხრივ სხვაენოვან ფორუმებზე? მაგ., რუსულ „ჩატებზე“ უხვადაა ოკაზიონალიზმები, თუმცა ქართულთან შედარებით რუსულენოვან ვებგვერდებზე უკეთესი ვითარებაა, რადგან, დამკვიდრებულია ძირითადი კომპიუტერული ტერმინების რუსული შესატყვისები; მაგ., გვხვდება Сообщение – შეტყობინება და არა პოსტი (post – ფოსტა, შეტყობინება) განსხვავებით ქართულისგან. თუმცა ხშირია ბარბარიზმებიც: მაგ., ერთ-ერთი წევრი No Panic-ი წერს:

"да помагите плззз" (იხ.:http://www.volchat.ru/forum/viewtopic.php?t=16498).

плззз << please „გთხოვთ/გეთაყვა“...

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, ქართული ინტერნეტის ენა, რომელიც, საკმაოდ სამართლიანად, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ქართული ენის ერთ-ერთი ახალი ქვესისტემა, ჯერჯერობით ჟარგონს უფრო ჰგავს, თუმცა, გარკვეულწილად მაინც ხდება მისი საზოგადოებრივი „კონტროლი“ (უცენზურო სიტყვების აკრძალვის ფაქტი).

ვირტუალური კომუნიკაციები უფრო და უფრო არსებით ადგილს იჭერს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, ამდენად, სასურველია, სახელმწიფო დონეზე დაიგეგმოს ქართული სტანდარტული ენის საინტერნეტო (ვირტუალური) ვარიანტის განვითარება; კერძოდ, სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით უნდა შეიქმნას და, რაც მთავარია, რეალურად დაინერგოს:

– კომპიუტერის /ოპერაციული სისტემის ტერმინოლოგია;
– საკომუნიკაციო ტერმინოლოგია;
– საინტერნეტო ქსელისთვის საჭირო აბრევიატურები;
– „ხატულების“ ქართული სახელწოდებები და სხვ.

აშკარაა:

ელექტრონულ კომუნიკაციაში მკვიდრდება პარალინგვიზმების ახალი სახე, იქმნება ემოციური თხრობის ახალი ფორმა და ვირტუალური სივრცის ქმნილება თანდათან მკვიდრდება რეალურ კომუნიკაციაშიც... ზემოთ აღნიშნული ტენდენცია ჯერჯერობით გამოიკვეთა ინტერნეტის ენაში, მალე აუცილებლად გაჩნდება ჩვენს რეალურ სამეტყველო კოდში, მის ლექსიკასა და ტერმინოლოგიაში.

ლიტერატურა

ნ. ფუტკარაძე, ელექტრონული და რეალური კომუნიკაციების ურთიერთგავლენის ერთი ასპექტისათვის, XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები 2007.

ნ. ფუტკარაძე, საინტერნეტო დიალოგების (ფორუმების) ტერმინოლოგიისათვის (ქართული, რუსული და ინგლისური მასალის მიხედვით, ბუნებრივ ენათა დამუშავება, VI კონფერენციის მასალები, თბილისი 2008.

Л. Ю. Иванов, Функции глобальной сети (ГС) и функции языка, Язык интернета, заметки лингвиста, 2000. www.ivanoff.ru/rus/OZHWEB.htm

Т.И. Рязанцева, Некоторые особенности реализации коммуникативных принципов и стратегий в условиях компьютерно-опосредованного общения,

- www.ffl.msu.ru/img/pages/File/ryazantseva_1_07.doc)
- www.bigcrow.wordpress.com
- www.dialog-21.ru/materials/archive.asp?id=6683&y=2001&vol=6077
- www.forum.ge/?f=79&showtopic=33778817
- www.mamuli.net/portal/ge/forum/forum_posts.asp?TID=208&PN=4&get=last
- www.teen.ge
- http://tops.ge/?id=7131&cat=12#306
- www.research.microsoft.com/~mbj/smiley/smiley.html
- www.volchat.ru/forum/viewtopic.php?t=16498
- www.smiley.clan.su

Natia Putkaradze

Some Questions of the Internet Language

Summary

The language of the internet dialogs changes day by day. The users of the forum spend a lot of time on posting and discussing their own and others' opinions. It is obvious that during the internet communication, as during a face to face conversation, the need for the expression of emotion appears.

Using the global net the speaker (poster) expresses his mood (which is characterized by gesticulation in a direct conversation) by means of emoticons (the so-called "smileys", e.g.: :)- smiling, :*-kissing, etc.). Along with smileys, expressing various modes and actions/ situations, the emotion is also conveyed by the "unusual" repetition of final letters and punctuation (i.e. the language of forum lacks academic punctuation).

The language of chat-rooms is characterized by

1. Abbreviation of words and phrases;
2. Accentuation of particular words by a specially increased font;
3. Specific terminology, etc.

Accordingly, the new form of the dialog is introduced into the electronic communications that are characterized by: new varieties of paralinguisms, maximal economy of narration, and specific terminology. The terminology of the Georgian Internet-conversation is a special area of the Georgian Internet-space. The

computer language, and main terms respectively, are based on the English language. Accordingly, the terminology of Georgian chat-rooms is congested with English words, loan-translations of English terms and English-stem words with Georgian affixes (E.g. „ერთხელ დავპოსტე ის, რასაც თსუ-ს იურ ფაკზე ვფიქრობდი და **ვორნი** მივიღე“ (http://forum.ge/?f=79&showtopic=33778817);
("Once I've posted what I thought about TSU *Iur Fak* and got a warning");
cf. to warn; *Iur Fak* – the Faculty of Law
„და-ვ-პოსტ-ე“
[da-v-post-e] << I have posted
(to post)
„ვორნ-ი“
[worn-i] - << warning

Georgian IT terminology is not established yet, that is why English words are so popular in Georgian online word-building. On the other hand, another question arises: Why English? Is English a universal language? Virtual communications become more and more popular and significant for the present-day world, therefore it is important to plan the development of the standard Georgian Internet language at the state level. In particular, with the active participation of specialists the following should be created and introduced:

1. Georgian IT Terminology;
2. Communication terminology;
3. Abbreviations necessary for the Internet;
4. Georgian names of "icons", etc.

მორფოლოგია/სინტაქსი

მარინა ალექსიძე

რუსულ ენაში პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სინტაქსური კავშირის არსის შესახებ

პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სინტაქსური კავშირის არსის განსაზღვრის პრობლემა მიეკუთვნება თანამედროვე სინტაქსის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათა რიცხვს. ამ კავშირის არსის განსაზღვრა წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს მთელი პრედიკატული ერთეულის სტრუქტურის გაგებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში საუბარია იმ კომპონენტების ურთიერთობაზე, რომლებიც შეადგენენ პრედიკატული ერთეულის ბირთვს, მის სტრუქტურულ საფუძველს.

ჩვენ განვიხილავთ რუსულ ენაში პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის არსებულ მიმართებას – ანუ მიმართებას ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.

თანამედროვე სინტაქსისტებს ჯერჯერობით არ აქვთ რუსულ ენაში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის სინტაქსური კავშირის ერთიანი გაგება. არსებული სხვადასხვა შეხედულების არსი საბოლოო ჯამში მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა იყოს განხილული ეს კავშირი: როგორც ცალმხრივი დამოკიდებულება შემასმენლის ქვემდებარისაგან, თუ საჭიროა მისი ინტერპრეტაცია როგორც ურთერთდამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება ორივე კომპონენტის სინტაქსურ თანასწორობას.

პირველი თვალსაზრისი ტრადიციულია რუსული ენათმეცნიერებისათვის, თუმცა წარსულის ლინგვისტური მემკვიდრეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ XIX საუკუნის რუსი გრამატისტების უმრავლესობა წინადადების გაბატონებულ და მაორგანიზებელ ცენტრად თვლიდა შემასმენელს და არა ქვემდებარეს (Востоков 1874, 116, 122; Давыдов, 1852, 272; Буслаев 1959, 258-259; Потебня 1958, 84, 116).

ძირითად არგუმენტად, როგორც წესი, მოჰყავდათ ზმნური („შემასმენლური“) ფორმების არსებობა ყველა ტიპის მარტივ წინადადებაში. ამასთან ანგარიშს არ უწევდნენ შემასმენლის ფორმალურ შეწყობას („მიმსგავსებას“) ქვემდებარესთან. ეს თვალსაზრისი ვრცლად არის ჩამოყალიბებული დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის „რუსული ენის სინტაქსში“, სადაც იგი წერდა: „...შემასმენლობის (сказуемость) ყველა სახეობა საკუთარი ფსიქოლოგიური ბუნების გამო წარმოადგენს იმდენად მნიშვნელოვან, თვითმყოფად სინტაქსურ ფორმებს, რომ მათი შეთანხმება ქვემდებარესთან საერთად არ მიესადაგება ნამდვილი დამოკიდებულების არსს; ეს არის დამოკიდებულება წმინდა

ფორმალური, გარეგნული და მას სავსებით მიესადაგება სახელწოდება ‘ფიქტიური’ “ (Овсянико-Куликовский 1912, 22).

თანამედროვე ავტორები უკვე არ თვლიან, რომ შემასმენლის ფორმალური დამოკიდებულება ქვემდებარისაგან არის მხოლოდ გარეგნული, ფიქტიური. ახლა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არსებულ სინტაქსურ კავშირს ხშირად ახასიათებენ როგორც ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთკავშირს, რომელიც იქმნება შეთანხმებისა, სადაც რეალიზაციას პოულობს შემასმენლის დამოკიდებულება ქვემდებარისაგან, და მართვის, რომელშიც რეალიზდება ქვემდებარის დამოკიდებულება შემასმენლისაგან, თანაარსებობით (Белошапкова 1977, 38).

რა თქმა უნდა, პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის არსებული სინტაქსური კავშირის ამგვარი გაგება გამართლებულია პრედიკატული ერთეულის არა ყველა სტრუქტურული ტიპის მიმართ, არამედ მხოლოდ ისეთის, სადაც ქვემდებარე გამოხატულია არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით სახელობით ბრუნვაში, შემასმენელი კი – ზმნის პირიანი ფორმით. აღნიშნულ გაგებას საფუძვლად უდევს სახელობითი ბრუნვის გრამატიკული მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციების გაიგივება სხვა დანარჩენი ბრუნვების გრამატიკულ მნიშვნელობასა და სინტაქსურ ფუნქციებთან. ვინაიდან ბრუნვის ფორმები საერთოდ გამოხატავენ სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას შესიტყვებისა და პრედიკატული ერთეულის კომპონენტებს შორის, ეს ფორმები დამოკიდებული, მართვადი ფორმები არიან: რუსულ ენაში სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას შესიტყვებებში და პრედიკატულ ერთეულებში ჩვეულებრივ გამოხატავს დამოკიდებული სიტყვის ფორმა.

ამავდროულად ზოგიერთი რუსი გრამატისტი გამოთქვამდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქვემდებარის სახელობითი ბრუნვა არ გამოხატავს არანაირ სემანტიკურ მიმართებებს. ასე, მაგალითად, ა. შახმატოვი მიუთითებდა, რომ „ქვემდებარე აღნიშნავს ცალკეულ წარმოდგენას ან წარმოდგენათა კომპლექსს, რომელიც არ არის დაკავშირებული ნების ძალასთან, მიმართულს სხვა წარმოდგენებთან კავშირის დამყარებაზე” (Шахматов 2007, 162). უფრო მკაფიოდ ეს აზრი ჩამოყალიბებულია ზოგიერთ თანამედროვე სინტაქსისტთან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „ქვემდებარის პოზიციას იკავებენ სიტყვის წმინდა ნომინაციური ფორმები, ანუ ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ ასახელებენ საგნებსა და მოვლენებს და არ აღნიშნავენ არანაირ სინტაქსურ მიმართებას“.

ამრიგად, ქვემდებარის შემასმენლისაგან სინტაქსური დამოკიდებულების მტკიცება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ პრედიკატული ერთეულის შემადგენლობაში ქვემდებარე არ გამოხატავს არანაირ სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას. პრედიკატული ერთეულის ამა თუ იმ კომპონენტთა შორის სემანტიკურ-სინტაქსურ ურთიერთობებში ჩვენ ვგულისხმობთ სინტაქსური კავშირის მიერ გამოხატულ ინფორმაციას ამ კომპონენტების მიერ აღნიშნულ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირებისა და მიმართებების შესახებ.

ჩამოყალიბებულ დებულებას თვალნათლივ ამტკიცებს ისეთი პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სემანტიკურ-სინტაქსური მიმართების ანალიზი, სადაც ქვემდებარე გამოხატულია არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით.

სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას შემასმენელსა და სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს შორის ჩვეულებრივ განსაზღვრავენ როგორც „პრედიკატული ნიშნის მისი მატარებლისადმი (სუბიექტი) კუთვნილების მიმართებას“. დეფინიცია, რა თქმა უნდა, უკიდურესად ზოგადია. პრედიკატული ერთეულის ყოველი სტრუქტურული ტიპისათვის დამახასიათებელია მთავარ კომპონენტთა შორის საკუთარი, განსაკუთრებული ტიპის სემანტიკურ-სინტაქსური მიმართება. ასე, მაგალითად, პრედიკატულ ერთეულში, რომელიც აგებულია სტრუქტურული სქემის $N_1 – V_f$ მიხედვით, რეალიზებულია „მიმართება სუბიექტსა და მის პრედიკატულ ნიშანს – მოქმედებასა ან პროცესუალური მდგომარეობას – შორის“ (Русская грамматика 1980, 252). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, შეიძლება ვილაპარაკოთ ორი ტიპის სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებაზე – მოქმედების კუთვნილებაზე მისი სუბიექტისადმი და მდგომარეობის მისი მატარებლისადმი. სტრუქტურული სქემა $N_1 – Adj_1$ გამოხატავს „მიმართებას სუბიექტსა და მის პრედიკატულ ნიშანს – თვისებასა ან ხარისხს – შორის“ (Русская грамматика 1980, 289), და სტრუქტურული სქემის $N_1 – Pread_{кратк.}$ მნიშვნელობა კი ხასიათდება როგორც „მიმართება სუბიექტსა და მის პრედიკატულ ნიშანს – მდგომარეობას როგორც მოქმედების შედეგს – შორის“ (Русская грамматика 1980, 298).

როგორც ჩანს ჩვენ მიერ მოყვანილი განსაზღვრებებიდან, სამივე სტრუქტურული სქემის სემანტიკა განსხვავებულია, განსხვავებულია აგრეთვე ის სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებები, რომელიც აკავშირებს ამ სტრუქტურული სქემების კომპონენტებს. ამავდროულად ყველა ამ სქემას აქვს ერთი საერთო კომპონენტი - N_1 - არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი სახელობითი ბრუნვის ფორმაში, რომელიც ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას. ცხადია, რომ ამ კომპონენტის არსებობა მარტივი ორშემადგენლიანი წინადადების სხვადასხვა სტრუქტურული სქემის შემადგენლობაში არ არის დამოკიდებული მეორე კომპონენტთან (შემასმენელთან) მისი აზრობრივი (სემანტიკური) მიმართებების ხასიათზე. ამ გაგებით ქვემდებარე, რომელიც გამოხატულია არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით, უნივერსალურია. ამგვარი ქვემდებარის მქონე სტრუქტურულ სქემათა მთავარ კომპონენტებს შორის სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების სპეციფიკა გამოიხატება შემასმენელის მეშვეობით.

ჩამოყალიბებულ დებულებას თვალნათლივ წარმოაჩენს სინონიმური კონსტრუქციები, სადაც შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ არსებითი სახელის წინდებულიანი ფორმები. ასე, მაგალითად, წინადადებაში "Приезжай – с портфелем" მიმართება „საგნის კუთვნილება პირისადმი“ გამოხატულია არსებითი სახელის **с**- წინდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით. ამ

წინადადების ტრანსფორმაციისას ფრაზაში "У приезжего – портфель" იგივე მიმართებებს გამოხატავს **у**- წინდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. მაგრამ ორივე შემთხვევაში მთავარ კომპონენტებს შორის სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების ფორმალური მაჩვენებელია შემასმენლის სინტაქსური ფორმა.

ამრიგად, ქვემდებარის სახელობითი ბრუნვა არის დამოუკიდებელი და, აქედან გამომდინარე, არამართვადი ფორმა, ვინაიდან ის არის წმინდა ნომინაციის ბრუნვა, რომელიც არ გამოხატავს არანაირ სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებებს. ეს სემანტიკური თვისება დამახასიათებელია აგრეთვე მიმართვის ფუნქციაში გამოყენებული სახელობითი ბრუნვისათვის, რომელიც ასრულებს მარტივი ერთშემადგენლიანი წინადადების მთავარი წევრის როლს. ამგვარ წინადადებებს იზოლირებულად იყენებენ სათაურებში, აბრებში, სახელწოდებებში და ა. შ. სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციის მიუხედავად, ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სახელობით ბრუნვას აქვს ერთი გრამატიკული მნიშვნელობა – სინამდვილის ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის წმინდა ნომინაციის, დასახელების მნიშვნელობა სხვა საგნებსა და მოვლენებთან მათი კავშირებისა და მიმართებების მიუხედავად.

ამ დებულებას ადასტურებს აგრეთვე ფსიქოლინგვისტიკის მონაცემები. ნ. უფიმცევა, ბრუნვათა ფორმების ხმარების დროს ყრუ-მუნჯთა მიერ დაშვებული შეცდომების შესწავლისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სახელობითი ბრუნვა ყველაზე მდგრადია შეცდომების მიმართ და ამავდროულად არის სხვა ბრუნვების ყველაზე ხშირი შემცვლელი“ (Уфимцева 1979, 18). და ვინაიდან ყრუ-მუნჯთა შეცდომები ბრუნვების ხმარების დროს განპირობებულია იმით, რომ „ბრუნვის ფლექსია არანაირად არ არის დაკავშირებული მის მიერ გამოხატულ მიმართებებთან“ (Уфимцева 1979, 17), შესაძლებელია ვივარაუდოთ შემდეგი: სახელობითი ბრუნვა იმიტომ არის ყველაზე მდგრადი შეცდომებისადმი და იმიტომ ცვლის ყველაზე ხშირად სხვა ბრუნვას, რომ არ გამოხატავს არანაირ აზრობრივ (სემანტიკურ) მიმართებებს.

ყველაფერი, რაც ითქვა სახელობითი ბრუნვის ქვემდებარის როლში გრამატიკული მნიშვნელობის შესახებ, ჩვენი აზრით, შეიძლება მივაკუთვნოთ ზმნის ინფინიტივსაც, რომელიც ამავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. განსხვავება იმ სტრუქტურულ სქემათა სემანტიკას შორის, რომელთა შემადგენლობაში შედის ქვემდებარე-ინფინიტივი, განპირობებულია შემასმენლის გამოხატვის საშუალებებს შორის განსხვავებებით. სწორედ შემასმენელი გამოხატავს ასეთი ქვემდებარის შემცველ პრედიკატულ ერთეულებში სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებებს მთავარ კომპონენტთა შორის.

ამრიგად, ქვემდებარის მთავარ სინტაქსურ ნიშანს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა პრედიკატული ერთეულის სხვა კომპონენტებისაგან, რომელიც განპირობებულია ქვემდებარის სინტაქსური მნიშვნელობის სპეციფიკით. აქედან გამომდინარე, ქვემდებარე შეიძლება განისაზღვროს როგორც პრედიკატული ერთეულის სინტაქსურად დამოუკიდებელი მთავარი კომპონენტი, რომელიც

განისაზღვრება პრედიკატულად და ჩვეულებრივ წარმოდგენილია არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვით და აგრეთვე ზმნის ინფინიტივით.

შემასმენლის ძირითადი თვისებები, ჩვენი აზრით, შემდეგია: 1) სინტაქსური დამოკიდებულება ქვემდებარისაგან (ამით შემასმენელი განსხვავდება ერთშემადგენლიანი წინადადების მთავარი წევრისაგან) და 2) ის, რომ მას მიეკუთვნება ობიექტური მოდალობისა და სინტაქსური დროის მნიშვნელობა (რითაც შემასმენელი განსხვავდება წინადადების სხვა წევრებისაგან). ამ ნიშნების გათვალისწინებით შემასმენელი უნდა განისაზღვროს, როგორც ქვემდებარეზე დამოკიდებული პრედიკატული ერთეულის მთავარი წევრი, რომელიც გამოხატავს ობიექტური მოდალობისა და სინტაქსური დროის მნიშვნელობას. ასეთ დეფინიციას შეუძლია მოიცვას რუსული ენის ყველა ტიპის შემასმენელი მათი სინტაქსური გამოხატულების თავისებურებისა და სტრუქტურული მრავალსახეობის მიუხედავად.

სინტაქსში ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირდება შემასმენლის ის სახეობები, რომლებიც ფორმალურად მიემსგავსებიან (შეეწყობიან) ქვემდებარეს, და ის სახეობები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი ამგვარი ფორმალური მიმსგავსებისა (შეწყობისა).

შემასმენლის ფორმალურ მიმსგავსებას (შეწყობას) ქვემდებარესთან ჩვეულებრივ უწოდებდნენ „შეთანხმებას“. შემდეგ გავრცელდა ახალი ტერმინი – კოორდინაცია. ითვლება, რომ ქვემდებარისა და შემასმენლის კოორდინაცია გარეგნულად ემსგავსება სიტყვათა დამოკიდებულების ისეთ სახეობას, როგორიცაა შეთანხმება. მაგრამ ასეთი შეკავშირების შინაგანი ხასიათი და მისი გრამატიკული ნიშნები სხვანაირია, ვიდრე შეთანხმების დროს (Русская грамматика 1980, 94).

შეთანხმებასა და კოორდინაციას შორის არსებულ ძირითად განსხვავებათა რიცხვს მიაკუთვნებენ შემდეგს: 1) შეთანხმების დროს დამოკიდებული სიტყვის ფორმა ექვემდებარება გაბატონებული სიტყვის ფორმას; ქვემდებარისა და შემასმენლის კოორდინაციის დროს კი ადგილი აქვს ფორმათა ურთიერთშეფარდებას, რომელთა შორის არც ერთი არ არის არც გაბატონებული, არც დაქვემდებარებული; 2) შეთანხმების დროს სინტაქსურ კავშირს ადგილი აქვს შეთანხმებული სიტყვების ყველა ფორმაში (новый дом, нового дома, новому дому...); 3) შეთანხმების, როგორც სინტაქსური კავშირის ერთ-ერთი სახეობის, საფუძველზე იქმნება შესიტყვება, რომლის ცვლილება ექვემდებარება გაბატონებული სიტყვის ფორმის ცვლილებას (*новый дом, нового дома, новому дому...*); წინადადება, რომლის მთავარი წევრები კოორდინირებენ ერთმანეთთან, შედის წინადადების პარადიგმაში და იცვლება მისი ფორმაცვალებადობის წესების მიხედვით (*Дом - новый; Дом был новый/новым; Дом будет новый/новым...*). 4. შეთანხმების დროს შესიტყვებაში იქმნება განსაზღვრებითი (არაპრედიკატული) მიმართება; კოორდინაცია კი აფორმებს ისეთ კავშირს,

როდესაც ესა თუ ის ნიშანი განეკუთვნება კონკრეტულ დროს, ანუ არის პრედიკატული (Русская грамматика, 1980 94-95).

ამ არგუმენტთა შორის, რომელიც სახელდება კოორდინაციის როგორც სინტაქსური კავშირის განსაკუთრებული ტიპის დასაცავად, პირველი, მეორე და მესამე სადავოა, მეოთხეს კი თავისთავად არ შეუძლია იყოს საკმარისი საფუძველი სინტაქსური კავშირის ახალი ტიპის გამოყოფისათვის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. როგორც უკვე აღინიშნა, პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სინტაქსური მიმართებები არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც თანასწორობისა და ურთიერთდამოკიდებულების მიმართება. ვინაიდან აზრობრივ, სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას გამოხატავს შემასმენელი, ქვემდებარე კი პრედიკატულ ერთეულში ასრულებს წმინდა ნომინაციურ ფუნქციას, უნდა ვაღიაროთ, რომ სინტაქსურ მიმართებას ამ სიტყვათფორმებს შორის აქვს შემასმენლის ქვემდებარისაგან ცალმხრივი დამოკიდებულების ხასიათი.

წმინდა ფორმალური თვალსაზრისით უნდა ვაღიაროთ, რომ რუსულ ენაში შემასმენლის ქვემდებარისადმი ფორმალური მიმსგავსებისას (შეწყობისას) შემასმენლის პირის, რიცხვის და სქესის ფორმების გამოყენება განპირობებულია, პირველ რიგში, ქვემდებარის გრამატიკული ფორმებით. შეთანხმებული სიტყვის გრამატიკული ფორმის არჩევის სინტაქსური მექანიზმი ერთნაირია პრედიკატული ერთეულის პრედიკატული საფუძვლის დონეზეც და შესიტყვების დონეზეც.

2. შესიტყვების "новый дом" მოყვანილი პარადიგმა ეფუძნება არსებითი სახელის "дом" პარადიგმას. მაგრამ არსებითი სახელის პარადიგმაში, როგორც ცნობილია, შედის არა მარტო ბრუნვის ფორმები, არამედ რიცხვის ფორმებიც. შემასმენლის ქვემდებარესთან შეთანხმების დროს სინტაქსური კავშირი რიცხვის ორივე ფორმას გასდევს (Дом – новый; Дома – новые. შდრ. აგრეთვე: Он новый. Она новая. Оно новое. Они новые).

3. ამრიგად, სიტყვათა შეწყობა, რომელიც აგებულია შემასმენლის ქვემდებარესთან შეთანხმების საფუძველზე, ასევე შეიძლება შეიცვალოს გაბატონებული სიტყვის ცვლილების მიხედვით.

4. სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებას შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის ჩვეულებრივ ახასიათებენ როგორც პრედიკატულს. მაგრამ ზმნის კილოსა და დროის გრამატიკული კატეგორიები, რომლებშიც ხდება პრედიკატულობის მნიშვნელობის რეალიზაცია, არ განსაზღვრავენ პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის არსებულ სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების არსს (მაგალითად, მოქმედების კუთვნილება სუბიექტისადმი ან გარკვეული

ნიშნის მის მატარებლისადმი). კილოსა და დროის კატეგორიების მეშვეობით ხდება ამ მიმართებების გადატანა გარკვეულ დროით-მოდალურ პლანში. ამრიგად, შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან ცოტა რამეთი თუ განსხვავდება განსაზღვრების შეთანხმებისაგან არა მარტო ფორმალური, არამედ სემანტიკური მხრიდანაც.

აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ არ არის საკმარისად საფუძვლიანი მიზეზები, რის გამოც ჩვენ უნდა ვთქვათ უარი შემასმენლის ქვემდებარისადმი ფორმალური მისადაგების (შეწყობის) დახასიათებისას ტრადიციული ტერმინის „შეთანხმება“ გამოყენებაზე. პირველ რიგში, ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც შემასმენელი გამოხატულია ზმნის პირიანი ფორმით, ზედსართავი – სახელით ან ვნებითი გვარის მიმღეობით.

თუკი შემასმენელი გამოხატულია არსებითი სახელით (ზმნური კოპულათი ან მის გარეშე), მაშინ პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სინტაქსური კავშირის ტიპი უკვე სხვაგვარია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ შემასმენლის როლში ფუნქციონირებული არსებითი სახელის რიცხვისა და ბრუნვის ფორმები დამოკიდებულია არა ქვემდებარის გრამატიკულ ნიშნებზე, არამედ სხვა ფაქტორებზე. ლინგვისტურ ლიტერატურაში ასეთ სინტაქსურ კავშირს ზოგჯერ უწოდებენ „კორელაციას“.

ლიტერატურა

Белошапкова 1977 – Белошапкова В. А., Современный русский язык, Синтаксис, М. 1977.

Буслаев 1959 – Буслаев Ф. И., Историческая грамматика русского языка, М. 1959.

Востоков 1874 – Востоков А. Х., Русская грамматика, 12-е изд. СПб. 1874.

Давыдов 1852 – Давыдов И. И., Опыт общесравнительной грамматики русского языка, 2-е изд., СПб. 1852.

Овсянико-Куликовский 1912 – Овсянико-Куликовский Д. Н., Синтаксис русского языка, 2-е изд. СПб. 1912.

Потебня 1958 – Потебня А. А., Из записок по русской грамматике, .Т.1-2, М. 1958.

Русская грамматика 1980. Русская грамматика. М.,. Т.2. Синтаксис.

Уфимцева 1979 – Уфимцева Н. В., Психолингвистические характеристики функционирования категории падежа существительного в русском языке // Психолингвистические проблемы грамматики, М. 1979.

Шахматов 2007 – Шахматов А. А.,Синтаксис русского языка, Изд. 4, 2007.

Marina Aleksidze

On the Essence of the Syntactic Relationship between the Main Components of the Predicative Unit in the Russian Language

Summary

The article deals with the syntactic relations formed between the main parts of a two-member sentence in the Russian language.

In the recent period there has appeared a tradition to define these relations as interdependence, coordination, which is a result of the co-existence of agreement, in which the dependence of the predicate on the subject is realized, and governance, in which the dependence of the subject on the predicate is realized. It is demonstrated in the article that the Nominative case of the subject is the case of pure nomination, which does not express any semantic-syntactic relations, hence, the Nominative case of the subject is an independent and non-governable form.

The analysis of the arguments substantiating the difference of agreement and coordination, shows their unfoundedness, and proceeding from this, it should be acknowledged that there are no well-grounded reasons to single out a new syntactic relationship and to reject the traditional term "agreement" when characterizing the formal correspondence of the predicate with the subject.

ქეთევან გიგაშვილი

II ხოლმეობითი საშუალი საუკუნეების ძეგლთა ენის მიხედვით

II ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში მრავალგზისი ჯერობის გამოხატვა იყო წარსულ დროში, რითაც იგი ოპოზიციურ წყვილს ქმნიდა წყვეტილთან, როგორც ერთგზისი ჯერობის გამომხატველ მწკრივთან. II ხოლმეობითი წყვეტილს III პირის ნიშნებითაც უპირისპირდებოდა. აქ ისეთივე სურათი გვქონდა, როგორც აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის შემთხვევაში. ამ პერიოდის ენაში ხშირია ამ ოპოზიციურ წყვილთა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები, რაც ხოლმეობითის მწკრივთა შესუსტებაზე მიუთითებს. II ხოლმეობითის მოშლის დასაწყისი „სინურ მრავალთავში“ შეინიშნება, სადაც მას, მართალია, იშვიათად, მაგრამ უკვე წყვეტილის ფორმები ენაცვლება. ამ ტიპის რამდენიმე მაგალითი გამოვლენილია ოთხთავის ნუსხებშიც. ფიქრობენ, რომ ეს მწკრივი ზოგ დიალექტში ამ დროისათვის უკვე მოიშალა. ეს უნდა მომხდარიყო სამხრეთ ქართულ დიალექტურ არეალში, რომელსაც ემყარებოდა VIII-XI საუკუნეთა ქართული სამწერლობო ენა (სარჯველაძე 1984, 449, 451).

ბუნებრივია, წყვეტილის მწკრივთან შენაცვლების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირდება საშუალ ქართულში. შენაცვლება მაშინაც ხდება, როცა მრავალგზისი ჯერობა გამოიხატება და მაშინაც, როცა ზმნის შინაარსით ერთგზისი ჯერობა იგულისხმება. ნიმუშები:

„ზოგჯერ შემცვიან სევდათა, **ვთქვნი** საწუთროის გმობანი“ (ვეფხ., 393 (90), დ); შდრ.: **ვჰთქვენი** ABMXA[1].

„მივდიოდი გზასა, ლაშქარი თუ მჴეცი **გარდამეკიდის, მოვერივი** ყუელასა“ (ამირანდ., 370, 1-2); შდრ.: **მოვერივე** ORT.

„შეასხიან ქება და **მოართუიან** ძღუენი ამირან დარეჯანისძესა, მოვიდიან მებუკე-მედაბდაბენი“ (იქვე, 305, 7-8); შდრ.: **შიასხეს** B, **შეასხეს** KLMRT, **შეასხნეს** N, **მოართვეს** B.

ამ მაგალითებში მოქმედების მრავალგზისობა გადმოიცემა.

დავიმოწმებთ ნიმუშებს, სადაც ჯერობა ერთგზისია, მაგრამ გამოიყენება II ხოლმეობითი:

„იგი იყო უმჯობესი მათ შორის, რომელმან **დაყარის** აბჯარი და ტანისამოსი და შიშველი მირბოდის“ (ქ. ცხ., II, 446, 6-7). ამ წინადადებაში უწყვეტლის ხოლმეობითიც უწყვეტლის ნაცვლადაა ნახმარი.

„დილასა მცველმან მისმან **ჩამოხურნის** კარნი და **დაამწყვდივის** მას შინა“ (ქ. ცხ., IV, 29, 11-12); შდრ.: **ჩამოხურის** A.

„მეორესა დღესა **შეჯდის** მეფე... და **მივიდის** ადრიან“ (იქვე, 29, 12-13).

რა თქმა უნდა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც II ხოლმეობითი წყვეტილთან შენაცვლების გარეშე იხმარება. მაგალითები:

„აჰყარის გარეთ ნადიმი, საწოლსა **შევიდის,** დიდებულნი თანა **შეიტანნის,** უკეთესი და უშუენიერესი ნადიმი მუნ **გარდაიჯადის“** (ამირანდ., 363–364).

„ვისცა კარგი ავაზა **ჰყვის**... მის სახლისა მისვლის ჟამისათუის **შეინახიან“** (იქვე, 362, 5-7);

„დღივ და ღამე ვტიროდი, ნადირობასა ვიყავ თუ სუმად **ვჯდი“** (ვისრ., 252, 30-31).

„მჯობი და უძვირფასესი ჭურჭელი **მოიღის,** უმხიარულე ნადიმი **დაუდვის** და ყოველივე **უძღვნის“** (ს. ს. ორბ., I, 9, 4-5).

„კაცი ერთი ჩაღმართს **ჩავიდის, აიკიდის** ლოდი მრგვალი, **ამოვიდის** აღმართ, **დააგორის,** ჩაღმართ კიდევ **ჩავიდის, აიკიდის, ამოიტანის** და **დააგორის**, ჩამოტანაში ხვნეშოდეს და, რა **დააგორის** ლოდი, იცინოდის“ (იქვე, 92-93); და სხვა.

მწკრივთა შენაცვლების შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენს საანალიზო პერიოდის ძეგლებში. ეს უღლების სისტემის დინამიკურობით აიხსნება, როდესაც ერთ კონკრეტულ ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსის გადმოცემა შეუძლია. II ხოლმეობითი II თურმეობითის ნაცვლადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული:

„დაკრის და, როცა ხმალი გამოიწოდის, კარგმან მუშამ რომ ცელი მოუსოს, იმის მსგზავსად სცელევდის თითოს ხმლის მოქნევით, ეგების ათი-თორმეტი კაცი **მოკლის“** (ამირანდ., 179, 8-9).

„ესეთი დღე არ გარდაჯდის, თუმცა ხათუნნი, დიდებულთა ცოლნი არ **ეწუივნიან** და მათთუის არ გაეხარებია და მაემანი არ ექმნა“ (ვისრ., 287, 288).

გაეხარებია და **ექმნა** II თურმეობითის ფორმებია.

„მის დღითგან დღე აღარ წავიდა ასეთი, რომე სიმდიდრისა მისისა საფერი საბოძვარი არ **მომივიდის** ხელმწიფისაგან“ (რუსუდ., 572, 35-37).

„ხორცსაც იმითი რეცხდენ და ოდეს დახოცდეს, იმ წყალს მიუშვებდეს, რომ სისხლი, ტყავი და თავ-ფეხი იმ წყალმა **წაიღის“** (იქვე, 209, 6-8).

„ფუცვიდეს ღმერთსა, რომელ ქუემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი **გაიარის** და მიწასა ნახევრად **დაესჯს“** (ქ. ცხ., II, 446, 4-5).

ზოგჯერ II ხოლმეობითი იქაც შეიძლება შეგვხვდეს, სადაც დღეს, ჩვეულებრივ, მყოფადის წრეში შემავალი ხოლმეობითი გამოიყენება:

„ესე იყო პირველი აუგი შავისა ჭაბუკისა, რომე რასაცა კაცსა **მოერივის,** არ **დაარჩინის** და ისწრაფდა შუღლსა“ (ამირანდ., 43, 5-6); შდრ.: **მოერეოდის** FLQRS , **მოერეოდა** GHMN, **დაარჩენდის** BFHLMNPS, **დაარჩენდა** G.

„ესე იყო ჩვეულება მის მძინარისა ჭაბუკისა: ვირე არ **შეარყივიან,** არ **გაიღუიძის“** (იქვე, 38, 10-11).

„უკეთუ **შევჯდის**, ფალავანსა გაემარჯუებოდა“ (ქ. ცხ., II, 377,9); შდრ.: **გაემარჯვის** C.

„ესოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუეთა, ვიდრემდის **შეიყვანიან** ქალაქად და ერთად კუტლად ფუკისად **გაყიდიან“** (იქვე, 128, 12-13).

II ხოლმეობითი ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობითაც იხმარება, რაც საინტერესო ფაქტია. ამისი მაგალითები საშუალი საუკუნეების ძეგლებშიც გვხვდება და საკმაოდ ხშირად. ნიმუშები:

„თუ ოქროქსოვილი ჩინური არ **იყვის,** ტანსა არ ჩაიმოსო“ (ვისრ., 223, 19-20).

„მე რა შენგან ჭირნი **მოვიგონნი,** ცეცხლი ფერჯით ტუინამდის გამიკლების და თუალთა ჯეონი მდინდების“ (იქვე, 206, 30-32);

„ვინღა **ჰკადრის** შენ ძმას ვიროს ცნობა“ (იქვე,6);

„უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა **მოსცის** მადლი“ (ქ. ცხ., II, 460, 30-32).

„თქვა, თუ: „ჩვენი საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან **თქვისა“** (თეიმ., I, 88, 230, 2).

როგორც ჩანს, დამოწმებულ მაგალითებში II ხოლმეობითი ან ცვლის მყოფადს, ან ენაცვლება მას. მომავალი დროის გადმოსაცემად იგი II კავშირებითთანაც მონაცვლეობს:

„რა **გათენდეს,** წავალ ხვალე“ (ვეფხ., 272 (71) დ), შდრ.: **გათენდის** ღ.

„და თუ ამისგანი გაყოფილი **გითხრის,** ყოველი ტკბილი აშუნდეს და ამათგანი არა ეამოს, ცან, ვითარმედ სალმობა მისი თელგმისა არს“ (კარაბ., I, 79,19-20).

„სისხლისა გზა **დაუყვის** თელგმამა და მისგან **იქმნის** ძგერა გულისა და გულის ძგერისაგან **იქმნის** წყლით მანკიერობა. **გარდამოვიდის** ღუიძლისაგან წყალი და **შერიის** სისხლი. პირველად **იწყის** გასულად პირისა და კელისა, მაშა შეუკრბეს მუცელსა და მოკლას კაცი“ (იქვე, 124, 15-16).

„რომელნი ოდეს მამათა თანა **დაწვიან** და უძლებ იქმნენ მცირედსა ჟამსა და მერმე ივნონ და რომელთა შემთხუივნენ, მივიწყება ერგების კოლინჯასა ქარსა“ (იქვე, 113, 6-1).

საკმაოდ ხშირია II ხოლმეობითი ამ ფუნქციით სამედიცინო შინაარსის ტექსტებში.

გარდა თხრობითი კილოსი, II ხოლმეობითმა შეიძლება კავშირებითი კილოც გადმოსცეს. ასეთ შემთხვევებში ის II კავშირებითს ცვლის:

„ღორღოვანი, ღრმად მეტყველი ეცადო, რომ სულ **შეიგნი,** მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ **გაიგნი**“ (არჩ., I, 12, 84, 3-4).

„ვითხოვ შემიწყნარო, მიმკვდარებულს **მამაშველი** უკვდავების წყარო“ (გურამიშვ., 220, 20-21).

„ზაალ, მინდა, რომ მარიხმან **შემომადგის** გულსა სვეტი“ (შაჰ-ნამე, I, 354, 1293, დად.).

„ესრეთს რასმეს გვითხრობს, მისი ქმნა არ ეგებოდეს და მეფობავე შენი **მიიღის“** (ს. ს. ორბ., I, 20, 6-7).

„მტერ არიან ყოველთა კაცთა, რათა ნებავს მას, რათა **იხილის** ქონება სხვათა, რათამცა თვით **მიილის** ღონისძიებათა რითამე“ (ს. ს. ორბ., III, 107, 18-20), და სხვ.

იციან ზმნა წარმოშობით II ხოლმეობითია. იშვიათად ის ამ მწკრივის ფორმით ჩნდება:

„რა ჟამი **იციან,** მოსწყუედდიან და ალაფობდიან“ (ქ. ცხ., IV, 271, 13-14).

„რა **იცის** ჟამი, ბრძოდა“ (იქვე, 404, 16-17).

ამ მწკრივში ერთგან **ვთქვი** ზმნის ობიექტური წყობის ფორმა შეგვხვდა:

„ვინ **მთქვის** მე კაცი ხის დარად, დამრგის, ქვე წყალი მისხისა“ (გურამიშვ., 11, 3-6).

საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბრძანებითი კილოს გამოხატვა საშუალ ქართულში II ხოლმეობითსაც შეუძლია. იგი ხშირად მონაცვლეობს წყვეტილის მწკრივთან, რომელიც II პირისთვის უკვე გამოხატავს ბრძანებით კილოს, აქედან გამომდინარე, ამ ფუნქციას ზოგჯერ II ხოლმეობითიც ითავსებს. ეს მწკრივი საშუალ ქართულში (და ძველშიც) ხშირად იხმარება მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად. ბრძანებითი კილო, ძირითადად, მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს. ვფიქრობთ, ამ ფაქტორით უნდა აიხსნას II ხოლმეობითის მიერ ბრძანებითი კილოს ფუნქციის შეთავსება საანალიზო პერიოდში. ნიმუშები: „მითხრა: „ეგრე წასვლისათვის ნუ გაჩნია გულსა დაღი, სიმძიმილთა ერდო დაჰხაშ, სიხარულის კარი **ალი“** [ვეფხ., 400 (397), გ].

„ფიცი, რომელ ავი არა მიყო რა და მოგაკსენოო“ (ამირანდ., 113, 7-8); შდრ.: **ჰფიცე** L.

„სულსა და გულსა მოგიძღვნი, ვით გწადდეს, **ინებიერი!“** (არჩ., I, 166, 246,1).

„ლაშქარი და ხაზინანი, ვით გენებოს, **მაიხმარი!“** (გურამიშვ., 178, 302).

„თუ სწონდე, ესრეთ **წონი,** თუ ზომდე, ესრეთ ზომე**“** (კარაბ., II, 750, 13-14).

აქ II ხოლმეობითი და წყვეტილი უკვე ბრძანებითი კილოს ფუნქციით ეთავსებიან ერთმანეთს.

როდესაც წყვეტილის ნიშნად **–ი** აქვს ზმნას, იქ ძნელი გამოსარკვევია, ბრძანებით კილოს II პირისთვის წყვეტილის მწკრივი გამოხატავს თუ II ხოლმეობითისა:

„დაასხი მას ზედა წყალი და ურიე. და **უშუი** ჟამი ერთი და გაისუენოს და **დაღუარი** წყალი მისი და შუიდჯერ ესე **დაასხი** და მერმე გაღუარო და **გაუშუი,** რომე გაკმეს“ (იქვე, II, 662, 17-19). აქ **დაღუარი** ნამდვილად II ხოლმეობითია.

ბრძანებითი კილოს ფუნქციით III პირის ფორმაც დასტურდება:

„თუ ნახის ნიშანი შავისა ნაღვლისა, **ჩაურთის** შიგა შავი კარის ძირა ანუ აფთიმონი ჩაურთოს ... და მერმე **შეასუის** მისგან ორი მიტყალი... ზოგჯერ

შექნის მარცუალად მუხუდოსა ოდენი და **შეასუის** მისგან ორი მიტყალი... ვითარცა ძალი ნახის სნეულისა, და თუ ნახო ნიშანი და იყოს წითლისა ნაღვლისაგან... ჩაურთოს თანა საყამუნია“ (კარაბ., I, 299, 9-10).

სრულიად ბუნებრივია, რომ აღნიშნული ფუნქციით II ხოლმეობითების გვერდით ხშირად კავშირებითების მწკრივებიც გამოიყენება, რომელთაც საშუალი საუკუნეების ძეგლებში უკვე განაწილებული აქვთ I და II ბრძანებითების ფუნქციები:

„ოდეს ნახოს იგი, იყოს... რეულობისაგან, **შეურივის** ამა წამალთაგან იარაჯსა თანა, რაგუარცა დამიწერია მით წესითა“ (იქვე, 299, 17-19).

„იგი ურევდეს ზეთსა ღარისასა ანუ ზეთსა ბერძნულსა ცუილსა თანა და **უყვიან** შიგა წამლები მკურვალები, რომელ ერგების ამას მელისა სნებასა“ (იქვე, 301, 21-23).

„ოდეს სცხიან მას ადგილსა, რომელსა შინა იყვის ტკივილი და უძლიერესი, უმხურვალესი ფარბიონი იყვის, **დაგალიან** და **აურიან** ზოგთა ამათ ზეთთა შიგან, რომელნი მიკსენებიან და მცირედი ძმრისაგან და უძლიერესი და უმკურვალესი ფარბიონი იყვის, **დაგალიან** და **აურიან** ზოგთა ამათ ზეთთა შიგან, რომელნი მიკსენებიან“ (იქვე, 301, 24-28).

„იცნით არა ნიშნითა, რომელი დაგიწეროთ ამას ქუემოთ“ (კარაბ., II, 680, 36-37).

„როდეს უნდოდეს კეთრისა უფალსა შეტყუება, ასრე **ქნიან,** პირველად სადაცა კეთრი იყუის, ნემსითა **მოჩხულიტიან** და თუ გამოვიდის სისხლი, იმედოვნად **იყუნიან** კურნებასა მისსა და თუ არ გამოვიდის–**არა კურნიან**“ (იქვე, 616, 36-41).

„თუ ებისკოპოზს დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად **შეეხუეწის“** (სამ., ძ., I, 465, 106).

ერთგან I პირის ფორმითაც არის ბრძანებითობა გამოხატული:

„აწ **მოვიდით** და მოვკლათ ესე“ (სამ. ძ., II, 115).

II ხოლმეობითი გამოხატავს **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებითსაც:

„ნუღარ **სდგი,** წამოდი“ (ქართ. ეპისტ. წყ. კორპ., 25, № 1).

„მაშ, ცუდად ნუღარ **მეფერი,** უწყალოვ, აწ მიჩვენე პირი შენი!“ (ნარგიზოვანი, 33, 2,3-4).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ II ხოლმეობითის ფორმები მრავლად მოიპოვება საანალიზო პერიოდის ძეგლებში, მისი ფუნქციები ფაქტობრივად მოშლილია: იგი გვხვდება იქ, სადაც მრავალგზისობა არ არის გადმოცემული. ამ ფუნქციით მის ნაცვლად ხშირად წყვეტილის მწკრივია გამოყენებული. გვაქვს II ხოლმეობითის სხვა მწკრივებთან შენაცვლების შემთხვევებიც: კერძოდ, იხმარება ისეთ კონტექსტებში, სადაც დღეს ჩვეულებრივ II თურმეობითი, მყოფადის წრის ხოლმეობითი და II კავშირებითი გამოიყენება. ამ უკანასკნელთან შენაცვლების გამო გამოხატავს კავშირებით კილოსაც. მწკრივთა შენაცვლების ფაქტები დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდის ძეგლებისთვის, აქ ხშირად ერთ ზმნურ ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსის გადმოცემა

შეუძლია. ეს მწკრივი საშუალ ქართულში (და ძველშიც) ხშირად იხმარება მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემადაც. ეს ფაქტი ერთ-ერთი მიზეზია II ხოლმეობითის მიერ ბრძანებითი კილოს ფუნქციის შეთავსებისა საანალიზო პერიოდში: ბრძანებითი კილო ხომ, ძირითადად, მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს. გარდა ამისა, როგორც ძველ ქართულში (შედარებით ნაკლებ), ასევე საშუალი საუკუნეების ძეგლებში (უფრო ხშირად) II ხოლმეობითი ხშირად მონაცვლეობს წყვეტილის მწკრივთან, რომელსაც II ბრძანებითის მოშლის შემდეგ II პირისთვის ბრძანებითობის გადმოცემა დაეკისრა. სწორედ აქედან გამომდინარე ითავსებს II ხოლმეობითიც ზოგჯერ ამ ფუნქციას. ხშირია მისი უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფუნქციით გამოყენების შემთხვევებიც. ასე რომ, II ხოლმეობითი საშუალ ქართულში სამივე კილოს ფუნქციებით დასტურდება.

დამოწმებული წყაროები

ვეფხ.: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბ. 1966.

ამირანდ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ. 1967.

ვისრ.: ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ. 1962.

რუსუდ.: რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ. 1957.

ქ. ცხ., II, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1959.

ქ. ცხ., IV, ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973.

ქართ. ეპისტ. წყ.: I. ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლარული წყაროები XVს. 1762 წ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძენიშვილმა, თბ. 1989.

შაჰ-ნამე, I: შაჰ-ნამე, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბ. 1916.

კარაბ., I: კარაბადინი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, I, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბ. 1986.

კარაბ., II: კარაბადინი, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურალო წიგნი, კარაბადინი, II, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ. თბ. 1989.

ნარგიზ.: ნარგიზოვანი, XVIII საუკუნის ლირიკული პოემა, ალ. ბარამიძის რედაქციით, ტექსტი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, ტფილისი 1936.

თეიმ. I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობაის რედაქციით, ტფილისი, 1934.

ს. ს. ორბ. I: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და ლ. ბარამიძემ, თბ. 1959.
ს. ს. ორბ. III: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ. 1963.
გურამიშვ.: გურამიშვილი დავით, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი. ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისგან, 1955.
სამ. ძ. I: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1963.
სამ. ძ. II: ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1965.
არჩ. I: არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ტ. I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი 1936.

ლიტერატურა

სარჯველაძე 1984 **–** ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი 1984.

Ketevan Gigashvili

The Second Conditional according to the Language of the Medieval Texts

Summary

The article deals with the functions of the Second Conditional on the basis of the language of medieval texts. As a result of the analysis of ample material, a conclusion is made that despite the frequent use of its forms in texts of the period under discussion, its functions are in fact disrupted: it is found in cases where recurrence is not expressed. Often the Aorist screeve is used with this function in its place. There are instances of the replacement of the Second Conditional by other screeves as well (the Second Evidential, the Conditional of the Future sub-series and the Second Subjunctive). Due to the substitution by the latter, it also expresses the subjunctive mood.

This screeve in Medieval (as well as Old) Georgian often is used to convey the indicative mood of the future tense. This fact is one of the reasons why the Second Conditional acquires the function of the imperative mood in the period under study: indeed, the imperative mood mostly implies an action to be performed in future. The author considers as another reason the alternation with the Aorist screeve, which after the disappearance of the Second Imperative was charged with the function of conveying the commanding to the second person. The cases of its use with the function of the negative imperative are frequent too. Thus, the Second Conditional is recorded in Medieval Georgian with the functions of all the three moods.

ვახტანგ იმნაიშვილი

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

მართლწერის წესები დროთა ვითარებაში ყალიბდება, ზოგიერთი სიტყვა დღესაც იმ სახით იხმარება, როგორც საუკუნეების წინათ იწერებოდა, ზოგმა კი სახე იცვალა. არაერთ სიტყვას დღეს რამდენიმე ვარიანტი მოეპოვება (მაგ., თითოეული, თვითეული, თვითოეული; რამოდენიმე, რამდენიმე...), რომელთაგან სათანადო კომპეტენტური ორგანოები ერთ-ერთს აძლევენ უპირატესობას, სხვები კი ან მიუღებლად არის მიჩნეული, ან, უკეთეს შემთხვევაში, არასასურველად, მაგრამ დასაშვებად.

ზოგჯერ სიტყვას ორი ვარიანტი აქვს, მაგრამ ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით ორივე დასაშვებია, რადგან მათ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ და კონტექსტის მიხედვით სხვადასხვანაირად იწერება (არაერთი და არა ერთი; ლუკმაპური და ლუკმა პური, ხარკამეჩი და ხარ-კამეჩი...).

ამა თუ იმ სიტყვის ზოგიერთმა ვარიანტმა, მიუხედავად იმისა, რომ წესის მიხედვით არ უნდა იხმარებოდეს და მიუღებლადაა მიჩნეული, მაინც იმძლავრა, ფეხი მოიკიდა ენაში და ნელ-ნელა გამოდევნა მართებული დაწერილობა (მაგალითად გამოგვადგება **ი**-ფუძიანი სიტყვები: ვთქვათ, ტაქსმა, ცუნამმა, ჰელსინკში... /წესის თანახმად, მართებულია ტაქსიმ, ცუნამიმ, ჰელსინკიში.../).

ზოგჯერ მართლწერის ესა თუ ის წესი, რომელიც წლების განმავლობაში ყველასათვის სავალდებულო იყო და მისი დაწერილობის სისწორეში ეჭვი არავის შეჰპარვია, დღეს საკამათო გამხდარა იმიტომ, რომ ბრმად მივდევდით, უკონტროლოდ, თითქოსდა უეჭველ დაწერილობას (მაგ., „ერთ-ერთი“ ნაცვლად „ერთერთისა“).

ზოგჯერ ძნელია რევიზია გაუკეთო განმტკიცებულ წესს და დაწერილობა, რომელსაც თვალი მიეჩვია**,** მაგრამ არასწორი სახითაა გავრცელებული, ახლით შეცვალო. მაგრამ ეს მაინც ხდება და უნდა მოხდეს კიდეც. ხომ არ შეიძლება ასეულობით სიტყვის დაწერილობა დაიმახსოვროს კაცმა, ცხადია, უმჯობესია, გვქონდეს ფორმულა, დასაბუთებული წესი, რომელსაც დაექვემდებარება ცალკეული სიტყვები. იმ ფორმულას, ყალიბს მოვარგებთ საჭოჭმანო სიტყვებს და ამით საქმეც გაადვილდება და სხვადასხვაობაც შემცირდება, სიჭრელე შეიზღუდება.

ახლა მინდა ერთი სიტყვის, ჩემი ფიქრით, ყოვლად გაუმართლებელ ჩაწერას შევეხო. ესაა „პირველის“ გამოხატვა არაბული „ერთიანითა“ და **ლი** /**ელი** სუფიქსით.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (პირველი კრებული, 1970) 73-ე გვერდზე შენიშნულია: „რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება:

მე-10, მე-10-ე; ზოგჯერ **პირველსაც** წერენ არაბული ციფრებით: **1-ლი** ან **1-ელი**, რომაული ციფრების გამოყენებისასაც გვხვდება სხვადასხვაგვარი დაწერილობა: **XIX, მე-XIX, მე-XIX-ე“**. მაგრამ ქვემოთ **მოცემულია** უკვე რეკომენდაცია, უფრო მეტიც, პირდაპირი მოთხოვნა: „რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერაში ერთგვარობის დასამყარებლად უნდა გატარდეს შემდეგი წესები... ბ) რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში პრეფიქსი ან სუფიქსი არ დაერთოს: XIX და არა მე-XIX ან მე-XIX-ე... დ) რიცხვითი სახელი **პირველი** დაიწეროს ან ასოებით ან რომაული ციფრით (**პირველი** ან **I**), ან არაბული ციფრით ასე: **1-ლი**“. აქ **1-ელი** უკვე აღარაა დაშვებული. მაშასადამე, „პირველის“ დაწერილობასთან დაკავშირებული წესი ერთგვარად შეზღუდულია, გამკაცრებულია.

სხვადასხვა სახელმძღვანელო თუ საენათმეცნიერო ნაშრომი, სადაც ამ საკითხის შესახებ არის მსჯელობა – როგორ დაიწეროს სიტყვა „პირველი“, „ნორმების“ რეკომენდაციას მისდევს (ასეც უნდა იყოს) და, თუ ამ სიტყვას ასოებით არ წერენ ან რომაულ „I“-ს არ მიმართავენ, არაბული „ერთიანის“ შემდეგ დეფისს ხმარობენ, რასაც შემდეგ **ლი** ანდა **ელი** სუფიქსი მოსდევს. თუკი სახელობითის ნაცვლად სხვა ბრუნვაა საჭირო, მაშინ არჩეული ბრუნვის შესაფერისად სხვადასხვანაირ კომბინაციას გვთავაზობენ.

„პირველი არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი (1-ლმა, 1-ლს, 1-ლში, 1-ლიც, 1-ლსაც...)“ (კვაჭაძე 1981, 202).

„რიცხვის ციფრით გამოხატვისას ფუძეზე დართული ელემენტები – ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი და თანდებული – დეფისით გამოეყოფა ციფრს 1-მა, 5-სა და 3-ს... I-ც, II-ში. **პირველი** არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი, 1-ლში...“ (ფეიქრიშვილი 1992, 95).

„თუ სიტყვა **პირველი** არაბული ციფრით დავწერეთ, მაშინ რიგითობის აღსანიშნავად მას უნდა დაერთოს დეფისი და სიტყვის ბოლო ნაწილი **ლი**: 1-ლი“ (ბასილაია 1960, 132).

როცა „პირველი“ მსაზღვრელად ახლავს მიცემითში ან ვითარებითში დასმულ საზღვრულს, იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, **1-ლ** მარტს, უფრო კი გავრცელებულია **ლ**-ს ნაცვლად **ელ** დაბოლოება: **1-ელ** მარტს. მაგრამ აქ კითხვა ჩნდება: აკი **1-ლი** იყო რეკომენდებული ნორმების მიერ!! საიდან და რატომ გაჩნდა **ელი**? ისიც საკითხავია, საერთოდ, რის მაქნისია **ლი** ან **ელ** არაბულ ციფრთან?

ციფრების დახმარებით „პირველის“ გადმოსაცემად ყველაზე მეტად გავრცელებულია **1** („ერთიანი“), **დეფისი** და **ლი** ან **ელი** სუფიქსი საჭირო ბრუნვის შესაბამისად (როცა არაბული ციფრის გამოყენებას ვაპირებთ). სამეცნიერო ლიტერატურაში და პრესის ფურცლებზე გვხვდება განსხვავებული

დაწერილობებიც: 1-ლი, 1-ლს, 1-ლში, 1-ლსაც, აგრეთვე 1-ელ, 1-ელი, 1-ელს, 1-ელის... და, თუ რომაულ ციფრს ვიხმართ: I, I-ს, I-ისა, I-ლს, I-ლის...). ერთმანეთის მიყოლებით დაწერილი „ერთიანი“ (1), დეფისი და **ლი** ან **ელი** სუფიქსი, წესით, უნდა წავიკითხოთ როგორც **ერთლი** ან **ერთელი** და არა **პირველი**. **პირველს** რომაული ციფრი I აღნიშნავს, არაბულ 1-ს კი მხოლოდ „ერთი“ შეესატყვისება.

„1“ (ერთიანი) **პირველს** მხოლოდ იმ შემთხვევაში აღნიშნავს: როცა მას რომელიმე თვის დასახელება მოსდევს: „1 აპრილი“, „1 მაისს“... ან ასეთ გამოთქმებში: „№1 ავტობუსი“ [=ნომერი პირველი (/პირველი ნომერი) ავტობუსი]... მაგრამ ამ შემთხვევაში მათ **ლი** ანდა **ელი** სუფიქსები არ ერთვის. „№1“ ყოველთვის „პირველ ნომერს“ არ აღნიშნავს, ზოგჯერ იგი შეიძლება „ნომერი ერთიც“ იყოს.

ასეთ დაწერილობას მიეჩვია თვალი და ეს არ გვეჩვენება წესიდან გადახვევად. მაგრამ საქმე ისაა, რომ მართლწერის მიღებული წესების თანახმად ამგვარი ჩაწერა სულ სხვაგვარად უნდა იქნეს წაკითხული.

კარგი იყო, ამ საკითხზე „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ყოფილიყო რამე ნათქვამი, მაგრამ იქ არაა განხილული ჩვენთვის ამჟამად საინტერესო შემთხვევა.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

A)

1) ამჟამად მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფი 2006 წლის **1-ელ** ივნისს ამოქმედდა (კვირის პალიტრა, №31, 2007, გვ. 27).

2) **1-ელ** მაისამდე მოხმარებული გაზის საფასურს ძველი ტარიფით გა-და-ვიხდით (რეზონანსი, №15, 2006, გვ. 9).

3) ა.წ. **1-ელ** მარტს ...აფხაზებმა 3 ზუგდიდელი სტუდენტი დააპატიმრეს (კვირის პალიტრა, №19, 2007, გვ. 16).

4) გაგი ხვედელიძე **1-ელ** თებერვალს რესპუბლიკური საავადმყოფოს მე-11 სართულზე გადაიყვანეს (კვირის პალიტრა, №6, 2007, გვ. 2).

5) რუსეთისთვის 2009 წლის **1-ელ** იანვრამდე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა მეტისმეტად მნიშვნელოვანია (კვირის პალიტრა, №15, 2007, გვ. 16).

B)

1) ერთგან **ელ**-ის ნაცვლად მხოლოდ **ლ** უხმარიათ: მოითხოვენ, რომ სამართალდამცავებმა დროულად და ობიექტურად გამოიძიონ **1-ლ** ივლისს ავარიის დროს დაღუპული ფარულავას საქმე (ქრონიკა, №26, 2007, გვ. 7).

2) ასეული **1-ლ** აგვისტოს ასტრახანიდან გავა ყიზლარისკენ (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 35). შდრ.: 1770 წლის **1** იანვარს იგი მოზდოკში იყო (იქვე, გვ. 50).

C)

1) **1-ელი** ივლისიდან მეტროთი და მუნიციპალური ავტობუსით გზავრობა გაძვირდება (კვირის პალიტრა, №20, 2007, გვ. 4).

2) **1-ელი** აპრილიდან „უცხოელები“ განიდევნენ რუსეთის სავაჭრო ქსელიდან (კვირის პალიტრა, №15, 2007, გვ. 16).

3) ახალი ტარიფი **1-ელი** მაისიდან ამოქმედდა (კვირის პალიტრა, №31, 07, გვ. 27).

4)„გაზპრომი“ 2007 წლის **1-ელი** იანვრიდან ათას კუბურ მეტრ რუსულ აირში 230 დოლარის გადახდას მოითხოვს (კვირის პალიტრა, №45, 2006, გვ. 6).

5) **1-ელი** ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობა კარგადაა მომზადებული (კვირის პალიტრა, №14, 2008, გვ. 9).

D)

სხვაგან არც **ელ** არის, არც **ელი** და აღარც **ლ**, საერთოდ გამოუტოვებიათ ეს სუფიქსები და გვაქვს **1-საც, 1-ის** და **1-ისათვის,** რომლებიც, მათი ავტორების ფიქრით, უნდა გავშიფროთ, როგორც „პირველსაც“, „პირველის“, „პირველისათვის“.

1) დედოფალმა ახალ მპყრობელს, პავლე **1-საც** მიმართა მსგავსი თხოვნით (თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბილ., 1990, გვ. 253)

ასეთი ჩაწერა ნიშნავს არა **პავლე პირველს,** არამედ – **პავლე ერთს**.

2) განახლდა ძველი, პეტრე **1-ის** დროინდელი გეგმა (ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი), 1963, გვ. 182).

3) მიიღეს პატაკი იმერეთის მეფის სოლომონ **1-ის** ელჩის ყიზლარში მისვლის შესახებ (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 27).

4) ნ.პანინმა წინადადება შეიტანა სოლომონ **1-სათვის** დახმარება აღმოეჩინათ (იქვე, გვ. 32).

თუ როგორ გამოითქმის ერთად „ერთიანი“, დეფისი და ამა თუ იმ ბრუნვის ნიშანი (ცალკე თუ თანდებულსა და ნაწილაკთან ერთობლიობაში), ამას ავტორბოლების მოყვარულები ტელევიზიით ხშირად ისმენენ, როცა “ფორმულა 1“-ის შეჯიბრებებს ადევნებენ თვალყურს. სპორტული გაზეთების ფურცლებზე ხშირად შეგხვდებათ ამ სახის ცნობები: ფორმულა **1-ის** მსოფლიოს ჩემპიონი (ლელო, №69, 08, 14); ფორმულა – 1-ის პილოტი (მთავარი გაზეთი. სპორტი, №29, 04,13), მისი მოღვაწეობის პერიოდში ფორმულა 1-ში არავინ დამტვრეულა (ლელო, №237, 07, 16). ამ დაწერილობებში (შემოკლებით ასეც წერენ: **F–1**) „ფორმულა-1“ გამოითქმის როგორც „ფორმულა ერთი“ და არა „ფორმულა პირველი“. მაშასადამე, აქ „1“ აღნიშნავს „ერთს“ და არა „პირველს“.

ვნახოთ ერთი განცხადება: „რა სახის ინფორმაცია გაინტერესებთ ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს – 8 და ა.შ. 1-მდე“ (კვირის პალიტრა, №14, 2008, გვ. 44). როგორ უნდა გავშიფროთ „1-

მდე“? ვინც ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად **1-ლს, 1-ელს, 1-ს** და მისთანათ წერს, მისთვის, ალბათ, აქ „პირველამდე“ წერია, სინამდვილეში კი ცხადია, ჩვენს მაგალითში „ერთამდე“ იგულისხმება.

ახლა სხვა სახის დარღვევაც ვნახოთ. მერყეობა შეინიშნება იმ შემთხვევებშიც, როცა არაბულის მაგივრად რომაული ციფრებია ნახმარი: ანტონ I-ს, ანტონ I-ისა (კვაჭაძე 1977, 227) და ანტონ I-ლს, ანტონ I-ლის, იმავე ავტორის იმავე სახელმძღვანელოში, გვ. 452). რომაული ციფრების გამოყენებისას გაცილებით მარტივი წესია დადგენილი და სიჭრელე არ უნდა გვქონდეს.

არასწორი დაწერილობის ზემოთ დამოწმებულ ნიმუშებს შეიძლება სხვებიც დავუმატოთ:

სულთანმა სოლომონ **I-ლს** წყალობის წიგნი გაუგზავნა (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 29).

ნ. პანინი სოლომონ **I-ლს** რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას აცნობებდა (იქვე, გვ. 31).

აქამდე მხოლოდ „პირველზე“ გვქონდა საუბარი. მოდი სხვა რიცხვებსაც გადავხედოთ. ჯერ არაბულ ციფრებს შევეხოთ.

„დავით აღმაშენებლის ხეივანი, **მე-20-ე** კმ. (ალია, №17, 08, გვ. 16).

პრეფიქს-სუფიქსის ერთდროულად გამოყენება დაუშვებელია. ამაზე სასკოლო გრამატიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოში არის მითითებული.

„თემის დასაწყისი **მე-3-4** გვერდებზე“ (ასავალ-დასავალი, №11, 08, გვ. 5); „თემის დასაწყისი **მე-3-5** გვერდებზე “(იქვე, გვ. 6); „თემის გაგრძელება **მე-5-7** გვერდებზე“ (იქვე, გვ. 4). არც ასე დაწერაა სწორი. მართებულია **მე-3 – მე-4**, **მე-3 – მე-5...**, თუმცა ზოგჯერ უმჯობესია ანალოგიურ შემთხვევებში რომაული ციფრები ვიხმაროთ. ვთქვათ, „მე-8-მე-9 საუკუნეებს“ აშკარად სჯობს „VIII-IX საუკუნეები“.

ნუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ ასეთ სიჭრელეს შევხვდებით პრესაში, ლიტერატურულ თუ სამეცნიერო სახის პროდუქციაში. გვხვდება სხვადასხვანაირი დარღვევა. ჯერ ერთი, რომაული ციფრების საშუალებით გამოხატულ რიგობითობის მაჩვენებელ რიცხვებს ხშირად საერთოდ არ ახლავს სათანადო ბრუნვის ნიშანი, თანდებული ან ნაწილაკი (გავიხსენოთ, რომ ირიბ ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი აუცილებლად უნდა ახლდეს რიგობით რიცხვით სახელს, ასევე, თანდებული და ნაწილაკიც). ზემოთ მოყვანილ ნიმუშებში რომაულ I-ს **ლ** ფორმანტი მოსდევდა, რაც სრულიად ზედმეტია, რადგან ფუძეში ივარაუდება), მეორეც, თუ მაინც გვხვდება ბრუნვის ნიშნები, ისინი ხშირად არასწორი სახით არის წარმოდგენილი. ვნახოთ მცდარი დაწერილობის უფრო გავრცელებული მაგალითები, სხვანაირად, ვნახოთ: როგორ **არ უნდა** ვწეროთ:

<u>A) რომაული ციფრებით გამოხატულ რიგობითობის მაჩვენებელ რიცხვს ბრუნვის ნიშანი არ ახლავს:</u>

1) **ვახტანგ VI** პოლიტიკამ მარცხი განიცადა (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 6) /=ვახტანგ VI-ის/.

2) **პეტრე I** მოწოდებისთანავე ვახტანგ VI უყოყმანოდ დადგა რუსეთის მხარეზე (იქვე, გვ. 6) /=პეტრე I-ის/.

3) **სოლომონ I** რუსეთში ელჩი გაგზავნა (იქვე, გვ. 28) /= სოლომონ I-მა/

4) ქართლ-კახეთის ჯარების თურქეთზე გამარჯვებით ისარგებლა **სოლომონ I** (იქვე, გვ. 94) /=სოლომონ I-მა/.

5) ავტორი მოგვითხრობს აფხაზთა მეფის **კონსტანტინე III** და კახეთის ქორეპისკოპოსის **კვირიკე I** ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდს (თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 109) /=კონსტანტინე III-ისა. კვირიკე I-ის/.

B) <u>ბრუნვის ნიშანი აკლია თანდებულის წინ</u>:

1) კვირიკე I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე **III-თან** ერთად ილაშქრა (საქართველოს ისტორია, I, თსუ, 2006, გვ. 194).

2) პროქართული ორიენტაცია აშკარად გამოვლინდა ... ქ. ანისის სამეფოს ბაგრატ **IV-თვის** გადაცემაში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 195).

3) გურგენის სახე სუმბატ **II-თან** ერთად გამოქანდაკებულია (თ.პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 237).

C) <u>ბრუნვის ნიშანი არასწორადაა ნახმარი:</u>

1) დემეტრე **II-ეს** სიკვდილით დასჯის შემდეგ ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დაამტკიცა (საქართველოს მეფეები, 2000, გვ. 156).

2) გიორგი **VII-ეს** მეფობის დროს (იქვე, 166) შდრ. დავით **VIII-ის** დროს (იქვე, გვ. 161) (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 113).

3) ასეთ პიროვნებად ერეკლე **II-ს** შვილიშვილი იქნა შერჩეული (ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობა..., გვ. 64).

4) აღა-მაჰმად-ხანი ზუსტ ცნობებს მოელოდა ერეკლე **II-ს** მდგომარეობის შესახებ (იქვე, გვ. 102).

5) მირიან ბატონიშვილს ეკატერინე **II-სთვის** მოხსენებითი ბარათი წარუდგენია (იქვე, გვ. 72)

6) ტოტლებენის აგენტი შეიპყრეს ფრიდრიხ **II-სათვის** გადასაცემი საიდუმლო გეგმებით (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 113).

ახლა ვნახოთ რიგობითობის მაჩვენებელი აფიქსების არასწორად გამოყენების ნიმუშები:

D) <u>ზედმეტია ე სუფიქსი:</u>

1) გიორგი **II-ე** პირადად მფარველობდა მას (საქართველოს მეფეები, 2000, გვ. 73).

2) მეფე ბაგრატ **IV-ემ** დაიბრუნა რუსთავი (მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ გამო: მაცნე, №6, 1964, გვ. 311).

3) დემეტრე **II-ეს** თავი მოჰკვეთეს (საქართველოს მეფეები, გვ. 155).

4) პუგაჩოვმა თავი პეტრე **III-ედ** გამოაცხადა (ხვალინდელი დღე, №51, 04, გვ. 15). (შდრ. ასაშორიუმ კარიერაში **22-ედ** მიიღო იმპერატორის თასი (ლელო, №69, 08, გვ. 11).

5) დავით **III-ემ** 997 წელს ალყა შემოარტყა ხლათს (საქართველოს მეფეები, გვ. 106).

<u>E) ზედმეტია მე პრეფიქსი:</u>

1) დავით III... მეფობდა **მე-X** ს. მე-2 ნახევარში (საქართველოს მეფეები, გვ. 105).

2) **მე-XIV** საუკუნის ქართველი ისტორიკოსი (თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 155).

3) ბაგრატ **მე-IV-მ** კახეთის მთავრები გააუქმა (იქვე, გვ. 258).

4) ქართლის ერისმთავარი **მე-VI–VII** ს მიჯნაზე (იქვე, გვ. 46).

ხშირად განსხვავებული – სწორი და არასწორი – ფორმები ერთმანეთის მეზობლად, ზოგჯერ უშუალო მეზობლობაშიც გვხვდება:

კვირიკე III შემდეგ კახეთის სამეფო ტახტზე ადის მისი დისწული გაგიკი (თ.პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 222). შდრ. **კვირიკე III-ის** შემდეგ კახეთში გამეფებული გაგიკი ადგილობრივი სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა, უახლოესი ნათესავი იყო. ამ ორ განსხვავებულ ფორმას შორის მხოლოდ 11 სტრიქონია.

რამდენად სწორი აღმოჩნდა **კვირიკე I** მიერ გადადგმული ნაბიჯი (იქვე, გვ. 193); შდრ. **ბაგრატ III-ის** მიერ (იქვე, გვ. 204).

აშოტ III-სთან (იქვე, გვ. 235). შდრ. **სუმბატ II-თან** (იქვე, გვ. 237) და **კვირიკე III-თან** (იქვე, გვ. 239).

ფადლა II-ის მემკვიდრე (იქვე, 198) შდრ. **ფადლა II** დროს ...**ფადლა II** მთავრობის ჟამს ადგილი ჰქონია ... არაბი ამირას შემოსევას (იქვე, გვ. 196); არ მოგვეპოვება **ფადლა II** თანამედროვე არცერთი ისეთი წყარო... (იქვე)..

სოლომონ I-ის ყაბარდოში გაგზავნა (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 110). შდრ. **ეკატერინე II** წერილი მოწმობს (იქვე, გვ. 114).

აქედან იწყება დავით **VIII-ეს** მოღვაწეობაში ახალი დიპლომატიური ხაზი (საქართველოს მეფეები, 2000, გვ. 158), შდრ. მომდევნო გვერდზე: დავით **VIII-ის** მოღვაწეობა.

შაჰ-აბას **II-ემ** (იქვე, გვ. 193). იმავე გვერდზე: ვახტანგ **V-მ**.

სვიმონ **II-ეს** მისცა (იქვე, გვ. 189) და 11 სიტყვის შემდეგ (!!): სვიმონ **II-საც** უღალატა.

შდრ. აგრეთვე: დავით **VIII-ე** აგზავნის კათალიკოს აბრაჰამს (იქვე, გვ. 157), დავით **VIII** – დემეტრე II-ეს ძე (იქვე, გვ. 156) და **მე-V** საუკუნის მე-2 ნახევარში (იქვე, გვ. 116).

ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი კონსტანტინე მამაცაშვილი იგონებს: „მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს, „ივერიელნი“, ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება – 10, 11 და 12 საუკუნეებისა“ (გ. ლეონიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი (მოკლე ბიოგრაფია), ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. XXIX) ჩვენც ასე ვწეროთ, თუ მართებული მე-10, მე-11 და ა. შ. ვიხმაროთ?

მერყეობა არაბულ ციფრთან დაკავშირებით ერთი წინადადების ფარგლებშიც გვხვდება: „მივედი სასტუმროში, არა? ნომერი მხვდება **მეცამეტე**, გარდერობში, თეატრში, ქურთუკის დასაკიდად **13** ნომერს მაძლევენ, სამგზავრო ბილეთიც თვითმფრინავის **მეცამეტეა** ხოლმე (ქრონიკა, №7, 08, გვ. 48). რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში „13“ „მეცამეტეს“ ნიშნავს..

რისკენ გვიბიძგებს აქ მოყვანილი მაგალითები? რაკი არაბული ციფრი „1“ აღნიშნავს „ერთიანს“ და არა „პირველს“, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ „პირველის“ გადმოსაცემად არაბულ ციფრებს საერთოდ აღარ ვიხმართ, „პირველს“ ან ასოებით დავწერთ, ან რომაულ ციფრს გამოვიყენებთ, თანაც, **ლ**-ს გარეშე (რადგან ეს თანხმოვანი სიტყვის ფუძეში ივარაუდება და მისი ზედმეტად ხმარება გაუმართლებელია, **ლ**-ს ხმარებით ხომ სხვა წესს ვარღვევთ). ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ დადგენილი წესი: I-ის შემდეგ უნდა დაიწეროს მხოლოდ ირიბი ბრუნვების ნიშნები, აგრეთვე თანდებულები და ნაწილაკებიც. მაგალითად: I, I-მა, I-ს, I-ის..., I-ში, I-თან, I-ც, I-ზეც და სხვ. განა დასახელებული ორი საშუალება არ არის საკმარისი? რაღა საჭიროა მესამე? რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, მათთვის მწყობრი წესები გვაქვს, ჩვენ მხოლოდ ის გვევალება, ურყევად მივდიოთ მათ და განუხრელად დავიცვათ ისინი. რომაული ციფრებით გამოხატულ რიგობით სახელებს არანაირი პრეფიქს-სუფიქსი არ სჭირდება – არც **მე**- პრეფიქსი და არც **-ე** სუფიქსი. აქაც მხოლოდ ბრუნვის ნიშანი, თანდებული და ნაწილაკი შეიძლება მოსდევდეს რომაულ ციფრს, ოღონდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ჩამოთვლილი ფორმანტები წმინდა ფუძეს ერთვის „პირველის“ შემთხვევაში და მათთან **ლ** არ უნდა ვიხმაროთ, ხოლო დანარჩენი რიგობითებისთვის, რომელთა ფუძეც ხმოვნით თავდება, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში: წესის თანახმად, მიცემითს მხოლოდ **ს** სჭირდება და ამ მოთხოვნას იშვიათად არღვევენ, ნათესაობითში კი აუცილებელია ბრუნვის ნიშანი **ის** სრულად შევინარჩუნოთ და მხოლოდ მასზე დავურთოთ თანდებული თუ ნაწილაკი.... მიცემითი ბრუნვის შემთხვევაში სწორია გიორგი III-ს, ერეკლე II-სთან (და არა გიორგი III-ეს, ერეკლე II-თან), ხოლო ნათესაობითში – გიორგი III-ისთვის, ერეკლე II-ისგან (და არა გიორგი III-თვის, ერეკლე II-გან, ვახტანგ VI-სგან) და ა. შ.

თუ ყურადღება არ მივაქციეთ რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასეთი სიჭრელე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, ბრუნვები ერთმანეთში აირევა და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ინტუიციამაც ვერ გვიშველოს და ვეღარ გავარკვიოთ, რას გულისხმობდა ავტორი, შესაძლებელი ვარიანტებიდან ჩვენს შემთხვევაში რომელი უნდა იყოს სწორი, და მარჩიელობა მოგვიხდეს, რამაც შეიძლება სწორ გეზს აგვაცდინოს [ამ სახის ერთ ნიშანდობლივ მაგალითს მოვიყვან: „სოლომონ I 1768 წლის 23 ივნისს ეკატერინე II სთხოვდა“ (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 29). თუ საქმეში ჩახედული არ ხარ, ამგვარ წინადადებაში ვერ გაიგებ, ვინ ვის სთხოვს: სოლომონი ეკატერინეს თუ პირიქით – ეკატერინე სოლომონს]. თუ მართლწერის

წესები მწყობრი და არგუმენტირებული, სარწმუნო, ყველასათვის მისაღები და სავალდებულო არ იქნა, თუ მათ არ დაემორჩილება ყველა – დიდი თუ პატარა, განსწავლული თუ ახალბედა, – გველის სრული ქაოსი – ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვებს მოვიშველიებ: „აი ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი“.

რაც დადგენილ წესებს ეწინააღმდეგება, მას ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, სწორ კალაპოტში ჩავაყენოთ. ილიას ხშირად ვიმოწმებთ ხოლმე, მაგრამ რატომღაც გვავიწყდება მისი ნათქვამი: „ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ეს სიტყვები დეფისის ხმარება-არხმარებისა და რიგობითობის მაჩვენებელი აფიქსების კლებისა თუ ზედმეტობის შესახებ არ არის ნათქვამი, მაგრამ პატარიდან იწყება დიდის ნგრევა, საძირკვლის გამოცლა, ამიტომ წერტილ-მძიმისა თუ დეფისის ხმარების საკითხსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ლიტერატურა

ბასილაია 1960 – ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, ნაკვეთი I, სოხუმი 1960.

კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი 1977.

კვაჭაძე 1981 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. ნაწ. I, თბილისი 1981.

ფეიქრიშვილი 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, 1992.

Vakhtang Imnaishvili

Some Questions Linked with the Orthography of the Ordinal Numerals

Summary

In the article attention is focused on topical issues linked with the orthography of the ordinal numerals. The most widespread and striking cases of the deviation from the established rules of orthography are presented. Incorrect spelling of the ordinal numerals is sometimes fraught with the danger of misinterpretation of the author's thought.

The advisability of the simultaneous use of Arabic 1, a hyphen and suffixes ***li/eli*** for spelling the word ***pirveli*** **(**the first) is called into question.

მაია ლორია

მეგრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ერთი ტიპის კონსტრუქცია[1]

ერთი ტიპის სინტაქსური კონსტრუქცია მეგრულში ორი რამით იქცევს ყურადღებას: ერთი, გამოცემულ ტექსტებში იშვიათად დასტურდება და მეორე, თავისებური სტრუქტურისაა.

კონსტრუქციის სტრუქტურა, მეგრული მასალის მიხედვით, ასეთია: ფრაზის თავში დგას სახელობითში დასმული არსებითი სახელი ან სახელური შესიტყვება. მას მოსდევს -ნი (=რომ) კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება. სახელობითში მდგარ სახელს სამეცნიერო ლიტერატურაში „ინიციალურ სახელობითს“ უწოდებენ (კვანტალიანი 1990, 106). „ინიციალური სახელობითით“ გადმოცემული სახელი ან სახელური შესიტყვება არის ფრაზის (გამონათქვამის) თემა. იგი ინტონაციითა და სასვენი ნიშნით(კერძოდ, წერტილით) გამოეყოფა მომდევნო წინადადებას, რომელშიც მას ხშირად ნაცვალსახელური კორელატი შეეფარდება.

მაგალითად,

ოსურკოჩი. თის ვარენო ქეშულებუდას**ინ**, მითინს ვემიაშქვანს, თიგვარიე (=**დედაკაცი. იმას** (+არ არის?) **რომ** შეეძლოს, არავის მიუშვებს, იმგვარია);

დიდა ბედიჭვირი. მა თინა ვორდე, შურო ვემკვოჯინექ (=**დედა ბედდამწვარი.** მე ის [მის ადგილას] **რომ** ვიყო, საერთოდ არ მივხედავ);

სინთე. თინა ქიმმენატრებუნა, ფერი პიჯი ურჩქუ (=**სინათლე. ის** მოგვენატრება, ისეთი პირი უჩანს);

დაჩხირი. თის ქიდვორძანდითი**ნი**, მაჟირა სოფელს გინორჩქუდუ (=**ცეცხლი. იმას რომ** დავანთებდით, მეორე სოფელში ჩანდა).

„ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციის რამდენიმე მაგალითი გამოცემული მეგრული პოეზიის ნიმუშებში დავადასტურეთ. ცნობილია, რომ გამოქვეყნებული მეგრული პროზაული ტექსტები ზღაპრის ჟანრისაა. ზღაპარში სიუჟეტის განვითარება-თხრობა სხვაგვარ ენობრივ მახასიათებლებს, სხვა ტიპის კონსტრუქციებს ითხოვს. ამ ტიპისა კი ჩვეულებრივია დიალოგურ მეტყველებაში, მეორე პირის რეპლიკაში. მეგრული დიალოგური მეტყველება არ არის ჩაწერილი და გამოქვეყნებული, არც დიალოგური მეტყველებაა სათანადოდ შესწავლილი. სწორედ ამის შედეგია

1 წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავს, 25-27 ივნისი, 2007 (მასალები, გვ.70).

ხსენებული მოვლენა: მეგრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია არ დასტურდება გამოცემულ ტექსტებში.

ინიციალური სახელობითიანი კონსტრუქციები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა ივანე გიგინეიშვილმა (გიგინეიშვილი 1975, 324); მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“[2] :

დედოფალი. ზღვასა შეიქმს, **მას რომ** ცრემლი დაუღვრია.

ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა. იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა.

მკვლევარი თვლის, რომ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში საქმე გვაქვს თავისებური სახის ჰიპოტაქსთან, თუმცა იქვე დასძენს: ამგვარ ქვეწყობილ წინადადებაში „ამხსნელი წინადადება“[3] არცაა წინადადება. იგი წინადადების ეკვივალენტად თუ შეიძლება იქნეს მიჩნეული. რაკი ეს კონსტრუქცია ლექსის ენაში გვხვდება, უნდა გვეფიქრა, რომ იგი გარკვეული სტილური მიზნითაა გამოყენებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია რთული დაქვემდებარებული წინადადების განვითარების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობდეს (იგივე, 324); ამის დასასაბუთებლად მკვლევარი იმოწმებს ფშაური დიალექტის მასალას; მაგალითად, საშუბი. ის კი ზოკან-ზოკან კინჭუხიანია, მაღალი.[3]

ამ ტიპის მაგალითების გამრავლება შეიძლება სხვა დიალექტების მონაცემებითაც.[4] მაგალითად, იმერული: **მამაჩემი. რო** წევეით ტყეში, ისიც გაგვყვა. ლეჩხუმური: **ჩემი მამა.** დამამიწყდა, ახლა ის სად არი.

ამ ტიპის კონსტრუქციები ბუნებრივია სვანური მეტყველებისთვისაც (ჩართოლანი, 2003, 8);

მაგალითად[5],

თუით მეზგე უფლიშიერისგა, მაჲ მეზგე ესღგრდა, ეჯი უბალდებულ ლას

ოთხუიენს ეშხუ მანცინ ი სემი ლაყულაშ ჰაში ჰარაყ ი ეშხუ ლაყულაშ ნათხუმ (= **თითო მოსახლე.** უფლისობაში რა მოსახლეც მიდიოდა, **ის** ვალდებული იყო წაეღო ერთი წვრილფეხა და სამი ნახევარზომი ნათავედი (თავი არაყი).

„ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქციები სასაუბრო ქართულის მასალაზე დაყრდნობით შეისწავლა ლ. კვანტალიანმა. მანვე მოიძია

2 „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითები დამოწმებულია ივ. გიგინეიშვილის ნაშრომის მიხედვით.

3 ამ შემთხვევაში მარტივი წინადადება მოსდევს.

4 იმერული და ლეჩხუმური დიალექტების ნიმუშები დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ. 1961.

5 სვანურის მაგალითები დამოწმებულია ნ. ჩართოლანის ნაშრომის მიხედვით.

ამ ტიპის მაგალითები ქართველ კლასიკოსთა – ილიას, ვაჟას, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში (კვანტალიანი 1990, 106-108).

ქართული სასაუბრო მეტყველების ნიმუშები:

მეზობელი. მას თავისი გასაჭირი აქვს. **უბედური ბედი.** ასე **რომ** იფიქრო, ჭკუიდან შეიშლები.

„ყოველივე ეს ეჭვმიუტანელს ხდის მოსაზრებას ასეთი კონსტრუქციების ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობის შესახებ“ (იგივე, 108). ამ მოსაზრებას ამყარებს მეგრულისა და სვანურის მონაცემებიც. „ინიციალური სახელობითის“ შემცველი კონსტრუქცია დასტურდება რუსულ ზეპირმეტყველებაშიც (PPP 1973, 241-266).

ლიტერატურა

გიგინეიშვილი 1975 – ივ. გიგინეიშვილი, რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი 1975.

კვანტალიანი 1990 – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი 1990.

ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, წინასიტყვაობა, სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალსზემოური კილო), თბილისი 2003.

PPP 1973 – Русская разговорная речь, Москва 1973.

Maia Lomia

Construction typical for Megrelian Speech

Summary

Construction discussed in the artikle is tipical for Megrelian speech, but in published Megrelian texts we doesn'meet any. Such construction is known as "Initial nominative" (L. Kvantaliani) and is affirmed in works of art, among them is "The Knight in the Panther's Skin" ("Vepkhistkaosani") (Iv. Gigineishvili), in Georgian dialects and in Svanian.

მაია სახოკია

ახალქართული აღწერითი პერფექტების დიაქრონიულ-ტიპოლოგიური ანალიზი: აღწერითი პარადიგმა

ქართველური და ინდოევროპული ენების (ქვ/იე)-ის გარკვეული, პოსესიური ბლოკის მორფოსინტაქსური კონების ერთდროული დიაქრონიულ-ტიპოლოგიური განხილვა ნაყოფიერია როგორც ლინგვისტური უნივერსალური ფენომენების დასადგენად, ასევე რელევანტურია კონკრეტული ენობრივი ჯგუფების (ქვ) მორფოსინტაქსისა და მისი *ისტორიული დინამიკის* გამოსავლენადაც. ადრევე გამოვყავით ახალ ქართულში (ახ. ქ.) აღწერითი (ანალიზური) *მორფოსინტაქსემების* საგულისხმო *ბლოკები,* რის საფუძველზედაც გამოვთქვით მოსაზრება, რომ დღეს მოქმედი წამყვანი მთლიანი ფლექსიური (ფლ.) მორფოსინტაქსური სისტემის ფონზე თანამედროვე ქართულში თავს იჩენს შესაძლოა პერიფერიული, მაგრამ სავსებით *გრამატიკალიზებული* და *პარადიგმული* ხასიათის მქონე აღწერითი (აღწ.) ანუ ანალიზური (ან.) *მორფოსინტაქსური კონები* თუ სერიები-მწკრივები. *უნივერსალური ტიპოლოგიური პარალელების* გარდა, ხსენებული ფენომენი დასტურდება საკუთრივ ქართული ენის (ქ) დიალექტოლოგიური მასალითაც და ქ-ის ისტორიითაც (დიაქრონიული მონაცემებით). განსახილველ აღწ.-ახ. ქ. მორფოსინტაქსემებში პირველ რიგში ვგულისხმოთ *ახალქართული აღწერითი პერფექტების ორ ძირითად ვარიანტს* (სახოკია 1984; 1985, 51-52, 141-142, 177-180; სახოკია 1987, 1990, 1991, 1994, 1995, 1996). წინამდებარე სტატია წარმოადგენს დასახელებული *ახალქართული პერფექტების დიაქრონიულ-რეტროსპექტული და ტიპოლოგიური* (ქვ/იე) ანალიზის შეჯამების შედეგებს: *რეტროსპექტული* ანალიზისათვის *ამოსავალია თანამედროვე სასაუბრო და სალიტერატურო* ენაში *დაფიქსირებული* **ა** და **ბ** პერფექტები, რომელთა კვლევა განხორციელდა *უკუსვლით სიღრმეში* მიმართულებით „ახლიდან > ძველისკენ"; ხოლო *პროტოტიპების* მოკვლევის შემდეგ განხორციელებულია ამ პროტოტიპების *დიაქრონიული* შესწავლა წერილობითი ძეგლების მიხედვით მიმართულებით „ძველიდან > ახლისკენ". საკვლევ პერიფრაზებს ეწოდა ახალქართული აღწერითი პერფექტები, რადგან მათი პარადიგმატიზაცია და გრამატიკალიზაცია ძირითადად და საბოლოოდ გამოკვეთილია ახალქართულის, განსაკუთრებით, თანამედროვე ქართულის დონეზე. მაგრამ ტექსტოლოგიური მონაცემების თანმიმდევრული, წერილობითი ძეგლების ქრონოლოგიური შეჯერების გზით მოკვლეულია და გამოვლენილი **ა** და **ბ** პერფექტების დიაქრონიული პროტოტიპები ძველსა და საშუალ ქართულში (ამათგან, პირველ რიგში, **ა**-პერფექტის უძველესი საწყისი ვარიანტები). მონაცემები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საკვლევი მორფოსინტაქსემების დიაქრონიულ დინამიკას მიმართულებით: ძვ. ქ. საშ. ქ. > თან. ქ.

ახ. ქ. აღწ. პერფექტების ანალიზთან დაკავშირებულია აგრეთვე III სერიის ინვერსიული ფორმებისა და აორისტის (ტრადიციული ერგატიული კონსტრუქციის) *რეკოდიფიცირების* პრობლემაც: ამ ფორმების განხილვა აღწ./ფლ./ან. თვალსაზრისით და მათი პრე-ფლექსიური (იგივე პრეისტორიული) პროტოფორმების აღდგენის ცდა (სახოკია 1985-2007).

ა და **ბ** პერფექტების *პრაგმატული პერფექტული სემანტიკა* განისაზღვრება „ნივთიერი შედეგების“ არსებობით აწმყოსთან მიმართებაში. ლაპარაკის ამოსავალი დროითი მომენტით და მას ახასიათებს დროთა თანმიმდევრობის (consecutio temporis) გამომხატველი *პარადიგმა.* ფორმალურად ეს ხორციელდება *კოპულათა* (Vesse და Vhabendi) *უღლებით.* ყველა ტრადიციული სერია-მწკრივის მიხედვით (სახოკია 1985: ტაბულა 8). **ა** და **ბ** პერფექტების ამოსავალი ფორმები, ცხადია, შეესაბამება *კოპულის აწმყოს მწკრივის* ფორმებს. ეს მოდელებია:

ა-აღწ.: SAgensgen(Obl,erg)+Part.Pass.Past(P)+copula(Vesse)+Onom. გამოიხატება ლათინური ფორმულით: eius factus est opera.

ბ-აღწ.: მოდელი და ლათინური ფორმულა:

SDat. Agens (obl.erg)+Part Pass.Past(P)+Vhabend;+Onom. mihi factus (+factum) HABEO (mihi est) (+habeo-factum).

ა პერფექტი იყენებს კოპულად „ყოფნა“ ზმნას, ხოლო **ბ** პერფექტი „ქონა/ყოლა“ ზმნებს (რომელთა სტრუქტურა ქ.-ქვ-ში უტოლდება est mihi-ს, *ირიბი პოსესიურობის სტრუქტურას*) (სახოკია 1985-2007).

აშკარაა **ა** და **ბ** პერფექტთა *სტრუქტურული* და *სემანტიკური იდენტურობა იე ირიბსუბიექტური* მიმღეობური პოსესიური პერფექტების სხვადასხვა ვარიანტებთან: ძვ. სპ., ძვ. სომხ., ძვ. ინდ., ლათ., სლავ., ბალტ., და სხვ. (სახოკია 1984-2007;). ამავე დროს ძირითადი *წამყვანი იდენტურობის* გარდა, არის სპეციფიკური და განმასხვავებელი ნიშნებიც. **ბ** პერფექტის კოპულა ქ-ში იძლევა სხვაობას რეფერენტის ($Od_{nom.}$GS>LO) სულიერობა/უსულობის მიხედვით, ამდენად, სემანტიკური (I) არგუმენტი ექვემდებარება გრამატიკულ მორფოსინტაქსურ ფაქტორს (II): შდრ. *„მას ნანახი ჰყავს სტუმარი/მას ნანახი აქვს ფილმი“*. სპეციფიკური დეტალი ისიცაა, რომ კოპულის არსებობა პერფექტულ მორფოსინტაქსში ქ-თვის აუცილებელია, მაშინ როდესაც იე-ში ის გამოტოვებული შეიძლება იყოს; უკოპულო მიმღეობური მორფოსინტაქსემები ქ-ში ადიექტურ, სახელურ სინტაგმებად იქცევა (შდრ. *„ჩემი გაკეთებულია სადილი)//ჩემი გაკეთებული სადილი კარგია“*). მთლიანობაში კი **ა** და **ბ** პერფექტების იდენტური მოდელები იე-ში პოლიგენეტური პოსესიური პერფექტის (პპ) სახითაა წარმოდგენილი მთელს დიაპაზონზე პრეინდოევროპული(პიე) რეკონსტრუირებადი პროტოტიპების ჩათვლით (შმალსტიგი; შდრ. ვაიტენბერგი, შმიდტი). უფრო დაზუსტებით, იე პარალელები პიე პროტოტიპების ჩათვლით თვალსაჩინოდ შეეხება პირველ რიგში ახ. ქ. პერფექტის გენეტიურ ვარიანტს **ა**ს, სადაც კოპულა „ყოფნა“ ზმნაა. (ქ.-ქვ. „ქონა-ყოლა“ ზმნათა ანალიზის შედეგები იმავე მწყობრში აყენებს არსებითად ქართულ **ბ** პერფექტსაც).

მაგალითები, **ა:** *„მისი გამომცხვარია ტორტი, ლალის გაკეთებულია სადილი, მანას მოქსოვილია ქუდი, დედაჩემის შეკერილია ეს კაბა“* და სხვ.; **ბ:** *„მას წაკითხული აქვს ბევრი წიგნი, მას ნანახი აქვს ფილმი, ბავშვს ნანახი ჰყავს ბებია, მეცნიერს დაწერილი აქვს განცხადება“* და ა. შ. (სახოკია 1985-2007).

ჩვენგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ავტორებსაც ნაწილობრივ მიუქცევიათ ყურადღება სხვადასხვა თვალსაზრისით განსახილველი ახ.ქ. მორფოსინტაქსემებისათვის (ჭანიშვილი, რევზინა; მ. მაჭავარიანი 1983-87; ბოედერი 1980; ფრიდმანი 1979; ფეიქრიშვილი 1974 და სხვ.). ჩვენი ანალიზი სასაუბრო და ბეჭდური ენების მონაცემების შეჯერებასაც ემყარება და წმინდა პრაგმატულ შეფასებასაც. ასე მაგალითად, $S_{gen.}$ და $S_{dat.}$-ის *ქვემდებარულობა, აგენტურობა* მოწმდება საკმაოდ ცნობილი ტესტით: ქვემდებარის *თანწყობაში შემოკლების* (ელიფსისის), *გამოტოვების შესაძლებლობით*; ფაქტობრივად ეს იგივეა, რაც *თანწყობის* ან *შერწყმის შესაძლებლობა;* კორეფერენტულ აქტანტებთან – მათ შორის კორეფერენტულ ქვემდებარესთან, – წინადადების *თანწყობური კავშირისა*; ამავე დროს შემასმენლები შეიძლება არც იყვნენ კორეფერენტულნი. კომბინაციები: *„თამრიკოს ნანახი აქვს ეს ფილმი და არ მოვა; მისი გამომცხვარია ეს ტორტი და არ შეჭამს; ნანას უკვე ნაყიდი აქვს პური და არ სჭირდება; თუ ნანახი ჰყავს ის მსახიობი, როგორ შეიძლება არ მოეწონოს* (ქვეწყობა) – *ნანახი ჰყავს ის მსახიობი და როგორ შეიძლება არ მოსწონდეს (თანწყობა); მას არა აქვს ნანახი ეს სპექტაკლი და უეჭველად მოინდომებს წამოსვლას; ჩემი დამზადებულია სადილი და დავპატიჟებ, ვისაც მინდა; მას უკვე ნანახი ჰყავს ის კაცი და სულაც არ მოსწონს; ჩემი დამუშავებული იყო ის მიწა, მივალ, ვეტყვი, დაველაპარაკები და დავითანხმებ“* და მრ. სხვ. (სასაუბრო მასალა აქ სრულად მოყვანილი არა გვაქვს). როგორც ვხედავთ, $S_{gen.}$ $S_{dat.}$ ტოლფასი *ქვემდებარულობა/აგენტურობა* სახეზეა. აქვე აღსანიშნავია *როლების სემანტიკის* მერყეობაც (შდრ. ფსუგ, ლტ; პოლინსკაია, ტესტელეცი და სხვ.). $S_{dat.}/S_{gen.}$-ის პრაგმატული სემანტიკის ნიშნები გულისხმობს როლების *გაორების, ორაზროვნების* შესაძლებლობასაც, რაც ვლინდება *ფართო პრაგმატულ კონტექსტში*, ზოგ შემთხვევაში კი – თავად *მცირე მორფოსინტაქსური კონტექსტის* ფარგლებში. ასე მაგ., გამოვლენილია *პოსესორის* სემანტიკური *როლის* მეტნაკლები ხარისხი *ბ* პერფექტში (შდრ. **ა** პერფექტიც). მაგალითად, *მას გარემონტებული აქვს სახლი*: შესაძლებელია, *მისი გარემონტებული არ იყოს,* მაგრამ ის *ფლობდეს* ამ სახლს, იყოს გარემონტებული სახლის მფლობელი (პოსესორი). ამგვარ გაორებას მხოლოდ პრაგმატული საკომუნიკაციო კონტექსტი და *მორფოსინტაქსურ ერთეულთა პრაგმატული, აქტუალური სემანტიკა ავლენს.* ზოგჯერ მორფოსინტაქსემის ფარგლებიც ავლენს *როლის გაყოფას.* მაგალითად, *პოსესორის* გარკვეული ხარისხის შემცველობის კარგი მაგალითია **ა** პერფექტის ისეთი ნიმუშები, როგორც *„შენი ნაჭამია ეს ნამცხვარი,“* აქცენტით *„ნაჭამიას“* მფლობელობაზე. ქართულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მკვეთრია *როლებრივი* გაყოფა *სასუბიექტო* და *საობიექტო მნიშვნელობის ორიენტირების* მიხედვით, ($S_{orient.}/O_{orient.}$) *როლებით:*

S_{agent}(აგენტური სუბიექტი, – $S_{orient.}$) თუ O_{id} (ირ. ობიექტი, – O_{orient}). ასეთი *როლებრივი სემანტიკური გაყოფა-გაორების მკვეთრი* მაგალითებია ***ბ*** პერფექტის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: „*მას ნათქვამი აქვს, მას ნაბრძანები აქვს: მან თქვა და ბრძანა*, ან *მას უთხრეს და უბრძანეს*“ ($S_{orient.}$, $S_{ag.}$, ან $O_{orient.}$, O_{id}). ორივე *სინტაქსურ-სემანტიკური როლი* აქ მკვეთრად გამოვლენილია და თითოეულის შესაძლებლობას მხოლოდ ფართო პრაგმატული კონტექსტი განსაზღვრავს. ზოგჯერ როლების განსაზღვრა ხერხდება თავად მორფოსინტაქსემის, ერთი მხრივ, რეფერენტთა სემანტიკური ნიშნებისა და მეორე მხრივ, პრედიკატული ბირთვის ლექსიკური სემანტიკითა და ამ ფაქტორთა ურთიერთმიმართებით. ამგვარად, ამ პროცესში ჩართულია „*სახელთა სემანტიკური იერარქიის*“ *ნიშანთა უნივერსალური სქემაც (ისეთი ნიშნებისა, როგორიცაა: სულიერობა-უსულობა, ნაცვალსახელი, მცენარე, ცხოველი, ვინ/რა ჯგუფების ოპოზიცია, განსულერება, პერსონიფიცირება* და ა. შ.). მაგალითად: „*წიგნს მისაწერი აქვს სათაური, სახლს მისაშენებელი აქვს აივანი (//მიშენებული/მიწერილი). წიგნს დართული აქვს კომენტარები/გაკეთებული აქვს ლამაზი ყდა*“ და მსთ.; $S_{Ag\cdot dat.}$-ია გამოხატული ნიმუშში „*მისაღები აქვს საქონელი, მიღებული აქვს საქონელი*“. თუმცა „გამყიდველის“ სინტაქსური როლი მორფოსინტაქსურად არის $S_{ag\cdot dat.}$, სემანტიკურად (სიღრმულ დონეზე) იგულისხმება „გამყიდველად“ O_{id}-ც, გარკვეული ხარისხით, თუ კი საქონელი *მას* უნდა მიუტანოს სხვამ და ა.შ. მაგრამ როლებრივ გაყოფასთან დაკავშირებით აღსანიშნავია: როგორიც არ უნდა იყოს ასეთი გაორება-გაყოფის, მერყეობის თუ ცვლილებების შესაძლებლობები $S_{gen.}$/$S_{dat.}$-ის მიმართ, *ვერბალიზაციის* პროცესში აშკარავდება $S_{gen.}$/$S_{dat.}$-ის *აგენტივიზაციის* წამყვანი ტენდენცია. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტექსტით აშკარად არის წარმოჩენილი *ალტერნატიული როლი* (მაგ., „*მას ნათქვამი, ნაბრძანები აქვს*“), $S_{gen\cdot ag.}$ და $S_{dat.\ Ag.}$ სამეტყველო თუ ბეჭდური ენის ნაკადში ძირითადად იძლევა აგენსის *სინტაქსურ-სემანტიკური* როლის გაგებას, გვაძლევს *პერფექტთა აგენტურ* გაგებას (შდრ. მოქმედი, აქტორი; ზოგჯერ იგივე ტოპიკი, პაივოტი-ც; Agent, Topic, Actor, Pivot).

საგულისხმოა ***ა/ბ*** პერფექტთა ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა სტანდარტული წინადადების შინაარსი (თხრობა, კითხვა, დასტური-მტკიცება, უარყოფა, ბრძანება, მოდალობა, იმპერატივი), დიალოგური მეტყველების სპეციფიკა (შეკითხვა-პასუხი), ***ა/ბ*** კომპონენტთა შემოკლების, ელიფსისის შემთხვევები და სხვ. მაგალითად, დიალოგური მეტყველებისას შეკითხვა-პასუხის დროს ***ბ*** პერფექტში ხაზგასმულად ელიფსირებულია მიმღეობა და რჩება მხოლოდ კოპულა: „*გაქვს შესრულებული დავალება? – მაქვს; არა გაქვს დაწერილი წერილი? – მაქვს*“. თუ შეკითხვა $S_{Ag.gen./dat.}$-ს შეეხება, რჩება მხოლოდ აგენტის აღნიშვნა პასუხში: „*ვისი გადაღებულია ეს ფილმი? – ძეფირელის; ვისი მოტანილია ტორტი? – ჩემი*“. ***ა/ბ*** *პერფექტთა* ყველა საკითხი აქ ვერ იქნება განხილული. პირველ რიგში, გვაინტერესებს *ა* და *ბ* კონათა პერფექტულობის ხარისხის განსაზღვრა, რაშიც სხვა ავტორთა მო-

ნაცემებიც გვეხმარება (ფხაკაძე, არაბული, ფეიქრიშვილი, ფრიდმანი, მელიქიშვილი, ლომანი, მ. მაჭავარიანი, ასათიანი, მეგრელიშვილი, ნინუა და სარჯველაძე და მრავალი სხვ.).

ა/ბ პერფექტთაგან ძველ პერფექტებთან III სერიის თურმეობითების მიმართებათა კვლევისას ირკვევა, რომ ძველიდან > ახ. ქ-კენ III სერიის პერფექტულ ფორმათა სემანტიკაში კლებულობს „ჭეშმარიტი" პერფექტულობა და მატულობს მოდალობის ხარისხი (თუმცა მორფოსინტაქსური მოდელის თვალსაზრისით III სერია, ცხადია, მაინც პერფექტად უნდა მივიჩნიოთ, გამჭვირვალე აღწერითი, ანალიზური პერფექტული წარმოშობითა და შემდგომი გაფლექსიურებით). საგულისხმოა რ. ასათიანის დასკვნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ახ. ქ-ში პერფექტულობა აღარ არის III სერიის მადიფერენცირებელი ნიშანი (ასათიანი 1987; 1994). ასეთ შემთხვევაში ამ „შემოკლებული ნიშნის" შემავსებლად შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით მივიჩნიოთ *ახალი აღწერითი პერფექტები* („ჭეშმარიტი პერფექტების" *შედეგობრიობის,* რეზულტატივის *წამყვანი სემანტიკით),* რომელნიც III სერიის მწკრივებთან *დამატებითი დისტრიბუციის* პოზიციაში აღმოჩნდებიან. სურათი ლოგიკურია, როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად – უნივერსალური ციკლების – **აღწ./ფლ./აღწ.**-ის **ციკლური მონაცვლეობის** თვალსაზრისით. *ა* და *ბ* პერფექტთა ფორმალური მორფოსინტაქსური მოდელები, ჩვენი დებულებით, აკმაყოფილებენ ერგატიულობის ზედაპირული სტრუქტურის პირობებს, *ერთადერთი* ***აუცილებელი*** *და* ***საკმარისი*** *ნიშნით:* – $S_{ag.,\ obl.}$-ის ***ირიბი აგენტური სუბიექტის*** *არსებობა* (იხ. სახოკია 1985; 1998). სახეზეა სხვა ნიშნებიც: $O_{nom.}$ და გარდაუვალი ზმნების *დიქოტომია* $S_{nom.}$-ით: *ჩემი გაკეთებულია სადილი/სადილი გაკეთებულია; მას ნანახი აქვს ფილმი/ფილმი ნანახია.* ამდენად, ***ა/ბ*** პერფექტები ანუ პპ-ები გვევლინებიან **ერგატივიზებულ ახალქართულ ახალ აღწერით „ჭეშმარიტ პერფექტებად" რეზულტატივის (შედეგობითობის) წამყვანი ფუნქციური სემანტიკით**. ამ ფუნქციით ***ა/ბ*** პერფექტთა ხმარება-გამოყენება თანამედროვე სასაუბრო სალიტერატურო ენაში საყოველთაოა. განსხვავებას იძლევა სხვადასხვა რეგიონებში მხოლოდ დიალექტური მიმღეობური მორფოლოგიური ფორმების არჩევანი. მაგალითად, *„ნაყურები გაქვთ ეს კინო?"* (ხარაგაული, ზესტაფონი). საზოგადოდ მიმღეობურ *ბირთვთა* ფორმების განაწილება-არანაწილება სისტემებში საინტერესო კერძო საკითხია. მაგალითად, სალიტერატურო ენის ნორმა მოითხოვს მაინცა და მაინც **ნა**-პრეფიქსიანი ბირთვის გამოყენებას კონაში *„ნანახი მაქვს, ნანახი მყავს",* და მაინცა და მაინც **-ულ** სუფიქსიან ბირთვს კონაში *ჩემი გაკეთებულია* და ა. შ. დიალექტური მასალა ამ მხრივაც აჩვენებს სხვაობას. მაგ., *„თქვენ ნახული მყავდით"* (ზესტაფონი). თვით *ა/ბ მოდელები* კი **სალიტერატურო ენაში** *იღებს სათავეს.*

როგორც უკვე არაერთგზის მითქვამს, ახ. ქ. ***ა/ბ*** პერფექტებს, მათ *ფორმალურ მორფოსინტაქსურ მოდელებს* დაეძებნათ იე-ში მრავალი *ტიპოლოგიური პარალელი* სხვადასხვა *დიაქრონიულ სიბრტყეზე,* - პიე მოდელების ჩათვლით (აღდგენა-რეკონსტრუქცია): ძვ.-საშ.სპ., ძვ. ინდ., სლავ., რუს., ბალტ.,

ლათ., ძვ. სომხ., და სხვ. (სახოკია 1985-2007 და ტაბულები). პიე ირიბი ერგატიული (ერგატივიზირებული) ზედაპირული სტრუქტურის მქონე კონსტრუქცია *OVI Pekto Patres $S_{gen.(Ag.)}$ (+Prep)[+P(noun verb)+$Od_{nom.}$> >acc](esse): *„მამის ხარშვა/მოხარშული ცხვარი“*. სხვადასხვა იე-მემკვიდრე ენებში დაფიქსირებული *რეალურად* არსებული კონსტრუქციების პროექციას წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ეს მოდელი ფუნქციობდა შედარებით მოგვიანო პიე. ეტაპზე (შესაძლოა, ე. წ. „გამყრელიძე-ივანოვის ეტაპის“ შემდგომ ეტაპზე) იმგვარადვე და იმავე ხარისხით, როგორადაც ფუნქციობენ *ერგატივიზებული პპ-პერფექტები იე-მემკვიდრე* ენებში (ძვ. ირან., ძვ. ინდ., ლათ., ბალტ.-სლავ.,). ასეთი აღწერითი კონების პროტოტიპები კი უფრო ადრეული, გამყრელიძე-ივანოვის ეტაპზეც არიან წარმოჩენილი. ხეთური მასალა არ იძლევა პერფექტული კონების ზუსტი შესატყვისების ნიმუშებს, *მაგრამ მიმღეობების და სახელების პრედიკატული ფუნქციობის* სრულ სურათს აჩვენებს (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 278-287; შმალსტიგი 1982, 132; 1980, 1984, 1986-1991; შდრ. მარტინე, ვაიტენბერგი, შმიდტი შტემპელი, ჯემისონი 1979, ლურაგჰი 1986-87, ლომანი, მოდინი; გამყრელიძე, ივანოვი 1984, 309-319); პიე ეტაპებთან დაკავშირებით იხ. სტეპანოვი, მარტინე, ვაიტენბერგი, შტემპელი, დესნიცკაია, შმალსტიგი, მოდინი, გამყრელიძე, ივანოვი). იე პარალელებთან (კერძოდ რუსულთან) დაკავშირებულია აგრეთვე ფინური ენის (უნგრო-ფინური) მონაცემებიც (ორრი, ვეენეკერი). ყველა ამ *იე და პიე ძირითადი საერთო მოდელია*: $S_{gen.Ag.}$(+prep)+Part.Past.Pass ("noun verb")+$Od_{nom.}$(>acc)(+Vesse) (ან *Vesse omitted)$S_{obl.}/O_{d.}/O_{id.}$ (*პიე მოდელის აღდგენა* ეკუთვნის შმალსტიგს). *ფართო ტიპოლოგიური ფონის* გათვალისწინება გვარწმუნებს იმაში, რომ *იე/ქ-ის ტიპის აღწერითი მორფოსინტაქსური პერფექტული კონები თავისი ზედაპირული სტრუქტურით* ბუნებრივია, საზოგადოდ, *ბუნებრივი ენების გრამატიკული სისტემისათვის*, წარმოადგენენ მნიშვნელოვანწილად უნივერსალიებს და ამიტომაც მსჭვალავენ მთლიანად *დიაქრონიულ და რეტროსპექტულ სივრცეს*. როგორც ამას ტიპოლოგიური კვლევის განვლილი გამოცდილება გვაჩვენებს, *ირიბ-მიმღეობური პერფექტული მორფოსინტაქსური კონები* მჭიდრო ფორმალურ, სემანტიკურ და ლოგიკურ ურთიერთკავშირშია სახელური *პოსესიურობის* ანუ *ქონების* გამომხატველ ფორმა-კონებთან. ეს არის უცილობელი **ენობრივი ფენომენი**, მათ შორის *იე და ქვ-თვის* (სახოკია 1985-2007). ამიტომაც სავარაუდო პიე აღწ.-ერგ. პერფექტის $S_{gen.\ erg.}$ +Vstem (Part)+$O_{nom.}$ -ის პროტოტიპური მორფოსინტაქსური საფუძველი თუ საწინდარი აგრეთვე უნდა იყოს ადრეული *-პიე პოსესიური და კუთვნილებითი კონსტრუქციების მოდელები და იმავე ადრეულ პიე-ში („გამყრელიძე-ივანოვის ეტაპი“) არსებული ქონების გამომხატველი ერთადერთი კონსტრუქცია, ირიბი ქონების ფორმა (ირიბი პოსესორი – „ყოფნა“ ზმნა); (გამყრელიძე, ივანოვი 1984:276-290). ახ. ქ. ***ბ*** პერფექტის უფრო დაზუსტებულ *იე პარალელს შეადგენენ დატიური და ენკლიტიკური რიგის აგენტური კონსტრუქციები*: ტიპი ძვ. სპ. maiy kartam astiy; m kart (hast) est mihi (Sencl) მოდელით $S_{dat.}$ encl. Ag+Part.Pass.Past

(Vstem)+$O_{nom.}$+Vesse. იე-ში გენეტიურ-დამოუკიდებელი და დატიურ-ენკლიტიკური *პოსესიური* მოდელებისა და საზოგადოდ ნაცვალსახელური ელემენტების ორი *პრონომინალური რიგის* გამოყოფა სიმპტომატურად დასტურდება ადრეული პიე-ის რეკონსტრუქციების მონაცემებით (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 254-255, 290-291; შდრ. ორანსკაია; სახოკია 1985). ორსავე იე რიგს აქვს ანალოგები ქ/ქვ-ში.

ა/ბ მოდელები *პერფექტების* სახით ჩნდება მოგვიანო ხანის ახ. ქ-ის დონეზე და თანმიმდევრულად საყოველთაოდ ვრცელდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სალაპარაკო და ბეჭდურ ენაში. მათი *გრამატიკალიზებულ მორფოსინტაქსურ ერთეულებად* გამოყოფა დასტურდება კონტექსტური და ფუნქციური სემანტიკის დეფინიციის მეთოდით, რომლის მიხედვით ფრაზემა-ფორმა სიტყვა-ფორმის სემანტიკური ეკვივალენტი და ერთიანი გრამატიკული ერთეულია (ხოლოდოვიჩი, ხრაკოვსკი, ხრაკოვსკი-ვოლოდინი, რკტ, პკტ, პაკტ, სსტმ და მრ. სხვ. გრამატიკული ანალიზის ეს მიმართულება კარგად არის დამუშავებული და წარმოჩენილი ყოფილი ლოია-ს (ЛОИЯ АН) ტიპოლოგიური ჯგუფის ნაშრომებში და მათი ინიციატივით გამართულ სიმპოზიუმებზე (ლოია ამჟამად: სანქტ-პეტერბურგში რუსეთის აკადემიის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი).

ა პერფექტი ჩემეული *„გრამატიკული პოსესიურობის“* სქემის II ფაზის მოდელს და IV ფაზის სემანტიკას შეესაბამება (სახოკია 1985, 143-144). მაგრამ ორივე კონა *პერფექტივიზებულ გრამატიკალიზებულ მორფოსინტაქსურ ერთეულს* წარმოადგენს. ***ა/ბ*** პერფექტები შედარებითი უპირატესობით საყოველთაოდ ენაცვლებიან როგორც ფლ.-აორისტს (ერგკ), ისე III სერიის ინვერსიულ (ერგატივისებურ) პერფექტებს ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში, ყოფით მეტყველებაში, სამეცნიერო ენაში, საკანცელარიო, ბიუროკრატიულ-საკანცელარიო, საქმიან, ოფიციალურ, პრესის, პუბლიცისტურ ენაში, ნეიტრალურ პროზაში და სხვ. როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ახ. ქ. *პოლიგენეტიური* ***ა/ბ*** პერფექტები ქ-ის ისტორიაში გარკვეული პროტოტიპური მოდელების ორგანული და ამავე დროს ციკლური განვითარების შედეგია: ტიპოლოგია გვიჩვენებს კონსტრუქციათა *პოლიგენეზს*, *ციკლურობასა* და *რეგენერირების* ფაქტებს (შდრ. სახოკია 1984; უჟ.).

ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ***ა/ბ***-ს შესაბამისი ზოგიერთი ვარიანტი განიხილება შედგენილი შემასმენლის რიგში, ფორმათა „აგებულების“ მიხედვით აღწერის განაკვეთში; გამოიყოფა „აბსოლუტური“ და „რელატიური“ შედგენილი შემასმენელი „ყოფნა“ და „ქონა-ყოლა“ ზმნების შესაძლებელი ურთიერთტრანსფორმირების ნიშნით: „თანხა გაღებული იყო – თანხა გაღებული მქონდა; გაკეთებულია საქმე, თანხა დახარჯულია, ძმა გაგზავნილი მყავს, მყავდა...“ (არის ჩემეული „პერფექტული ფუტურუმებიც“: „მექნება“, „მეყოლება“ და ა. შ. მ. ს.) (შანიძე 1973, 295, §365). რეკომენდირებულია ასეთ ფორმათა გამიჯვნა „აღწერითი პასივისგან“, რომელიც „*იქმნა/იქნა*“ კოპულით იწარმოება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ფორმები არ

ფიქსირდება ი. ბაგრატიონის გრამატიკაში, ჩანს ისინიც შედარებით ახალია: *„ვაგ ზავნილ იქნა“* და ა.შ. როგორც ვხედავთ, „რელატიური“ შეესაბამება ჩემეულ ***ბ***-პერფექტს, ხოლო „აბსოლუტური“ – ***ა***-პერფექტის უაგენტო ვარიანტს. ა. შანიძის „აბსოლუტური შედგენილი შემასმენელი“, თუ მას დავუმატებთ $S_{gen.ag.}$-ს, იძლევა ერგატივიზებულ პერფექტულ მორფოსინტაქსემებს (***ა***-პერფექტებს). შდრ. ანალოგიური პროცედურა იე-ში (შმალსტიგი, ბოგოლიუბოვი). მაგალითად, *„ფილმი გადაღებულია/ფილმი რეჟისორის გადაღებულია; წერილი გაგზავნილია/წერილი ჩემი გაგზავნილია“*. ამ *პროცედურაში* კარგი მაჩვენებელია *დიალოგური მეტყველების პრაგმატული კონტექსტი,* მაგ., კითხვა-პასუხი: *„ვისი გამოგზავნილი ხარ? – მასწავლებლის; რისი გადათხრილია ეს მიწა? – ხარების“* და ა. შ.

ჩემი დაკვირვებით, ასეთ კონტექსტებში ენის მატარებელი ინფორმანტები სწორედ აღწ. პერფექტების ხმარებას არჩევენ და არა ფლ. აორისტებს (შდრ. რამ გათხარა – ხარებმა). სალაპარაკო ენაში მკვეთრი უპირატესობა ენიჭება აღწ. პერფექტებს. ამ ვითარების შესამოწმებლად გამოყენებული მაქვს *მაკონტროლებელი ტესტები* სხვადასხვა ასაკის ინფორმანტებთან (ამასთან ერთად განსაკუთრებით სიმპტომატურად მივიჩნევ ბავშვებისა და მოზარდების მონაცემებს). მაგალითად, შემკითხველი ხაზგასმით ხმარობს დიალოგში ფლ. ფორმებს (აორისტსა და თურმეობითს), მაგრამ პასუხად დაჟინებით იღებს აღწ. პერფექტს (ინფორმანტი „ასწორებს“ შემკითხველის ფორმას*): „მე არასოდეს არ გამომიცხვია პური//არ გაქვს გაკეთებული (გამომცხვარი პური?); მე ეს ფილმი არ მინახავს//არ გაქვთ ნაყურები ეს კინო?* “და მრ. სხვ. (ჩაწერილია ხარაგაულში და ზესტაფონში).

დიალექტურ-კუთხური მეტყველება რეგიონებში მხოლოდ ლექსიკაში ან მიმღეობის ფორმის შერჩევაში ვლინდება, ხოლო მორფოსინტაქსური პლანი სალიტერატურო ნორმებს შეესაბამება. პირველ რიგში, სასაუბრო ენაში, თახქ-ში გავრცელებულ აღწ. პერფექტებს, უეჭველია, მხარს უჭერს ისტორიულად დიალექტოლოგიური მასალაც (ტიპი „ნაყვარება“). მაგრამ საკუთრივ ***ა*** და ***ბ*** პერფექტები, რომლებიც დაფიქსირებულია წერილობით ძეგლებში, ლიტერატურული ბეჭდური ენის წყაროებში, თახქ-ში პირველ რიგში გავრცელდა *სალაპარაკო სალიტერატურო ენაში*, საიდანაც პოვებს გავრცელებას კუთხურ მეტყველებაშიც სალიტერატურო *მორფოსინტაქსური ერთეულის* სახით. შეიძლება ვრცლად ვილაპარაკოთ ***ა/ბ*** პერფექტთა არანჟირების შესახებ სხვადასხვა პრაგმატული სფეროების, სტილებისა და ჟანრების მიხედვით, შეიძლება ვილაპარაკოთ ცალკეულ ავტორთა, მწერალთა სტილზე განსახილველ მორფოსინტაქსემათა შერჩევის თვალსაზრისით, მაგრამ აქ არ არის ამის ადგილი. როგორც ითქვა, ***ა/ბ*** პერფექტთა უპირატესი სფეროა პირველ რიგში <u>არამხატვრული</u>, ნეიტრალური, ყოფითი, სამეცნიერო, სასწავლო, საქმიანი, ოფიციალური, მასობრივი ინფორმაციის სამეტყველო ნაკადის *პრაგმატული გარემო*. მხატვრულ ლიტერატურაში ყველაზე მოსალოდნელია დიალოგურ მეტყველებაში, დრამატურგიაში; პოეზიაში უფრო მოსალოდნელია თეთრ ლექსში

და სხვ. ამ სფეროზე მსჯელობა მხოლოდ ავტორთა ინდივიდუალური სტილისა და თხზულებათა ჟანრის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. ზოგადად მოკლედ ვიტყვი, რომ, ცხადია, აღწ. პერფექტები თანამედროვე მხატვრულ მწერლობაში *ნორმატიულად* გამოიყენება, სტილურად კი III სერიის მწკრივებს უფრო „მაღალი სტილის“ მხატვრული დატვირთვა ახასიათებს, ***ა/ბ*** პერფექტებს – უფრო ყოფითი ენის სტილი.

ცალკე მსჯელობის საგანია აგრეთვე რიგი მორფოსინტაქსური საკითხებიც. მაგ., მიმღეობის ფორმათა გადანაწილება ***ა/ბ***-ში. სიტყვათა რიგის საკითხი და სხვ. თუ გამოვიყენებთ იმ ცნებებს, რომელიც კარგად მუშაობს სპარსული ენის მორფოსინტაქსში, ვიტყვი, რომ ***ა/ბ*** ქართულ პერფექტთა „*პოსესიური ჩარჩო*“ აგრეთვე შეიძლება „გაიწელოს“ და მასში სხვადასხვაგვარად ჩაერთოს სხვადასხვა აქტანტური და სირკონსტანტური წევრები. მაგ., „*მას სახლი შარშანვე ჰქონდა აშენებული; ელიოს სადილი ორ საათზე უკვე დამზადებული ექნება*“ და ა.შ. ყურადღების ღირსია აგრეთვე კოპულათა ჩანაცვლების შესაძლებლობა ე. წ. „თავაზიანი“ ან „ხატოვანი“ ზმნური ლექსემებით (განსაკუთრებული *პოსესიური* ზმნებით): „*სადილი დამზადებული გახლავთ, დაწერილი გაქვთ მოხსენება? – გახლავთ*“ და სხვ. ახ. ქ. ამ შემთხვევაში ძვ. ქ-ის ასახვას გვიჩვენებს, რადგან ახ. ქ-შიც შესაძლებელია ნაწილობრივ სალიტერატურო, ნაწილობრივ უბრალო მეტყველებაში *პოსესიურობის უნივერსალურ* ზმნათა შენაცვლება „განსაკუთრებული“, „ხატოვანი“ ზმნებით: როგორიცაა: მახლავს, გამაჩნია, მაბადია, ასხია, აბია, მიდგას (მიდგია), დამიდის, მიზის და სხვ. (შდრ. შანიძე 1973, 818; 1976). მაგრამ „*ყოფნა*“ და „*ქონა-ყოლა*“ ზმნათა *უნიფიცირება და უნივერსალიზება* ხელს უწყობს *ა/ბ* პერფექტთა *გრამატიკალიზაციას.* ამავე დროს, დასახელებულ ზმნათა *ურთერთტრანსფორმირება* და მათი არანჟირება *შანიძისეული აბსოლუტური/რელატიური* ფორმების მიხედვით (*არის/მაქვს-მყავს*) ტიპოლოგიურად შეესატყვისება პერფექტთა *არსებობის პოსესიურობის ზმნათა* „ინდოევროპულ თეორიასაც“, – *ყოფნა-ქონების გარკვეული დიქოტომიით* (სახოკია 1985). ყოველივე ეს შეესაბამება პოსესიურობის და პერფექტულობის ზოგადლინგვისტურ უნივერსალურ ტიპოლოგიას. *ა/ბ* ფორმათა და კოპულათა გადანაწილების *დინამიკის* შესწავლა დიაქრონიული ჭრილის დიაპაზონით (ძვ. ქ. > საშ. ქ. > ახ. ქ.) საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ახ. ქ. ***ა*** პერფექტი ნაწარმოებია ძვ. ქ. > საშ. ქ. კონსტრუქციიდან აგენტით: „ნათ. ბრ.+თანდ. „*გან*“: აგენტი *ნათ.-გან+ვნებითი გვ. მიმღ. ნამყო+ -„ყოფნა” ზმნა + ობიექტი სახ. ბრ.*: $Agens_{gen.}$ + prep "გან" + Past. Pass.+Part (P)+Vesse [copula] $+O_{nom.}$ ეს უნდა იყოს **ა-გენეტიური პერფექტის პროტოტიპი**. სუფთა გენეტიური უთანდებულო პერფექტული კონსტრუქცია იშვიათად ჩნდება XIX ს-ის II ნახევრამდე. ა. ჰარისის ერთ-ერთ წერილში მოიპოვება უნიკალური ნიმუში ძვ. ქ. კონსტრუქციის <u>უთანდებულო გენეტივით</u>: „*თქვენცა ჩინებულ ხართ ქრისტე იესუისა*“ (რომ. 1, 6: ჰარისი 1979, 380). ტიპი *ბ* კარგად არის წარმოდგენილი უკვე ბარბარე ჯორჯაძის პიესებში. ფაქტობრივად *ა/ბ*-ს ჩამოყალიბება ახ. ქ. *სალიტერატურო ენის* ჩამოყალიბების პერიოდს უკავშირ-

დება. თუმცა ილია ჭავჭავაძე იშვიათად მიმართავს აღწერით პერფექტებს, მაგრამ საკმაოდ ხშირია ისინი აკაკის პუბლიცისტურ და მხატვრულ (მათ შორის პოეტურ) თხზულებებში. XVIII ს-ში ჩამოყალიბებული სახით გვხვდება ნიმუშები საბას არაკებში, ხოლო პროტოტიპური ვარიანტები, – სხვა ავტორებთანაც. ძიებისას უპირატესობა ენიჭება ნარატიული ჟანრის პროზას, XIX ს-ის მეორე ნახევრიდან აღწ. პერფექტი აქტიურდება პუბლიცისტურ და ეპისტოლარულ ჟანრში (აკაკი, ვაჟა, თ. საბოკია და სხვ.). ინფორმატიული აღმოჩნდა ი. ბაგრატიონის გრამატიკა, ბ. ჯორჯაძის დრამატიული ნაწარმოებების ტექსტი. გადამწყვეტი აღმოჩნდა პლ. იოსელიანის თხზულება „ცხოვრება და სიკვდილი მეფის გიორგი XII-ისა“, სადაც სინთეზურად არის წარმოდგენილი უფრო ძველი, პროტოტიპური და ახლად წარმოებული მორფოსინტაქსური ერთეულები; მაგ., ტექსტში გვხვდება როგორც თანდებულიანი $S_{gen.}$+*გან*, ისე უთანდებულო გენეტიური აგენტი $S_{gen.}$Ag. რაც შეეხება მოდელს $S_{dat.}$Ag+P+Vhab+$O_{nom.}$, მისი ჩამოყალიბების ზღურბლად გამოიკვეთა XVIII ს-ის მიჯნა (საბა, თეიმურაზ ბაგრატიონი, ი. ბაგრატიონი; იხ. კიკნაძე 1993). ადრეული და მოგვიანო სასულიერო მწერლობა არ გვაძლევს აღწ. პერფექტულ კონსტრუქციათა ხშირი ხმარების სურათს, მაგრამ უხვად არის ამ მწერლობაში მიმღეობური ადიექტური (უკოპულო) მორფოსინტაქსემები (სახელური ვარიანტები). მაგ., პროტოტიპი: *„კაცთაგან შეუძლებელ არს ეგე, ღმერთისგან ყოველივე შესაძლებელ არს* “ (მათე 19. 26). არ ვეხებით *„მიერ“* თანდებულიანი აგენტითა და *„ქმნა“* კოპულით ნაწარმოებ აღწერითი პასივის კონსტრუქციებს; ასევე ადიექტურ მათ ვარიანტებს, როგორც *„-ის მიერ წოდებული“*).

ა პერფექტის პირველი, ყველაზე გამოკვეთილი ნიმუში ჩვენს მასალაში არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან, მაშასადამე, საშ. ქ-დან. პოემის სალექსო სტრიქონის სიგრძე ხელს უწყობს სინტაქსური კონსტრუქციის დადგენას ამ შემთხვევაში. ეს არის ნიმუში: *„ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“* (1293). საყურადღებოა აგრეთვე *„ჩემგან უცოდნელია“* (75). ასეთი ნიმუშები საფუძვლიანს ხდის თანდებულიანი აგენტური ფორმის როგორც ლათ. Ablativus auctoris (წინდ. a/ab)-ის მსგავსი ცალკე ბრუნვის წარმოჩენას (შდრ. მაჯო 95-97, 515-556). ძვ. და საშ. ქ-ის სხვა ნიმუშები, მათ შორის უთანდებულო: *„რომელნი უმეტეს განდიდებულ იყვნენ თამარისაგან* “(ქ. ცხ. 177); *„რომელი განდიდებულ იყო ფრიად მეფეთაგან“* (ქ. ცხ. 171). შდრ. „*მიერ*“ თანდ.-კოპულა *„ყოფნა“* (და არა *„იქმნა“*): *„რომელ ბრძანებულ არს ჩვენ მაჰმადიანთა მიერ“* (ქ. ცხ. 186); მიმღეობურ კონსტრუქციებში ძვ. ქ-ში აგრეთვე გამოიყენება აგენტად მოქ. ბრ. (-ით) – ინსტრუმენტალისი. მაგრამ **ა**-ს პროტოტიპად უნდა მივიჩნიოთ *„გან“* თანდებულიანი კონები. *„ვისგან შეყვარებულ ხარ? – ძმათაგან, რომელთაგან ქებულ ხარ? – მეგობართაგან, ვისგან არს განბრძნობილი, -სულისა წმიდისაგან, ვისგან არს განსანათლებელ? – მადლისაგან* “(ი. ბაგრატიონი. კალმასობა, გრამ. 117; ი. ბაგრატიონთან ფლექსიური პასივიც *„გან“* თანდებულიანი აგენტითაა გამართული, და არა *„მიერ“*-ით: *„ვისგან იდიდების“* და სხვ.). *„ესე თვით მამისა ჩემისაგან იყო თარგმნილი და მისვანვე დაწერილი ქართულად“*

(პლ. იოს. 126; შდრ. ადიექტური „ანდერძი, მამისაგან დაწერილი“ 223, *„ღვთისაგან ჩაბერვილი სული კაცისა“* 68, *„მათგან არ დავიწყებულთა“* 82). *„ერთი ესე არს მოწერილი მეფის ძეს დავითთან ვარლაამისა“*, – კოპულა სრული ფორმით, ახ. ქ. *„არის“*, აგენტი უთანდებულო, ნამდვილი ა პერფექტი (პლ. იოს. 135). *„ესეც შენი გარიგებული იქნება“* – **ა** პერფექტი (პლ. იოს. 187). *„სოფიო ჩემი გაზრდილია“* (ბ. ჯორჯ. 125) – უთანდებულო, ა პერფექტი; *„ჩვენი ოჯახი სტუმრებისაგან არის შეჭმული“* – *„გან“* აგენტური კონა, კოპულა კი სრული, ახალი (ბ. ჯორჯ.). შდრ. ადიექტური *„ჩემი გაკეთებული საქმე“* 133; *„თქვენი ნაბოძები, ღამბაშიძის გამოგზავნილი“* (აკაკი 15, 155); „პლატონისგან სწავლა-თქმულსა“ (რუსთ.) და ა.შ. ყველა განსახილველი კონსტრუქცია აღწ./ფლ./აღწ. *ციკლთა სპირალში ზის.* ამავე დროს დიდი ციკლების გარდა, რაც მთლიან კონას შეეხება, გამოსაყოფია „მცირე ციკლებიც“, რაც ოდენ კომპონენტებს ეხება. მაგ., **ა** პერფექტის აგენტის ფორმა: ***ნათ.ბრ.*** – ***„გან“ თანდ.*** > ***უთანდებულო გენ.*** > ***კვლავ თანდებულიანი ნათ.*** (თახქ: *„მისგან მოძღვნილი, მისგან მოძღვნილია, მისგან გამოგზავნილია“*) (შდრ. აგრეთვე *„მისით“*, *„მის მიერ“*, *„მშობლებიდან“* და ა. შ.). **ა** პერფექტის კოპულის ციკლი: **სრული ფორმა – „არს“ > მოკლე „ა“ > სრული „არის“**.

მაგ., თახქ: *„ეს არის ჩემი გაკეთებული საქმე; ეს არის ჩემი ნაფიქრი და ჩემი გაკეთებული საქმე“* („კახეთი“); *„ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების გაკეთებული“* (TV). ამგვარად, ციკლურ განმეორებადობას ექვემდებარება როგორც მთლიანად მორფოსინტაქსემა, ასევე მისი ცალკეული კომპონენტები. აღნიშნული დიაქრონიული ფაქტები **უნივერსალურ ლინგვისტურ ფენომენს შეესატყვისება**. **ა** პერფექტის პროტოტიპებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სხვადასხვა მორფო-სინტაქსური ელემენტებიც: მასდარული მორფოსინტაქსემები, მოქმედებითი გვარის მიმღეობის შემცველი მორფოსინტაქსემები, საზოგადოდ მიმღეობისა და სხვა სახელურ ელემენტთა პრედიკატული ფუნქციის დინამიკა, რაც კარგად ჩანს შესწავლილ წერილობით ძეგლებში ქრონოლოგიურად. ამავე დროს „მცირე ციკლები“ *დაკავშირებულია დეკლინაციური სისტემის განახლების მუდმივმოქმედ უნივერსალურ პროცესთან* (შდრ. კემპფი, ა. შანიძის „ლოკატიური ბრუნვები“, ონიანი 1987, ფუტკარაძე 1987 და სხვ.). ეს პროცესი თვალსაჩინოა შესწავლილი წყაროების ფიქსირებული მონაცემების მიხედვით. მაგ., გარდამავალი ხასიათის კომბინაციები ფიქსირდება პლ. იოსელიანის თხზულებებში (შესაბამისი დიდძალი მასალა აქ ვერ იქნება მოყვანილი). **ა** პერფექტის პროტოტიპები და ნიმუშები „ვეფხვისტყაოსანიდან“ (საშ. ქ.): *„ვისგან მზე შენაფლობია“* (38), *„ვისგან მზე საწუნელია“* (36) – მყ. მიმღეობის ვარიანტი; *„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“* (39) – უთანდებულო მოდელი, **ა** პერფექტი; *ა/ბ* პერფექტთა თავისებური კონტამინაცია: *„ჩემი ცოდნა სრულ ლეონის ნასწავლები მაქვს“* (საბა 55) – უთანდებულო გენეტივი; *„განძებულ იყო იმერთაგან“*(თ. ბაგრ. 53); *„შენგან თელილი“* (ბარათაშვილი, „მერანი“) – ადიექტივი; *„ეს გული, სარკედ ქცეული, ბუნების ნათავხედია“* (აკაკი, „პოეტი“); *„ყველა მისი გაზრდილია“* (აკაკი 5, 246) –

ჩამოყალიბებული ა პერფექტები, უთანდებულო S_{gen}-ით; ძვ. ქ.: „*რომელ წოდებულ იყო ანგელოზისა მისგან*“ (ლ. 2,21) – (-„გან“ თანდებულიანი); ადიექტიური: „*თქმული მამისა ნეტარისა ჩუენისა გრიგოლ ღვთისმეტყუელისაი, თქმული მისივე; თქმული ბასილისა*“ და სხვ. (სახ. მრავ. 87); „*განძებულ იყო რა მეფე იმერთა სოლომონ იმერთაგან*“ (თ. ბაგრ.) 53); „*ნაწველიც იმის კითხული იყო, იმის ნაკეთებიც იყო და იმის კითხულიც იყო*“ (ფშავ-თუშეთი, რ. ხარ. არქ. 13. 38ბ.-7,8).

XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე უთანდებულო ა პერფექტი ბატონდება, რომლის ცალკეულ ნიმუშებს ძვ. ქ-იდან და საშ. ქ-იდანვე ვხვდებით (იხ. XIX- XX საუკუნეების მწერლობა და შემდგომ დღემდე).

ჲ-პერფექტის დიაქრონიულ-ქრონოლოგიური ნიმუშებია: „*დასწოლი ყვანდა უკვე ცოლი თამაზს*“ (კალმას. 247), „*კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი*“ (დ. გურამიშვილი) (შდრ. „*ახლა ვთქვა ჩემი სათქმელი*“), *სამთავ უსამართლოებით ნაშოვნი ჰქონიათ* („სიბრძნე სიცრუისა“), „*შენ მასთან რა საბრძოლავი გაქვს და ან მას შენთან რა საშუღლარი*“ („სიბრძნე სიცრუისა“), „მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა წერილი პავლე იმპერატორთან მისაწერი” (პლ. იოს. 148) (შდრ.: „*აქვნდა ნაჩუქრად ინგლისისა ვაჭრისავან, ტფილისს მოსულისა*“ – 191, საობიექტო ორიენტაცია), „*მეც გაგებული მაქუს, როგორც არის საქმე*“ (ბ. ჯორჯ. 125), „*დრო მაქვს დანიშნული სხვისთვის*”(ბ.ჯორჯ. 207), „*ფეხის ლანჩები აქვს გადაცვეთილი, ეე ჯაგ-ჯუჯი და ხევ-ხუვი სულ შემოვლილი აქვს*“ (ბ. ჯორჯ. 217), „*შენი ჩხუბით გული მაქვს გახეთქილი*”(ბ. ჯორჯ.204), „*რაც გასაკეთებელი აქვს, დაუმზადე*“ (ბ. ჯ. 225), „*ჩვენი ქალი გათხოვილიცა გვყავს*“ (ბ. ჯორჯ. 55), „*ეს ყოლიფერი გათვალისწინებული ჰქონდა მთავრობას*“ (აკაკი, 14, 506), „*ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს*“ (აკაკი, 5, 246), „*შორი გზა აქვს გამოვლილი*“ (აკაკი, 5, 237), „*მე სხვა მადა მაქვს აშლილი*“ (აკაკი, 5, 237), „*კირი გვაქვს დასაწვავი*“ (აკაკი, 7, 132), „*გაგონილი ჰქონდა ბაქრაძის ქება*“ (აკაკი, 7, 145), „*კახელებს უკვირდათ მისი ახირებულობა და ათვალისწინებული ჰყავდათ*“ (აკაკი, 7, 153), „*ცოლ-ქმარს ეკლესიაში უნდა ჰქონდეს ჯვარი დაწერილი*“ (ილია, 11), (შდრ. „*საუბარი მქონდა*“), „*ვაჟა ჰყავდა ჩათრეული სემინარიის ზღუდეთა შორის შემოჭრილ ახალი აზრების მოძრაობას*“ (თ. სახ. 141)[1] (შდრ. „*ხატები გაკეთებული იყო ადამიანის ხელით*“ – 141), „*სამივე თითი გაერთიანებული ჰქონდათ კანითა*“ – როლისეული გაორებით ($O_{orient}O_{id}$) (ი. გოგებაშვილი, 51), „*ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული*“ (ი. გოგებაშვილი, 51), და ა. შ. შემდგომი დროის მწერლობაში განსახილველი პერფექტი მხოლოდ მატულობს და არა კლებულობს, მისი დინამიკა ხშირად ხმარებული ერთეულების ჩვეულ ნორმას აღწევს და ნორმატიულად ფლექსიურ ფორმებს უტოლდება (იხ. აგრ. ალ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი და შემდგომი დროის ახალი და უახლესი თანამედროვე მწერლობა).

[1] *გაწელილი პოსესიური ჩარჩოს* შემთხვევაში ან-პერფექტს შეიძლება „კონტექსტურიც“ ვუწოდოთ.

ახ. ქ-ის **ბ**-პერფექტი, როგორც ითქვა, განარჩევს რეფერენტის სულიერობა/უსულობას, ანუ ურთიერთმოქმედებს მორფოსინტაქსის სემანტიკური (1) და გრამატიკული (2) საწყისი. ფუტურუმების რიგების შემთხვევაში კი გვაქვს *ორმაგი სემანტიკური პლანი,* რომელთაგან ერთი მნიშვნელოვანწილად *პრაგმატულია, აქტუალურია, საკომუნიკაციო.* ამდენად, **სამმაგი პლანის იერარქიის** ყველაზე მაღალ იარუსს კვლავ წმინდა *გრამატიკული არგუმენტაციის პლანი* წარმოადგენს, რომელსაც ორივე სემანტიკური პლანი ექვემდებარება. ბ-პერფექტული ფუტურუმების ფორმალური ზედაპირული ერგატივიზებული მორფოსინტაქსური სტრუქტურული მოდელები ასე გამოიყურება: S_{dat}+PartPassFut+ Vhabendi+O_{nom}.

PartFut-ბირთვიან რიგებს **ა**-პერფექტებიც აწარმოებენ მოდელით: SAgensGen+PartPassFut+Vesse+O_{nom}. (იმპერატივის პრაგმატული კატეგორიის შესახებ იე/ქ-ში იხ. სახოკია 1988, 1991, 1994; შდრ. ვოლოდინი-ხრაკოვსკი და სხვ.). <u>მაგალითები</u>:

ა: „*შენი შესასრულებელია ეს დავალება, მისი გასაზრდელია ეს ბავშვი, ჩემი გადასაღებია ფილმი*“ და მისთ.; **ბ:** „*საყიდელი მაქვს პური, ხვალ გაკვეთილი მექნება დასაწერი, ბებია მყავდა სანახავი*“ და ა.შ. პოსესიურობასა და პერფექტულობას შორის ღრმა სემანტიკური და ფორმალურ-სტრუქტურული კავშირი ვლინდება განსაკუთრებით კარგად ისეთი სახელური (თუ ნასახელარი) P-ბირთვების მეშვეობით, როგორიცაა: „*ნაქურდალი, ნახელავი, ნათავხედი, ნაშობი, შობილი, სათქმელი, სასაცილო, ნათარგმნი, საბარგი, საჩუქარი, ნაჩუქარი, საჩხუბარი, ნაუბარი, ნახატი, ნაწერი*“ და მრ. მისთ. ამ კავშირის *ფენომენოლოგიური მექანიზმი* მოწმდება ჩემს მიერ უკვე *აპრობირებული ჩანაცვლების პროცედურით (მექანიზმით):* შდრ.: „*ჩემი თარგმანია/თარგმნილია/ნათარგმნია, მისი ნახატია/მისი დახატულია, მისი ნახელავია/მისი გაკეთებულია, ჩემი საჩუქარია/ჩემი ნაჩუქარია, ჩემი ნაწერია/ჩემი დაწერილია*“ და ა. შ. მოქმედებს ჩანაცვლების მოდელი: N>V (Oposs>P), სახელი>ზმნა.

ახ. ქ. ყველა დასახელებული ან-ტიპი ***ა-ბ ექვემდებარება პარადიგმულ ულვლილებას*** ტრადიციული სერია-მწკრივების მიხედვით (შდრ. შანიძე, 1973). ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია **ა-ბ** ტიპის **პერფექტული რიგები**, რომლებიც ავსებენ ახ. ქ.-ში არსებული მოქმედი უღლების სისტემის სრულ **პარადიგმას**, გავიზიაროთ როგორც **ახალი, დამატებითი, IV სერია** (რომელიც ავსებს ყველა ტრადიციულ მწკრივს და წრეს). IV სერია გამართულია კოპულების Vesse//V habere „ყოფნა“//„ქონა-ყოლა“ ზმნების უღვლილების მიხედვით (იხ. ტაბულა 8 სახოკია 1985-ში). ვინაიდან აკ. შანიძის სერიულ მწკრივთა არანჟირებას საფუძვლად უდევს ზმნური ფუძე, IV სერიის ლოგიკურ ჩასმას ამ *მორფოლოგიურ პრინციპზე აგებულ სისტემაში* განაპირობებს *მიმღეობური პრედიკატული ბირთვი* (Ppart) როგორც ასეთი. ეს არის *აღწერითობის, ანალიზურობის სერიოზული ელემენტი ქართულის მორფოსინტაქსურ სისტემაში* ენის მთელი *ისტორიის დიაპაზონი,* რასაც თავისთავად ფართო ტიპოლოგიური ფონი გააჩნია.

ახ. ქ-ის IV სერიაში იგულისხმება აგრეთვე გარდაუვალი მორფოსინტაქსემებიც, როგორიცაა „წასასვლელი ვარ“[2] და კონვერტირებადი გარდაუვალი აღწერითი ვნებითი გვარის მორფოსინტაქსემები (პასივები): „გაგზავნილი ვარ, გაგზავნილი ვიყავი, გასაგზავნი იყო, გასაგზავნი იქნება“ და ა. შ. მოდელები: SNom+P(PartPassTransPast/Fut)+Vesse. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ახალი ქართულის მორფოსინტაქსემებზე მოდელით SNom+ Pact(PartPastPass)+Vesse, რომელიც სემანტიკით აქტიურია და სიღრმისეულ სტრუქტურაში სამოქმედო ობიექტს ვარაუდობს, რაც ზედაპირზე არ ჩანს არა თუ მორფოლოგიის, არამედ სინტაქსის დონეზეც: ეს არის მორფოსინტაქსურად ერთპირიანი, ნომინატიური წყობის (Snom) მორფოსინტაქსემები კოპულით „ყოფნა“: „ნაჭამი ვარ, ნასვამი ვარ (შდრ. ჟარგონი: ნასმი-ა, ნაჭმი-ა), ნაკითხია, ნამუშევარია“ (შდრ. ილია, ოთ. ქვრ., 271), და მისთ.[3] Past+Vesse ამავე დროს ახ. ქ-ში მსგავსივე მოდელით იწარმოება სიღრმისეულადაც გარდაუვალი ერთპირიანი ან-მორფოსინტაქსემები: „ნარბენი ვარ, ნამტირალევი ხარ, ნასიარულები ვარ, ნავარჯიშევია“ და მრ. სხვ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მოდელი განარჩევს მედიოაქტიური ზმნების გრამატიკულ ლექსიკურ-სემანტიკურ *ჯგუფს,* უფრო ზუსტად, შეიძლება, – მოძრაობის ზმნათა ვიწრო *წრეს* და ზოგიერთ ზმნას გრძნობათა ზმნების წრიდანაც.

არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ აგრეთვე *მოქმედებითი გვარის მიმღეობით* ნაწარმოებ ფართოდ გამოყენებად და სასაუბრო ენაში პროდუქტიულად გავრცელებულ მორფოსინტაქსემებს მოდელით: Snom+P:PartAct/Med(-/intrans)+Ogen+ Vesse. კოპულის („ყოფნა“ უღლების მიხედვით ეს მორფოსინტაქსემებიც შეიძლება მივაკუთვნოთ IV სერიის კომპლექსს, რადგან ისინიც სავსებით გრამატიკალიზებულნი არიან: „ამის გამკეთებელი არ არის, ლურსმნის მიმჭედებელია ახლა ეს? (შდრ. „შენს გამომშვებს რა ვუთხარი!“)“ და მისთ. ამ სერიაშიც იგულისხმება ინტრანზიტივები: „იქ წამსვლელი არა ვარ, იქ მიმსვლელი არა ვარ“.[4] საინტერესოა, რომ PPartAct-იანი მორფოსინტაქსემები ხასიათდებიან წინადადების შინაარსის არჩევითობით: უფრო *პოპულარულია* მეტყველებაში მათი უარყოფითი ან კითხვითი სახით გამოყენება: „ამის წამკითხველი/წამკითხავი არა ვარ, იქ წამსვლელია ახლა ის?“ და მისთ. შედარებით იშვიათია მათი მტკიცებითი სემანტიკის გამოყენება, როგორიცაა, მაგ.: „ყველაფრის გამკეთებელია ეგ!“; ანდა კითხვა-პასუხში: „ამის დამწერი ხარ ახლა შენ? რატომაც არა, ვარ, დიახაც, ვარ!“. აქ ყველგან შესამჩნევია *კატეგორიულობის პრაგმატული სემანტიკაც,* ისევე როგორც ვნ. გვ. მყოფ. მიმღეობური

[2] შდრ. შედგენილ შემასმენლად კოდიფიცირებული „წასული ვარ“ და გავიხსენოთ, რომ სწორედ ასეთი მორფოსინტაქსემები იკვეთება წარმოშობით მე-3 სერიის გარდაუვალ ზმნებში: ძვ. ქ. „წასრულ ვარ>ახ.ქ. წავსულვარ“ (ან>ფლ).

[3] მსგავსი წარმოებაა ახალ სომხურში ac მიმღეობიან მორფოსინტაქსემებში: kardac’ac em, „ნაკითხი ვარ“ (kardac’ac ვნ. გვ. მიმღ.)(იხ. ღარიბიანი).

[4] შდრ. რუს.: Сюда я больше не ездок, туда я не ходок, он не едок, я хороший едок (едоки) და მისთ.

ბირთვის შემთხვევაში გამოხატული გვქონდა *ობლიგატორულობის (აუცილებლობის, ვალდებულების) პრაგმატული სემანტიკა.* მაგ.: „სახლის ამშენებელია ახლა ეგ?“ [კითხვის სახით პრაგმატული მტკიცება: ეგ არ არის სახლის ამშენებელი!].

როგორც ვხედავთ, განსახილველი მორფოსინტაქსემების დახასიათებაში **პრაგმატული სემანტიკაც** იკავებს შესამჩნევ ადგილს. მოქმ. გვ-ის (ნომინატიური წყობის) მორფოსინტაქსემების **პროტოტიპები** ძვ. ქ-ში და საშ. ქ-ში თვალსაჩინოდაა დაფიქსირებული: მოქმ. გვ. მიმღეობა პრედიკატული (ზმნური) შინაარსით ხშირად გამოიყენება: „ამისმა მცნობმან თამარ, თამარ არამკადრე-ბელმან სიძობისამან, მოსწრაფე მეფე, მპოვნელთა საქმროისა“ და ა. შ. (ქ. ცხ. 173, 182-183 და სხვ.).

უნივერსალია: მიმღეობა=ზმნა.

ამდენად, ჩვენ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილეთ ახ. ქ-ის **ან(აღწ)** მორფოსინტაქსემათა საკმაოდ დიდი კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა *გრამატიკულ-სემანტიკური ბლოკებისგან* შედგება. ყველა ბლოკი დიაქრონიულად გამომდინარეობს ენის ისტორიიდან და ამავე დროს დაეძებნება ფართო დიაპაზონის უნივერსალური და ტიპოლოგიური პარალელები. განხილული ბლოკები გვიჩვენებენ ურთიერთდაქვემდებარებულ გრამატიკულ (2, II) და სემანტიკურ (1, I) საწყისთა დონეებს. საკომუნიკაციო სემანტიკაც უკავშირდება აქ გარკვეულ მორფოსინტაქსურ და გრამატიკულ-სემანტიკურ პირობებს. მაგრამ ყველა *განსახილველი ბლოკის მთლიანი სისტემატიზაცია ხერხდება პირველ რიგში მორფოსინტაქსური კლასიფიკაციით, კოდიფიკაციითა და დეფინიციით.* ***ფორმალური მორფოსინტაქსური მოდელები აწესრიგებენ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს, ხოლო სინტაქსური როლებით ოპერირება – სხვადასხვა აქტანტურ ურთიერთმიმართებებს.***[5] **ყველა ბლოკის საყრდენს წარმოადგენს მიმღეობური პრედიკატული ბირთვი.**

გვაქვს სრული საფუძველი ახალ ქართულში დადასტურებული ყველა ***ან-ბლოკი*** განვიხილოთ როგორც *ციკლური სპირალური ხვეულების* ***ან-ფლ-ან*** **უნივერსალური მორფოსინტაქსური გამოვლინება**.

პირველ რიგში ეს შეეხება ნამყო მიმღეობურ-ბირთვიან პერფექტებს ***ა-ბ***-ს. ამ უკანასკნელთ გააჩნიათ დიაქრონიული წანამძღვრები, პირველ რიგში, – გამჭვირვალე პერიფრასული წარმოშობის III სერიის მწკრივები (ძველი პერფექტები). როგორც ადრევე იქნა წარმოდგენილი, ინდოევროპულ (იე)-პერფექტულ მორფოსინტაქსემებთან შეპირისპირების საფუძველზე ქ-ის III სერიის I მწკრი-

[5] საგანგებოდ შეიძლება მსჯელობა **პოსესიური პერფექტების** მიმართებაზე ჭეშმარიტი პასივის ან კვაზიპასივის, კვაზოაგენსურ კონსტრუქციებთან. მით უფრო, რომ ქართულში საზიარო აგენსურ ფორმებსაც ვხვდებით, როგორიცაა: -გან-თანდებულიანი გენეტივი, –ტიპი „მისგან“; რომ აღარაფერი ვთქვათ პასივ/პოსესივის ურთიერთგადაკვეთაზე მიმღეობური ბირთვის ორაზროვნების თვალსაზრისით. საგულისხმოა ისეთი ქ-აგენსური ფორმების გათვალისწინება, როგორიცაა „მიერ“, -ით, -იდან და სხვ. მაგ.: „მისით, მის მიერ, ჩემგან, ჩემიდან“ და მისთ. ა. შ. (დაწვრილ. იხ. სახოკია).

ვის ამოსავალი სტრუქტურული მოდელი აღდგენილი მაქვს ამ სახით: ***-მ-(ი)-ჭამ-(ი)-ა,** სადაც P-ბირთვად გვევლინება მასდარული ზმნური ფუძე თემის ნიშნის გარეშე (სახოკია 1998, იხ. ბიბლ. იქვე; შდრ. მელიქიშვილი-ასათიანი, მელიქიშვილი 1991 და სხვ.). III სერიის ასეთი სქემა ყველაზე ახლო, მჭიდრო იდენტურობას ამჟღავნებს საშ. სპ-ის ერგატივისებურ პერფექტთა ზედაპირულ მორფოსინტაქსურ სტრუქტურასთან: შდრ.: -m kart, -m-xward (hast). ირანული ენების თვალნათლივი ფაქტებიდან გამომდინარე, შემიძლია გამოვიყვანო ლოგიკური ტიპოლოგიური ხასიათის დასკვნა, რომ **კლიტიკური პირის მარკერი (მორფი)** სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ყოფილი (წარმოშობით) **ნაცვალსახელური ელემენტი,** რომელიც ფონეტიკურად იქცა **კლიტიკად** და შემდეგ ჩამოყალიბდა **მორფად**. მე შესაძლებლად მიმაჩნია ვივარაუდო, რომ ქ(ქვ) ინვერსიული (იგივე ერგატივიზებული, თუ საქმე პერფექტებს ეხება, ანუ მეორად/მეორეულ ერგატივიზაციას) მორფოსინტაქსემების სტრუქტურებს უნდა გაევლოთ იგივე გზა, რაც განვლეს სპარსულის ჭრილში ენკლიტიკურმა სტრუქტურებმა მოდელით: ნაცვ. ენკლ.+ზმნური ფუძე+(ჩაშვებული კოპულა **Vesse). ამ მორფოსინტაქსემების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი კი არის: ნაცვალსახელური ელემენტი>კლიტიკა>მორფი(პირის მარკერი)**(იხ. სახოკია 1985, 1998, 2002, 2003, 2005; შდრ. ორანსკაია)**. შესაბამის მორფოსინტაქსურ სტრუქტურათა რეტროსპექცია, დიაქრონია და ტიპოლოგია როგორც ქართულში, ასევე სპარსულში, გულისხმობს ასეთ შემთხვევაში პირის მარკერთა განვითარების შემდეგ გზას: Oid>Sobl; Sgramm>Od; Sobl>SergAgens (Sposs, Saff) ქ(ქვ)-ში საქმე ეხება *ირიბობიექტურ> ირიბსუბიექტურ* მან-**ის რიგის მარკერებს, რომელთა აღდგენილი სქემა შეპირისპირებადია იე-პიე უმახვილო ნაცვალსახელურ ელემენტთა სისტემასთან (გამყრელიძე-ივანოვი, 254-255)[6] ქ./საშ. სპ.-ის მასალაზე დაყრდნობით გამოსაყოფია ნამყო დროის მორფოსინტაქსემათა ორი შეპირისპირებადი წყვილი: **ა(a), ბ(b). *ა(a):*** საშ. სპ.man kart ham>ახ.სპ.man k'ardam (ძვ.სპ.mana kartam astiy) „ჩემი გაკეთებული ვარ(<არის)" *me-n-a ket-a>me(n)(v)ket(e)a (**II სერია–ერგ**) ***მე-ნა**(ვ)-**კეთ-**(ე)-**ა** „მე გავაკეთე". ***ბ(b):*** საშ. სპ. m-kart(hast) .>ახ. სპ. k'ardam (ძვ. სპ.-maiy kartam astiy) ***მ-**ი**კეთ**ებ-ი**ა,** ქ.*m(e) m-i-čam-i-a (III სერია – ინვერს.) *მ-ჭამ-(ი)-ა „მიჭამია(=ვჭამე)".

სპარსული კონების დინამიკა სახეზეა, – დაფიქსირებულია ერთის მხრივ *კლიტიკებისგან* და მეორეს მხრივ *კოპულისგან პირის ნიშანთა* ჩამოყალიბება საშ. სპ. >ახ. სპ.-ის დონეზე. იმავდროულად, ამასთანავე არანჟირდება ძირითადი *დიქოტომია*: გარდამავალი ზმნა – კლიტიკა, გარდაუვალი – კოპულა (სახოკია 1985, 1998, 2004, 2005). მსგავსი **დიქოტომია** ფიქსირდება ქართულშიც: გარდამავალი – მანის რიგის პრეფიქსები, გარდაუვალი – კოპულატური წარმოშობის პირის ნიშნები – ვარ, ხარ, ა... – (შდრ. ონიანი). ქ-ის მარკერები მანის რიგში დაახლოებით ასე გვესახება: **მ-მე, გ-ეგე, ს-ისი, ესე**

[6] ეს ტიპოლოგიური დასკვნები მეტ მნიშვნელობას იძენს სიღრმისეული ნოსტრატული ნივთიერი მასალის გათვალისწინებისას: იხ. *mi,* m (ილიჩ-სვიტიჩი).

და ა. შ. კოპულის აუცილებლობა, შესაძლოა, ამაგრებს მანის რიგის კონების მდგრადობას ქვ-ში. ქ(ქვ)-ში ვხედავთ ენკლიტიკური (მანის რიგის) და კოპულატური მარკერების წონასწორობას III სერიის კონებში. მანის რიგის მორფებს ჰიპოთეტურად განვიხილავ ნაცვალსახელური ელემენტების კლიტიკურ რუდიმენტებად. იე(სპ)//ქვ ტიპოლოგია ამ კონებში თვალსაჩინოა და გამჭვირვალეა ენკლიტიკური მოდელების წამყვანი ნიშნით. უფრო რთულია ერგ-II სერიის საკითხი ქ(ქვ)-ში. ჩემეული პერიფრასული ირიბსუბიექტური მოდელებია: **Sgen/Dat (Transf.) OblErg+P(Vstem,Masd)+copula(Vesse)+ Onom; SoblN(n) (***ma-n, vi-n, *mena*sena, cuena, tkuena) (სახოკია 1985, 160-161; შდრ. მელიქიშვილი 2002). III პირის მრ.რ.-ის ფორმა **მა-თ** აგრეთვე SoblErg-ის იოლად წარმოსადგენ და დასაძლევ ნიმუშად მიმაჩნია, თუმცაღა არნ. ჩიქობავა ეჭვობდა მის ირიბულობას სუბიექტური სუფიქსალური შეთანხმების გამო (ჩიქობავა 1985, 160-161). ქ. (ქვ) II სერიის მორფოსინტაქსის სხვადასხვა საკითხებს ბოლო თხუთმეტი-ოცი წლის მანძილზეც მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, რომელიც საკმაო მრავალფეროვნებითა და ნაირსახეობით გამოირჩევა. მათ შორის ჩვენთვის აღსანიშნავია კვლავაც ამოსაცნობი ელემენტის – **ნ**-ს (ფორმები მა-ნ, ვი-ნ) უპირატესი ინტერპრეტაცია პირის აღმნიშვნელ მორფონოლოგიურ ერთეულად, თუმცა მისი ეტიმოლოგია მაინც გაურკვეველია (გამოთქმულია აზრიც, რომ „მან“, „ვინ“ მთლიანი ნიშანია, **ნ** მასში ფუძისეულია და ცალკე ვერ იქნება ერგ-ბრუნვის ნიშანი). მაინც იკვეთება საერთო მოსაზრება, რომ **ნ-** ნაზალიანი ელემენტები თუ ცალკე – **ნ** ნაზალი **არანომინატივის ანუ ირიბი ბრუნვის** ნიშანია პირველ რიგში (შდრ.: ფოცხიშვილი 1985, ასათიანი 1994, სუხიშვილი, სარჯველაძე, ონიანი, უთურგაიძე, თოფურია 1984, 1988; ჰარისი, ჰიუიტი, ნებიერიძე 1986, 1987; მელიქიშვილი-ასათიანი 1988 და სხვ.)..

მე ჩემის მხრიდან ყველა შემთხვევაში ვვარაუდობ *SoblErg-ს. I პ. ვინის რიგის მარკერს აქ ახსნა სჭირდება: ის უთუოდ ანალოგიაა, თუნდაც I სერიის ჩამოყალიბების შემდგომი, მეორადი ანალოგია, და ფაქტობრივად ნომინატივიზაციის გარკვეულ ხარისხზე მიუთითებს (შდრ. იხ. ტუეტი 1988, 238-239). ამას არ შეუშლის ხელს რ. ასათიანის დებულება ვინის რიგის პრაგმატულ-სემანტიკური დატვირთულობის შესახებ მთავარი წევრის მიხედვით. კ. ტუეტი ერთგვარად ამაგრებს ჩემს კონცეფციას II სერიის მოდელის შესახებ, – წარმოშობით პერიფრასული (აღწერითი, ანალიზური) და მორფოსინტაქსურად ირიბი სტრუქტურა. მას ***მა-ნ კეთ-ა ჩემეული *(საბოკიასეული)*** მოდელისთვის გამოჰყავს მრ. რ-ის ფორმა: Od-ს თვალსაზრისით და ზემომოყვანილ ვარსკვლავიან კონაში შემოჰყავს მრ. რ-ის მარკერი –ნ-: ***მა-ნ კეთ-ნ-ა*** ანუ „მან აკეთა ბევრი საქმე, ბევრი რამ“ – "to him there are multiple accomplished doings" (-ნ ორივე მრავლობითობას გამოხატავს, – სახელურსა და ზმნურს). კ. ტუეტი გადმოცემს ჩემს ძირითად დებულებას, რომლის თანახმად 1-ერგკ-ის ბირთვი არის სახელი (verbal noun) ანუ შიშველი ზმნური ფუძე, რომელსაც ერთვის კოპულა. ხოლო იმ მოქმედების აგენსი, რომელსაც

იგი, – ბირთვი გამოხატავს, შესაბამისად ირიბია (არანომინატივი). ავტორს მოჰყავს იე-ენათა ის პარალელებიც, რომელთაც მე მივმართავ (ძვ. სპ., ძვ. სომხ., ინდ., სლავ., ბალტ., ლათ., და სხვ.) (ტუეტი, 1988, 239). კ. ტუეტისთვის მხოლოდ ისაა ასახსნელი, რომ ვინის რიგის ანალოგიით II სერიის I პ. დაუშვებს ვინის მარკერს, მაშინ როდესაც II სერია I სერიაზე უფრო ძველია, ხოლო დატიური ფორმები (III სერია) ყველაზე ახალია (ტუეტი 239; შდრ.: შმიდტი 1984, 297, ჰარისი 1985). როგორც უკვე ვცადე ამეხსნა, ანალოგია სწორედ რომ გვიანდელი უნდა იყოს და მეორადი, – ალბათ უკვე I სერიის ჩამოყალიბების შემდგომი. ასეთ შემთხვევაში I სერიის ანალოგია II სერიაში (ვინი) მთლიან ისტორიულ კონტექსტში ჩაჯდება. შესაძლოა, აქ ის პრაგმატულ-სემანტიკური ფაქტორიც თამაშობდეს როლს, რომელზედაც რ. ასათიანი ლაპარაკობს: მთავარი წევრის ხაზგასმა ვინ-რიგის ნიშნით (საკომუნიკაციო სემანტიკა). II სერიის ოდეალურ სამსჯელო სქემად ამიტომაც თავიდანვე III პირის მოდელი მქონდა წარდგენილი. კ. ტუეტი ნ. მარის ძველ დებულებასაც იხსენებს, რომლის თანახმადაც ***-ნ** ნიშნიანი ერგ-ბრუნვა ძველი დატივის ან გენეტივის ასახვას წარმოადგენს (მარი 1925, ფოგტი 1947, 125, ტუეტი, 239). სწორედ ***-ნ** არის მიღებული აღდგენად საერთოქართველურ დატივად უკანასკნელი ხანის ქართველოლოგიურ ძიებებშიც (ონიანი; შდრ. ქვ. დატივ-ტრანსფორმატივი: შმიდტი).

კვლევის ეს უკანასკნელი მიმართულება ეხმაურება იე//ქვ მორფოსინტაქსის საერთო ანალიზის უახლეს შედეგებს. ტრადიციული აორისტული ერგკ უნდა ასახავდეს უფრო ძველ რეკონსტრუირებად მოდელებს განზოგადოებული საერთო წამყვანი სქემით: .

*SoblErg+P(verb.Stem/Part)+Onom+copula (>pers.mark.)

ამ სქემის მორფოსინტაქსური არსი **აღწერითობა, ირიბაგენსურობა და სახელურბირთვიანობაა.** სამივე ქართველური ენისთვის ამ კონსტრუქციათა არსია საერთო, მაგრამ საერთო ერგატივიზებული კონსტრუქცია ნივთიერად არ აღდგება (შდრ. მელიქიშვილი-ასათიანი, მელიქიშვილი, ონიანი, ნებიერიძე, შმიდტი და სხვ.). სამაგიეროდ **ტიპოლოგიურად** ნათელყოფილია ცალ-ცალკე ყველა ერგატივიზებულ კონსტრუქციათა ლოგიკურად სავარაუდო მორფოსინტაქსური ნიშნები: **ირიბი სუბიექტი** ერთ-ერთ ირიბ ბრუნვაში (აუცილებელი და საკმარისი სტრუქტურული ნიშანი), **ანალიზური (აღწერითი)** გენეზისი (მეორადი შესაძლო ფლექსივაციით), **პრედიკატული ბირთვის სახელურ-ზმნური** გენეზისი (ზმნური ფუძე, მასდარი, მიმღეობა, სახელი და სხვ.).

ამგვარი კონსტრუქციები და მორფოსინტაქსური კონები (მორფოსინტაქსემები) გამუდმებით და ციკლურად წარმოიშვება სხვადასხვა ენებში სხვადასხვა დიაქრონიულ დონეებზე.

ახალქართული ***ა*** და ***ბ* პერფექტებიც** III და II სერიის ტიპის ძველი **ანალიზური (აღწერითი)** კონების – მორფოსინტაქსემების ერთგვარი **ციკლური რეგენერაციაა.** მათი სტრუქტურები აგებულია **სამივე** ზემოდასახელებულ **მორფოსინტაქსურ ნიშანზე: ირიბი სუბიექტი – აგენსი, ბირთვი – მიმღეობა,**

აღწერითობა. ყველა შემთხვევაში ეს **ახალქართულის ფლექსიური სისტემის ფონზე შიდაენობრივი დინამიკის** ძალით **ავტონომიურად** და თვალნათლივად წარმოჩენილი **ზოგადტიპოლოგიური, უნივერსალური ხასიათის მორფოსინტაქსემებია. მათი სემანტიკა ფლექსიურ ერთეულთა სემანტიკის ტოლფარდია. მათი პროდუქტიულობა კი თანამედროვე ენის ყველა სფეროში და პირველ რიგში სამეტყველო ნაკადში მაღალი და სულ მზარდი ხარისხით ხასიათდება.**

ასეთია **ახალქართულ აღწერით პერფექტთა** ჩვენეული კლასიფიკაცია, კვალიფიკაცია და ტიპოლოგიური კოდიფიკაცია ყველა პარამეტრების ზემოთ განხილული მახასიათებლების მიხედვით – **დიაქრონიის, რეტროსპექციისა და ტიპოლოგიის** ერთდროული გათვალისწინებით.

დასასრულ, დავძენთ, რომ სასურველია საკითხის ყოველმხრივი შესწავლა კომპიუტერული დამუშავების მეთოდით. ამ მიმართულებით უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები (სახოკია 2002)[7].

ლიტერატურა

არაბული – Арабули А. И., Образование и значение форм третьей серии времен и наклонений глаголов в древнегрузинском языке, Автореферат канд. дисс., Тб. 1980.

ასათიანი 1987, 1994 – რ. ასათიანი, ძველი ქართული ენის მწკრივთა ანალიზი დიფერენციალურ-ბინალური სემანტიკური ნიშნებით, სამეცნ. კონფ. აკ. შანიძის 100 წლისთ. აღმოსავლეთმც. ინსტ. მასალები. თბილისი 1987; რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), თბილისი 1994.

ბოედერი 1980 – "Haben" in den Kartwelsprachen. Wege zur Universalien Forschung, Tubingen, Beitrage zur Linguistik, Bd. 145, 1980, 207-218.

გამყრელიძე-ივანოვი 1984/1995 – Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 1-2, Тбилиси 1984; Gamkrelidze Th. V., Ivanov V. V., Indo-European and Indo-Europeans, Mouton de Gr., Berlin-New York 1994/95.

თოფურია 1985 – Топурия В. Т., Сванский язык. ЕИКЯ, 12. 1985. 100-149.

თოფურია 1984, 1988 – Топурия Г. В., Наречие и эргатив, ЕИКЯ, 11, 1984, 103-113ж Эргатив, инструменталис и эргативная конструкция. ЕИКЯ, 15, 1988, 259-265.

კემპფი – Kempf Z., Semantic scope of the locative in Turkish and Indo-European perspective, Linguistics. 100, Paris 1973, 47-63.

კიკნაძე 1993 – ი. კიკნაძე, მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიის ენა (1838-1870), სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი 1993.

ლომანი – Lohmann J., Ist das Indogermanischen perfektum nominalen Ursprungs, Zeitschrift fur vergleichende Sprachforschung, B. 64, 1937, 42-61.

ლურაგჰი – Luraghi S., On the Distribution of Instrumentals and Agentive Markers for Human and Non-Human Agents of Passive Verbs in some Indo-European Languages, IF, B. 91, 1986, 48-66; Luraghi S., Reconstructing Proto-Indo-European as an ergative language, A test. J. of Indo-European Studies, Wash., 1987, 15, N3, 4, 359-379.

[7] საკითხის ძირითადი სრული ბიბლიოგრაფია და წყაროები იხ. შრომებში: სახოკია 1985, 1998, 2002-2007.

მარი 1925 – Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л. 1925.

მასლოვი – Маслов Ю. С., Очерки по аспектологии, Л. 1984.

მაჭავარიანი – Мачавариани М. В., Статив, результатив, пассив и перфект в грузинском языке, Типология результативных конструкций, Л. 1983, 133-141.

მაჯო – მაჯო: ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, (მაჯოს ქართული გრამატიკა), გამომც. „ხელოვნება“, თბილისი 1983.

მელიქიშვილი 1991 – Меликишвили И. Г., Перфект в картвельском и индоевропейском. Историческая лингвистика и типология, Посв. Т. В. Гамкрелидзе, М. 1991, 127-135.

მელიქიშვილი-ასათიანი – ი. მელიქიშვილი, რ. ასათიანი, პოსესივი, პერფექტი და მეორეული ერგატივი, მაცნე, ელს, №3, 1988, 145-150.

ნებიერიძე1986, 1987 – გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში, მაცნე, ელს, 3, 1987. თბილისი 177-191; გ. ნებიერიძე, როგორი სისტემა უნდა აღდგეს ქართველურ ფუძე-ენაში, – ერგატიული თუ ნომინატიური, მაცნე. ელს, 2, 1988. 83-94; Nebieridze G., Uber die Dativ und Ergativ Konstruktion im Georgischen, Georgica Jena-Tbilisi 1986. 20-27.

ნინუა-სარჯველაძე – გ. ნინუა, ზ. სარჯველაძე, უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. 1985. 1. 79-85.

ონიანი 1987, 1989 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი 1978; ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი 1989; ა. ონიანი, ლოკალურ ბრუნვათა საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, გ. ახვლედიანის 100 წლისთ. სამეცნ. სესია. თბილისი 1987.

ორანსკაია - Оранская Т. И., Местоименные клитики в индоиранских языках, Автореферат. канд. дисс. Л. 1986.

ორი – Orr R., A Russo-goedelic syntactic parallel: U nego svoya izba postavlena/Ta se deante agam, General linguistics, v. 29, N 1, 1989, 1-21; More on embrionic ergativity., General linguistics, v. 31, N 3-4. 1991, 163-176.

რევზინა-ჭანიშვილი – Ревзина О. Г., Чанишвили Н. В., О пассивном залоге в грузинском языке, ПТГВ, Л. 1978, 235-244.

სახოკია 1985 – Сахокия М. М., Посессивность, переходность и эргативность, Тб. 1985.

სახოკია 1998 დის./ავტ., – Сахокия М. М., Диахроническая типология в морфосинтаксисе индоевропейских и картвельских языков, Автореф. докт. дисс., Тбилиси 1998; მ. სახოკია, დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური. სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი 1998.

სახოკია 1998 – Sakhokia M., Diachronic Typology and Deep-Reconstructions in Morphosyntax, – Proceedings of 2nd International Symposium LLC, Tbilisi –Amsterdam – Edinburgh 1998. 252-260.

სახოკია 1984, 1990, 1991, 2000, 2002, 2003, 2004, 2005, – Сахокия М. М., Явление цикличности в истории языка. Совещание по вопросам диалектологии и истории языка, Тезисы докладов, т. 2, Москва-Ужгород, 1984, 226.

-Сахокия М. М., Типологизация диахронных формальных морфо-синтаксических пучков и их ведущих функций. На материале индоевропейских и грузинского языков. Всес. конф. по лингвистической типологии, Тезисы, Москва 1990, 144-147.

-Сахокия М. М., Диахронно-типологические морфосинтаксические общности индоевропейских и картвельских языков в свете Ностратики, Ностратика, Славистика, Индоевропеистика, К 60-летию В. А. Дыбо, Доклады конференции, М. 1991, 71-78.
-Сахокия М., Данные русского языка в свете типологических морфосинтаксических единств индоевропейских и картвельских языков, Вторая зимняя типологическая школа, Материалы международной школы-семинара, М. 2000, 171-173;
-Sakhokia M., New Analytical Perfects of Modern Georgian to Computeral Descriptions. Proceedings IV Symp LLC, Amsterdam-Tbilisi, 2002,15 p.
-სახოკია მ., ბალტურ-ქართველური მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური პარალელები, ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბილისი, აკად. თ. გამყრელიძეს, 2005.
სტეპანოვი 1978 – Степанов Ю. С.,"Перфектный центр" в русском синтаксисе, Изв. Ан СССР, Серия лит. и яз., т. 37, №4, 1978.
სცმ – Mechanisms of syntactic Changes, Texas 1977, XIX.
სუხიშვილი – მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი 1986.
ტუეტი 1988 – Tuite K. T., Number Agreement in Georgian, Dissertation, Chicago 1988.
უთურგაიძე – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი 1986.
ფეიქრიშვილი 1972-74-87 – ჟ. ფეიქრიშვილი, III სერიის ფორმათა მნიშვნელობა და გამოყენება ახალქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974, 53-70; ჟ. ფეიქრიშვილი, პირველი თურმეობითის წარმოება და მნიშვნელობა ქართულ დიალექტებში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი 1987, 43-60; ჟ. ფეიქრიშვილი, მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, საკანდ. დისერტ. ქუთაისი 1972.
ფოცხიშვილი 1985 – ალ. ფოცხიშვილი, პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში, მაცნე №4, 1985. 107-121.
ფხაკაძე – დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, 1984; დ. ფხაკაძე, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და I თურმეობითის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში, მაცნე, ელს., №4. 1985, 122-131.
ფუტკარაძე – Путкарадзе Т. А., Особенности формообразования имен в Юго-Западных диалектах грузинского языка, Тбилиси, Автореферат канд. дисс. 1987.
ქავთარაძე – ივ. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იკე, VIII, თბილისი 1956; ივ. ქავთარაძე, აღწერითი ზმნური ფორმების ორგანულით შენაცვლების ისტორიიდან ქართულში, იკე, XIV, თბილისი 1964. 161-175; ივ. ქავთარაძე, აღწერითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ახალ ქართულში, მაცნე, №1, 1971, 129-142.
შანიძე 1973, 1976 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1973; აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი 1976.
შმალსტიგი 1980, 1982, 1985, 1988, 1989 – Schmalstieg W.R., Indo-European Linguistics. A new Synthesis, Pennsylvania-London 1980; The shift intransitive to transitive passive in the Lithuanian and Indo-European verb, Baltistica., XVIII, 2, Vilnius 1982, 119-134; Шмальстиг В. Р., Эргативность в индоевропейских конструкцнях со сказуемым в форме аориста медия, ВЯ, №6, 1985, 25-34; Rec. ad opus Sakhokia M., 1985, Annual of Armenian Linguistics, Cleveland-Ohio, v. 9, 1988, 129-131; Рецензия на

кн. Сахокия М. М. «Посессивность, переходность и эргативность. Тбилиси. 1985. ВЯ. 3. 1989. 129-130.
შმიდტი – Schmidt K. H., Kaukasische Typologie des Hilfsmittel fur die Rekonstruktion des Vorindogermanischen. Innsbruck, 1983; Schmidt K. H., Die Kartvelischen Sprachen Genetisch und Typologisch gegehen, KZ. B. 102, H.2, Gottingen1989. 245-258. **ჩიქობავა 1984** – Чикобава А. С., Грузинский язык, Ежегодник ИКЯ, XI, Тбилиси 1984, 9-36.
ჭანიშვილი – Чанишвили Н. В., Падеж и глагольные категории в грузинском предложении, М. 1981.
ხოლოდოვიჩი – Холодович А. А., Проблемы грамматической теории, Л. 1979.
ხრაკოვსკი – Храковский В. С., Пассивные конструкции: определение, значение, исчисление, типология. Проблемы семантики, М. 1974; Пассивные конструкции. Типология пассивных конструкций. Л. 1974.
ჯემისონი – Jamison St. W., The case of the agent in Indo-European, Die Sprache, Bd. 25, n.2, 1979, 129-143.
ჰარისი 1979 – Harris A., Retired Term Marking in Old Georgian. The elements: A parassession on Linguistic Units and Levels, Papers from the Conf. in Non-Slavic Languages if the USSR. Chicago. 1979. 377-389.

შემოკლებათა სია

ა –პერფექტის პირობითი სიმბოლო
ბ – პერფექტის პირობითი სიმბოლო
იე; პიე – ინდოევროპული; პროტო-/პრეინდოევროპული
ქ. – ქართული
ქვ. – ქართველური
ფლ. – ფლექსიური
აღწ. – აღწერითი
ან. – ანალიზური
ძვ. ქ. – ძველი ქართული
საშ. ქ. – საშუალო ქართული
ახ. ქ. – ახალი ქართული
თან. ქ., თახქ. – თანამედროვე ქართული
ძვ. სპ. – ძველი სპარსული
ძვ. სომხ. – ძველი სომხური
ძვ. ინდ. – ძველი ინდური
ბიბლ. – ბიბლ. სახოკია 1985, 1998.
სლავ. – სლავური
ბალტ. – ბალტური
პპ. – პოსესიური პერფექტი
ერგ., ერგ. კ. – ერგატიული, ერგატიული კონსტრუქცია
პლ. იოს. – პლატონ იოსელიანი
ბ. ჯორჯ. – ბარბარე ჯორჯაძე
რ. ხარ. – რუსუდან ხარაძე
არქ. – არქივი
ქ. ცხ. – ქართლის ცხოვრება
მათე – მათეს სახარება

რომ. – რომაელები (სახარება)
უჟ. (ლიტ. ბიბლ.) – უჟგოროდი (იხ. ბიბლ.)
ფსუგ. (ლიტ. ბიბლ.) – ფუნქციონალური სინტაქსი და უნივერსალური გრამატიკა (იხ. ბიბლ.სახოკია 1998: Folye W. A.van Valin R. Functional Syntax and Universal Grammar. Cambridge, Melbourne, Sydney. 1984).
ლტ..(ლიტ. ბიბლ.) – ლინგვისტური ტიპოლოგია (იხ. ბიბლ.სახოკია 1985: Language Typology. Systematic balance in Language. Lingustic Typology Symposium Papers. Berkeley. 1987. Amsterdam-Philadelphia. 1990. ed. Lehmann.; Language Typology and Syntactic description. Clause Structure. v. I. Cambridge. 1985. I-II-III; Mallinson G., Blake B. J. Language Typology. Cross-Lingistic Studies in Syntax.Amsterdam. 1982.).
რკტ (ლიტ. ბიბლ.) – Типология результативных конструкций(იხ. ბიბლ. სახოკია 1985, 1998: 1983).
პკტ (ლიტ. ბიბლ.) – Типология пассивных конструкций
პაკტ (ლიტ. ბიბლ.) – Типология конструкций с предикатными актантами (იხ. ბიბლ. სახოკია 1985, 1998: 1985).
სსტტმ (ლიტ. ბიბლ.) – Структурно-типологические методы в синтаксисе
ЛЯ-АН – Ленинградское отделение Института языкознания Академии наук
ИЛИ-Институт лингвистических исследований АНР
Sgen.,Sgen.ag., SgenAg. – სუბიექტი გენეტივში, აგენტური სუბიექტი გენეტივში
S agent- სუბიექტი – აგენსი
Sdat – სუბიექტი დატივში
Snom- სუბიექტი ნომინატივში
Vesse – ზმნა ყოფნა
V habendi – ზმნა ქონა-ყოლა
Past. – ნამყო
Pass. – პასიური, პასივში, პასივი
Part. – მიმღეობა
Onom., Od.nom. – ობიექტი ნომინატივში, პირდაპირი ობიექტი ნომინატივში
Od – პირდაპირი ობიექტი
Oid – ირიბი ობიექტი
Sorient. – სასუბიექტო ორიენტაცია
Oorient. – საობიექტო ორიენტაცია
Vstem – ზმნის ფუძე
Ag. – აგენსი
Sobl., S oblAg – ირიბი სუბიექტი, ირიბი აგენსი
Acc. – აკუზატივი
prep. – წინდებული
GS – გრამატიკული სუბიექტი
LO – ლოგიკური ობიექტი

Maia Sakhokia

New Analytical Perfects of Modern Georgian: Diachrony, Retrospection and Typology

Summary

In Modern Georgian several different analytical morphosyntactic sequences may be singled out. Among them different types of analytical perfects are most important.

I have singled out two new analitical forms of perfect (A and B) in MG. They may be expressed by the formulas: A - eius factus est opera (=factum est operam); B - mihi factus (=factum) est/HABEO=mihi est/opera (=operam). Its models are; A-S agent Gen+Part.Pass.Past+copula V esse-Onom chemi gaketebulia sadili "I have cooked the dinner" (its AGENTless type corresponds to Shanidze' s "absolutive compound predicate"); B - Sdat agent+Part. Pass.Past. + copula V habendi (animate/inanimate) _Onom (an/inanim) mas nanakhi akvs pilmi, nanakhi hqavs bavshvi "He/she has seen the film (O inanim, Vhabere inan, the child (O animate V habere anim). The type B corresponds to Shanidze's "relative compound predicate". The corresponding Future Perfects A and B (perfecta futuri, - perfect in future) by the future participial predicate NUCLEUS may and must be devided into: chemi gasaketebelia sadili, mas sanakhavi hqavs bavshvi "I have to cook the dinner, She has to see/visit the child". The pragmatic semantics of Future Perfects is "obligation": the action is obligatory. The corresponding intransitives are attestedtoo (e.g. tsasasvleli var "I have to go/ I must go).

The transitive perfects mentioned above (A and B) are of ergative surface structure (with oblique, non-nominative Agent case forms).

The An-perfects mentioned above were studied by me earlier in the light of typological comparison and diachronic analysis of possessivity, transitivity and ergativity in Georgian (Kartvelian) and Indo-European languages (Sakhokia 1985, 1998, 2002). On the basis of morphosyntactic and pragmatic COMMUNICATIVE analysis the full PARADIGMS of MG An-perfects may and must be qualified as the new analytical additional VERB CONJUGATION sequences (THE PERIHRASTICAL perfective sequences Past and Future). They must be described as parallel forms to inflectional verb conjugation (See Table 8 in Sakhokia 1985, 1998, 2002). The main common table of paradigms includes 18 computer packets of A and B conjugations series with different syntactical and semantic roles.

სემანტიკა/ფრაზეოლოგია/ლექსიკოლოგია

ლია აგულაძე

კომპონენტური ანალიზი და სინტაგმატური ლექსიკური მიმართებები

"В словесной области, обратно чем в области человеческой,
все дело, или почти все дело – в соседстве! "
(*სიტყვების სფეროში, ადამიანების სფეროსაგან განსხვავებით, ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი მეზობლობაზეა დამოკიდებული).*
Марина Цветаева

ლექსიკური სემანტიკა სწავლობს სიტყვის მნიშვნელობას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „სიტყვის მნიშვნელობას ადამიანი უფრო არაცნობიერად შეიგრძნობს, ვიდრე ინტელექტის მეშვეობით სწვდება“ (გათრი 1983, 5), მაშინ ცხადი გახდება, რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული სიტყვათა მნიშვნელობების მეცნიერული კვლევა. ლექსიკური სემანტიკის ამოცანაა სწორედ „არაცნობიერი შეგრძნებების“ ექსპლიკაცია.

„ყოველი ცალკეული სიტყვა არ არის რაღაც დამოუკიდებლად არსებული რამ, არამედ არის იმ პროცესების **კვანძი**, რომლებიც შეადგენენ მეტყველებას და მისი მნიშვნელობა განისაზღვრება მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში და არა ლექსიკონის განმარტოებაში“. ლექსიკონში სიტყვის მნიშვნელობა გადმოცემულია სხვა სიტყვებით, მაგრამ მხოლოდ „...**თვით** სიტყვა, მხოლოდ ის და ვერავითარი სხვა სიტყვა ვერ სწვდება მის აზრს უფრო ღრმად და უფრო სრული მომცველობით, ვიდრე თვითონ ის გამოხატავს **თავის თავს**“ (Florenskij 1989 , 126)[1].

ფლორენსკის ეს გამონათქვამი ერთი შეხედვით თითქოს ეჭვქვეშ აყენებს განმარტებითი ლექსიკონისა და საერთოდ ლექსიკური სემანტიკის ღირებულებას, მაგრამ ამავე დროს იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სიტყვის მნიშვნელობის კვლევას მხოლოდ მეტყველების პროცესთან მიმართებაში აქვს აზრი. ეს შეხედულება თანამედროვე სემანტიკაში თანდათან უფრო და უფრო ნათლად იკვეთება, რადგან სიტყვა ენაში თითქმის არასდროს არ გვხვდება იზოლირებულად. თუმცა

[1] "...всякое отдельное слово не сть что-либо существующее самостоятельно, но - лишь узел тех процессов, которые составляют речь , и в своем значении определяется лишь в живой речи, а не в уединении словаря; ... самое слово, оно одно и никакое другое слово не возьмет его смысла глубже и полно охотнее, нежели выражает оно само себя".

არიან მკვლევრები, რომლებიც აღიარებენ სიტყვის სემანტიკურ დამოუკიდებლობას. ეს ქმნის სემანტიკაში ორ სხვადასხვა მიდგომას: ლექსიკოცენტრულსა და ტექსტოცენტრულს.

სიტყვის მნიშვნელობის კვლევას ჩვეულებრივ მნიშვნელობის განსაზღვრით იწყებდნენ (Ogden & Richards 1951), რაც ცნობილი ინგლისელი ლინგვისტის ჯ. ლიჩის თქმით, არ არის აუცილებელი. ლიჩი შენიშნავს, რომ, მაგალითად, ფიზიკაში არ იყო განსაზღვრული და ახლაც არ არის საბოლოოდ დადგენილი ისეთი ცნებები, როგორიცაა ატომი, დრო და სხვ., მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკოსები არ იკვლევდნენ ატომისა და დროის თვისებებს. თუ საჭირო გახდება, დეფინიცია თვითონ შემუშავდება და დაიხვეწება კვლევის შედეგად (Leech 1974, 4).

სიტყვის ლოგიკური ანუ კონცეპტუალური მნიშვნელობა, რომელსაც ზოგჯერ **დენოტატურს** ან **შემეცნებით-კოგნიტიურსაც** უწოდებენ, ძირითადია მნიშვნელობის სხვადასხვა სახეობათა შორის.

კონცეპტუალური მნიშვნელობები გამოიხატება კონტრასტული თვისებების ტერმინებით, რაც შეიძლება შეუდარდეს ენის ფონოლოგიური დონის ერთეულებს, რომლებიც იდენტიფიცირდებიან ბინარული ოპოზიციების ტერმინებით.

კონტრასტული თვისებების გამოყოფა ან სიტყვის შინაარსის დაშლა მცირე ელემენტებად ანუ კომპონენტებად დაიწყეს ამერიკელმა ანთროპოლოგებმა და ეთნოგრაფებმა ნათესაობის ტერმინების კვლევის დროს (Lounsbury 1956; Goodenough 1956), თუმცა საკითხის ისტორიისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ლაიბნიცთან ვხვდებით მნიშვნელობისადმი სისტემატური კომპონენტური მიდგომის ცდას. ლაიბნიცი ცდილობდა გამოეხატა რთული მნიშვნელობები უფრო მარტივი ელემენტებით ანუ პრიმიტიული სემანტიკური ერთეულებით, რომლებიც მისთვის შეადგენდნენ ადამიანის აზროვნების ანბანს (Cruse 1990,166).

ამერიკელი ანთროპოლოგების მიერ ჩატარებული კომპონენტური ანალიზი ძალიან ახლოს დგას სამოციანი წლების ევროპული სტრუქტურული სემანტიკის კვლევებთან. კომპონენტური ანალიზის საილუსტრაციოდ ხშირად მიმართავენ ბ. პოტიეს მაგალითს (Coseriu & Geckeler 1981, 41, Cruse 1990, 168).

	S_1	S_2	S_3	S_4	S_5	S_6	
„სკამი“ chaise	+	+	+	+	-	+	S_1
„სავარძელი“ fauteuil	+	+	+	+	+	+	S_2
„ტაბურეტი“ tabouret	-	+	+	+	-	+	S_3
„კანაპე“ canapé	+	+	-	+	+	+	S_4
„პუფი“ pouf	-	+	+	+	-	-	S_5

S_1 – ზურგიანი, S_2 – ფეხებიანი, S_3 – ერთი პერსონისათვის, S_4 – დასავჯდომი, S_5 – სახელურებიანი, S_6 – მყარი მასალისაგან.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი სიტყვების (სკამი, სავარძელი...) მნიშვნელობათა დასახასიათებლად გამოყოფილია ექვსი სემა, აქედან ორი (ფეხებიანი და დასავჯდომი) ხუთივე სიტყვის სტრუქტურაში შედის და პოტიე მათ არქისემებს უწოდებს.

კომპონენტური ანალიზის შედეგად მიიღება სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ფორმულა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კანონებს. ამ კანონებს ლიჩი შემდეგნაირად აყალიბებს:

1. კომპონენტების რიგი არ არის რელევანტური მნიშვნელობათა განსასხვავებლად;
2. თუ ფორმულაში ერთი და იგივე კომპონენტი ორჯერ მეორდება, ასეთი ფორმულა ჭარბია;
3. ერთი სიტყვის ფორმულაში არ შეიძლება ორი ურთიერთგამომრიცხავი (კონტრასტული) კომპონენტი შედიოდეს.

გარდა ამ კანონებისა, ლიჩი განიხილავს აგრეთვე დამოკიდებულების კანონებს, რომლებსაც სიჭარბის კანონებიც შეიძლება ეწოდოს, რადგან მათი მეშვეობით სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ფორმულებს ემატება ისეთი კომპონენტები, რომელთა წინასწარმეტყველებაც შესაძლებელია და ამდენად ისინი ჭარბი არიან სიტყვის ეკონომიური სემანტიკური რეპრეზენტაციისათვის. მაგალითად, კომპონენტი ***მამრ.*** დამოკიდებულია კომპონენტზე **+*სულიერი***, და თუ ფორმულაში გვაქვს **+*მამრ.***, ან **-*მამრ.***, მაშინ მასში აღარ არის საჭირო დამატებით კომპონენტი **+*სულიერი*-*ს*** წარმოდგენა. ეს სემანტიკური დამოკიდებულების კანონები იძლევა შესაძლებლობას გავწიოთ ეკონომია სიტყვების დეფინიციისას (Leech 1974, 120-121).

ბევრი მკვლევარი სკეპტიკურად არის განწყობილი კომპონენტური ანალიზის მეთოდის მიმართ. ანა ვერჟბიცკას, მაგალითად, მიაჩნია, რომ სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა სიტყვათა მნიშვნელობებში მცირე წარმოდგენასაც არ იძლევა სემანტიკური პრობლემების განუზომელი სირთულეების შესახებ (Wierzbicka 1980, 347-348).[2]

მე ვფიქრობ, რომ კომპონენტური ანალიზი საინტერესო შედეგებს იძლევა როგორც ცალკე სიტყვის, ისე შესიტყვების სემანტიკური კვლევის დროს. ამის დასასაბუთებლად მივმართავთ შესიტყვებების ანუ კოლოკაციების ანალიზს. ცნობილია, რომ სიტყვათა მნიშვნელობების სტრუქტურათა დადგენა უფრო

[2] აქ მინდა შევნიშნო, რომ თვითონ ვეჟბიცკას მიერ შემუშავებული ბუნებრივი სემანტიკური მეტაენის (NSM - Natural Semantic Metalanguage) ღირებულება, რომელშიაც სიტყვის მნიშვნელობა სემანტიკური პრიმიტივების მეშვეობით განისაზღვრება, საკმაოდ სადავოა.

ადვილად ხერხდება, როდესაც ამ სიტყვებს მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებთან მიმართებაში განვიხილავთ. უმცირესი შესიტყვება, რომელშიაც შედის სიტყვა, არის სინტაგმა ან სიტყვათშეხამება ანუ სინტაქსური წყვილი. სინტაქსურ წყვილს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ სიტყვათშეხამებას, რომელშიც ორი სიტყვა ერთმანეთთან დაკავშირებულია გრამატიკული და სემანტიკური შეთანხმების გარკვეული წესებით. ქვემოთ ჩვენ სწორედ ამგვარ შესიტყვებებს განვიხილავთ.

სინტაქსური წყვილის წევრების სემანტიკური სტრუქტურები განაპირობებენ იმას, თუ რამდენად დასაშვებია ესა თუ ის შესიტყვება, არსებობს თუ არა მასში შემავალი სიტყვების თანხვედრის შეზღუდვები.

იკეგამი გამოყოფს შესიტყვებათა ანუ კოლოკაციათა შემდეგ ტიპებს (Ikegami 1967, 62):

1. ნორმალური: *სწრაფად მიდის*
2. ჭარბი: *სწრაფად მიიჩქარის*
3. შეუსაბამო: *ნელა ჩქარობს*
4. უაზრო: *წითლად მოძრაობს*

პირველ შემთხვევაში ***სწრაფად*** მოქმედების ტემპის გამომხატველი სიტყვაა და ბუნებრივია მისი ხმარება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნასთან. მეორე შემთხვევაში თვით ზმნის მნიშვნელობაში შედის კომპონენტი ***+ტემპი,*** რაც მეორდება ზმნისართშიაც, ამიტომ ერთ შესიტყვებაში მისი 2-ჯერ შეხვედრა სიჭარბეს გვაძლევს. თუმცა სიჭარბე არ გვექნებოდა, ზმნაში ***+ტემპი*** ლექსიკურ დონეზე რომ არ იყოს გამოხატული. მაგალითად, სავსებით ნორმალურია *სწრაფად გარბის.* მესამე შემთხვევაში კი იგივე კომპონენტი (***+ტემპი***) ურთიერთსაპირისპირო ნიშნებით არის წარმოდგენილი, (*ნელა*-ში შედის კომპონენტი ***ტემპი*** უარყოფითი ნიშნით***,*** *ჩქარობს*-ში კი დადებითით), რაც შეუსაბამო შესიტყვების მიზეზია. მეოთხე შემთხვევა საერთოდ უაზროა, თუმცა მაინც შეიძლება დაიძებნოს კონტექსტი, რომელშიც ეს უაზრობა მოიხსნება. მაგალითად, „ტიტრებში ზოგი წარწერა წითლად მოძრაობს“.

პირველი მკვლევარი, ვინც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სიტყვათა სინტაგმატურ მიმართებებს, რომლებიც მათ მნიშვნელობებს ეფუძნება, იყო ვალტერ პორციგი (Porzig 1934). პორციგის გამოკვლევის თანახმად, ენაში გვაქვს სიტყვები, რომლებიც გარკვეულ კონტექსტს განეკუთვნებიან. მაგალითად, ***ქერა*** შეიძლება იყოს მხოლოდ ***თმა, ჰიხვინებს ცხენი, კაკანებს ქათამი*** და ა. შ. ამგვარ წყვილებს პორციგი ელემენტარულ ველებს უწოდებს. ელემენტარულ სემანტიკურ ველებში სიტყვებს შორის მიმართება ცალსახაა. ველის ერთ-ერთ წევრში, პორციგის თქმით, უკვე იგულისხმება ამავე ველის მეორე წევრი. მაგალითად, ***ჰიხვინებს*** ზმნაში უკვე იგულისხმება ***ცხენი***, ან სიტყვაში ***ბადრი*** ივარაუდება ***მთვარე***. პორციგს მიაჩნია, რომ, რაც უფრო სპეციფიკურია

მიმართება, მით უფრო საინტერესოა ის ენობრივი თვალსაზრისით (ფოჩხუა 1968, 30-42).

ელემენტარულ ველებში პორციგი გამოყოფდა მიმართებათა რამდენიმე სახეობას:

1. მოქმედების მიმართება ამ მოქმედების მომხდენ ორგანოსთან:
   ლოკავს ენით.
2. მოქმედების მიმართება ამ მოქმედების სუბიექტთან:
   მოჩუხჩუხებს წყარო.
3. მოქმედების მიმართება ობიექტთან:
   მიაჭენებს ცხენს.
4. ზედსართავის მიმართება არსებით სახელთან:
   ქერა თმა.

ამრიგად, პორციგის ელემენტარული სემანტიკური ველი არის სიტყვათ-შეხამების ან შესიტყვების კერძო შემთხვევა, როცა ერთი სიტყვის გამოჩენა ცალსახად განსაზღვრავს მეორეს.

ლექსიკოლოგიაში იმ შესიტყვებათა სიმრავლის აღსანიშნავად, რომლებ-შიაც გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, იხმარება ტერმინი „**რანგი**“. როდესაც ერთი სიტყვის გამოჩენა ცალსახად განსაზღვრავს მეორეს, მაშინ ამ სიტყვის რანგი 1-ის ტოლია. რუსულში, მაგალითად, გამოყოფილია 1200-მდე სიტყვა, რომლე-ბიც ერთ ან იშვიათად ორ სიტყვასთან გვხვდებიან: "навзрыд", "плакать", "навытяжку", "стоять","вприпрыжку", "бежать" და მისთ.

ამგვარ შესიტყვებებს ფიქსირებულსაც უწოდებენ. ქართულში ფიქსირე-ბული შესიტყვების მაგალითებია: ***ულრანი*** ტყე, ***გულაბდილი*** საუბარი, ***თავქუდმოგლეჯილი*** გარბის და ა. შ.

კომპიუტერის გამოყენება იძლევა დიდი მოცულობის ტექსტების გაანალიზებისა და სხვადასხვა ლექსიკური ერთეულების რანგების დადგენის შესაძლებლობას.

თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში სიტყვებს შორის აზრობ-რივი კავშირების დადგენის ყველაზე მნიშვნელოვან ცდებად ზოგი მკვლევარი მიიჩნევს კატცის, ფოდორისა დ პოსტალის ცდებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ხომსკის წარმომშობი გრამატიკის შევსება სემანტიკური ანალიზით (Katz & Fodor 1963).

კატცმა და ფოდორმა ლექსიკური ერთეულების სინტაქსურ მახასია-თებლებს დაუმატეს სემანტიკური მარკერები და სემანტიკური განმასხვავებლები, რომლებსაც ეფუძნება მოცემული სიტყვის <u>შეთანხმებადობა სხვა</u> ენობრივ ერთეულებთან. ფაქტობრივად მათ გააფართოვეს ხომსკის მიერ შემოთავაზებული სელექციური შეზღუდვების კვლევა. სელექციური შეზღუდვები, მართალია, ავლენენ ზედაპირულ მსგავსებას სინტაქსურ შეზღუდვებთან, მაგრამ, ძირითადად

მაინც სემანტიკას ეყრდნობიან. სელექციური შეზღუდვების გამო, მაგალითად, მიუღებელია შემდეგი შესიტყვებები: *გოგო შეგროვდა* (***შეგროვდა*** შეიცავს „მრავლობითობის“ ან უფრო ზუსტად კრებითობის კომპონენტს, და ამიტომ სუბიექტად მოითხოვს კრებით სახელს, ხოლო ***გოგო*** გულისხმობს კომპონენტს „ერთეული“). ასევე მიუღებელია წყვილი: *შეყვარებული წყალი,* რამდენადაც *შეყვარებული* ისეთი ატრიბუტია, რომელიც მოითხოვს საზღვრულად ცოცხალ სუბიექტს. ეს ნიშნავს სწორედ სინტაქსის რეალობაში სემანტიკის შემოტანას.

სელექციური შეზღუდვების გვერდით გამოიყოფა ე. წ. კოლოკაციური შეზღუდვები (Cruse 1986, 278-279; Cruse 1990, 162; Cruse 2000, 121). განსხვავება სელექციურსა და კოლოკაციურ შეზღუდვებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სელექციური შეზღუდვები სიტყვათა მნიშვნელობების შედეგად ლოგიკური აუცილებლობით იჩენენ თავს, კოლოკაციური შეზღუდვების შემთხვევაში კი შესიტყვების გაუმართაობა არ გამომდინარეობს ლოგიკურად მისი შემადგენელი სიტყვების სემანტიკიდან, ეს გაუმართაობა ზოგჯერ მხოლოდ ე. წ. ენობრივი ალღოს მეშვეობით შეიგრძნობა და ის შეიძლება მოიხსნას, როცა ერთ სიტყვას მისი სინონიმით ჩავანაცვლებთ.[3] მაგალითად, გაუმართავია: „(სამსახურში) ხელფასი ამიმაღლეს“, უნდა იყოს: „...ხელფასი მომიმატეს“, ანდა: გაუკეთებიათ დემონსტრაცია, უნდა იყოს: გაუმართავთ დემონსტრაცია.[4]

ამრიგად, კოლოკაციური შეზღუდვების ახსნა ვერ ხერხდება, სელექციური შეზღუდვების დადგენისას კი გამოიყოფა სემანტიკური ნიშნები (მარკერები) ან კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვათა კომბინატორულ შესაძლებლობებს. სელექციური შეზღუდვა დგინდება ყოველი გრამატიკული კონსტრუქციისათვის, რომელშიაც შეიძლება შედიოდეს მოცემული ლექსიკური ერთეული. მაგალითად, ზმნა „**სვამს**“ მოითხოვს სუბიექტს, რომლის მნიშვნელობა უნდა შეიცავდეს კომპონენტს „**სულიერი**“ და ობიექტს, რომლის მნიშვნელობა მოიცავს კომპონენტს „**სითხე**“.

სელექციურ შეზღუდვებთან მსგავსებას ავლენენ ე. წ. „ლექსიკური სოლიდარობები“ (Coseriu 1967).[5] ე. კოსერიუ ასხვავებს ლექსიკური სოლიდარობების ტიპებს იმის მიხედვით, თუ რას იმპლიცირებს შესიტყვების ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობა – *კლასემას*, (კლასემებს ჩვეულებრივ განაკუთვნებენ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სემანტიკურ კომპონენტებს: **სულიერი** / **არასულიერი**, **მამრობითი სქესი** / **მდედრობითი სქესი**, **თვლადი** / **არათვლადი** და ა. შ.),

---

[3] თავის გვიანდელ წიგნში კრუზე (Cruse 2000, 221) შეზღუდვების (restrictions) ნაცვლად ლაპარაკობს უკვე სელექციურსა და კოლოკაციურ უპირატესობებზე (preferences).

[4] მაგალითები აღებულია ჯ. ჰიუიტის წიგნიდან - Georgian Learner`s Grammar, 1995, გვ. 107 და 231.

[5] სელექციურ შეზღუდვებსა და ლექსიკურ სოლიდარობებს დაწვრილებით განიხილავს კასტოვსკი (Kastovsky 1980, 70-92).

არქილექსემას (არქილექსემას კოსერიუ უწოდებს ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულს ანუ, უფრო თანამედროვე ტერმინოლოგიით, ჰიპერონიმს), თუ *ლექსემას*. მაგალითად,

1. ***მოიბოდიშა (ბიჭმა)*** ზმნა სუბიექტად მოითხოვს ვინ ჯგუფის არსებით სახელს, ე. ი. სახელს, რომლის მნიშვნელობის ერთ-ერთი კომპონენტია კლასემა [+**სულიერი**]. ამას კოსერიუ უწოდებს **მსგავსებას**. ამგვარად, ***მოიბოდიშა*** მოითხოვს კლასემა [+**სულიერის**] შემცველ სუბიექტს.

2. ***რგავს (ხეს, ბუჩქს, ყვავილს)***, ე. ი. ***რგავს*** ზმნა მოითხოვს ობიექტად ისეთ სახელებს, რომელთა გაერთიანება შეიძლება არქილექსემა „**მცენარის**“ ქვეშ. ***რგავს*** მოითხოვს ობიექტად ***მცენარეს*** (ან მის ჰიპონიმებს). ლექსიკური შეთანხმების ამგვარ ტიპს კოსერიუ უწოდებს ***სელექციას***.

3. ***ჰიხვინებს (ცხენი)*** – აქ ზმნაში ***ჰიხვინებს*** უკვე იგულისხმება ***ცხენი. ჰიხვინებს*** იმპლიცირებს სუბიექტად ***ცხენს.*** ლექსიკური სოლიდარობის ამ სახეს კოსერიუ ***იმპლიკაციას*** უწოდებს, ის შეეთანადება პორციგის ელემენტარულ ველებს – არსით სემანტიკურ მიმართებებს.

სელექციური შეზღუდვების განხილვას ვაინრაიხთან მოჰყვა „გადატანითი (ტრანსფერული) თვისების“ ცნების შემოტანა (Weinreich 1974). ვაინრაიხის თეორიის მიხედვით, გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურა დაიყვანება მისი შემადგენლების მნიშვნელობათა კომპონენტების ერთობლიობამდე. ვაინრაიხმა დაადგინა გარკვეული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ კომპონენტების ურთიერთმიმართებას. მისი აზრით, სემანტიკურ კომპონენტებზე დაყრდნობით აზრობრივი შეზღუდვები მარტივად აღიწერება, ოღონდ საჭიროა დამატებით იქნეს მიღებული დამოკიდებულების კანონი, რომელიც დააკავშირებს სინტაქსურ წყვილებში შემავალი სიტყვების ანალიზის შედეგად გამოყოფილ კომპონენტებს. სელექციური შეზღუდვების ნაცვლად, ვაინრაიხი გვთავაზობს ე. წ. „**გადატანით (ტრანსფერულ) თვისებებს**“, რომელნიც შინაარსობრივად სელექციურ შეზღუდვებს გვანან, თუმცა მათგან განსხვავებულად მოქმედებენ. ეს სხვაობა კარგად ჩანს შემდეგი წინადადების მაგალითზე: *პეტრემ გატეხა ძაღლი* – ზმნა ***გატეხა*** მოითხოვს პირდაპირ ობიექტს სელექციური შეზღუდვით [ფიზიკური ობიექტი], თანაც დამატებითი თვისებით ***მყიფე*** [rigid]. მოცემული თვისება *ძაღლს* არ გააჩნია. კატცის თეორიაში სინტაგმას „გატეხა ძაღლი“ არ ექნება ინტერპრეტაცია და ის ანომალიურად ჩაითვლება, რადგან აქ არა გვაქვს შესაბამისობა ზმნის სელექციურ შეზღუდვასა და ობიექტის თვისებას შორის, მაგრამ ვაინრაიხის სისტემაში თვისება [**მყიფე**] გადადის პირდაპირ ობიექტზე – *ძაღლზე* და შესიტყვება ხდება აზრიანი, რამდენადაც ის ამ ვითარებაში მოითხოვს ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვით ძაღლის ფორმის მქონე მყიფე ფიზიკური ობიექტი, მაგალითად, *ფაიფურის ძაღლი* ან *სათამაშო ძაღლი* (ხის ან მინის) შეიძლება გატყდეს.

ვაინრაიხის მიერ მოყვანილი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ შესიტყვებას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მასში შემავალი სიტყვების სემანტიკაზე. შესიტყვებაში შეიძლება მოხდეს კომპონენტის გადაადგილება, ერთერთმა სიტყვამ შეიძლება შეიძინოს ახალი კომპონენტი ამავე შესიტყვების მეორე წევრის გავლენით და მერე შეინარჩუნოს ის, როგორც საკუთარი სემანტიკური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი.[6] მაგრამ კოლოკაციათა ანალიზის დროს ისიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ენა და ის სიტუაციები,

---

[6] შესიტყვებაში შემავალი სიტყვების სემანტიკური სტრუქტურების ამგვარ ზემოქმედებას ზოგჯერ ერთი სიტყვის მიერ მეორე სიტყვის მნიშვნელობის სრული შესრუტვა შეიძლება მოჰყვეს შედეგად. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ჩვენ გავაანალიზეთ ძველ ქართულ ტექსტებში ისეთი შესიტყვებები, რომლებშიაც სუბიექტად გვევლინება სიტყვა ***ჟამი.*** როგორც ვიცით, ძველ ქართულში სიტყვა ***ჟამი*** გამოხატავს არა მარტო დროის ზოგად მნიშვნელობას, არამედ დროის გარკვეულ მონაკვეთებსაც: წუთი, საათი, დღე, თვე, სეზონი, წელიწადი. ***ჟამი*** ყველაზე უფრო ხშირად სუბიექტად შემდეგ შესიტყვებებში გვევლინება: **მოვიდა ჟამი**: მოიწია დასასრული და მოვიდა ჟამი (მრკ. 14. 41). **მოვალს ჟამი**: აჰა მოვალს ჟამი და მოწევნულ არს (ი. 16, 32); ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რათა დრო-ყოს და თ.თ. მოვალს ჟამი, რომელსა იქმნეს მონაზონ... (სერ, ზარზმ. ცხ.).

„**მოვალს ჟამი**“-ს პარალელურად ოთხთავის C რედაქციაში გვაქვს: „**მოვიდენ ჟამნი**“: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვიდენ ჟამნი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალ მსა, არამედ თაყუანის-სცემდეთ მამასა (ი. 4, 21). „**მოვლენან ჟამნი**“: არამედ მოვლენან ჟამნი და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა (ი. 4, 23). „**მოვიდეს ჟამი**“: ნუ გიკვირნ ესე, რამეთუ მოვიდეს ჟამი. რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ მამისა მისისა (ი. 5, 28).

სხვა რედაქციებში ამ მაგალითებში გვაქვს : „**მოვალს ჟამი**“. საერთოდ ეს შესიტყვება ძალიან ხშირია ძველ ქართულ ტექსტებში.

შეიძლება სწორედ ამ შესიტყვებების სიხშირის გამო სუბიექტის სემანტიკას მთლიანად იწოვს ზმნა და მისგან ნაწარმოები სახელზმნა უკვე ***ჟამის*** კომპონენტსაც შეიცავს: **მოსლვათაი** და **მომავალი**, ორივე იხმარება მერმისის აღსანიშნავად : მოსლვათა. მათ გითხრა თქუენ - მომავალი იგი გითხრას თქუენ (ი. 16, 13).

რა თქმა უნდა, დროის კომპონენტის ამგვარ გადაადგილებას ზმნის სუბიექტიდან მიმღეობაზე იმანაც შეუწყო ხელი, რომ ძვ. ქართულში ასევე ხშირია შესიტყვება : **მომავალი ჟამი** : აღემატოს მომავალთა ჟამთა. (გრ. ხანძთ. ცხ.). ვინაცა აწ წარმოთქმული ესე უწყებასა შინა სჯულის-დება. არს მომავალთა ჟამთა. (ექუს. დღ. 25, 8). აჰა ესერა მომავალ არს ჟამი (წამ. ათან.).

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დროითი მნიშვნელობის დაკისრება მოძრაობის კომპონენტის შემცველი სიტყვისათვის სხვა ენებისთვისაც არ არის უცხო. შდრ. რუსულში: Грясти-грянуть, идти, чествовать, подвигаться, близиться, приходить; Грядущий – идущий, ближащий, наступающий и вообще будущий (Даль 1956).

რომლებიც ენის მეშვეობით აღიწერება, ისეთივე მრავალფეროვანია და უსასრულო, როგორც ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილე, რომელიც ყოველთვის არ ექვემდებარება ლოგიკურ აღწერას, და რომ თითქმის ყოველთვის შეიძლება დაიძებნოს ისეთი კონტექსტი, რომელშიაც ერთი შეხედვით უაზრო გამონათქვამი აზრიანი ხდება.

აქ კიდევ ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ეს არის ენობრივი ალღოს ცნება, რომელიც უკვე ვახსენეთ კოლოკაციური შეზღუდვების შესახებ საუბრისას. როგორ შეიძლება ამ ცნების დეფინიცია? გურამ რამიშვილს მოცემული აქვს ენობრივი ალღოს (Sprachgefühl) განსაზღვრის ცდა (Ramischwili 1979, 290).

ჩვენი აზრით, ენობრივი ალღო შეიძლება განისაზღვროს როგორც სემანტიკური კომპეტენცია, რომელიც თავს იჩენს სწორედ შესიტყვებების გაანალიზების დროს, ბევრ შემთხვევაში შესიტყვების წევრების სემანტიკური ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ავხსნათ ის ენობრივი შეცდომები, რომლებსაც ზოგჯერ მხოლოდ ენობრივი ალღოს წყალობით ვგრძნობთ.[7]

აქ გვინდა მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც შესიტყვების სემანტიკის ანალიზს ეხება და აღებულია არა ენათმეცნიერის, არამედ პოეტის ნაშრომიდან, და პოეტის ენობრივი ალღოს ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. საქმე ეხება მარინა ცვეტაევას წერილს „პოეტი კრიტიკის შესახებ“, რომელშიც ავტორი აანალიზებს გამონათქვამს „კადნიერად-ჩამწყდარი ხმით“ (Цветаева 1979). ცვეტაევა გამოყოფს ამ გამონათქვამის შემადგენელ წევრთა სემანტიკურ კომპონენტებს და ასაბუთებს მათ ურთიერთშეუსაბამობას. ის წერს: „პირველი, რაც ვიგრძენი – შეუსაბამობა! ჩახლეჩილი (ჩამწყდარი, ჩაწყვეტილი) ხმა არის რაღაც უნებლიე და არა განზრახული. კადნიერება კი ნებელობის აქტია. სიტყვების ***კადნიერად*** და ***ჩამწყდარი*** დამაკავშირებელი ტირე – ***კადნიერს*** გადააქცევს ***ჩამწყდარის*** მსაზღვრელად, ე. ი. იწვევს კითხვას, სახელდობრ: როგორ ჩამწყდარი? და არა: რისგან ჩამწყდარი? შეიძლება თუ არა ხმა კადნიერად ჩაწყდეს? არა! კადნიერებისაგან – დიახ! შევცვალოთ ***კადნიერად*** სიტყვით ***თავხედურად.*** გავიმეოროთ ცდა. პასუხი იგივეა: თავხედობისაგან – დიახ! თავხედურად – არა. იმიტომ რომ ***თავხედურად*** და ***კადნიერად*** განზრახ არის, *აქტიურია*, ხოლო ***ჩამწყდარი, ჩახლეჩილი*** ხმა *უნებურია*, პასიურია. (***ჩამწყდარი ხმა, ჩაწყვეტილი გული*** – ერთი და იგივეა). გამოდის, რომ მე განგებ, განზრახ ჩავიწყვიტე ხმა. დასკვნა: არავითარი ლოგიკა და რომ

[7] ცნობილია, რომ სიტყვების შეცდომით ხმარება აიძულებს ადამიანს ჩაუღრმავდეს მათი მნიშვნელობების კვლევას. ციფი სწორად შენიშნავდა, რომ „ვერ გავიგებთ, რას ნიშნავს სიტყვა, სანამ არ გავიგებთ მის შეცდომით ხმარებას ან ხმარებისაგან გადახვევებს“ (Ziff 1962). თუ ადამიანი გრძნობს აზრობრივად მცდარ გამონათქვამებს, მაშინ მას ჰქონია ენობრივი ალღო.

გაკვეთილი ბოლომდე მივიყვანოთ: *ბრაზიანად, ნერვიულად, საცოდავად, სასაცილოდ* – ყველაფერი ვარგა, რაც არ შეიცავს წინასწარგანზრახულობას, აქტიურობას. ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგება ხმის ჩაწყვეტის პასიურობას. კადნიერი, ჩახლეჩილი – დიახ, კადნიერებისაგან ჩამწყდარიც. კადნიერად ჩამწყდარი – არა".

ეს მსჯელობა გვიჩვენებს, რომ ავტორს ნათლად აქვს გაცნობიერებული ის გარემოება, რომ სინტაქსური წყვილის სემანტიკურ სტრუქტურაში დაუშვებელია კონტრასტული კომპონენტების არსებობა, მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს პოეტის ენობრივ ალღოს და მის უნარს ღრმად ჩასწვდეს სიტყვათა მნიშვნელობებს და მოახდინოს მათი ექსპლიკაცია. ეს მაგალითი ნათელყოფს იმასაც, რომ სიტყვათა მნიშვნელობები, მათი კომპონენტები შესიტყვებაში უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთება. ცხადია ისიც, თუ რა მჭიდრო კავშირია კომპონენტურ ანალიზსა და სიტყვათველებს შორის. როგორც კი სიტყვაში ***კადნიერად*** შესიტყვების მეოხებით გამოიყო კომპონენტი ***აქტიურობა,*** ამას უშუალოდ მოჰყვა ამ კომპონენტის შემცველ სიტყვათა ჩამოთვლა. მივიღეთ ე. წ. აქტიური ველი: *კადნიერი, თავხედი, თამამი.* ხოლო მეორე მხრივ, პასიური: *ნერვიულად, საცოდავად, სასაცილოდ.* ე. ი. მნიშვნელობის კომპონენტთა გამოყოფას უშუალოდ მოჰყვა სიტყვების დაჯგუფება სიტყვათა ველებად.

მეტყველებაში ხშირად გვხვდება ისეთი შესიტყვებები, რომელთა აზრობრივი შეუსაბამობა ერთბაშად აღიქმება, მაგრამ ჭირს ან შეუძლებელია მათში კონტრასტული კომპონენტების გამოყოფა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში კოლოკაციურ შეზღუდვებთან გვაქვს საქმე. უცხო ენის შესწავლა სწორედ იმიტომ არის რთული, რომ ყოველი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის დამახსოვრების გარდა ხშირად საჭიროა მისი კოლოკაციების დასწავლაც. ამიტომ არის, რომ, როდესაც უცხოელი წერს რომელიმე ენის სახელმძღვანელოს, მაგალითების მოყვანისას იგი უშვებს ისეთ შეცდომებს, რომელთა ექსპლიკაცია მხოლოდ გრამატიკული წესებით ვერ ხერხდება. მაგალითებს მოვიყვანთ ქართული ენის სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც შედგენილია უცხოელი ავტორების მიერ. მაგალითად, „მეგრელების და სვანების გაღვივება" (ჰიუიტი 1995). ქართულში ***გაღვივება*** შეიძლება ***ცეცხლის, ნაკვერჩხლის, თესლის, ჩანასახის, გრძნობის, აზრის*** და არა ***ადამიანის.*** ანდა „წერილის დაწერა მოულოდნელია" (არონსონი 1986) წინადადება ვერ ჩაითვლება სემანტიკურად გამართულად. შევეცდებით ავხსნათ ამის მიზეზი: ***მოულოდნელი*** ქეგლ-ში ასეა განმარტებული: რასაც არ მოელოდნენ, უეცარი. ხოლო ***უეცარი*** განმარტებულია როგორც ***უცებ.*** აქედან ***მოულოდნელად – უეცრად, უცბად.*** წერილის მიღება შეიძლება იყოს მოულოდნელი, მაგრამ არა მისი ***დაწერა,*** რადგან ***დაწერა*** არ გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომლის დროსაც ერთი მდგომარეობა ერთბაშად იცვლება მეორით, ან რაღაც ისეთ

მოვლენას, რომელიც ***უცებ*** შეიძლება დაიწყოს ან დამთავრდეს. პირიქით, ***დაწერა*** გულისხმობს დროში გაგრძელებულ პროცესს. ***მოულოდნელი*** შეიძლება იყოს ის, რაც უცებ, ერთბაშად იწყება, უეცრად გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში. მაგალითად, მოულოდნელი შეიძლება იყოს: ყვირილი, ჭექა-ქუხილი, მიწისძვრა, აფეთქება, დარტყმა, გასროლა, თავდასხმა, შეტევა, მარცხი, პასუხი, სტუმრობა, გადაწყვეტილება.

მომავალში ალბათ შესიტყვებათა ლექსიკონის შედგენა მოგვცემს საშუალებას თვალნათლივ წარმოვადგინოთ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კოლოკაციების სია, რაც საინტერესო იქნება არა მხოლოდ ლექსიკური სემანტიკის დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ყველასთვის, ვინც ქართული ენის შესწავლით თუ კვლევით არის დაინტერესებული.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.

აბულაძე 1988 – აბულაძე ლ., ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში, *იკე,* XXVII, თბილისი.

გათრი 1982 – გათრი უ., ბერძენი ფილოსოფოსები, თბილისი.

ფოჩხუა 1968 – ფოჩხუა ბ., ელემენტარული ველი (პორციგის თეორია არსითი სემანტიკური მიმართებების შესახებ), *იკე,* XVI, 30-42, თბილისი.

Coseriu 1967 – Coseriu E., Lexikalische Solidaritäten, In: Strukzturelle Bedeutungslehre, Geckeler (Hrsg.), Darmstadt 1978.

Coseriu, Geckeler 1981– Coseriu E., Geckeler H., Trends in Structural Semantics**,** Gunter Narr Verlag, Tübingen**.**

Cruse 1989 – Cruse D. A., Lexical Semantics, Cambridge University Press**,** Cambridge (u. a.).

Cruse 1990 – Cruse D.A., Language, Meaning and Sense: Semantics, in: An Encyclopaedia of Language edited by N.E.Collinge, ROUTLEDGE London and New York, 139-172.

Cruse 2000 – Cruse D.A., Meaning in Language, An Introduction to Semantics and Pragmatics, Oxford University Press.

Goodenough 1956 – Goodenough W.,Componential Analysis and the Study of Meaning, *Language,* V. 32, N 1.

Ikegami 1967 – Ikegami Y., Structural Semantics, A Survey and Problems, Linguistics, 33, 49-67.

Kastovsky 1980 – Kastovsky D., Selectional restrictions and lexical solidarities, In: Kastovsky (ed.), Perspektiven der Lexikalischen Semantik, *Beiträge zum*

Wuppertaler Semantikkolloquium vom 2-3 Dezember 1979, Bonn: Bouvier Verlag Herbert Grundmann.
Katz, Fodor 1963 – Katz J.J., Fodor J.A., The structure of a semantic theory, *Language,* V. 39, 1.
Leech 1974 – Leech G. N., Semantics, Penguin, Harmondsworth.
Lounsbury 1956 – Lounsbury F., A semantic analysis of the Pawnee kinnship usage, *Language* V. 32. 1.
Ogden, Richards 1946 – Ogden C.K., Richards I.A., The Meaning of Meaning, London.
Porzig 1934 – Porzig W., Wesenshafte Bedeutungsbeziehungen, *Beitrage zur Geschichte der deutschen Sprache,* 58. 72-96.
Ramischwili 1979 – Ramischwili G., Sprachliche Kreativität aus inhaltlicher Sicht, *Integrale Linguistik, Festschrift für Helmut Gipper herausgegeben von Edeltraud Bülow und Peter Schmitter*, Amsterdam / John Benjamins B. V. 289-294.
Weinreich 1974 – Weinreich U., Explorations in Semantic Theory, In: Sebeok T. A. (ed.) *Current Trends in Linguistics,* V. 3. The Hague: Mouton.
Wierzbicka 1980 – Wierzbicka A., Lingua Mentalis, *The Semantics of Natural Language,* Academic Press, Sydney.
Ziff 1962 – Ziff P., Semantic Analysis, Cornell Univ. Press, Ithaca, New-York.
Florenskij 1989 – Florenskij P., Termin, VQ, 6.
Цветаева 1979 – Цветаева М., Поэт о критике, Избранная проза в двух томах, Том первый, Нью-Йорк.

Lia Abuladze

Componential analysis of meaning and syntagmatic lexical relations

Summary

Componential analysis is developed as a technique for analyzing the meaning of words by breaking each concept into minimal features (markers or components). But the consideration of isolated words has not proved to be successful and in contemporary studies the scholars give a certain preference to the investigation of phrase and sentence meaning. The least syntagmatic unit is a pair of words (syntagma or collocation). We apply the componential analysis within this unit. Any contradiction of the components of meaning in collocations will result into an incompatible utteranse.

There are no absolutely free word-combinations in language. Lexemes vary with respect to the freedom with which they can be combined in syntagmas with other lexemes. Some words can be collocated with only one lexeme (such examples are known from lexicography).

The knowledge of language presupposes correct usage of lexemes in collocations. There are difficulties in studying foreign languages while except studying the meanings of words, it's also necessary to remember their collocations. Very often the scholars who write grammars for unnative languages use incompatible word-combinations. We consider some examples in our article: ***c'erilis dac'era moulodnelia*** "The writing of the letter is unexpected". We have two pairs here: ***c'erilis dac'era*** "the writing of the letter" and ***dac'era moulodnelia*** "The writing is unexpected". The words ***moulodneli, uecrad, uceb, ucbad, anazdad*** "unexpected, suddenly" contain the component ***momentary, instantaneous***, whereas the meaning of the verb ***dac'era*** implies a prolonged action, i.e. contains the component ***duration***. The components ***momentary, instantaneous*** excludes ***duration***, i.e. the semantic structure of this word-combination contains contradicting components ***+duration*** and ***+momentary (-duration),*** which makes the syntagma incompatible. Sometimes it is very difficult to explain the incompatibility of word-combinations in terms of components of meaning, but every Georgian native speaker can notice their semantic oddness.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

შიდა ქართლის ძველი ტოპონიმები

ისტორიულად მხარე რამდენიმე სათავადოში იყო გაერთიანებული, მაგრამ დიდი დომენები იყო ქსნის საერისთავო და სამაჩაბლო. მჭიდროდ იყო დასახლებული ქსნის, მეჯუდის, ლეხურის, ორივე ლიახვის ხეობა. ხეობებში გხვდება ლექსიკურ-ტოპონიმური ერთეულები, რომელთა აღნუსხვას, წყაროებთან შეჯერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მხარეში ზოგიერთი სახელწოდება ყალიბდებოდა ათასეული წლის მანძილზე. ერთნი ჩვენს დრომდე შემორჩნენ, ზოგი კი სულ გაქრა ახალი სახელწოდების ზემოქმედების შედეგად. სწორედ ეს პირობები უნდა იყოს გათვალისწინებული ტოპონიმების კვლევისას. გეოგრაფიული სახელი ცოცხლობს, იცვლება ფორმით, შინაარსით, ზოგჯერ კი უკვალოდ ქრება.

ტოპონიმი ენის ფაქტია, რომელშიც აირეკლება ერის თავგადასავალი. მის ლექსიკურ ერთეულში შესაძლებელია დავინახოთ ისტორიული მოვლენების კვალი. ტოპონიმებში აშკარად ჩანს ენის შესაძლებლობანი დიაქრონიული ასპექტით, სიტყვაწარმოების ნაირგვარობა სისხარტე, მოქნილობა, დიალექტური ნაირსახეობა.

მხარის ტოპონიმები რამდენიმე ცნობილი სწავლულის ნაშრომებშია აღნიშნული, მაგრამ უმთავრესია XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწეების ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებები.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის „აღწერაში“ ლიახვისა და ქსნის ხეობიდან აღწერილი აქვს კულბითი, სნეკვი, საცხენისი, ცხინვალი, გერი, ითრაფულა, ფაწა, ერწო, მსხლები, ტბეთი, დუდეთი, ქარჩოხი, ახალგორი, წირქვაღი, ბოლი, ახალდაბა, ჭურთა, ლარგვისი, ხევები, მდინარეები, ციხე-მონასტრები, მაგრამ ასეულობით გეოგრაფიული პუნქტი არ აქვს დასახელებული.

ათეული წლების განმავლობაში საველე მუშაობის შედეგად, მთიდან მიგრირებული მოსახლეობის შთამომავლებთან ურთიერთობამ მოგვცა საშუალება დაგვედგინა რამდენიმე ტოპონიმის ლოკალიზაცია, მათი ეტიმოლოგია, რომლებიც ქართული ენის მეშვეობით დგინდება.

სოფელი **დამწვარა** მდებარეობდა დიდი ლიახვის ხეობაში, სადაც ქართველობა სახლობდა XVIII საუკუნეში, რასაც აღნიშნავს მოგზაური იოჰან-ანტონ გიულდენშტედტი. ამ ადგილებში იყო კირის საბადოები, რომელიც იწვებოდა და ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები ტოპონიმი. აქვე ახლოს იყო და დღესაც არის სოფელი ხწვე, რაც ასევე წვა სიტყვას უკავშირდება.

სოფელი **აბოწმინდა** მდებარეობდა დიდი ლიახვის ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით ცხოვრობდნენ მელაძეები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თავადმა ბაადურ მაჩაბელმა ისინი თავის კუთვნულ სოფელ ძლევისჯვარში ჩაასახლა. სოფელი აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე. ნასოფლარში დღესაც დგას ბაზილიკა. სახელწოდება უკავშირდება ქრისტიანობისათვის წამებულ წმიდა აბოს.

ბოცივჯვარი, იგივე ბორცვის ჯვარი, ნასოფლარი, რომლის მფლობელები ჯერ ტბელები, ხოლო შემდეგ თავადი თაქთაქიშვილები იყვნენ. ნასოფლარი, რომელიც ცხინვალის დასავლეთით მდებარეობს დიდი ისტორიული წარსულით გამოირჩევა. ბორცვისჯვარის ასომთავრული წარწერები პირველად ვარლამ თოფურიამ წაიკითხა და გამოაქვეყნა.

კოლონკეთი, დაბა მეჯუდის ხეობაში, რომლებიც დღევანდელ სკვირეთს შეეფარდება. XIX საუკუნის შუა წლებში აქ ცხოვრობდნენ ქართველი მთიელები: გენგიურები, ელიაურები, ბეგიაშვილები.

უდაბნო მდებარეობს ცხინვალის აღმოსავლეთით მთაში და დღესაც ამ სახელს ატარებს. ადგილები მთიან-ტყიანი და კლდოვანია. ცხოვრობდნენ ესიტაშვილები. სიტყვა ეტიმოლოგიურად „უდაბან“ – დაუსახლებელს ნიშნავს.

წნური, დღევანდელი წუნარი, მდებარეობს მდინარეების ფრონესა და ლიახვის აუზების წყალგამყოფზე. სოფელში დგას XII საუკუნის გუმბათოვანი ტაძარი. ცხოვრობდნენ მჭედლიძეები, რომლებიც სოფელ ზემო ნიქოზში გადასახლდნენ.

ფოტრისი, ნასოფლარი, რომელიც პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკად ფოტრისის წყალზე მდებარეობდა. სახელი შემორჩა მხოლოდ ხეობას. დასახელებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში. ცხოვრობდნენ ჯირკვალიძეები, რომელთა ნაწილი დღეს ჯირკვალიშვილია.

ვახუშტი „აღწერაში“ ასახელებს „ფოტრის ხევს“, როგორც „ღრმასა და კლდიანს“, მართლაც ხეობა ძნელად სავალი ადგილია. სიტყვის ეტიმოლოგია უნდა უკავშირდებოდეს ქართლში გავრცელებულ „ფოტორო“ სიტყვას, რომელიც გადასავარდნ ადგილს ეწოდება. სულხან-საბა „ფოტოროს“ ხსნის, როგორც „ფლატეს“, რაც ზემოთ ხსენებული სიტყვის ეტიმოლოგიად უნდა იქნეს გააზრებული.

ქეშელთა მდებარეობს დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკად ფაწას სათავეში, გამოირჩევა ვრცელი საძოვრებით. XVIII საუკუნეში მხარეში ცხოვრობდნენ სიმონიშვილები, რომლებიც მესისხლეობის ნიადაგზე წამოვიდნენ ბარად ფრონეს ხეობის სოფელ ნულში და გვარად მიიღეს – ჟამერაშვილი, სიტყვა „ჟამურის“ მიხედვით, სადაც ისინი უწინ სახლობდნენ.

ითრაფისი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობის მარჯვენა მხარეს. იგი დასახელებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონის „აღწერებში“. ახლა

სოფელში რამდენიმე ოსური ოჯახია. XVIII საუკუნეში აქ ცხოვრობდნენ სულაშვილები, რომლებიც ბარად სოფელ რუისში გადასახლდნენ, სოფელში კი დარჩა საკულტო ძეგლი, რომლის მიხედვით ძველი სოფლის ლოკალიზაცია ხერხდება.

გუფთა მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონი თავის აღწერაში სოფელს ასახელებს და მის ლოკალიზაციას მდინარის მარცხენა მხარეს იძლევა, სადაც ასევე დანგრეულ „ნაციხვარს“ აღნიშნავს. ახლა იქ მხოლოდ ნასოფლარია. გიულდენშტედტის ცნობით მეთვრამეტე საუკუნეში სოფელში ქართველობა სახლობდა, როგორც დავადგინეთ ტლაშაძეები, რომლებიც გორის სიახლოვეს სოფელ ხიდისთავში გადასახლდნენ.

ელბაქეთი მდებარეობდა დიდი ლიახვის ხეობაში მდინარის მარჯვენა მხარეს. სოფელს სახელი ეწოდა ელბაქიძეების გვარის მიხედვით, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ. შემდგომ ამ გვარის ხალხი ცხინვალში, სოფელ თამარაშენში და ქურთაში ჩასახლდნენ, ასევე ქარელის რაიონში, სადაც დაარსეს სოფელი ელბაქიაანთ კარი. ისინი თავიაანთ თავს ზოგი რაჭველს, ნაწილი დვალს უწოდებს.

ვახუშტის „აღწერას“ დართული სოფლების სიაში სათიხარსა და კულბითს შორის დასახელებულია **დიცევი** და მის რუკაზეც ამ სახელით არის დატანილი. იგი აღნიშნავს: „ამ არბოწმინდის ზეით ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლეთიდამ მერის ხევი. ამ ხევზედ აღმოსავლეთით არს ორბოძალას მთის კალთასა ზედა კულბითის ციხე“.[1]

იოანე ბაგრატიონიც სათიხრის შემდეგ დიცევს ასახელებს, როგორც ვახუშტი, ისიც დღევანდელ დისეურას „მერეს“ მდინარეს უწოდებს, სოფელ მერეში „მოსახლესაც“ აღნიშნავს. ჩანს, რომ სოფელმა დისევმა და მისმა სახელმა დროჟამს გაუძლო სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

ედემქალაქი დასახლებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში. სოფელი მდებარეობდა პატარა ლიახვის ხეობაში, მის მარცხენა სანაპიროზე და ახლანდელი ლოკალიზაციით მისი დადგენა მოხერხდა. ახლა იქაურობა ბუჩქნარით არის დაფარული, ჯერ კიდევ ჩანს საკულტო ძეგლის ნანგრევები, რომლის სიახლოვეს ცხოვრობდნენ ბენიამენისშვილები. აღნიშნული გვარი გადასახლდა სოფელ ბელოთში, რადგან იქ იდგა მძლავრი ციხე, რომელიც ლეკიანობისაგან იცავდა მოსახლეობას. გვარი აღარც ბელოთშია ამჟამად. იგი შეერწყა ტერაშვილების გვარს, რომელთა ერთმა შტომ ახლაც იცის თავისი წარმომავლობა.

სოფელი **ინაური**, რომელიც ამავე დროს გვარსაც აღნიშნავს, მდებარეობდა ხეობის ზემო წელზე. სოფელი ფიქსირებული არ არის საისტორიო წყაროებში,

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია II წიგნი, ტფ. 1895. გვ. 023

იგი დატანილია ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე მხოლოდ ერთგან. მეორე სოფელი აღნიშნულია მდინარის მარჯვენა შენაკად გერისწყალის მარცხენა მხარეს, რაც უზუსტობაა. 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს ციხესიმაგრის სამხრეთით დაბა-სოფლის ნიშნით აღნიშნულია სოფელი ინაური. სოფელს სახელი დაერქვა იქ მცხოვრები ინაურების გვარის მიხედვით, რომლებიც ჯერ სოფელ აწრისხევში ჩამოსახლდნენ მერე კი სოფლის დასავლეთით ხეობაში შექმნეს სოფელი ინაური. დღეს ეს სოფელი მდებარეობს იმ ადგილიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით, სადაც ის დაახლოებით ერთი საუკუნის წინ დაარსდა და ამჟამად იქ მხოლოდ ორი კომლი ცხოვრობს.

ნასოფლარი **ალბირი** მდებარეობს ბეხუშეს ციხის მარცხნივ ტყიან მთაზე. ნასოფლარი გოზო მდებარეობს მდინარის სათავეში, ყელის ტბის ძირში.

ნასოფლარებს **დიდხევსა** და **შანბიანს** ჩამოუდის მდინარე ლიახვის მარცხენა შენაკადი შანბიანის წყალი. აქვე არის დიდი ციხე, რომელიც წყაროებში არ არის მოხსენიებული.

სიათა ცნობილი სიმაგრე ყოფილა ხეობაში, რომელიც მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ტყიან მთაზე. აქვე იყო სოფელი. დვალეთიდან ორი საუკუნის წინათ ჩამოსახლებული სიდამონიძეები ცხოვრობდნენ მთა-საძოვარ „კატაკალიაში“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. სიდამონიძეების სოფელს ერქვა „სიდამონის ჯვარი“ იგივე „სიდამონიაანთ ჯვარი“, აქვე არის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები. აქედან აღნიშნული გვარის ხალხი გადასახლდა ბარად სოფელ ელტერში, ვანათში, მერე კი გორის რაიონის სოფელ ფხვენისში.

ხეობაში, სოფელ აწრისხევის სამხრეთით არის ნასახლარები, რომელიც სოფლის ერთ-ერთი უბანი იყო და მას **ჩულრეთი** ანუ ჩუღურეთი ეწოდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სიტყვა განიმარტება, როგორც „ჩაღრმავებული ადგილი“. ამას აღნიშნავს ს. ს. ორბელიანი. ასეთი სახლწოდების სოფელი არის ირანში, ფერეიდანში და როცა 1929 წელს თბილისში ჩამოვიდა სეიფოლა იოსელიანი, არნოლდ ჩიქობავამ მისგან ჩაიწერა სოფელი ჩუღურეთიც, როგორც „ჩავარდნილი ადგილი, ხევის მსგავსი“, ეს სახელწოდება ძველია საქართველოში და ჩვენს მაგალითზეც ამართლებს შინაარსს.

ხეობაში ბევრი ნასახლარია და ხშირად ორ-სამკომლიან დასახლებებს სოფელს უწოდებდნენ. სინამდვილეში ისინი გვართა დასახლებები იყო და რომელიმე თემში შედიოდა. ასეთი სახელწოდებები ხეობაში ბევრია და ერთგვარ ორიენტირებს წარმოადგენენ. ამასთან გვხვდება ქვათა გროვები, როგორც ნასოფლარების, ისე სოფლების სიახლოვეს, ოღონდ სოფელში არა. ეს გროვები ნასახლარის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ასე არაა, ისინი რომელიმე დამნაშავის ჩაქოლვის შედეგადაა წარმოშობილი, რომელიც თემმა აღასრულა.

ასეთი დანაშაული კი შეიძლება ყოფილიყო თემის ადათ-წესებიდან გადახვევა, ქურდობა და სხვა.

მდინარის მარცხენა მხარეს, მთელი ხეობის ჩამოყოლებაზე სოფელ დმენისამდე ორმოცდაათზე მეტი ციხე-კოშკია და ამდენივე ნასოფლარ-ნასახლარი. ესენია: **ხაჩირაანთ კარი**, **სათიხარი**, **სნეკვი**, **ჭარები**, **ფაჩური**, **ლეკოაანი**, **რეხა**, **ხადურიაანთ კარი** და სხვები. სადაც მთა-ტყიან მასივებში დარჩენილია ეულად მდგომი ჩვენი წინაპრების ნახელავები. მხარეში გვხვდება ბევრი ნასოფლარი, რომელთა ნაწილი დოკუმენტებშია აღნუსხული. წყაროებში ვხვდებით ისეთ ანთროპონიმებს, რომელთა ნაწილი თითქმის აღარ არის ხმარებაში, მაგრამ მათი გამომზეურება საჭიროა. იგი საშუალებას მოგვცემს ენის ისტორიის მასალები ახალი ფაქტებით გავამდიდროთ.

ლიტერატურა

ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ტფ. 1895.
იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ. 1986.
მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I წიგნი, თბ. 1964.
ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV. 1965.
გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ. 1964.

Nikoloz Otinashvili

Old Toponyms of Inner Kartli

Summary

Place-names have been formed in the area under study over thousands of years. A place-name is changed as to its form and semantics, sometimes it disappears completely. Toponyms are a fact of the language, in which the story of a nation is reflected. In documents a number of toponyms are named, the considerable part of which has disappeared, but their reconstruction – localization and etymology is a very urgent matter at present. Some examples of village sites and their localization are offered.

სოციოლინგვისტიკა

მარინე ჯალიაშვილი

ახალგაზრდული ჟარგონის სემანტიკა და ფსიქოლოგიური ფუნქცია

ნაშრომის *მიზანია* ჟარგონის და მისი ერთ-ერთი ფორმის, ახალგაზრდული ჟარგონის კვლევა. ჟარგონის თემა ბადებს ბევრ კითხვას, რომლებზეც პასუხი ნაწილობრივ თვით ჟარგონის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. რა არის ჟარგონი, სად, როგორ და რატომ წარმოიშობა იგი, როგორია მისი სემანტიკა და რაში გამოიხატება მისი ფსიქოლოგიური ფუნქცია, ენის ლექსიკასთან მიმართებაში რა წილი უკავია ჟარგონულ სიტყვებს და გამოთქმებს, რომელი კატეგორიის სიტყვებს ანაცვლებს ხალხური მეტყველება ჟარგონული გამოთქმებით, როგორია ჟარგონის „სიცოცხლისუნარიანობა“ და უქმნის თუ არა იგი საფრთხეს სალიტერატურო ენას – წინამდებარე ნაშრომი არის ქართული ენის მაგალითზე ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია როგორც ჟარგონის ლექსიკონის და განმარტებითი ლექსიკონის ანალიზი, ასევე გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა თსუ სტუდენტების ორმოცდაათკაციან ჯგუფზე.

ჟარგონი არის ფრანგული სიტყვა (jargon) და იგი განიმარტება, როგორც არასწორი, დამახინჯებული მეტყველება, რომელიც დამახასიათებელია რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფისათვის. ინგლისურ ენაში იმავე მნიშვნელობის მატარებელია სლენგი (slang). ეს მოვლენა განიხილება, როგორც სახალხო ენის განშტოება, მაგრამ მისგან განსხვავდება სპეციფიკური სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებსაც დიალექტისაგან განსხვავებით არ გააჩნიათ საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ჟარგონის ერთ-ერთ განშტოებას, ქურდულ ჟარგონს, ფრანგულად არგოს ენას უწოდებენ (თეზელიშვილი 2005).

ჟარგონი, ანუ სლენგი არის თავისებური ლინგვისტური მოვლენა. ადამიანებს, იმ ჯგუფებში, რომლებშიც იგი გამოიყენება, ერთმანეთთან აკავშირებთ რაიმე საქმიანობა, მაგალითად: არმიაში სამსახური, ტურიზმი, კოლექციონერობა და ა. შ.

ჟარგონის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა ახალგაზრდული ჟარგონი, რომელსაც გამოიყენებენ დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები. ამ ადამიანებს, პირველ რიგში, მართალია ასაკი აერთიანებთ, მაგრამ თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ისინი საქმიანობის ფორმებითაც ემსგავსებიან ერთმანეთს. ამ ჯგუფს შეადგენენ დაახლოებით 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდები, ძირითადად

მოსწავლეები, სტუდენტები, დასაქმებული და დაუსაქმებელი ახალგაზრდა ადამიანები.

ჟარგონი წარმოიშობა და ფუნქციონირებს ძირითადად ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში, ხოლო სოფლად ის შედარებით იშვიათი მოვლენაა. ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითი არაა და მის ფსიქოლოგიურ ფუნქციაზე მიგვანიშნებს. ეს გასაგები გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ქალაქური და სოფლური ყოფის გარემოს და ამ გარემოში კომუნიკაციური პროცესების თავისებურებას: სოფლური გარემო გამოირჩევა ბუნებასთან ადამიანის მეტი სიახლოვით, რაც წარმოადგენს ემოციური გაწონასწორების მნიშვნელოვან პირობას, ამ გარემოში კომუნიკაციური კავშირი ნაკლებ ინტენსიურია ქალაქთან შედარებით და ასევე იშვიათია კოლექტიური გაერთიანებები, ანუ ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც რაღაც ერთი საქმიანობა აკავშირებთ; შედარებით ნაკლებია ჯგუფური თავშეყრის შემთხვევებიც. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არ ქმნის ნოყიერ ნიადაგს ჟარგონის წარმოშობისათვის

ზოგიერთი ავტორი ჟარგონს განიხილავს, როგორც „თავისებურ საზოგადოებრივ გართობას, ენობრივ თამაშს, რომელიც ეფუძნება ენობრივი ექსპრესიულობის პრინციპს (ჩიქობავა 1986), ამ თვალსაზრისით ჟარგონი განსხვავდება როგორც ენაში გამოყენებული შედარებით უექსპრესიო სიტყვებისაგან, ასევე ექსპრესიული, მაგრამ არასალიტერატურო, ყოველდღიური, მდაბიური ლექსიკისაგან და ვულგარული, ექსპრესიული სალანძღავი სიტყვებისაგან, რომელთა გამოყენების სიხშირე კუთხურ მეტყველებაში ჟარგონთან შედარებით უფრო ხშირია.

თსუ სტუდენტთა ორმოცდაათკაციან ჯგუფზე ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელიც ეხებოდა მათ მიერ გამოყენებულ ჟარგონებს და გამოყენების მოტივებს, ასევე ქართული ჟარგონის ლექსიკონის და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთი ნაწილის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი სურათი:

ენის ლექსიკის მარაგთან მიმართებაში ქართულ ჟარგონს უკავია უმნიშვნელო წილი: ჟარგონის ლექსიკონში აღნუსხულია 1000-ზე მეტი სიტყვა და გამოთქმა, რაც შეადგენს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში მოცემულ სიტყვათა რაოდენობის (დაახლოებით 113 ათასი) 1%-ს.

ჟარგონული სიტყვებისა და გამოთქმების და მათი პარადიგმების (სხვადასხვა ფორმების და სახეცვლილებების) საერთო რაოდენობა, რომლებსაც ახალგაზრდები გამოიყენებენ, ერთ ასეულს აღემატება და, ამრიგად, მთელი ჟარგონის 10%-ზე მეტია.

ქართულ ჟარგონულ გამოთქმებში გვხვდება არაბული, სპარსული, ებრაული ლექსიკიდან ნაწარმოები სიტყვები და გამოთქმები, მაგალითად *ებრაულიდან* ნაწარმოებია: **თომარი** (ლაპარაკი, საუბარი), **ტობე** (კარგი) **ტო**

(სავარაუდოდ ნაწარმოებია ტობე-დან), **ბაითი** (პატარა სახლი), **ნაშა** (გოგო, შეყვარებული), **განაბი** (ქურდი), **სიმონი** (ებრაული სახელი, ნიშნავს გამგონს), **გოიმი** (ებრაულად ნიშნავს სხვა სარწმუნოების აღმსარებელს, არაებრაელს), **თოხლი** (საჭმელი, პურ-მარილი, ქეიფი), **დაიადა** (ებრაული სიტყვა „იად“ ნიშნავს „ხელს“); *სპარსულიდან* ნაწარმოებია*:* **შარაფი** (ღვინო), **ქოთი** (შფოთი, ღრიანცელი), **თაზა** (ახალი), **იშკილები** (მოტყუება, გაიძვერობა); *არაბული* სიტყვიდან „**ქეიფი**“ ნაწარმოებია ჟარგონი „**კაიფი**“.

ზემოთ ჩამოთვლილ ენებში ეს სიტყვები არ წარმოადგენენ ჟარგონს, როგორც ჩანს, ისინი შემორჩნენ ქართულ ენას და შეიძინეს ჟარგონის ფუნქცია. დღეისათვის ქართულ ჟარგონში ყველაზე მეტია რუსული სიტყვებისაგან ნაწარმოები ან რუსული ჟარგონიდან გადმოტანილი სიტყვები. ისინი შეადგენენ ქართული ჟარგონის 20%-ზე მეტს: აქედან 10% არის რუსული ქურდული ჟარგონი, ანუ არგო, ხოლო 90% ნაწარმოებია რუსული სიტყვებიდან ან რუსული ჟარგონიდან ქართული სიტყვათწარმოების წესით, მაგალითად: „**დაგრუზვა**“ (ნუ დამგრუზე, ნუ მგრუზავ, დაგრუზული ვარ) – ხასიათი, „**მაგარ ვიდზეა**“ – კარგად გამოიყურება, „**რიჟა ბაზარი**“ – ტყუილების ლაპარაკი, „**აბაროტი აულო**“ – სამაგიერო გადაუხადო, „**პერეხვატი გაუკეთა**“ – წაართვა, წაგლიჯა, დაასწრო და გამოსტაცა, „**გატრუპა**“ – მოკლა, „**დაიზმენდა**“ – დაეჭვდა, შეშინდა, „**გაიასნება**“ – საქმის გარჩევა, გარკვევა, „**ჩასასტავება**“ – დამეგობრება, ჯგუფში შესვლა და ა. შ.

ახალგაზრდული ჟარგონი არის ჟარგონის ყველაზე უფრო აქტიური ნაწილი, იგი ისევე, როგორც საერთოდ ჟარგონი, არ გამოირჩევა აღსანიშნის მრავალფეროვნებით; სიხშირის მიხედვით აღსანიშნი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით: ზმნა, ზედსართავი და არსებითი სახელი. ზმნა უფრო ხშირად გამოყენებულია წარსული და მომავალი დროის ფორმებით, აწმყო დროში ზოგიერთი ჟარგონი საერთოდ არ გამოიყენება: „**დაითრია**“ და არა „**ითრევს**“, „**მოიხა**“ და არა „**იხევა**“, „**დაგლიჯა**“ და ძალიან იშვიათად „**გლიჯავს**“, „**ჩასასტავდა**“ და არა „**სასტავდება**“ და ა.შ.

საგნის აღმნიშვნელ ჟარგონში არ შეინიშნება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა: რამდენიცაა აღმნიშვნელი, იმდენივეა აღსანიშნიც; თანაფარდობა დარღვეულია საგნის თვისების აღმნიშვნელ ჟარგონებში: ერთი აღმნიშვნელი მიესადაგება რამდენიმე აღსანიშნს და ამასთან ერთად თავისი მნიშვნელობით არის უფრო მეტი, ვიდრე ყველა იმ აღსანიშნთა ერთიანობა, რომლებსაც იგი გულისხმობს, მაგალითად: „**რქიანი**“ ნიშნავს ჩამორჩენილ, ხალხში გამოუსვლელ, უგუნურ და აგრესიულ ადამიანს. „**ჩამშვები**“ – დამბეზღებელი, დამსმენი, ენის მიმტანი. „**ჩაზმანული**“ – ძვირფასად, მოდურად ჩაცმული. „**შებერტყილი**“ – ეშმაკი, ცბიერი, გაქნილი ადამიანი. „**მიმწოლი**“ – მიზანსწრაფული, თავხედი. „**გოიმი**“ – გამოუსვლელი,

ხეპრე, გაუთლელი, სოფლელი. ამ ჟარგონებში ერთ აღმნიშვნელს რამდენიმე აღსანიშნი მიესადაგება, ისინი ძირითადად სინონიმებია, უმეტესწილად პეირატიული მნიშვნელობისაა და იშვიათად აღძრავენ დადებით ემოციებს.

ზოგჯერ არსებითი სახელი ჟარგონულ გამოთქმაში გამოყენებული ზედსართავის როლში, მაგალითად: „**პინგვინი**“ – გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი, „**ჩიტი**“ – ადვილად მოსატყუებელი, გულუბრყვილო, „**ქლიავი**“ – შტერი, „**შკაფი**“ – დიდი ტანის ადამიანი, „**ჯიხვი**“ – გამოუსვლელი, ჩამორჩენილი და ა. შ.

ჟარგონული სიტყვები ზოგჯერ ეფუძნება ენის ლექსემებს, თუმცა, ადგილი აქვს მათ მეტაფორულ გადატანას, რომლის საფუძველია არა იმდენად თვით სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, არამედ ის ასოციაციები, რომელთაც ამყარებს მოსაუბრე ახალი აღსანიშნისა და სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობის ფუნქციათა შორის. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რატომ და როგორ გადაიქცევა ლექსიკაში არსებული სალიტერატურო სიტყვა ჟარგონად.

ქართულ ჟარგონში სიტყვა „ძაღლი“ ნიშნავს პოლიციას. ამ ჟარგონის წარმოშობის საფუძველია ის ასოციაციები, რომლებიც დაამყარა ადამიანმა ძაღლის და პოლიციის ფუნქციებს შორის: ძაღლი – „ოთხფეხა შინაური ცხოველი, მგლის მოდგმის, რომელსაც იყენებენ სანადიროდ, ან ქონების დასაცავად“ – ასე განიმარტება სიტყვა „ძაღლი“. ჟარგონად მის გამოყენებას ხელს უწყობს არა მარტო დაცვის ფუნქცია, რომლითაც იგი პოლიციასთან ასოციაციებს იწვევს, არამედ ის მოქმედებები, რომელსაც ახორციელაბს ძაღლი დაცვის ფუნქციის შესრულებისას: ძაღლი შეჰყეფს ყველას, ვინც პატრონის ნებართვის გარეშე შემოდის ტერიტორიაზე, დროდადრო იგი შემოირბენს დასაცავ ტერიტორიას. ძაღლებს ზოგიერთ შემთხვევაში ახასიათებთ ჯგუფური თავდაცვა და თავდასხმა. ყოველივე ეს იწვევს პოლიციის ფუნქციის და ქცევების ასოცირებას ძაღლთან და ამ ასოციაციაში მდგომარეობს ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სიტყვა „ძაღლის“ გამოყენებას „პოლიციის“ მნიშვნელობით.

აგარაკი – დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ. სავარაუდოდ, აგარაკზე უშრომლად და ნაკლებ აქტიურად ყოფნის მსგავსების ასოციაცია სასჯელმისჯილის ყოფასთან იქცა ამ სიტყვის ჟარგონად გამოყენების საფუძვლად. „აგარაკი“ ანუ ციხე, საპატიმრო, კოლონია, სადაც ადამიანი თავისუფალია სისტემატური შრომითი საქმიანობისა და სხვა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მოვალეობისაგან.

წამალი – გარკვეული წესით დამზადებული სამკურნალო საშუალება. იგი ჟარგონულ გამოთქმაში ნიშნავს ნარკოტიკს. ამ შემთხვევაშიც წამლის და ნარკოტიკის გამოყენების გზებს შორის მსგავსების ასოციაცია და მათ შორის ფუნქციათა მსგავსების ასოციაცია არის ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომლის შედეგად სიტყვა „წამალი“ გამოყენებულია ნარკოტიკის მნიშვნელობით.

ქაჯი – ავი სული, ეშმაკი; გადატანითი მნიშვნელობით „ქაჯური“ ნიშნავს უკუღმართს და გაუგებარს. ჟარგონული გამოთქმის, „ქაჯის“ მნიშვნელობა ასოცირებულია ლექსემა „ქაჯურია“ მნიშვნელობასთან – უკუღმართი და გაუგებარი ანუ იგივე შეუგნებელი. შეუგნებელი – უცოდინარი, უცოდინარი – უმეცარი, უმეცარი – ბრიყვი, ბრიყვი – ხეპრე. ჟარგონი „ქაჯი“ ამრიგად ანაცვლებს რამდენიმე სიტყვას, რომელთა მნიშვნელობები ასოცირებულია „ქაჯურია“ მნიშვნელობასთან.

უბერავს – ლექსიკური მნიშვნელობით ქარის ქროლვას ნიშნავს. ქართულ ხალხურ მეტყველებაში არის ასეთი გამოთქმა: „ქარი უქრის“, რაც ნიშნავს: არ დაბრძენებულა, არ დაჭკვიანებულა, ჭკუანაკლებია ან სულელია. ჟარგონული სიტყვა „უბერავს“ მოიცავს ყველა ჩამოთვლილ მნიშვნელობას: გამოთქმა „ხომ არ უბერავ“ ნიშნავს „ხომ არ გასულელდი. „უბერავს“ ჟარგონის ენაზე ზოგჯერ ნიშნავს ასევე ქეიფს, ალკოჰოლიანი სასმელის მოხმარებას, რომლის ნიადაგზე ადამიანის მიერ საკუთარი ქცევების კონტროლის უნარი ქვეითდება და გარკვეული თვალსაზრისით იგი ნორმის ფარგლებიდან გამოდის.

ავარდნა – ლექსიკური მნიშვნელობაა: „სწრაფი, ძლიერი და ერთბაშად მოქმედება ზევით მიმართული.“ ჟარგონული გამოთქმა „ავარდა“ ნიშნავს უცებ ძლიერი ემოციებით დატვირთვას, ძლიერ გაბრაზებას, ან გახარებას, ადვილად მოტყუებას და გრძნობის აყოლას. როდესაც ფსიქოლოგია აღწერს ემოციებს, ხაზს უსვავს, რომ ემოციები ხასიათდებიან დინამიური მომენტით, ემოციებით შეპყრობილი ადამიანი ისწრაფვის მოქმედებისაკენ, ეს მოქმედებები კი არის სწრაფი, ძლიერი და ერთბაშად (ნათაძე 1997). ამრიგად, ჟარგონ „ავარდა“-ს მნიშვნელობაში ასახულია მისი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობის ემოციური ასპექტი.

გატეხა – ამ სიტყვას გააჩნია მრავალი პირდაპირი და გადატანითი ლექსიკური მნიშვნელობა: პირდაპირი მნიშვნელობით იგი აღნიშნავს მოქმედებას, მაგრამ თუ ამ მოქმედებას კარგად გავიაზრებთ, მივხვდებით, რომ მისი შედეგი არის რაღაცა მთლიანის და ერთიანის დაშლა და დანაწევრება, მთლიანობის დარღვევა, რასაც უმეტეს შემთხვევაში თან სდევს უარყოფითი ემოციები. ჩვენს

კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გადატანითი მნიშვნელობები; განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „სახელის გატეხა – შერცხვენა, სირცხვილში ჩაგდება, გულის გატეხა – იმედის, რწმენის დაკარგვა“ (ძიძიგური 1965). ჟარგონული გამოთქმები „ტეხავს“, „მიტყდება“, „გატეხა“, აღნიშნავენ და გამოხატავენ უარყოფით ემოციებს და გუნება-განწყობას. თავისი შინაარსით ისინი მოიცავენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ლექსიკურ მნიშვნელობას. თუმცა, იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციაში გამოიყენება, შეიძლება რომელიმე მნიშვნელობას მეტი დატვირთვა ჰქონდეს. მაგალითად: „ტეხავს“ ზოგჯერ ნიშნავს: მერიდება, მრცხვენია, უსიამოვნოა, მეუხერხულება, ხოლო ხანდახან გამოთქმა „ტეხავს“ ნიშნავს: საწყენია, გულდასაწყვეტია, გულგასატეხია.

დათრევა – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „დაითრევს“ სიტყვის მნიშვნელობაა რაღაცის თავისკენ და თავისთვის თრევით წაღება, მაგალითად, ამბობენ: „კატამ ძეხვი დაითრია“. ჟარგონული გამოთქმა „დავითრიე“ ასევე ნიშნავს, რომ ადამიანმა თავისთვის მოიპოვა რაღაც, ისევე როგორც კატამ ძეხვი – დრო იხელთა, გამოიჩინა სათანადო მოხერხება და ძალისხმევა. იმას, რაც დასათრევია, ადვილად და ნებით არავინ იძლევა.

მოწველა – ლექსიკური მნიშვნელობით იგი ნიშნავს ხელის ჩამოსმით რძის გამოცლას, მაგრამ თუ რძის გამოცლის მოქმედებას დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ იგი არ გულისხმობს ერთხელობრივ ხელის ჩამოსმას, არამედ, ეს არის პროცესი, რომელიც გრძელდება მანამ, ვიდრე მთლიანად არ ჩამოიცლება რძე. ჟარგონული გამოთქმა „მოწველა“ თავისი მნიშვნელობით ასახავს ამ პროცესს, რადგან, იგი გულისხმობს ადამიანისთვის ნებაყოფლობით ან მოტყუებით მატერიალური სიკეთის მრავალჯერ გამორთმევას.

ახევა – „სახელი „აახევს“ ზმნის მოქმედებისა – აგლეჯა“, რაც ნიშნავს ააცლის ისე, რომ გაიხეს ქსოვილი, ან ქაღალდი. როგორც ვხედავთ, ეს არ არის ნაზი და ფაქიზი მოქმედება, იგი გულისხმობს უხეშ, ძალისმიერ ქმედებას, რომლის შედეგად ირღვევა მთლიანობა და მისი თავდაპირველი ფორმა. სწორედ მოქმედების ეს თავისებურებაა ასახული ჟარგონულ გამოთქმაში „სახეს ავახევ“, ისევე როგორც „ავახიე“ – ნიშნავს ავაცალე, წავართვი, მოვპარე. ამ შემთხვევაშიც აშკარაა კავშირი სიტყვის თავდაპირველ ლექსიკურ მნიშვნელობასთან.

ტვინი – ორგანო, რომელთანაც ადამიანში დაკავშირებულია უმაღლესი დონის ფსიქიკური პროცესები – მეხსიერება, აზროვნება და ინტელექტი. ამ სიტყვისაგანაა ქართული სიტყვათწარმოების წესით ნაწარმოები ჟარგონი „მოტვინა“, რაც ნიშნავს: მოისაზრა, მიხვდა, გაიგო, ტვინი აამუშავა.

მზეცი – ლექსიკური მნიშვნელობით იგი არის „გარეული მტაცებელი ცხოველი, ნადირი“. ადამიანისათვის იგი ასოცირდება ძლიერებასთან, ინსტიქტების ძლიერ და შეუბოჭავ გამოვლენასთან. შესაბამისად, ჟარგონული გამოთქმა „დავამზეცე“ ნიშნავს: ძლიერ კარგად გავიგე, ძლიერ კარგად ვისწავლე და ავითვისე.

დაცემა – მას გააჩნია რამდენიმე ლექსიკური მნიშვნელობა, მათგან ჟარგონული გამოთქმის „დავეცი“-ს წარმოშობა **სავარაუდოდ** განსაზღვრა მისმა პირველმა ლექსიკურმა მნიშვნელობამ, რომლის მიხედვით იგი არის: „სახელი დასცემს, დაეცემა ზმნათა მოქმედებისა“ (ძიძიგური 1965).

რა ასოციაციებია ამ შემთხვევაში დამყარებული სიტყვა „დაცემის“ ლექსიკურ მნიშვნელობასა და ჟარგონულ მნიშვნელობას შორის? ჟარგონი „დავეცი“ აღნიშნავს ძლიერ მოწონებას, აღფრთოვანებას.

ასეთი ძლიერი განცდები ფსიქოლოგიაში აღწერილია როგორც აფექტები, რომლის ერთ-ერთი ფორმაა ასთენიკური აფექტი. ასთენიკური აფექტის განცდისას ადამიანს შეიძლება დაემართოს გულყრა და დაეცეს. ეს მოქმედება შეიძლება გამოიწვიოს როგორც ძლიერმა უარყოფითმა, ასევე დადებითმა ემოციებმა (ნათაძე 1997). როგორც ჩანს, ძლიერი განცდებისაგან გამოწვეული სხეულებრივი უძლურება ასოცირდა სიტყვასთან „დაცემა“, რის საფუძველზეც წარმოიშვა ჟარგონი „დავეცი“ (დაეცა, ვეცემი, დავეცემი).

გაძრობა – ლექსიკური მნიშვნელობით იგი არის „სახელი გააძრობს, გაიძრობს ზმნათა მოქმედებისა“ (ძიძიგური 1965). თუმცა, ლექსიკური მნიშვნელობა ამ მოქმედებაზე ბევრს არაფერს გვეუბნება, ფსიქოლოგიურად ამ მნიშვნელობაში იგულისხმება, რომ მოქმედება არის სწრაფი და მას მოჰყვება რაღაცის გამოჩენა. ქართულში იხმარება გამოთქმები: „ხმალი გაიძრო“, „ტანსაცმელი გაიძრო“. ეს მოქმედება გულისხმობს იმის სწრაფ გაცლას და გაშორებას, რაც ფარავს რაღაც სხვა საგანს და მოულოდნელად იმის გამოჩენას, რაც სხვა საგნისაგან დაფარულია, აქედან, ჟარგონული გამოთქმა „გაეძრო“ – მოულოდნელად გამოჩნდა, აღმოჩნდა, გაჩნდა. ბევრი ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ.

განხილული მაგალითები გვიჩვენებენ, თუ როგორ წარმოიშობა ლექსიკაში არსებული სიტყვებისაგან ჟარგონები, ჟარგონთა უმეტესობაში აშკარაა მისი კავშირი ლექსიკასთან: თავსართებისა და ბოლოსართების, პირისა და რიცხვის ნიშნების დართვის წესებითა და ა. შ.

ზოგჯერ ქართული ან უცხოური სიტყვისთვის სრულიად სხვა შინაარსის მინიჭების გზით ლექსიკური მნიშვნელობა გარდაიქმნება ახალ მნიშვნელობად:

აცრილი – მოკლული, ახურებს – საქმეს აჭირვებს, ცუდად იქცევა, აჯახა – სათქმელი პირში მიახალა, აწეული – მოპარული, გაარტყა – შემთხვევით გამოიცნო, გაფარჩაკება – აბუჩად აგდება, გაქანებული – თავგამოდებული, მოდღლეზილი – დიდი ტანის, მოაკეტინა – გააჩუმა, მოიხა – წავიდა, მოსვეს – მშრალზე დატოვეს, არაფერი არგუნეს, მოჩანთა, მოჩოთქა და სხვა.

ქართულ ჟარგონში არის სიტყვები, რომლებიც არ უკავშირდება ქართულ ან სხვა რომელიმე ენის (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, რუსული) სალიტერატურო ან ჟარგონულ ლექსიკას. ისეთი ჟარგონები, როგორიცაა: ჩმორი, ტასაობა, წაკლა, ბითური, დაუთოხმახა, ხიპიში, ხოხმა, ამბალი, ახვარი, ღადაობა, გაჩმახება, ზმანი, ბანძი, ფახი აუდო, აჩმახებს, გააჭრა, გაიტრიტა, გაიჩითა, გაკვაჭა, გაუჩალიჩა, გეჩე, გიმელი, გორსალა, დაამაყუთა, დააჩმორა, დათირა, დაქერა, ეჭოჭება, თიში, ტრინჯული, კოკმაზურად, მაყუთბაზი, მიაც-მოაცობს, მოყომარება, რეკა, სიაბანდი, ტასაობა, უპრაგონოდ, ღადაობა, შეუპრიტინა, ჩამსერდა, ჩემანალა, წაამსერა, წეპა, წიწკვი, ხიხო, ხოხმა, ხია და სხვა. მათგან ნაწარმოები ფორმები ჟარგონის არცთუ მცირე ნაწილს შეადგენენ, ახალგაზრდულ ჟარგონთან მიმართებით დაახლოებით 50%-ს, ხოლო საერთოდ ჟარგონთან მიმართებაში დაახლოებით 10%-ს. ისინი ინტერესს იწვევენ, რადგან მათი წარმოშობის საიდუმლო ალბათ ზოგადად ენის წარმოშობის საიდუმლოს უკავშირდება. ერთი რამ კი ნათელია: მათ ჩაანაცვლეს ენის ლექსიკაში არსებული სიტყვები ან სიტყვათა სინონიმური ჯგუფები, ვინაიდან უკეთ გამოხატეს საგნის ან მოვლენის არსი.

ბუნებრივია ეს სიტყვები თუ ხელოვნური? შ. ძიძიგური განიხილავს სიტყვათწარმოქმნის საკითხს: „არის ერთი კატეგორია სიტყვებისა, რომელთა აღმოცენება ზუსტად შეიძლება განისაზღვროს, ესაა ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, რომელთა გამომუშავება, ჩვეულებრივ, მიეწერება რომელიმე მეცნიერს ან მწერალს, ასეთები მსოფლიო ენებში თითზე დაითვლება, იმდენად შეზღუ-დულია სიტყვის გამოგონების, სიტყვის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობა“ (ძიძიგური 1965).

ავტორს მოჰყავს მაგალითები ასეთი ხელოვნურად შექმნილი სიტყვებისა: გაზი – გამოიგონა ჰოლანდიელმა ქიმიკოსმა, ლილიპუტი – გამოიგონა ჯონათან სვიფტმა „გულივერის მოგზაურობაში“, რობოტი – ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა. მაგრამ რამდენად შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ სიტყვებს, ისევე, როგორც ჟარგონს, ხელოვნური ვუწოდოთ? მას შემდეგ რაც ბგერათა კომპლექსი იწყებს სიტყვის ფუნქციის შესრულებას, ეს კი მოხდება, როცა იგი ადამიანის მიერ მოხმარებული, გამოყენებული იქნება კომუნიკაციის პროცესში მრავალჯერადად – ის ისეთივე ბუნებრივი ხდება, როგორც სხვა დანარჩენი. თუ მოვიშველიებთ აკადემიკოს რ. ნათაძის გამოთქმას –

„გამჭვირვალე“ და მის მიღმა ჩვენ ვხედავთ მნიშვნელობას, შინაარსს, საგანს, ეს არის სიგნიფიკაციის ფუნქცია, რომელსაც სიტყვა ასრულებს (ნათაძე 1997).

ჟარგონული გამოთქმების ექსპრესიულობას ბევრი ავტორი უსვამს ხაზს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ეს ფუნქციაა გაძლიერებული ჟარგონის გამოყენებისას, არამედ გაძლიერებულია მეტყველების დანარჩენი ფუნქციებიც, როგორიცაა კომუნიკაცია და სიგნიფიკაცია, მაგალითად: სიტყვა „ჩმორი“-ს ხმარებისას ჩვენ ზუსტად და სხარტად აღვწერთ ადამიანის გარკვეულ ტიპს, ხოლო ჩვენი მსმენელი ასევე ზუსტად წარმოიდგენს მას: დაბრიყვებული, უხეირო, ბედოვლათი, აგდებული, ჯაბანი, ღირსებააყრილი ადამიანი. იმ წრეში, სადაც ჟარგონით ლაპარაკობენ, ამჯობინებენ აზრის უკეთ, ზუსტად და სწრაფად გადასაცემად კომუნიკაციისას გამოიყენონ არა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: უხეირო, ჯაბანი და ბედოვლათი, არამედ, მოკლედ უთხრან: „ეს კაცი ჩმორია“, ვინაიდან ეს ერთი სიტყვა მოიცავს ყველა ჩამოთვლილ მნიშვნელობას.

გარდა იმისა, რომ ჟარგონული სიტყვების და გამოთქმების ფსიქოლოგიური ფუნქცია არის მეტყველებაში მათი გამოყენებით მეტყველების ყველა ფუნქციის (კომუნიკაცია, სიგნიფიკაცია, ექსპრესია) გაძლიერება – ჟარგონის წარმოშობა და გამოყენება სხვა ფსიქოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს: ჟარგონი წარმოიშობა და ფუნქციონირებს შედარებით ვიწრო სოციალურ გარემოში, ახალგაზრდულ წრეებში, ამით ახალგაზრდობა თავის თავს გამოყოფს ადამიანთა სხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან.

ჟარგონული სიტყვები და გამოთქმები მათთვის იმ პატარა „საიდუმლოს“ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ზედმიწევნით მხოლოდ ახალგაზრდებმა იციან და სურთ მხოლოდ მათ იცოდნენ და ისინი იყენებდნენ. იმავე სიტყვების გამოყენება სხვა ასაკისა და წრის ადამიანის მიმართ, ან მათ მიერ აღქმული იქნება, როგორც არაადეკვატური, რბილად რომ ვთქვათ სასაცილო ქცევა ან უზრდელობა.

ჟარგონული სიტყვების გამოყენება აუცილებელი ხდება სოციალურ ჯგუფში თვითდამკვიდრებისათვის. თუ ახალგაზრდა თავისი ლექსიკის მარაგიდან ამოიღებს ასეთ სიტყვებს და გამოთქმებს, მას გაუჭირდება სისტემატური ურთიერთობა მათთან, რომლებიც ინფორმაციას ერთმანეთს ჟარგონული სიტყვებით გადასცემენ.

ჟარგონი ახალგაზრდულ სოციალურ გარემოში სოციალიზაციის პროცესის ხელშემწყობია, ჟარგონს ახალგაზრდები ითვისებენ სოციალური გარემოს გავლენით და იყენებენ ამ გარემოში თავის დამკვიდრებისათვის. ჟარგონის გამოყენება იმისი მანიშნებელიცაა, რომ ადამიანები, რომლებმაც იგი კომუნიკაციაში გამოიყენეს, ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში არიან.

ექსპრესიულობის საფუძველზე ჟარგონი ემოციური დაძაბულობისაგან განტვირთვის ფუნქციასაც ასრულებს, მისი გამოყენება არის ახალგაზრდების მიერ პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაც მეტყველების საშუალებით ყველაფერ იმის მიმართ, რაც სტანდარტულია, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია, ყველასთვის მისაღები და ჩვეულებრივია. თითქოს და ამით ისინი გადალახავენ ენასა და მეტყველებაში დადგენილ ჩარჩოებს და ეზიარებიან ენის ქმნადობის პროცესს.

ძნელია არ დაეთანხმო ზოგიერთი მკვლევრის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ „რაც უფრო ხშირია ადამიანის შეხება, ურთიერთობა სინამდვილის ამა თუ იმ მხარესთან, მით უფრო მეტად დიფერენცირდება ეს სინამდვილე ენაში“ (სცკ 1970). თუ ამ კუთხით განვიხილავთ ახალგაზრდულ ჟარგონს, მაშინ მივხვდებით მისი წარმოშობის კიდევ ერთ ფსიქოლოგიურ მექანიზმს: ახალგაზრდული ასაკი გამოირჩევა გარემოს გარკვეული მხარეების, ადამიანის ხასიათის თვისებებისა და ადამიანური ურთიერთობების მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობით. გამოკვლევები აჩვენებენ, რომ: მოზარდებს და ახალგაზრდა ადამიანებს 20-25 წლამდე აქვთ ნევროტიზმის მაღალი, და კეთილგანწყობის და შეგნებულობის შედარებით დაბალი დონე, ვიდრე 30 წელს გადაცილებულ ადამიანებს; ახალგაზრდა ასაკში აღინიშნება მაღალი დონის კრიტიკულობა და მომთხოვნელობა საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მიმართ, შედარებით დაბალია მათი კეთილგანწყობა და კეთილსინდისიერება, ასევე ნაკლებია მათი პასუხისმგებლობა. ისინი ბევრ დროს უთმობენ საუბარს და აქტიურად არიან ჩართული ურთიერთობებში. სიყრმე და ახალგაზრდობა – ეს არის დაუკმაყოფილებლობის, შფოთვის, გატაცებებისა და პროტესტების ასაკი.

ზემოთ ჩამოთვლილ ასპექტებში: ფიზიკური გარემო, ადამიანური თვისებები და ადამიანური ურთიერთობები ახალგაზრდულ ასაკში, ასაკობრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, მეტი გამძაფრებითა და უფრო მეტად დიფერენცირებულად აღიქმება და განიცდება ვიდრე სხვა ასაკში. მაგრამ ის, რაც აღქმაში დიფერენცირდა, ასევე უნდა აისახოს ენაში და რადგან ენა და მეტყველება შედარებით მყარი წარმონაქმნია, ჟარგონული გამოთქმები ლექსიკის ცვლილების სხვა ფორმებთან ერთად ეპოქისა და დროის, ასევე ასაკის შეასაბამისად აღქმაში მომხდარი ცვლილებების ენასა და მეტყველებაში ასახვის მცდელობად შეიძლება იქნეს განხილული.

ჩვენ მიერ გამოკითხულ სტუდენტთა 50 კაციანი ჯგუფის მონაცემები ჟარგონის გამოყენების მოტივის შეხამებით სრულად ადასტურებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდული ჟარგონი ასრულებს ახალგაზრდული თვალით დანახული სინამდვილის უფრო ზუსტად გამოხატვის, სოციალური

ადაპტაციის, თვითდამკვიდრების და ემოციური ექსპრესიის ფუნქციებს. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს მათი გამონათქვამებიდან:

„ჟარგონს ვიყენებ, იმიტომ რომ მეხსიერებიდან მისი ამოტანა სწრაფად ხდება; ხშირად ზუსტად ჯდება კონტექსტში და მკაფიოდ გამოხატავს აზრს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჟარგონს მხოლოდ ჩემს თანატოლებთან საუბარში ვიყენებ, მაგრამ ოჯახთან და ლექტორებთან ურთიერთობისას ისინი ლექსიკონიდან ამოღებულია“;

„ჟარგონებს ნაკლებად ვხმარობ, რასაც ვხმარობ, იმიტომ, რომ ისინი თითქოს უფრო ზუსტად და გასაგებად გამოხატავენ სათქმელს, სხვებიც ალბათ ამიტომ ხმარობენ და კიდევ იმიტომ, რომ იყვნენ ე. წ. „გამოსულები“, თანამედროვეობისთვის მისაღები“;

„ჩემი აზრით, ამ და ბევრ უცენზურო სიტყვებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ როგორც გოგონები, ასევე ბიჭები იმიტომ, რომ გამოხატონ საკუთარი თავი. ამით გამოიხატება თავისუფლების ხარისხი“;

„ჟარგონის ხმარება უადვილებს ახალგაზრდებს მოკლედ, მცირე ფორმებით გამოთქვან თავიანთი აზრები, თან ამას თანამედროვეობას მიაწერენ“

„ჩვენ ამ ჟარგონებს ვიყენებთ იმიტომ, რომ „გვისწორდება“, კიდევ იმიტომ, რომ „პალაჟენია დავამყაროთ“, და „სასტავში“ არ „მივფარჩაკდეთ“. ჟარგონები „მაგარ ცვეტშია“.

რამდენად სიცოცხლისუნარიანია ჟარგონი? სავარაუდოდ იგი შენარჩუნდება რამდენიმე თაობაში, შემდეგ კი მათი ხმარების სიხშირე კლებულობს და თანდათან ქრება, გამოდის მოხმარებიდან. მაგალითად: **ათოხლა**, **ტობე**, **სიმონ**, **ეშხების ტრიალი**, **თაზა**, **კოწია** – ეს ჟარგონული გამოთქმები დღეისათვის იშვიათად გამოიყენება, ისევე როგორც დღეისათვის გამოყენებული ჟარგონების რაღაც ნაწილი წინა თაობებისათვის უცხოა.

ჟარგონი თაობიდან თაობაში იცვლის, ან შეიძენს ახალ მნიშვნელობას, მაგალითად: „თომარი“ მომდინარეობს ებრაულიდან და ნიშნავს ლაპარაკს, საუბარს, თუმცა, ამ ბოლო დროს ახალგაზრდულ ჟარგონში მან მიიღო ფლირტის მნიშვნელობა, ხელების ფათურის ჩათვლით. ან რუსული ჟარგონიდან ნაწარმოები „პონტი“, რომელიც რუსულ ქურდულ ენაზე ნიშნავს ადამიანთა თავყრილობას, ჯგუფს, ქართულ ჟარგონში თავიდან დამკვიდრდა ტყუილის, ბლეფის მნიშვნელობით, ამ ბოლო დროს კი მან შეიძინა არაქურდული ანუ „ფრაერული“ მნიშვნელობა და გამოიყენება მნიშვნელობით „ამბავი“ ან „სიტუაცია“ (მაგარი პონტია, რა პონტია?) „დაალივცერა“ – დაინახა, თვალი მოჰკრა მომდინარეობს რუსული ქურდული ჟარგონიდან და ნიშნავს ქედმაღლურად ყურებას, ირონიული მზერით შეთვალიერებას. ეს ნიუანსი მან დაკარგა ქართულ ჟარგონში და იხმარება მნიშვნელობით: თვალი მოჰკრა, შენიშნა.

უქმნის თუ არა ჟარგონი ენის ლექსიკას და სალიტერატურო ენას რაიმე საფრთხეს – ეს ძნელად სავარაუდოა, რადგან ისინი ენის ლექსიკასთან მიმართებაში ისევეა, როგორც წვეთი ზღვაში. ეს საკითხი შეძლება ეხმიანებოდეს „ენის ეკოლოგიის“ საკითხს, როგორც ამას უწოდებს ა. არაბული. იგი მიიჩნევს, რომ მშობლიურ ენაში უცხო ენიდან შემოყრილი სიტყვები არღვევს ენის „ეკოსისტემას“, თუმცა: „მალე, ფაქტობრივად ერთ ან ორ თაობაში, ხდება შეგუება ახალ რეალობასთან როგორც ყოფითი, ასევე ენობრივი კონვენციის თვალსაზრისით. მეტიც, ხდება „ეკოსისტემაში“ შეჭრილი ახალი ელემენტების სწრაფი ადაპტაცია მიმღები ენის სისტემატურ კანონებთან, თვით ენობრივ ფსიქოლოგიასთან“ (არაბული 2004). „სწრაფ ადაპტაციასა და ენობრივ ფსიქოლოგიასთან“ მიმართებაში სავსებით შეიძლება გავიზიაროთ იგივე აზრი, როცა საქმე ჟარგონს ეხება, მაგრამ, რამდენად აბინძურებს ჟარგონი ენის „ეკოლოგიას“, ეს სადავო საკითხად მიგვაჩნია; მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟარგონი განსხვავდება ვულგარული ექსპრესიული სიტყვებისაგან. მაგალითად: „როსკიპი“ და „ბოზი“ ჟარგონში შენაცვლებულია სიტყვით „წაკლა“, რომელსაც ვულგარულობის ბევრად დაბალი ხარისხი გააჩნია. თუმცა, დიდმა რუსთაველმა მეფის დის პიროვნების დასახატად სწორედ ეს სიტყვები გამოიყენა: „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მომაკვლევინე?!“

ხშირია ჟარგონის გამოყენება თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ეს გასაგებიცაა, რადგან თუ მწერალს სურს ზუსტად და რეალურად აღწეროს ესა თუ ის სოციალური წრე და ფენა, რაც შეიძლება კარგად დაგვიხატოს პიროვნება, იგი ამას ყველაზე უკეთ გმირის მეტყველების მეოხებით შეძლებს. ფსიქოლოგიაში არავინ დაობს იმის თაობაზე, რომ ადამიანის პიროვნება მნიშვნელოვანწილად გამოიხატება მის მეტყველებაში. „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ საილუსტრაციო წყაროდ გამოყენებულია 64 ქართველი მწერლის და უამრავი ჟურნალ-გაზეთის მაგალითი, რაც ამ თვალსაზრისს ადასტურებს.

შესაძლებელია ჟარგონის გამოყენების სიხშირე იცვლებოდეს იმის მიხედვით, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება როგორც თითოეული ინდივიდი, ასევე მთელი საზოგადოება. ამ მდგომარეობაში იგულისხმება აგრესიულობა, დეპრესიულობა, ეიფორია, შიში, სიხარული და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში იზრდება ემოციათა ექსპრესიის მოთხოვნილება, ჟარგონი კი, როგორც აღვნიშნეთ, მისი დაკმაყოფილების ერთ-ერთი ადვილი საშუალებაა. მართალია ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად კვლევა არავის უწარმოებია, მაგრამ ემოციათა ფსიქოლოგიაში არსებობს ექსპერიმენტული კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გუნება-განწყობა გავლენას ახდენს მეტყველებაზე. ამ კვლევის თანახმად: „სევდიანი ადამიანები თავიანთ მეტყველებაში უფრო თავაზიანები არიან“ (გერიგი, ზიმბარდო 2004). ცხოვრებისეული ექსპერიმენტი კი გვიჩვენებს, რომ ძლიერი უარყოფითი ემოციებით

შებყრობილი ადამიანები მიმართავენ არა მარტო ჟარგონს, არამედ უფრო ხშირად უცენზურო და სალანძღავ სიტყვებს, ანუ ვერბალურ აგრესიას.

ცხადია, ჟარგონი არ წარმოადგენს თვაზიან და „დარბაისლურ“ სიტყვას, რომელზეც წუხდა ი. ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „მ ი ი რ თ ვ ი ც რომ გითხრა, ამ კარგ დარბაისლურ სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია. შ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი რომ გითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო თუ სალხენად. აი აქ, „ჰკიდია“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმემ თავისის წამხდარის და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს“.

ილიას აზრით, თუ ადამიანში სიტყვის პატივისცემა დაიკარგება, ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანს „თავისი სულიერების სახლი, ანუ „ტაძარი“ დაუტოვებია“. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ დიდ ილიას: ბინძურსიტყვაობა არა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით არის სულიერების სახლის დატოვების ნიშანი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც, რადგან იგი ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში აღიარებული თვალსაზრისის მიხედვით ფსიქიკური დარღვევის ერთ-ერთი ნიშანია. ვტოვებთ თუ არა ჩვენს „სულიერ სახლს“ ჟარგონის გამოყენების შემთხვევაში? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ჟარგონი არ არის ვულგარული ენა. როგორც ზემოთაც მივუთითებდით, თვით სიტყვა „მკიდია“, თუ მას ჩვენ მოვიხმართ როგორც ჟარგონს და მას ვინმე თავის „წამხდარ და გარყვნილ აზრს არ მიაწერს“, ნიშნავს: „ჩემთვის სულ ერთია, არ მაინტერესებს, არ მაწუხებს, არ მადარდებს“.

ჩვენ ვერ ვიკამათებთ იმაზე, ჟარგონი აბინძურებს, საფრთხეს უქმნის ენას თუ სიტყვის ქმნადობის ცოცხალ ლაბორატორიას წარმოადგენს, რადგან ამ ნაშრომის მიზანია – ვიკვლიოთ ქართული ენა მის ყველა გამოვლინებაში.

ლიტერატურა

არაბული 2004 – არაბული ა., გარემო და ენის ეკოლოგია, ლოგოსი, თბ. 2004.

ბრეგაძე 2005 – ბრეგაძე ლ., ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბ. 2005.

Гериг , Зимбардо 2004 – Гериг Р., Зимбардо Ф., Психология и жизнь, 2004 .

თეზელიშვილი 2005 – თეზელიშვილი ბ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 2005.

ნათაძე 1977 – ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1977.

Серебряков Б. А., Социальная дифференциация языка, М. 1976.

სცკ 1970 – Социально-Лингвистические исследования, М. 1970.

ჩიქობავა 1986 – ჩიქობავა არნ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1986.
ძიძიგური 1965 – ძიძიგური შ., ენა და ლიტერატურა, თბ. 1965.
ილია 1985 – ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, თბ. 1985.

Marine Jaghiashvili

Semantics and Psychological Function of Youth Jargon

Summary

The article deals with the semantics and psychological function of slang and one of its manifestations – youth cant. The quantitative and qualitative analysis of the Slang Dictionary and the Explanatory Dictionary of the Georgian Language has been applied as the method, as well as a poll of the TSU group made up of 50 students.

The research clarifies that:

1. Slangy words and expressions make approximately 1% of the Georgian vocabulary. About more than 10% of this amount is youth cant.
2. The Georgian slang is derived in several ways: by the modification of slang or lexemes used in a foreign language according to the Georgian word-formation, by using Georgian words to refer metaphorically to new denotata and on the basis of coining totally new sound complexes.
3. According to frequency, slang words are expressions substitute primarily words expressing actions (verbs), words denoting the qualities of things (adjectives) and words denoting things (nouns).
4. The function of slang is: the expression of emotions, intensification of speech functions, winning a foothold in a social group, self-expression and adaptation with a social group.

ტექსტის ლინგვისტიკა

რუსუდან ენუქიძე

შესაძლებელია თუ არა დისკურსის ნაწილობრივი ფორმალიზაცია მხატვრულ ტექსტში?

დისკურსზე მსჯელობისას დისკურსის იმ განსაზღვრებას ვეყრდნობით, რომელიც დისკურსს განიხილავს როგორც ტექსტის აქტუალიზაციის პროცესს. ეს პროცესი ანუ დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის რეალიზებულია როგორც მკითხველის მიერ ავტორის გზავნილის რეკონსტრუქციის მცდელობა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ტექსტისა და დისკურსის მიმართებებთან დაკავშირებით: ზოგი მკვლევარი ტექსტს თვლის ავტორის გზავნილად, დისკურსს კი – ტექსტის ინტერპრეტაციად; სხვები ფიქრობენ, რომ ტექსტი მხოლოდ ავტორსა და მკითხველს შორის დიალოგის შედეგია და მისი არსებობა პროცესს წარმოადგენს. ტექსტისადმი მიმართების სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, მაინც შეიძლება გამოიყოს მნიშვნელობების ის სფერო, რომელიც თითოეულ მათგანს ახასიათებს. პ. ვერდონკი თვლის, რომ ის ფორმალური მნიშვნელობები, რომლებიც კოდირებულია *ტექსტის ენაში* და ამასთანავე დამოუკიდებელია მწერლის თუ მკითხველის კონტექსტისაგან, *სემანტიკის სფეროა,* ხოლო *დისკურსის ენა*, რომელიც გამოიყენება შესაბამის კონტექსტში ტექსტის დეკოდირებისათვის – *პრაგმატიკის სფეროა.* პრაგმატიკული მნიშვნელობა არ არის სემანტიკური მნიშვნელობის ალტერნატივა, არამედ მისი დამატებაა, კომპლემენტარულია, რადგან იგი გამოიყვანება სემანტიკური მნიშვნელობის კონტექსტთან ურთიერთქმედებით (ვერდონკი 2006, 19).

ტექსტის ლინგვისტიკის და ლინგვოსტილისტიკის მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დისკურსის ფორმალიზაცია ისევე, როგორც სხვა სუპრავერბალური კატეგორიებისა (მაგ., მხატვრული ხატის), შეუძლებელია. მაგრამ, ვერბალურ დონეზე უთუოდ უნდა არსებობდეს ისეთი ელემენტები, ის ლინგვისტური სიგნალები, რომლებიც ხელს უწყობს ან სტიმულს იძლევა დისკურსის ჩამოყალიბებისათვის. უფრო ზუსტად, დისკურსი ასოციაციური დონის ფენომენია, მაგრამ მის წარმოშობას რეპრეზენტულ ანუ ვერბალურ დონეზე რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამ საფუძვლის არსებობის მიხედვით შესაძლებელია მწერალთა დაყოფა საპირისპირო ნიშნებით, ხოლო ამ დაყოფის კრიტერიუმად რაოდენობრივი ან თვისებრივი მსაზღვრელი შეიძლება იქნეს მიჩნეული:

1. მწერლები ან ,,სიტყვაუხვნი'' არიან და მკითხველს ნაკლებად სჭირდება ,,სიღრმისეული წვდომანი'' ტექსტის ადეკვატური გაგებისათვის (დიკენსი) ან,

„სიტყვაძუნწნი“ არიან, მათი ნათქვამი იმპლიკაციებითაა დატვირთული და შესაძლებლობას იძლევა ნაირგვარი, ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციებისათვის (ჰემინგუეი). რა თქმა უნდა, არსებობს ამ რაოდენობრივი ნიშნით დაჯგუფებულ მწერალთა შორის „შუალედური“ ავტორებიც (გოლსუორთი).

2. დისკურსის მარეალიზებელი ვერბალური დონის ერთეულების „თვისებრივი“ ნიშნით გამოყოფა, ჩემი აზრით, სტილისტური შეფერილობის მქონე ენობრივ ელემენტებს უნდა შეეხოს. ამ მოსაზრების კონკრეტულ საილუსტრაციო მაგალითს ლუსილ პეინი იძლევა 1969 წელს გამოცემულ წიგნში "The Lively Art of Writing". რა თქმა უნდა, აქ დისკურსის ხსენებაც არ არის, ამის დასტური წიგნის გამოცემის წელია. წიგნის ავტორი რჩევის სახით სთავაზობს საკუთარი წერილობითი სტილის დახვეწის მსურველებს, არ გამოიყენონ ვნებითი გვარის ფორმები, აამოქმედონ სუბიექტი. მისთვის მიუღებელია თხზულებაში ან მხატვრულ ტექსტში შემდეგი სახის წინადადებების გამოყენება: "Thunder was heard in the mountains", ან: "Everybody heard thunder in the mountains"; ავტორი გვირჩევს – "Don't let passive voice steal your thunder", "Don't let it steal even the smallest sound. Sound is a sign of life and movement" (პეინი 1969, 98-99), გამოიყენეთ ის აუდიო-აქტიური ზმნები, რომლებიც ქმნიან ხმას: "Thunder growled in the mountains".

კიდევ უფრო დამაჯერებლად ჟღერს ლ. პეინის მიერ ერთი სიტუაციის გრადაციული წარმოდგენა და ამ გრადაციის ყოველ მომდევნო საფეხურზე ზმნისათვის „ვოლტაჟის“ მომატება. წინადადებებში: "The car was driven down Main Street", "The car went down Main Street" ზმნები დაბალი ვოლტაჟისაა. ავტორის რჩევაა: "Make your reader see the car – The car careened down Main Street" (თუმცა ამ შემთხვევაში არ შემიძლია დავეთანხმო ქ-ნ პეინს ზმნა "to careen"-ის აუდიო-აქტიურ ზმნად გამოცხადებაში; იგი ვიზუალურად აქტიური ზმნაა და არა აუდიო-აქტიური). ზმნა "to careen"-ის გამოყენებით მანქანა უფრო ფოკუსირებული ხდება – "It is no longer merely 'going' down Main Street; it is lurching crazily from side to side".

"The car jolted down Main Street – a different picture and new information (either the car has a flat or Main Street needs a new paving job)".

"The car rattled down Main Street. Or purred. Or steamed. Or whispered. (if the car *rattles,* it's old and ramshackle and probably ready to fall apart, if it *purrs,* it is probably new and quite expensive, if it *whispers,* it is very expensive indeed – a Rolls Royce, perhaps gleaming black, with a uniformed chauffeur in the front and a rich old lady in the back. She has come into town to buy fresh liver for her cat" (ეს უკანასკნელი ძალიან მდიდარი წარმოსახვის მქონე მკითხველის დისკურსია).

ცხადია, განსხვავებული თეზაურუსის მქონე მკითხველები ერთი და იმავე სამეტყველო სიტუაციის განსხვავებულ დეკოდირებას მოახდენენ. მაგრამ ერთი

რამ ნათელია: რაც უფრო „აქტიურია“ ზმნა, მით უფრო ცოცხალია სურათი, რომელსაც ის აღწერს და მით უფრო „აღიზიანებს“ მკითხველის წარმოსახვის უნარს. ანუ თანამედროვე ლინგვისტური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, *დისკურსის პერსპექტივას* ვერბალურ დონეზე ეს აქტიური ზმნები განაპირობებენ. ვერბალურ დონეზე რეალიზებული ზმნა სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელია, იგივე ზმნა ავტორის ან მკითხველის დისკურსში (რომლებიც უთუოდ ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს) პრაგმატიკული მნიშვნელობისაა.

მხატვრული ტექსტის ლინგვოსტილისტური ანალიზის დროს მკითხველის დისკურსის (ანუ მისეული ინტერპრეტაციის) პირდაპირ მიმართებას „აუდიო-აქტიურ“, უფრო ზუსტად, „აქტიური“ ზმნების სხვდასხვა სახეობასთან, არაერთხელ შევხვედრივართ. ამის მაგალითია ქ. მენსფილდის მოთხრობა "The Wind Blows", რომელსაც ერთ-ერთმა კრიტიკოსმა „ქარის თემაზე დაწერილი მუსიკალური ვარიაციები“ უწოდა. ყოველ ქართველს ქარის ხსენებაზე გალაკტიონის ლექსი აგონდება, რომელიც ონომატოპოეტური ჟღერადობის ბრწყინვალე ნიმუშია. ინგლისურ ენაში ეს ვერ მოხერხდებოდა, რადგან ქარსა და მის პირდაპირ აქტივობას – ქროლვას შორის არ არსებობს ბგერითი მსგავსება. ქ. მენსფილდი სხვა ხერხს იყენებს – ქარის ქროლვით გამოწვეულ პროცესებს აღწერს სწორედ აუდიო-აქტიური ზმნების გამოყენებით. მაგრამ, ამ მოთხრობაში ასახული ხდომილებების განსხვავებულობის გამო ზმნების აუდიო-აქტიურობა საკმარისი არაა. ის, რასაც ქარი „სჩადის“, მოთხრობაში გადმოცემულია გარდა აუდიო-აქტიურისა, ვიზუალურად-აქტიური და გრძნობად-აქტიური ზმნებით. მაშასადამე, ლ. პეინის მიერ აღწერილ *აუდიო-აქტიურ* ზმნებს შეიძლება *ვიზუალურად-აქტიური* და *გრძნობად-აქტიური* ზმნებიც დაემატოს. აქტიური ზმნების მრავალფეროვნება კიდევ უფრო ცოცხალს ქმნის ქარის სურათს მისი სხვადასხვა კუთხით, თუ სხვადასხვა შეგრძნებით აღწერის გამო. ქ. მენსფილდის მოთხრობაში აქტუალიზებულია შემდეგი სახის „აქტიური“ ზმნები:

ა) *აუდიო-აქტიური ზმნები*: It is the wind *rattling* the windows, *banging* a piece of iron on the roof… The cars *rattle by*…There is a loud *roaring* sound from the trees in the garden… She can hear the sea *sob*…

ბ) *ვიზუალურად-აქტიური ზმნები:* Leaves *flutter* past the window, up and away; down in the avenue a whole newspaper *wags* in the air like a lost kite…
Their (two Chinamen's) pigtails and blouses *fly* out in the wind…
My best little Teneriffe-work teacloth is simply *in ribbons*…
Her skirt *flies up* above her waist… All the trees and bushes *beat about* her… In waves, in clouds, in big round *whirls* the dust comes stinging…
All the poor little pahutukawas on the esplanade *are bent* to the ground…

გ) *გრძნობად-აქტიური ზმნები*: It is the wind *shaking* the house, making her bed *tremble.* The dust comes *stinging,* and with it little bits of straw

and chaff and manure… The wind is so strong that they have *to fight* their way *through*…

ქარის თემაზე დაწერილი ვარიაციების შესახებ აქ არაფერს ვიტყვით, თუმცა სათქმელი აქაც ბევრია. ეს ვარიაციები, შეიძლება ითქვას, მიკროთემებს წარმოადგენენ და სიუჟეტურ თხრობას კინემატოგრაფიული კადრების ცვლით ახორციელებენ: ქარი – დანახული, გაგონილი და განცდილი; ქარის შეგრძნება ქუჩაში. შემდეგ კონტრასტის პრინციპიც ხორციელდება და ქარი მუსიკის მასწავლებლის სასტუმრო ოთახის მიღმა რჩება და ამ ოთახის სიმყუდროვის აღწერაც არ ახშობს ქარით გამოწვეულ უსიამოვნებას – ალბათ მკითხველი ასე აღიქვამს ამ სურათს (შესაძლოა, ასე არ აღიქვამს... მხედველობაში მყავს ის მკითხველი, რომელსაც საპირისპირო დამოკიდებულება აქვს ქარის მიმართ). ყოველივე ზემოთქმულით შევეცადეთ გადმოგვეცა მოსაზრება, რომ დისკურსის რეალიზების ერთ-ერთ საფუძველს მხატვრულ ტექსტში „მაღალი ვოლტაჟის“ (ლ. პეინის ტერმინი გახლავთ) მქონე ზმნების არსებობაც განსაზღვრავს.

არნ. ბენეტის მოთხრობაში "The Wind" ძალზე ექსპრესიული ასახვაა ქარისა. პირველივე აბზაცში აღწერილია ქარის ქროლვის უკიდეგანო სივრცე ქვიშისა, ზღვისა და ცისა: "The vast stretch of lion-coloured sands; the vaster stretch of tumbling grey sea; the still vaster stretch of disordered grey-inky clouds which passed endlessly at a great rate from west to east across the firmament, the wind…" შემდეგი პარაგრაფი ქარის ხანგრძლივობას (The wind had been blowing hard for days) და მის სიძლიერეს (It varied in strength from a stiffish breeze to half a gale) ასახავს. მომდევნო პარაგრაფში კი მისი „მტრული დამოკიდებულებაა“ აღწერილი – "As soon as you arrived over the ridge of shingle on the beach, it *assaulted* you… There was no peace from it,,, The wind had never ceased… The instant you moved even a foot away from the shelter it *assaulted* you again with new power, and continued incessantly *to assault* you " მთელი თხრობა ნამყო დროის გრამატიკული ფორმებითაა გადმოცემული. ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქ. მენსფილდის მთელი მოთხრობა Present Indefinite-ითაა გადმოცემული, და მხოლოდ პირველი აბზაცის ბოლო წინადადებაშია Present Continuous-I გამოყენებული – "Mother is talking to grandmother in the hall". ეს წინადადება მთლიანად არის ამოვარდნილი კონტექსტიდან – მთელი პარაგრაფი ქარის აღწერას ეძღვნება. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა – ეს Present Continuous-ის ფორმა ხომ არ აღნიშნავს ამ გრამატიკული დროის ფორმის ტექსტობრივ თვისებას – დააფიქსიროს რაღაც განსხვავებული, რაც არ არის ლოგიკურ კავშირში იმავე აბზაცის მიკროთემასთან? (ეს თვისება ენობრივი სისტემის დონეზე Present Continuous-ს არ გააჩნია).

არნ. ბენეტის მოთხრობაში რეალიზებული სიტყვა "to assault" ისეთი დატვირთვის მქონეა, რომ შესაძლოა ქარის ძირითად „მახასიათებლადაც“

ჩაითვალოს და მკითხველმაც დისკურსის სტრუქტურირება ამ სიტყვით დაიწყოს (შეიძლება არც დაიწყოს!...).

ყოველივე ზემოთქმული დისკურსის ვერბალურ საფუძველს ეხებოდა *მხატვრულ ტექსტში*. მაგრამ აქვე მინდა შევნიშნო, რომ „ყველაფრის თქმა“ *არამხატვრულ ტექსტში* იმითაა განპირობებული, რომ ავტორსა და მკითხველს შორის დიალოგი მონოლოგურ ხასიათს ატარებს, ინტერპრეტაციათა რაოდენობა მინიმუმამდე (ხშირად 1-მდე) დაიყვანება – ავტორისა და მკითხველის დისკურსი ერთმანეთს ემთხვევა. არამხატვრულ ტექსტში „ყველაფრის თქმას“, ჩემი აზრით, ის დატვირთვაც აქვს, რომ ავტორს შიში აქვს (შესაძლოა ქვეცნობიერად), რომ მკითხველი მისი ტექსტის გაგებას ვერ მოახერხებს – მისი მიზანი კი სწორედ ისაა, რომ მკითხველმა მისი ნააზრევი ადეკვატურად გაიგოს. ამიტომ, რაც არ უნდა მხატვრულად ჟღერდეს მეტაფორის სამოსში გახვეული არამხატვრული ტექსტი, ავტორი ყოველთვის (თითქმის ყოველთვის) ცდილობს მკითხველს მისი ნააზრევი ადეკვატურად გააგებინოს და მეტა-ფორების დეკოდირებას თვითონ ახდენს ტექსტში. ამის ბრწყინვალე მაგალითია აშშ მე-18 პრეზიდენტის ულისე გრანტის ჩანაწერი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე (ყელის კიბოს გამო საშინელი ტკივილები ჰქონდა): "I do not sleep though I sometimes doze a little. If up I am talked to and in my efforts to answer cause pain. The fact is I think I am a verb instead of a personal pronoun. A verb is anything that signifies to be; to do; or to suffer. I signify all three" (სებეოკი 1986, 2).

წინამდებარე წერილის დასკვნის სახით ალბად ფილოსოფოსი პირსის ნათქვამი გამოდგება: "The word or sign which man uses is the man himself. Every thought is a sign, taken in conjunction with the fact that the life is a train of thought, proves the man is a sign… my language is the sum total of myself; for man is the thought" (სებეოკი 1986, 2). ადამიანის რაობის გახსნისათვის, მისი ნააზრევის წვდომისათვის ეს ნააზრევი ვერბალურად უნდა იქნეს რეალიზებული. ამიტომ, პირსის "Man is the thought" შესაძლებლად მიმაჩნია ტრანსფორ-მირებულ იქნეს შემდეგნაირად: "Man is the discourse".

ლიტერატურა

ვერდონკი 2006 – Verdonk P., Stylistics, Oxford 2006.

Modern English Short Stories, Moscow 1963.

პეინი 1969 – Payne L., The Lively Art of Writing, New York and Scarborough Ontario 1969.

სებეოკი 1986 – Sebeok Th.A., I Think I Am a Verb (More Contributions to the Doctrine of Signs), New York and London 1986.

Rusudan Enukidze

Is Partial Formalization of Discourse Possible in Fiction?

A great majority of linguists consider that formalization of discourse is impossible as it belongs to the system of supraverbal (i. e. associative) categories. But, at the verbal level there should exist linguistic units (verbal signals) that contribute to the realization of discourse.

Interrelation of text and discourse and their functional loading can be defined as follows: those formal meanings that are coded in the language of text belong to the sphere of Semantics, whereas the language of discourse that is used to decode text is the sphere of Pragmatics.

The paper deals with cases of actualization of those linguistic units that form the basis for further interpretation of a piece of fiction (i.e. for the formation of the reader's discourse).

Often "eloquent" authors themselves decode what has been encoded in the text and, discourses of the writer and the reader coincide (Dickens). "Laconic" writers' fiction is burdened with implications that give rise to various interpretations and, hence, to various discourses (Hemingway).

Qualitative signals of discourse-realization are mostly stylistically coloured. To this group of discourse-realizing elements belong "high-voltaged" words that include audio-active, visually-active and sensually-active verbs. "The more active the verb, the more vivid the picture it creates. The more vivid the picture, the more it teases imagination" (L. Payne), that generally results in discourse.

ფილოლოგია/ტექსტოლოგია

ჰაინც შენრიხი

შენიშვნა ნეკრესის წარწერებისათვის

დიდი სახელი მოიხვეჭა ლევან ჭილაშვილმა არქეოლოგიური გათხრებითა და ძველი ქართული წარწერების აღმოჩენით. ნეკრესში მან იპოვა წარწერები, რომლებიც 2004 წელს წიგნად გამოაქვეყნა (ჭილაშვილი 2004).

ამ წარწერების უმრავლესობას ახასიათებს რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება:

1. წარწერები მრგლოვანითაა შესრულებული, თანაც ამოღარული დამწერლობაა და არა რელიეფური.

ზოგი წარწერის ასოების მოხაზულობა ძველისძველი ჩანს, ეტყობა ურბნისისა და ბოლნისის ეკლესიების წარწერებზე უფრო ძველი. მაგალითად, ასო „დონი“ ზოგიერთ წარწერაში ზემოთ ღიაა და მას არ აქვს ჰორიზონტალური ხაზი. თავისებურადაა დაწერილი ასო „თანი“: ის ზემოთ ღიაა დატოვებული. ასო „ონი“ რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული ნიშნითაა წარმოდგენილი (1. წმინდა წრე, 2. წმინდა ოთხკუთხედი, 3. არასრული წრისებრი გამოსახულება, მარჯვენა მხარეს ქვემოთ ხაზი შეწყვეტილია), ბილაბიალური უ, ალბათ, ორი წრითაა დაწერილი. ასო „ანი“ გვხვდება რამდენიმე უცნაურად „ბრტყლად“ შესრულებული ნიშნის სახით. ასო „ხანი“ ისეთი ფორმითაა მოცემული, რომელიც მრგლოვან დამწერლობაში უნიკალურია.

ფორმალური (პალეოგრაფიული) თვალსაზრისით ნეკრესის წარწერებს ახლავს ძალზე არქაული იერი. თანაც ნეკრესის მერვე წარწერაში ისეთი ნიშანია მოცემული, რომელზედაც ლ. ჭილაშვილი წერს: „ასეთი მოყვანილობის ასო-ნიშანი ქართულმა დამწერლობამ არ იცის. მხოლოდ ერთი შემთხვევაა ჩემთვის ცნობილი, ისიც ნეკრესიდან, IV საუკუნის ბაზილიკის ერთი კრამიტის ნატეხზეა შემორჩენილი“(ჭილაშვილი 2004, 58).



2. ენობრივი თვალსაზრისითაც ეს წარწერები ძველია, ხანმეტობის ტიპს ეკუთვნის, რაც ნათლად ჩანს მეშვიდე წარწერიდან, სადაც ბოლოს წერია: ნუმცავინ ხრევს ,,არავინ გაანადგუროს /დაანგრიოს/ გააფუჭოს“.

ნეკრესის მეშვიდე წარწერა



3. შინაარსის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ნეკრესის წარწერებში ვერ ვიპოვით ქრისტიანულ ლექსიკას, ასე უხვად რომ გვხვდება V-X საუკუნეების წარწერებში (უფალო, იესუ, ქრისტე, ჯუარი, ღმერთი, ღმრთისმშობელი, ეკლესია, საყდარი, კრებული, ლოცვაჲ, ცოდვილი, კურთხეული, ცხორებაჲ, ეპისკოპოსი, წმიდაჲ, სული და ჴორცნი, შეიწყალე/შეგჳწყალე, სამებაჲ და ა. შ.). ქრისტიანული წარწერების ბოლოს შეჩვეული ვართ შეგვხვდეს ასეთი ფორმულები, როგორიცაა ,,ამჱნ/ამენ“ და ,,იყავნ, იყავნ“ ანდა შეიწყალე/მომიჴსენე /ხულოცოს“, იმ დროს როცა ნეკრესის წარწერები თავდება უფრო აკრძალვის ან თითქმის წყევლის ფორმულებით.

ცხადია, ასეთი საინტერესო წარწერების სწორ წაკითხვას მნიშვნელობა აქვს შინაარსის გაგებისა, ქართული წარწერების სისტემაში მოთავსებისა და ბოლოს დასკვნების გამოყვანისათვის.

ნეკრესის მეათე წარწერას, საფლავის წარწერას, ლ. ჭილაშვილი ასე კითხულობს (ჭილაშვილი 2004, 26-27):

„ესე საფლავი ნოშისი და ბავასი ნუმცავის ჰელე(წი)ფების. ჩი“

ავტორი სამართლიანად ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ეს წარწერა სტრუქტურულად ჰგავს მეშვიდე წარწერას, სადაც ანალოგიური ფორმულა წერია: „ნუმცავინ ხრევს“. და კიდევ ერთი გარემოება შენიშნა, სახელდობრ, რომ ტექსტის ბოლო სიტყვა „ჰელეწიფების“ თითქოს მოითხოვს განვრცობას, მაგრამ ასეთი განვრცობა არ ჩანს.

ჩვენი აზრით, წაკითხვა „ჰელეწიფების“ ნაკლებადაა სავარაუდო. ჯერ ერთი, მეხუთე სტრიქონის ბოლო დაზიანებულია და ვერ ვიტყვით, თუ რა ეწერა იმ ადგილას დანამდვილებით. იმ ზმნას, რომელსაც ლ. ჭილაშვილი გულისხმობს, წესით უნდა ჰქონოდა სხვა ფორმა: ჰელ-ხ-ე-წიფ-ებ-ი-ს, ე. ი. ხანმეტის უნდა ყოფილიყო. მაგრამ ცხადად ჩანს, რომ „ლ“ ასოს შემდგომი გრაფემა „ხანი“ არ არის, არამედ რაიმე სხვა: ე, რასაც ლ. ჭილაშვილი კითხულობს, ან გ, ვ, ჰ, ლ ან მსგავსი ასოა. აქედან გამომდინარე, ეგებ სხვანაირად უნდა შეივსოს ეს ადგილი: „ჰელებ ... ფების“ ანდა „ჰელ-გეწიფების“. შინაარსს „ჰელ-ყოფა“ ზმნის ერთ-ერთი ფორმა ყველაზე უფრო გამოადგებოდა.

ნეკრესის მეათე წარწერა



სიძნელეებს ქმნის აგრეთვე ნეკრესის მერვე წარწერის წაკითხვა. ლ. ჭილაშვილი მას შემდეგნაირად კითხულობს:

1. ვი ... ე ავან
2. ისი და ნუმ
3. ცავინ წა ... ე
4. რთვის

„ვი ... ე ავანისი და ნუმცავინ წა ... ერთვის“

ნეკრესის მერვე წარწერა



უეჭველად ამ წარწერაშიც საქმე გვაქვს ისეთი აკრძალვის ან მუქარის ფორმულასთან როგორიც მეშვიდე და მეათე წარწერებში. ოღონდ ამ წარწერის წაკითხვა და აქედან გამომდინარე მისი გაგება გართულებულია. ამის შესახებ ლ. ჭილაშვილი წერს: „მესამე სტრიქონის მერვე, მეცხრე და მეათე ნიშნები გადმოცემულია წრეხაზებით, ამასთანავე მერვეს ცენტრში წერტილი ზის. აღნიშნული ნიშნების გაშიფვრა ვერ ხერხდება“ (ჭილაშვილი 2004, 44) და შემდეგ – „წარწერის პალეოგრაფიული მხარე მეტად უცნაურია, დასკვნის გაკეთება ჭირს. ან ისეთი ადამიანის ნაწერია, რომელსაც ვერ გამოჰყავს ასოები, ან იმდენად არქაული ტექსტია, რომ ასო-ნიშანთა ფორმები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. აქ ფიგურირებს წრიული ფორმის ასო ცენტრში წერტილით, რომლის მსგავსი ძველმა ქართულმა დამწერლობამ არ იცის“ (ჭილაშვილი 2004, 45).

სხვა ადგილას ლ. ჭილაშვილი ერთხელ კიდევ უბრუნდება ამ „უცნაურ“ წარწერას: „პალეოგრაფიული სურათიდან ამოვარდნილია №8 წარწერა, რომლის შესახებაც თავის ადგილზე შენიშნული მქონდა, რომ მისი წაკითხვა სრულად ვერ მოხერხდა პირველი სტრიქონის ლიგატურის გამო, რომელშიც სამი უცნობი მოხაზულობის ასოა ჩასმული. უცოდინარი შემსრულებლის მიზეზით თუა, რომ „დონი“ თავგახსნილია და ზედა ჰორიზონტალური ხაზი არ გააჩნია. უფრო დასაფიქრებელია მესამე სტრიქონის მერვე გრაფემა – წრეხაზი ცენტრში წერტილით. ასეთი მოყვანილობის ასო-ნიშანი ქართულმა დამწერლობამ არ იცის. მხოლოდ ერთი შემთხვევაა ჩემთვის ცნობილი, ისიც ნეკრესიდან, IV ს-ის ბაზილიკის ერთი კრამიტის ნატეხზეა შემორჩენილი“ (ჭილაშვილი, 2004, 58.)

თავის წიგნში ლ. ჭილაშვილმა თავი შეიკავა და „წა...ერთვის“ ზმნური ფორმის შუა ნაწილი „უცნობი ნიშნების“ გამო არ წაიკითხა. 2003 წლის ზაფხულში ჩემთან საუბარში კი გამოთქვა ვარაუდი, რომ ეგებ ეს ფორმა შეიძლება წაიკითხოს როგორც „წაგვერთვის“, თუმცა ერთდროულად ხაზი გაუსვა, არ ვიციო.

ზმნის ეს ფორმა ლ. ჭილაშვილის მიხედვით იწყება „წა-“ ზმნისწინით. ზმნისწინის ასეთი ფორმა ამ დროისათვის საკმაოდ უცნაურად მეჩვენება. მოსალოდნელი იქნებოდა მისი სრული ფორმა „წარ-“. მაგრამ იმ ადგილას ვერ ვკითხულობთ „წარ-“ს, რადგანაც „რაე“-ს მოხაზულობა ცნობილია და „ანი“ ასოს არ მოსდევს „რ“. ამის გამო თითქოს გამორიცხულია წაკითხვა „წა-“.

მეორე ეჭვიც შეიძლება შევიტანოთ: ზმნის ფორმის პირველ ასოს ლ. ჭილაშვილი ხსნის როგორც „წილს“. ოღონდ წ ფორმის ნიშანი ადრინდელ წარწერებში სხვანაირად გამოიყურება. ეტყობა, საქმე გვაქვს უფრო „ხანი“ ბგერის არქაულ ნიშანთან (რომელიც იქნებ პირველი სტრიქონის ბოლოშიც წერია?). თუ ზმნის ფორმაში „ხ“-ს ვკითხულობთ, რომელსაც მოსდევს „ა“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც ხანმეტის ფორმაა მოცემული (შდრ. ხრევს ფორმა მეშვიდე წარწერაში), რომელიც ამ ადგილას მოსალოდნელიც იქნებოდა.

რაც შეეხება იმ „უცნობ ნიშანს“, ლ. ჭილაშვილი ახსენებს წრეხაზს შუაში წერტილით. როცა მან 2003 წლის ზაფხულში ნება დამრთო ქვიდან გადმომეხატა ეს წარწერა, იმ ადგილას დავხაზე წრე შუაში მოკლე ვერტიკალური ხაზით (და არა წერტილით). ასეთი ნიშანი შეიძლება ავხსნათ როგორც „ჰარი“ ფორმის არქაული ნიშანი (შდრ. კოპპას“ პირვანდელი ფორმა), რომლის შემდეგ წერია ორი წმინდა წრე (ე. ი. ორჯერ „უ“, იმ ადგილას: ბილაბიალური ჳ). ამის შემდეგ ჩანს „ე“ ან „ი“ ასო (ეს ძნელად გასარჩევია). აქედან გამოდის წაკითხვა: „ხაჰუერთვის“ ან „ხაჰურთვის“. ამ სახის ზმნა ძველ ქართულში ჯერჯერობით არ დასტურდება. მაგრამ ქართულ ტექსტებში გვხვდება სახელი ჰურთა-ჲ / ჰურთ-ი „მუშტი“ (აბულაძე 1973, 572; სარჯველაძე 1995, 77), რომლისგანაც ეს ზმნა შეიძლება იყოს ნაწარმოები.

თუ ამოვდივართ „ხაჰურთვის“ წაკითხვიდან, მაშინ ასეთი წარმოება „ჰურთ-“ სახელური ფუძისაგან სრულიად უპრობლემოა.

ხოლო თუ ვკითხულობთ „ხაჰუერთვის“ ფორმას, მაშინ ზმნას საფუძვლად უდევს „ჰურთ-“ სახელის ფუძე. უ : ვე შეფარდება (უ სახელში, ვე ზმნაში) ქართულში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება. ანალოგიური ვითარება გვაქვს შემდეგ მაგალითებშიც:

ქართ. (ფშავ.) ღუნთი „ცრემლი“ : (და-) ღვენთ-ებ-ა;

ქართ. ღურ-კ-ან-ი „კუზიანი“, ღურ-კ-ო „საანკესო წნელი“ : ღვერ-ვ-ა „ღუნვა, მოხრა, დრეკა“.

თუ ეს ვარაუდები მისაღებია, შეიძლება მერვე წარწერის ბოლო ასე წავიკითხოთ:

და ნუმცავინ ხაჰუერთვის „და არავინ დამუშტოს/დაანგრიოს/გააფუჭოს“.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი 1973.

სარჯველაძე 1995 – სარჯველაძე, ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი 1995.

ჭილაშვილი 2004 – ჭილაშვილი ლ., ნეკრესის უძველესი ქართული წაარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი 2004.

ფონეტიკა/ფონოლოგია

სოფიო მუჯირი

პროსოდიული სეგმენტაციის და ფუნქციონალური პერსპექტივის მახასიათებლები ზეპირ სპონტანურ ტექსტში

თანამედროვე გამოკვლევებში დიდი ყურადღება ექცევა პროსოდიული მარკერებით შემოსაზღვრული ენობრივი ერთეულების საფუძველზე ზეპირი ტექსტის ფორმალური და აზრობრივი ორგანიზაციის შესწავლას. ეს საშუალებას იძლევა აღვწეროთ ზეპირი ტექსტის აგებულებისა და ფუნქციობის მექანიზმის პრაგმატიკულ-კომუნიკაციური მხარე. მეტყველი პირი პროსოდიული საშუალებებით გამოყოფს მეტყველების მონაკვეთებს, რომლებსაც ადრესატის ენობრივი ინტუიცია ყოველთვის შეუცდომლად განსაზღვრავს და აღიქვამს როგორც ,,კომუნიკაციურ-ინტონაციურ ერთეულებს" კონკრეტულ სიტუაციაში მეტყველების დროს (Колшанский 1984, 93). ტექსტის შემადგენელი დისკრეტული კომუნიკაციურ-ინტონაციური ერთეულები ინფორმაციას თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ გვაწოდებენ, რაც ტექსტის ლინეარული ბუნებით აიხსნება. ზეპირი ტექსტის ლინეარული და დისკრეტული ბუნება განსაზღვრავს მისი ანალიზის შესაბამის მეთოდს, კერძოდ, ტექსტის დანაწევრებას მის შემადგენელ კომუნიკაციურ-ინტონაციურ ერთეულებად. ტექსტის აზრობრივ-ინტონაციურ მონაკვეთებად დაყოფა, გამოყოფილ მონაკვეთთა ფუნქციობისა და ურთიერთმიმართებათა გამოვლენა არის ზეპირი ტექსტის სემანტიკურ-ინტონაციური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი რელევანტური მეთოდი, რომელიც ეყრდნობა არა ტექსტის შესახებ შექმნილ თეორიებს, არამედ უშუალოდ გამომდინარეობს თავად ტექსტის პრაგმატიკულ-კომუნიკაციური დანიშნულებიდან.

ზეპირი ტექსტის სეგმენტაციას ემსახურებიან პროსოდიული მარკერები, რომლებიც რეალიზებული არიან გამოსაყოფი კომუნიკაციურ-ფონეტიკური ერთეულის საზღვრებზე და ზეპირ სპონტანურ ტექსტში მეტყველების კონტინუუმის შეწყვეტის ძირითად მანიშნებლებს წარმოადგენენ. ასეთი მარკერებია, უპირველეს ყოვლისა: პაუზა, ასევე ძირითადი ტონის სიხშირის ცვლილება და ინტენსიურობის ამპლიტუდა ანუ მახვილი (Потапова, Блохина 1986, 47, 112).

I. **<u>პაუზები</u>** ტექსტის სეგმენტთა სასაზღვრო სიგნალებს წარმოადგენენ (Потапова, Блохина 1986, 103-108; Антипова, 1979, 125), რომელთა მეშვეობით მოსაუბრე გეგმავს მომდევნო ლექსიკური ერთეულის თუ სინტაქსური კონსტრუქციის არჩევას ან გამოხატავს თავის ემოციურ მდგომარეობას. პაუზის მრავალფეროვანი სახეების (ფიზიოლოგიური, სინტაქსური ფუნქციების მქონე ასევე ჰეზიტაციური ანუ ,,შევსებული" პაუზები) მთელი სპექტრის გამოყენება ტექსტის კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი ელემენტის წინ ან მის შემდეგ ამ ელემენტის წარმოჩენის ან ტექსტის სინტაქსურ-კომუნიკაციური ერთეულების

საზღვრების დელიმიტაციის მიზნით მოწმობს პაუზის განსაკუთრებულ რელევანტურობას სხვა პროსოდიულ მარკერთა შორის. პაუზის აღქმა განპირობებულია სემანტიკურ-სინტაქსური ფაქტორებით და სხვა პროსოდიულ პარამეტრთა პარალელური აქტუალიზაციით, რის გამოც ყველაზე კარგად პაუზის ამოცნობა აუდიტორთა მიერ შესაძლებელია მეტყველების ტაქტის ან გამონათქვამის ბოლოში: „პაუზის აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სინტაქსური ერთეულების საზღვრების იმავდროულ აღქმაზე“ (Цибуля 1982, 23, 149). ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ტექსტის პაუზური ორგანიზაცია წარმოადგენს ერთი მხრივ ავტორის ჩანაფიქრის რეალიზაციას, მეორე მხრივ კი ტექსტის ოპტიმალური, ადეკვატური დეკოდირების წინაპირობას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წერილობითი ტექსტის აღქმისას მკითხველი წუთში იმახსოვრებს 2000 სიტყვას, ხოლო ზეპირი მეტყველების აღქმისას – არა უმეტეს 400 სიტყვისა, რაც პირველ შემთხვევაში ვიზუალური, მეორე შემთხვევაში კი სმენითი მეხსიერების თავისებურებებითაა განპირობებული (Grimm, Egelkamp 1981, 149), ცხადი გახდება, რომ პაუზა ასრულებს საყრდენის როლს ტექსტის ლინეარულად განლაგებულ სეგმენტთა პერცეფციული აღქმის, გაგებისა და დამახსოვრებისათვის. შესაბამისად, ჩვენს ნაშრომში პაუზა გაგებულია როგორც ფონაციის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი შეწყვეტა, რომელსაც ახლავს ძირითადი ტონის სიხშირის ან ინტენსიურობის ხარისხის ცვლილება ტექსტის სინტაქსურად, კომუნიკაციურად და ინტონაციურად ერთიანი სეგმენტის საზღვარზე. პაუზის საიმედო იდენტიფიკაცია ხდება სხვა პროსოდიულ პარამეტრთა ფუნქციობის ფონზე, სხვადასხვა იერარქიული დონის კომუნიკაციურ-სინტაქსური ერთეულის საზღვარზე. პაუზა ერთდროულად ასრულებს ტექსტის ინტეგრაციისა და დელიმიტაციის ფუნქციებს.

II. ზეპირი ტექსტის პაუზური სეგმენტაციის ბაზაზე გამოვყავით **პაუზური ჯგუფები** (Потапова, Блохина 1986, 68). პაუზური ჯგუფი – ეს არის გამონათქვამის მონაკვეთი ორ მეზობელ პაუზას შორის, რომელიც ასახავს გამონათქვამის შინაარსის და სინტაქსური სტრუქტურის დანაწევრებას მეტყველი პირის კომუნიკაციური მიზნის შესაბამისად. პაუზური ჯგუფის საზღვრები შეიძლება დაემთხვას რიტმული ჯგუფის, მეტყველების ტაქტის, გამონათქვამის და ფონოაბზაცის საზღვრებსაც.

ტექსტის გამონათქვამთა პაუზებით დანაწევრება შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. მეტყველი სეგმენტაციის რამდენიმე შესაძლებელი ალტერნატივიდან იმ ერთადერთ ვარიანტს ირჩევს, რომელიც მის პრაგმატიკულ-კომუნიკაციურ განზრახვას მეტად შეესაბამება. იგი თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად გეგმავს პაუზური ჯგუფების ზომას, თანმიმდევრობას და პროსოდიულ გაფორმებას ტექსტში. პაუზურ ჯგუფთა საზღვრებზე თავმოყრილი პროსოდიული მარკერები ხაზს უსვამენ პროსოდიულად წარმოჩენილი ელემენტების ფუნქციური და ინფორმაციული მნიშვნელობის ხარისხს და განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ტექსტის კომუნიკაციური და პრაგმატიკული მიზანდასახულობის გადმოცემაში. ამრიგად, ზეპირი ტექსტის ინტონაციურად გამოყოფილი, სემანტიკურ-სინ-

ტაქსური სეგმენტები – პაუზური ჯგუფები წარმოადგენენ მაკროტექსტის ილოკუციური მიმართულების უმცირეს ინდიკატორს, როგორც ფონოლოგიურ, ასევე აზრობრივ-გრამატიკულ დონეებზე. ისინი ქმნიან ისეთ გრამატიკულ-სემანტიკურ მთლიანობას, რომლის მიკროჩარჩო ემთხვევა პროსოდიულ პარამეტრთა მოქმედების ზონას.

III. სავსებით რეალურია იმის დაშვება, რომ **ზეპირი ტექსტის პაუზური ჯგუფები თავისი საზღვრებით შეესაბამება განსაზღვრული გამონათქვამის ფუნქციონალურ დანაწევრებას თემად, ტრანსმისიად და რემად/ფოკუსად**, რომლებიც თავის მხრივ სემანტიკურ კავშირში არიან ტექსტის თემასთან და რემასთან. დადგენილია, რომ „წინადადების თემა ქმნის ფრაზირების საკუთარ ერთეულს, თუ იგი გამოხატულია არსებითი სახელით ან რომელიმე სხვა მახვილიანი სიტყვით“ (Pheby 1975, 129-130). ფრაზირების ერთეული შეიძლება წარმოადგენდეს პროკლიტიკებისა და ენკლიტიკების შეკავშირებას, რომელიც გამოხატავს ტექსტის „თემის ნაწილს“ (Meinhold, Stock 1982, 235-236). მეორე მხრივ, ყოველი გამონათქვამის რემის/ფოკუსის შემცველი პაუზური ჯგუფის განსაკუთრებული აქცენტური გაფორმება შესაძლებელს ხდის მის კომუნიკაციურ-ინტონაციურ სეგმენტად გამოყოფას და ხაზს უსვამს მოცემული პაუზური ჯგუფის ფუნქციას, რომელიც მდგომარეობს აქტუალური, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემაში. გარდა თემატური და რემატული პაუზური ჯგუფებისა, გავრცობილ გამონათქვამში გვხვდება ტრანსმისიული პაუზური ჯგუფები, რომლებიც ქმნიან ფონს თემისა და რემის/ფოკუსის უკეთ წარმოჩენისათვის, მათი შინაარსის დაზუსტებისა და შევსებისათვის. თემატური, განსაკუთრებით კი ტრანსმისიული პაუზური ჯგუფები ტექსტის სხვადასხვა პაუზურ ჯგუფს აკავშირებენ ერთმანეთთან. რაც უფრო მეტადაა გამოხატული თემატური და ფონური პაუზური ჯგუფების მაკავშირებელი ფუნქცია, მით უფრო ნაკლებია მათი პროსოდიული გაფორმების ხარისხი. რემატულ/ფოკუსური სეგმენტი, პირიქით, გამოირჩევა კომუნიკაციური დინამიზმის მაღალი ხარისხით, პროსოდიული პარამეტრების მაქსიმუმებით. მისი მაკავშირებელი ფუნქცია და კონტექსტზე დამოკიდებულების ხარისხი ბევრად სუსტია თემატურ და ფონურ პაუზურ ჯგუფებთან შედარებით.

ვფიქრობთ, რომ გამონათქვამის თემატური და რემატულ/ფოკუსური პაუზური ჯგუფები წარმოადგენენ ტექსტის თემისა და ფოკუსის შემადგენელ უმცირეს კომუნიკაციურ-პროსოდიულ ერთეულებს, რომელთა ანალიზი მხოლოდ ტექსტის დონეზეა შესაძლებელი. ამ ერთეულთა განხილვა ცალკეული იზოლირებული წინადადების ფარგლებში თავისთავად გამორიცხავს ტექსტის თემასთან და რემასთან მათი ურთიერთმიმართების საკითხს.

IV. ზემოაღნიშნული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად ქ. მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში (პროფ. ლ. ბლოხინა) ჩატარდა **აუდიტორული ანალიზი**, რომელიც მოიცავდა

შემდეგ ეტაპებს: 1) აუდიტორთა მიერ ზეპირი ტექსტის პერცეფციულ აღქმას[1], პროსოდიული პარამეტრების ხარისხების აღნიშვნას და ამ აღნიშვნათა ანალიზის შედეგად ტექსტის სეგმენტაციას პაუზურ ჯგუფებად; 2) გამოყოფილ პაუზურ ჯგუფთა საზღვრებისა და პროსოდიული პარამეტრების ხარისხების ურთიერთკავშირის დადგენას ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტების ცალკეულ ტიპებთან (თემა, ტრანსმისია, რემა/ფოკუსი); 3) ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტების საზღვრების ფონეტიკური მაჩვენებლების – პაუზის, ძირითადი ტონის სიხშირის ცვლილების და მახვილის ხარისხებისა და თავისებურებების დადგენას.

აუდიტორულ ანალიზში მონაწილეობას იღებდა ხუთი პერციპიენტი. **აუდიტორების წინაშე დასახული იყო შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესრულება:**

1. ზეპირი ტექსტის მოსმენის შედეგად აღენიშნათ სხვადასხვა ხანგრძლივობის პაუზები. პაუზათა ხანგრძლივობის გრადაცია შემდეგნაირად უნდა მინიშნებულიყო: ზემოკლე ანუ ფაკულტატური პაუზა [ξ], მოკლე პაუზა [/], საშუალო პაუზა [//], ხანგრძლივი პაუზა [///].

2. სამბალიანი სკალის მიხედვით უნდა დაეფიქსირებინათ მახვილიან მარცვლებში მახვილის სიძლიერე: სუსტი აქცენტირება [1], საშუალო აქცენტირება [1/2], ძლიერი აქცენტირება [2], ზეძლიერი აქცენტირება [3]. მოცემულ აღნიშვნას უფრო მეტი სიზუსტისათვის პერციპიენტები უმატებდნენ პლუსს ან მინუსს.

3. უნდა აღენიშნათ ძირითადი ტონის მოძრაობის მიმართულება აქცენტურად გამოყოფილი მარცვლების თავზე: მკვეთრად აღმავალი [↗], სუსტად აღმავალი [→], მკვეთრად დამავალი [↘], სუსტად დამავალი [↘] და სწორი [→]. პაუზების ხანგრძლივობის დადგენა, მახვილის სიძლიერის განსაზღვრა, ისევე როგორც ძირითადი ტონის მოძრაობის მიმართულების კონსტატაცია ხდე-

[1] ჩვენ ვიზიარებთ პროფ. ზ. ჯაფარიძის და სხვა მეცნიერთა აზრს, რომლის მიხედვითაც ყველა სახის ფონეტიკურ აღწერას წინ უნდა უძღოდეს გამოსაკვლევი ობიექტის გამოყოფა პერცეფციული კრიტერიუმით. პერცეფციული აღქმის მონაცემები უნდა ჩაითვალოს ძირითად და საიმედო ფაქტად, რომელთა შემდგომი გადამოწმება შესაძლოა აკუსტიკური ფონეტიკური აპარატურის მეშვეობით (Джапаридзе 1985, 9, 13, 21, 25; Партнова 1986, 94; Pompino-Marschall, 1995, 13-16, 133-165). „პროსოდიული გამოკვლევებისათვის საკმაოდ რელევანტურია ის შედარებით უხეში მაჩვენებლები, რომლებიც ყურითაა აღქმული“ (Блохина, Потапова 1982, 13). სმენითი აღქმის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი დ. ბეკეში წერდა: "Основная мембрана (внутреннее ухо) производит грубый механический частотный анализ. Слуховая система каким-то еще не понятным способом осуществляет более тонкий анализ. Это уже относится к общим функциям высших нервных центров и станет понятным только тогда, когда мы будем знать больше о функциях этих центров" (Жинкин 1982, 70-71).

ბოდა შემდეგ ფაქტორთა გათვალისწინებით:

1. ჩამოთვლილი პარამეტრები უნდა დაეფიქსირებინა, შეეფასებინა და აღენიშნა პერციპიენტთა არანაკლებ 75%-ს.

2. თუ პერციპიენტთა 50% აღნიშნავდა ძირითადი ტონის მოძრაობის აღმავალ მიმართულებას, ხოლო პერციპიენტთა დანარჩენი 50% – დამავალ მიმართულებას, მაშინ მოცემულ აუდიტორულ შეფასებას, როგორც არასაიმედოს, მხედველობაში არ ვიღებდით.

3. თუ პერციპიენტთა 50% აფიქსირებდა რომელიმე პროსოდიულ პარამეტრს, რომელსაც დანარჩენი პერციპიენტები არ აღნიშნავდნენ, ასეთ მონაცემს მრგვალ ფრჩხილებში ვათავსებდით, მაგ.: (→), (1), (/).

4. ზოგიერთ შემთხვევაში, აუდიტორთა ერთი ნაწილი აფიქსირებდა, მაგალითად, პაუზათა ზემოკლეობას, მეორე ნაწილი კი – მოკლე პაუზას; ან აუდიტორთა ერთი ნაწილი აღნიშნავდა მოკლე პაუზას, მეორე ნაწილი კი – გრძელ პაუზას. ასეთ შემთხვევაში ორივე აღნიშვნას ვაფიქსირებდით ირიბი შტრიხის მეშვეობით, მაგ: [ξ/] ან [/ ///].

მახვილის ხარისხი ზოგჯერ ფასდებოდა როგორც „სუსტიდან ძლიერამდე“, ანუ საშუალო სიძლიერის მახვილი. ასეთ შემთხვევაში მას ისევ ირიბი შტრიხის ან პლუსის (თუ მინუსის) მეშვეობით აღვნიშნავდით, მაგალითად, ან 1+ ნიშნავს. „სუსტ მახვილზე ძლიერი, მაგრამ არა ძლიერი“.

<u>საექსპერიმენტო ტექსტის გასაანალიზებლად შევასრულეთ შემდეგი სამუშაო</u>:

1. ტექსტის ყოველ გამოყოფილ პაუზურ ჯგუფში მისი **სიგრძის** განსაზღვრის მიზნით დავადგინეთ მარცვალთა რაოდენობა;

2. პაუზური ჯგუფების მახვილიან მარცვლებში დავადგინეთ **მახვილის** სიძლიერის ხარისხი და რაოდენობა;

3. პაუზურ ჯგუფთა აქცენტური გაფორმების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ტექსტის თითოეული გამონათქვამის **აქცენტირების სურათის** განსაზღვრა;

4. პაუზურ ჯგუფთა მელოდიური კონტურების დადგენის საფუძველზე შევადგინეთ ტექსტის ყოველი გამონათქვამის **მელოდიური კონტურის** განზოგადებული სურათი;

5. ანალოგიური გზით დავადგინეთ ტექსტის მონაკვეთთა **პაუზური მარკირების** სურათი;

6. მოცემულ ნაშრომში ტექსტი პაუზების დაფიქსირების გზით დავყავით გამონათქვამებად, გამონათქვამები კი - პაუზურ ჯგუფებად, შევეცადეთ ერთმანეთთან შეგვეფარდებინა ტექსტის გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მნიშვნელოვანი თავისებურებები და დაგვედგინა რეპრეზენტირებულია თუ არა პაუზურ ჯგუფებში ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტები.


№ 1
- Guten Morgen|
|Ist der Lehrer eines Faches berechtigt||
||dem Schüler beim Vergessen einer schriftlichen Hausaufgabe ξ
ξ in dem Fach |
|in dem sie aufgegeben wurde||
||die Note | Fünf ||
||zu erteilen|||?
Modus
Tr.m1
T1
Diktum
Tr.c1
F1
№ 2
- Kurt Wurzel |||
||| Ich | muss dazu sagen ξ
ξ dass wir bei uns ξ/I
ξ /1 im Kollektiv |
Modus
Tr.m2
T
|dahingehend geeinigt haben|
dass eine nicht angefertigte schriftliche Hausaufgabe		
nicht mit einer Fachnote bewertet wird	
	sondern mit einer Fleißnote		
Tr.m3
T2
Diktum
(contr.)
F2
№ 3
|||Der Lehrer hätte allerdings ξ
ξ darüber hinaus die Möglichkeit|
| jetzt ξ
ξ den Schüler mündlich|
|zur Leistungskontrolle heranzunehmen |
|zu dem Stoffgebiet|
|das er zu Hause|
|noch zusätzlich erhärten soll||
Modus
Tr.m4
2(Loc)
Diktum
Tr.c2(Rc1)
R
Tr.c3(Rc2)
Tr.c4(Fc)
F3
№ 4
||Und hätte dann also (ξ) die Möglichkeit ξ/|
ξ/| dem Schüler eine entsprechende Zensur zu erteilen|||
Modus Tr.m5
Diktum F4
№ 5
|||Sicherlich wird das in manchen Pädagogenkollektiven anders gehandhabt||
||man sollte sich da sicherlich auch im Pädagogenkollektiv noch einmal unterhalten|||
Modus
Tr.m6
5(contr.)
Diktum
Tr.m7
6

საექსპერიმენტო ტექსტის ანალიზის მონაცემები შევიტანეთ და შევაჯამეთ კრებსით ცხრილში:

წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტები	თემატური სექცია			ტრანსმისიული სექცია				რემატულ-ფოკუსური სექცია			ჯამი		
	T	Tт	სულ	Tr.m	Tc	Rc / Fc	სულ	R	F	სულ	T	Tr.	R/F
პაუზალურ ჯგუფთა რაოდენობა	9	1	10	3	2	2 / 1	8	1	8	9	10	8	9
მარცვალთა რაოდენობა	56	16	72	28	12	10 / 5	55	11	95	106	72	55	106
მახვილიან მარცვალთა რაოდენობა	10	4	14	11	4	3 / 1	19	2	16	18	14	16	21
მახვილის სიძლიერის ხარისხი	[1] 1/2	[2]	[1], 1/2, (2)	[1], 1/2, [2]	0/1 [1/2, 2]	[2] / [1/2]	[1/2, 2]	[1/2]	[2,3]	(1/2), [2,3]	[1]	[1/2, 2]	[2,3]
მელოდიური კონტურის რაოდენობა	5	1	6	7	2	2 / –	11	1	13	14	6	9	12
მელოდიური ტონის სახე	→ →	∿	→ (∿)	↗	↗	→	→ ↗	↗	↷ ↘	(→) ↷ ↘	→ →	↗ ↗	↷ ↗
პაუზათა რაოდენობა	4	5	9	6	2	2 / 1	11	1	9	10	9	10	10
პაუზათა სახეები	ξ, I	I	ξ,I II	ξ, I	I II	1 / 1	ξ, I II	I II	II, III	I, II III	ξ,I	I	III II

ანალიზის მეთოდებს საფუძვლად დაედო მკვლევართა შეხედულებები ინტონაციისა და ტექსტის ერთეულთა ურთიერთშეფარდების შესახებ. თ. ნიკოლაევა თვლის, რომ ტექსტის სინტაგმატიკისა და მისი პროსოდიული ასახვის კვლევა ტექსტის გრამატიკის გასაღებს წარმოადგენს: "Единицы интонации, отражают линейную направленность текста, поэтому задачей интонационного исследования является поиск отношений между синтагмами, и просодических средств выражения этих отношений. Единицы интонации, интонемы, реализуются на синтагматической оси" (Николаева 1978, 24, 31). ლ. იელმსლევი წერს: "Независимо от того, заинтересованы ли мы в настоящий момент в выражении или содержании, мы ничего не поймем в структуре языка, если не будем постоянно принимать во внимание взаимодействие обеих планов" (Ельмслев 1960, 333).

გამოყოფილი პაუზური ჯგუფების და გამონათქვამის ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტების (თემის, ტრანსმისიისა და რემის/ფოკუსის) საზღვრების თანხვედრის დასადგენად შევიმუშავეთ **კომპლექსური მეთოდი,** რომელიც ემყარება:

1. სხვადასხვა პერციპიენტის მიერ ერთი და იმავე ტექსტის აღქმისა და ანალიზის შედეგებს;

2. კომუნიკაციური დინამიზმის მეთოდს, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს თანხვედრა თემატური ელემენტების სუსტ და რემატული/ ფოკუსური ელემენტების ძლიერ პროსოდიულ გაფორმებას შორის;

3. ელიმინაციის ანუ გამორიცხვის მეთოდს: გამონათქვამთა რემატულ-ფოკუსური და ტრანსმისიული პაუზური ჯგუფების თანმიმდევრული გამორიცხვის გზით გამოვყავით ჯერ თემატური, შემდეგ ამავე პრინციპით რემატული, ფოკუსური და ბოლოს ფონური ხასიათის პაუზური ჯგუფები, რადგან: „თუ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს, მათგან ერთის გამორიცხვა ნიშნავს ჭეშმარიტებასთან მიახლოებას“ (Свинцов 1987, 257-276);

4. კითხვითი ტესტის ანალიზს, რომელიც შევეცადეთ გამოგვეყენებინა თემისა და რემის დადგენისათვის, როგორც გამონათქვამთა ასევე ტექსტის დონეზე (Kiparsky 1966);

5. სპეციფიკაციის კრიტერიუმს: თემა პრესუპოზიციური და ზოგადი ხასიათისაა. ის რეფერენტულია ობიექტური სინამდვილის განსაზღვრული რაობის კლასის მიმართ და წარმოადგენს მის რომელიმე ელემენტს ან თვისებას: ფოკუსში კი ხდება თემატური კლასის ერთი ელემენტის იდენტიფიკაცია, დახასიათება, დასაბუთება, დადასტურება და ა. შ. (Koenitz 1988).

აღნიშნული მეთოდიკის გამოყენების ბაზაზე ტექსტში გამოვყავით გამონათქვამთა ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტები, რომლებიც წარმოდგენილი არიან ტექსტის თემის (T_T), თემის (T), ტექსტის თემის კომენტარის ($T_{T.C}$), ტრანსმისიის (Tr), რემის (R) და ფოკუსის (F) გამომხატველი პაუზური ჯგუფებით. ტრანსმისიას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ასევე „ფონის“, „გარდამავალი ელემენტის“, „გადასასვლელის“ სახელწოდებით, პრაღელი ლინგვისტები ყოფდნენ „საკუთრივ გადასასვლელად“ და „გადასასვლელის ფონად“; ზეპირი, სპონტანურად პროდუცირებული ტექსტის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტრანსმისიას აქვს მოდალური ან განმარტებითი ხასიათი. მოდალური ტრანსმისია (Tr.m) გამოხატავს სუბიექტის მოდალურ განწყობას და მის დამოკიდებულებას ფოკუსით გამოხატული მოქმედების მიმართ. მოდალური ტრანსმისია წარმოადგენს თემიდან რემაში ან ფოკუსში „გადასვლის“ ენობრივ საშუალებას. განმარტებითი ტრანსმისია ანუ ტრანსმისიული კომენტარი (Tr.c) აზუსტებს, აკონკრეტებს, დამატებით ცნობებს გვაწვდის გამონათქვამის ფუნქციონალური პერსპექტივის იმ კომპონენტზე, რომელსაც იგი ახლავს და ასევე წარმოადგენს ვერბალურ გადასასვლელს თემიდან რემაზე/ფოკუსზე ან რემიდან ფოკუსზე. ტექსტის ანალიზის შედეგად გამოვყავით თემის კომენტარი (Tc), რემის კომენტარი (Rc) და ფოკუსის კომენტარი (Fc).

მოცემული ტექსტის ხუთი წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტები შევეცადეთ გრაფიკულად შემდეგი სახით გამოგვესახა:



სადაც ● – აღნიშნავს თემატურ სიტყვას, ხოლო ★ – ტრანსმისიულ სიტყვას შერეული სახის თემატურ ან ტრანსმისიულ პაუზურ ჯგუფში.

ტექსტის პირველი სამი წინადადების დასაწყისში თემატური და მოდალური ტრანსმისიის ელემენტები ერთ დამოუკიდებელ პაუზურ ჯგუფს ქმნიან. მეოთხე წინადადების ტრანსმისიულ პაუზურ ჯგუფში თემატური ელემენტი იმპლიციტურადაა ნაგულისხმევი, მეხუთე წინადადების ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში თემატური და ტრანსმისიული სიტყვები კვლავ ერთმანეთის გვერდზე არიან განლაგებული. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ თემატური და ტრანსმისიული ელემენტების აღნიშნულ პოზიციურ, შინაარსობრივ და პროსოდიულ ერთიანობას ვუწოდოთ შ. ბალის ტერმინი – მოდუსი, რომელიც აღნიშნავს სუბიექტს და გამოხატავს მის პოზიციას ტექსტის თემის მიმართ.

ტექსტის ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტები ქმნიან საკუთარ პაუზურ ჯგუფებს, რომელთა საზღვრები ემთხვევა მეტყველების ტაქტის საზღვრებს, ანუ ისინი იმყოფებიან **ძლიერ პოზიციაში** იმ შემთხვევაში, თუ გამოხატავენ მათთვის ტიპურ სემანტიკას (თემატური პაუზური ჯგუფები ასახელებენ ტექსტის თემას, მის კომენტარს ან ლოკაციის კოორდინატებს, ტრანსმისიული – მეტყველი პირის პოზიციას ტექსტის თემის მიმართ ან გვაწვდიან მის შესახებ დამატებით ცნობებს. ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში ხდება თემატური კლასის ერთი ელემენტის იდენტიფიკაცია და თემით შემოტანილი პრობლემის სპეციფიკაცია). სხვა შემთხვევაში თემატური და ტრანსმისიული ელემენტები ვერ ქმნიან საკუთარ პაუზურ ჯგუფებს და წარმოდგენილი არიან რიტმული სტრუქტურით ან ცალკეული სიტყვებით ანუ არიან **სუსტ პოზიციაში**.

აუდიტორული ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და სისტემატიზაცია უფლებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულებები:

1. გამონათქვამთა ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტების საზღვრები უმეტეს შემთხვევაში (90%) დაემთხვა აუდიტორული ანალიზის პროცესში გამოვლენილი პაუზური ჯგუფების საზღვრებს. პაუზური ჯგუფებით

წარმოდგენილი თემა, ტრანსმისია (მოდალური ტრანსმისია და ტრანსმისიული კომენტარები) და რემა/ფოკუსი გამოხატავენ მათთვის ტიპურ სემანტიკას და კორელაციაში იმყოფებიან ტიპურ პროსოდიულ მახასიათებლებთან.

2. ფუნქციონალური პერსპექტივის თითოეულ კომპონენტს ტექსტში შემდეგი **ტიპური პროსოდიული მახასიათებლები** აქვს: ა)ტექსტის თემა გამოირჩევა პაუზური ჯგუფის ხანგრძლივობით, ძლიერი მახვილით, სპეციფიკური მელოდიით. დანარჩენ **თემატურ პაუზურ ჯგუფებს** უმთავრესად ახასიათებთ სუსტი მახვილი, თანაბარი ან სუსტად აღმავალი პროგრედიენტული მელოდია და ზემოკლე ან მოკლე პაუზა. პაუზური ჯგუფით წარმოდგენილი თემა გვხვდება როგორც მარტივი (ერთი პაუზური ჯგუფისგან შემდგარი), ასევე რთული სახით (შეიცავს ორ ან მეტ პაუზურ ჯგუფს); ბ)**ტრანსმისიულ პაუზურ ჯგუფებში** მახვილთა რაოდენობით და სიძლიერით, მკვეთრად აღმავალი პროგრედიენტული მელოდიით და ხანგრძლივი (გრძელი) პაუზით გამოირჩევიან მოდალური ტრანსმისია და ტექსტის თემის კომენტარი. დანარჩენ ტრანსმისიულ პაუზურ ჯგუფებს ახასიათებთ: საშუალო სიძლიერის მახვილი, მოკლე პაუზა, აღმავალი პროგრედიენტული მელოდია. თემატური პაუზური ჯგუფებისაგან განსხვავებით, ტრანსმისიულ პაუზურ ჯგუფებში დომინირებენ საშუალო და ძლიერი მახვილები, გვხვდება გრძელი პაუზებიც. პროგრედიენტული მელოდია უფრო ძლიერი აღმავალი კონტურით ხასიათდება. პროსოდიული მარკირებით გამოირჩევიან ის ტრანსმისიული პაუზური ჯგუფები, რომლებშიც გამოხატულია პოზიცია ტექსტის მთავარ თემასთან მიმართებაში; გ)ყველა **ფოკუსური პაუზური ჯგუფი** პროსოდიულად წარმოჩენილია ძლიერი და ზეძლიერი მახვილების სიმრავლით და ფოკუსის შემდეგ განლაგებული გრძელი და ზეგრძელი პაუზებით. ფოკუსის წინ ყოველთვის ჩნდება მოკლე ე.წ. „**ფოკუსური პაუზა**“. ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებს ახასიათებთ არანორმატიული ხასიათის (ტერმინალური და ინტეროგატიული) მელოდიური კონტურები, რომლებიც დამატებით, აღმავალ ტონებთან ერთად არიან რეალიზებული. მახვილიან მარცვალთა რაოდენობა და მახვილის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია იმ ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში, რომლებშიც ლაპარაკია ტექსტის თემის გადაწყვეტის გზების, ასევე ტექსტის მთავარ თემასთან მიმართებაში აზრის გამოთქმის, მტკიცების, შეფასების და დისკუსიის განახლების საჭიროების შესახებ. ფოკუსური პაუზური ჯგუფები გვხვდება როგორც ცალკეული, ასევე დაწყვილებული სახით. ისინი შეიცავენ ცალკეულ თემატურ ან ტრანსმისიულ სიტყვებს, რომლებიც სუსტი პროსოდიული გაფორმებით ხასიათდება. ეს სიტყვები ქმნიან პროსოდიულ და სემანტიკურ ფონს ფოკუსის პროსოდიული და სემანტიკური წარმოჩენისათვის, ანუ ფოკუსის „**პროსოდიული მანიფესტაციისათვის**“. ასე მაგალითად, ფოკუსურ პაუზურ ჯგუფში:

1 1 2 3 1

"dem Schüler eine entsprechende Zensur zu erteilen" ///, სიტყვები: "dem Schüler"

და "eine entsprechende" ქმნიან ფონს ფოკუსის: "Zensur zu erteilen" /// სემანტიკური და პროსოდიული წარმოჩენისათვის.

იმავე მოვლენას აქვს ადგილი თითოეულ ფოკუსურ პაუზურ ჯგუფში, სადაც ფოკუსის წინამავალი სიტყვები გაცილებით სუსტად არიან პროსოდიულად გაფორმებული, ვიდრე მათი მომდევნო ფოკუსი. რემატულ და ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში გვხვდება პროგრედიენტული, ტერმინალური და ინტეროგატიული მელოდიური კონტურები. თუმცა, ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში გვხვდება ამ მელოდიებისათვის **არატიპური, სრულიად სპეციფიკური მელოდიური კონტურები,** ასე მაგალითად, მკვეთრად აღმავალ-დამავალი [↱] მელოდია გვხვდება არა მხოლოდ ტერმინალური მელოდიის მქონე პაუზურ ჯგუფებში (მეორე, მეოთხე, მეხუთე გამონათქვამებში), არამედ აგრეთვე იმ პაუზურ ჯგუფებშიც, სადაც წესის მიხედვით უნდა გვქონდეს ინტეროგატიული მელოდია (პირველი გამონათქვამის ბოლო პაუზური ჯგუფი, რომელიც ეკუთვნის კითხვით წინადადებას კითხვითი სიტყვის გარეშე).

იქ, სადაც წესების თანახმად უნდა გვქონდეს პროგრედიენტული მელოდია (მეორე და მესამე გამონათქვამების №7, 8 პაუზურ ჯგუფებში), ასევე გვხვდება ამ მელოდიისათვის სრულიად უჩვეულო, არანორმატიული, ტეხილი დამავალ-აღმავალი ტონი, რომელიც პროგრედიენტული მელოდიის კონტურის გამოსახვის ნორმებს სცილდება [↗], [↘↗].

ეს ტეხილი მელოდიური კონტურები (მესამე გამონათქვამში) დამატებით მელოდიურ კონტურებთან ერთად არიან რეალიზებული ერთი პაუზური ჯგუფის საზღვრებში. როგორც ჩანს, მელოდიის არანორმატიული რეალიზაცია ემსახურება ერთი მხრივ პაუზური ჯგუფების სემანტიკის პროსოდიით ხაზგასმას – ტექსტის თემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის ან კონტრასტული დაპირისპირების გამოხატვას, მეორე მხრივ კი განპირობებულია სპონტანური ტექსტის სპეციფიკური აგებულებით: ერთმანეთზე მძივებივით აკინძული პაუზური ჯგუფები ქმნიან გრძელ წინადადებებს, რომლებიც მსმენელში იწვევენ მომდევნო ინფორმაციის დაძაბულ მოლოდინს. სწორედ ეს დაძაბული მოლოდინია გამოხატული პროგრედიენტული მელოდიით.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრედიენტული, ტერმინალური და ინტეროგატიული მელოდიების რეალიზაცია რემატულ და ფოკუსურ პაუზურ ჯგუფებში ნორმის ფარგლებს სცილდება, რის გამოც აღნიშნული არასპეციფიკური მელოდიები შეიძლება ჩავთვალოთ პროსოდიული წარმოჩენის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად – მელოდიურ მანიფესტაციად.

ტექსტის ყველა გამონათქვამში რემატულ-ფოკუსური პაუზური ჯგუფები ხასიათდებიან ძლიერი პროსოდიული მანიფესტაციით, სამივე პროსოდიული პარამეტრის ხარისხი ზენიტს აღწევს, რაც ფოკუსური ინფორმაციის რელევანტურობაზე მიუთითებს. რაოდენობრივად და თვისებრივად ყველაზე მეტადაა აქცენტირებული ,,საკუთრივ ფოკუსი‘‘:

3 3 3 3 2/3 (2) 3

(Fünf, Fleißnote, erhärten, erteilen, anders gehandhabt, unterhalten).

აღმოჩნდა, რომ ტექსტის დასაწყისში **ტექსტის თემით დასმული საკითხი**, რომელიც მსმენელში იწვევს მომდევნო ინფორმაციისადმი ინტერესს და ამ საკითხის გადაწყვეტის მოლოდინს, **ნეიტრალიზებულია ფოკუსური პაუზური ჯგუფებით.** ყოველი გამონათქვამის ფოკუსური პაუზური ჯგუფი წარმოადგენს ტექსტის თემაზე გაცემულ პასუხს. იგი გადმოსცემს მეტყველი პირის რომელიმე ალტერნატიულ თვალსაზრისს. ტექსტის შუა, კულმინაციურ ნაწილში (მე-3 და მე-4 გამონათქვამები) ინტონაციური კონტური განსაკუთრებული სიმკვეთრით ასახავს ფოკუსური პაუზური ჯგუფებით შემოტანილი ინფორმაციის აქტუალობას. ტექსტის ბოლო, მეხუთე წინადადება მთლიანად ფოკუსური პაუზური ჯგუფებისაგან შედგება, რომლებიც გადმოსცემენ ორი განსხვავებული კოლექტივის კონტრასტულ თვალსაზრისებს ტექსტის მთავარი თემის მიმართ, რითაც ტექსტში სრულდება ფოკუსური პაუზური ჯგუფებით გადმოცემული აქტუალური ინფორმაციის მოწოდება.

<u>**ფუნქციონალური პერსპექტივის დისტრიბუცია ტექსტში**</u> ტექსტის კომპოზიციურ აგებულებას და სემანტიკას უკავშირდება. თემატური, ტრანსმისიული, რემატული და ფოკუსური პაუზური ჯგუფების დისტრიბუცია ტექსტში საკმაოდ მოწესრიგებულ ხასიათს ატარებს და განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება.

თემატური სიტყვები და პაუზური ჯგუფები განლაგებული არიან უმთავრესად ტექსტის პირველ სამ წინადადებაში. ისინი იკავებენ ადგილს წინადადების ან პაუზური ჯგუფის თავში ან შუაში და ასრულებენ „საწყისის“, „საყრდენის“ ფუნქციას. თემატური პაუზური ჯგუფების სემანტიკური მისია და „საწყისის“ ფორმალური ფუნქცია ტექსტის შუაში მკვეთრად მცირდება, რადგან, როგორც ჩანს, ტექსტის ამ ნაწილში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ტექსტის თემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების შესახებ მსჯელობას. ამიტომ ტექსტის შუა და ფინალურ ნაწილებში **ტრანსმისიული სიტყვები და პაუზური ჯგუფები** იწყებენ წინადადებებს. ტექსტის შუაში ტრანსმისიულ ელემენტთა რიცხვი და ინფორმაციული დატვირთვა განსაკუთრებით იზრდება. ტექსტის ბოლოს (მე-5 წინადადებაში) ტრანსმისიის სემანტიკური ფუნქცია მცირდება და იზღუდება მხოლოდ სუბიექტის მოდალური დამოკიდებულების გამოხატვით. **ფოკუსური პაუზური ჯგუფი** ფორმალურად და შინაარსობრივად ამთავრებს თითოეულ წინადადებას. მისი ინფორმაციული მისია ყველაზე დიდია: ის გვამცნობს მნიშვნელოვან, აქტუალურ ინფორმაციას ტექსტის თემის შესახებ და ამავე დროს პასუხს სცემს ტექსტის თემით დასმულ საკითხს, რითაც ხსნის თემით შემოტანილ ენტროპიას და ეტაპობრივად, ლინეარულად განავრცობს, განფენს ტექსტში კომუნიკაციურად დინამიკურ ინფორმაციას.

ფოკუსური პაუზური ჯგუფები გვხვდება „**სუფთა**“ **და** „**შერეული**“ სახით. სუფთა სახით (ანუ თემატური და ტრანსმისიული ელემენტების გარეშე)

ფოკუსური პაუზური ჯგუფები გვხვდება ტექსტის საწყის და შუა ნაწილებში. შერეული ფოკუსური პაუზური ჯგუფები კი შეიცავენ თემატურ და ტრანსმისიულ ელემენტებს და განლაგებული არიან ტექსტის ბოლო (მე-4, 5) გამონათქვამებში.

ლიტერატურა

Потапова, Блохина 1986 – Потапова Р. К., Блохина Л. П., Средства фонетического членения речевого потока в немецком и русском языках, Москва.

Антипова 1979 – Антипова А. М., Система английской речевой интонации, «Высшая школа», Москва.

Цибуля 1982 – Цибуля Н. Б., Роль интонации в структурировании текста, Диссертация на соиск. степ. кандидата филолог. наук, Москва.

Grimm, Engelkamp 1981 – Grimm H., Engelkamp J., Sprachpsychologie, Handbuch und Lexikon der Psycholinguistik (Handbücher zur Sprachwissenschaft und Sprachdidaktik. Bd. 1.) Erich Schmidt Verlag, Berlin.

Pheby 1975 – Pheby J., Intonation und Grammatik im Deutschen, Akademie-Verlag, Berlin.

Meinhold, Stock 1982 – Meinhold G. Stock E., Phonologie der deutschen Gegenwartssprache, VEB Bibliographisches Institut Leipzig.

Николаева 1978 – Николаева Т. М., Лингвистика текста, Современное состояние и перспективы, В.: Новое в зарубежной лингвистике. Вып. VIII. "Прогресс", Москва.

Ельмслев 1960 – Ельмслев Л., Пролегомены к теории языка, Новое в лингвистике, Вып. I., М.

Свинцов 1987 – *Свинцов В. И.,* Логика, «Высшая школа», Москва.

Kiparsky 1966 – Kiparsky P., Über den deutschen Akzent, In: Studia Grammatica 7, Berlin.

Koenitz 1988 – Koenitz B., Koenitz, Funktionale Satzperspektive und referentielles Gefälle, In: 2. Jenaer Semantik-Syntax-Symposium. Wissenschaftliche Beiträge der Friedrich-Schiller-Universität Jena, Jena.

Джапаридзе 1985 – Джапаридзе, З. Н., Перцептивная фонетика АН. Грузинской ССР Институт языкознания, «Мецниереба», Тбилиси.

Блохина, Потапова 1982 – Блохина Л. П., Потапова Р. К**.,** Методика анализа просодических характеристик речи. Министерство высшего и среднего спец. образования СССР. МГПИИЯ им. М. Тореза. Москва.

Жинкин 1982 – Жинкин Н. И., Речь как проводник информации, «Наука», Москва.

Sophie Mujiri

Peculiarities of Prosodic Segmentation and Distribution of Functional Perspective in Oral Spontaneous Text

Summary

As a result of the division of text by means of prosodic devices, communicative-prosodic segments – pausal groups (PGs) were singled out, the limits of which are characterized by the cessation of phonation, change of the main tone frequency and intensity. It was established that the limits of pausal groups coincide with those of the components of the functional perspective of sentence (theme, modal transmission, theme comment, rhema comment, focus comment, rhema and focus). At the text level, the text theme and focus are identifiable. Each component of the functional perspective has its typical prosodic characteristics in the text: a) **All focus pausal groups** are prosodically represented by the quantity of strong and super-strong stresses, nonnormative melodic contours, long and super-long pauses found after the focus. In front of the focus, a short, the so-called "focus pause" appears; b) **In transmissive pausal groups** with the quantity of accents, sharply rising melody and long pause, **modal transmission and the text theme comment are identifiable.** c) **In thematic pausal groups**, the text theme is singled out with the duration of the pausal group, strong stress and specific melody. The rest of the pausal groups containing the functional perspective are characterized by weak or medium stress, super-short or short pause, weakly or strongly rising melody. Thematic pausal groups have a weaker prosodic form as compared with the transmissive ones.

The components of the functional perspective of text form their own pausal groups if they express their typical semantics. Thematic pausal groups name the text theme or the location coordinates, transmissive ones indicate the speaker's position or give additional information about the text theme. In focus pausal groups the specification of the problem introduced by the text theme occurs. The distribution of the functional perspective in text is linked with the compositional structure and semantics of the text. Of thematic pausal groups, the text theme and its comment dominate at the beginning of the text. In the middle part of the text, modal transmission and transmission comment are found in their place. Focus pausal groups found at the end of each expression and text answer the question introduced by the text theme up to its informative exhaustion.

მიხეილ ჭურდიანი

„ადიღური“ ტიპის უმლაუტი სვანურში

(ნარკვევები სვანური ენის ისტორიული ფონეტიკიდან II.)

სვანური ენის მკვლევართა მიერ აღწერილი და ახსნილია უმლაუტის ანუ ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის ორი ტიპი, ორივე რეგრესიული ხასიათისა.

ქართველურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველი მათგანი სახელდებულია „წინა მიმართულების“, ხოლო მეორე „უკანა მიმართულების“ უმლაუტად (ხმოვანთა არტიკულაციის ცვლის მიმართულების მიხედვით). ე. წ. „წინა მიმართულების უმლაუტი“ სვანურში პალატალური ტიპისაა და მისი ახსნა აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება (შანიძე 1925, 171-232):

ა > ə̄; ə̄ > ə̈; ო > ȫ; ȫ > ȫ̈; უ > ӱ; ӱ > ӱ̈.

„წინა მიმართულების„ უმლაუტს იწვევენ პალატალური **ი** და **ē** (ნებისმიერ შემთხვევაში) და **ე** (მხოლოდ **ა** > **ə̄**-ს და ისიც როგორც წესი საკუთარი რედუქციის ხარჯზე);

ე. წ. „უკანა მიმართულების უმლაუტი“ სვანურში ახსნილია პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ (ქალდანი 1969):

„უკანა მიმართულების“ ანუ **ე** > **ə̄**; **ი** > **ə̄** უმლაუტს იწვევენ **ა** ხმოვანი და **ჳ** სონანტი (რედუქციით თუ მის გარეშე).

ჩემ მიერ გამოვლინებული და ახსნილია უმლაუტის მესამე ტიპი სვანურში, რომელსაც მე „ადიღური“ ტიპის უმლაუტად მოვიხსენიებ მისი ტიპოლოგიური მსგავსების გამო ადიღურ ენებში პოვნიერ უმლაუტთან.

1983 წელს ვ. შენგელიამ წამოაყენა და დაასაბუთა დებულება, რომ *ისტორიულად ადიღურ (resp. ჩერქეზულ) ენებში მოქმედებდა ხმოვანთა რეგრესიული ასიმილაცია (უმლაუტი), რის შედეგადაც (გარკვეულ პოზიციაში) ღია* **ა** *ხმოვნისაგან მომდევნო მარცვლის ვიწრო* **გ** *ხმოვნის გავლენით მივიღეთ საშუალო ღიაობის* **ჯ** (შენგელია 1983, 657-659):

ჩ ჯ მ გ < *ჩ ა მ გ „ძროხა“
მ ჯ ჯ°გ < *მ ა ჯ°გ „თივა“
მ ჯ ზ გ < *მ ა გ „ტყე“
მ ჯ ლ‘ გ < *მ ა ლ‘ გ! „ცხვარი“
დ ჯ ღ°გ < *დ ა ღ°გ „კარგი“

და სხვ.

ადიღურ ენებში **გ**-ს მაუმლაუტებელი ძალა კარგად ჩანს ერთი და იმავე ზმნური ძირის სხვადასხვა გრამატიკული ფორმების შედარებისას:

გარდამავალი	*გარდაუვალი*
ჲ ა ხ ლ ა ღ ო გ	მ ა ხ ლ ა ღ ო ა
„ხედავს“	„ჩანს (საერთოდ)“
ჲ ა - ლ ა ჟ გ	მ ა - ლ ა ჟ ა
„მუშაობს, ამუშავებს“	„მუშაობს (საერთოდ)“
ჲ ა - ჰ ა ჟ გ	მ ა - ჰ ა ჟ ა
„ლეწავს, ცეხვავს“	„ლეწავს, ცეხვავს (საერთოდ)”

და სხვ.

უფრო ვრცლად ამ დებულებების დასაბუთება ვ. შენგელიას მოცემული ჰქონდა თავის სადოქტორო დისერტაციაში (16. 11. 1999, იხ. შენგელია 2006, 32-65), რომლის ერთ-ერთი ოპონენტიც მე გახლდით და სწორედ მაშინ მიიქციეს მათ ჩემი ყურადღება იმ ტიპოლოგიური იზომორფიზმით, რომელსაც ადიღური უმლაუტი ავლენდა ჩემ მიერ სვანურში მოძიებულ ფაქტებთან:

ӓბგნტყლӓჳი	„პუტავს, ბდღვნის”
ӓგგრმӓჳი	„დანახშირება“
ӓდგლგიმӓნ	„დასახლდა, დამკვიდრდა“
ӓდგლხინე	„სიხარულით შეხვდა, ნახვით გაიხარა“
ӓდგმბაჟე	„გაიკვირვა“
ӓდგმბჳალე	„იამბო, მოყვა (რაღაცას)“
ӓდგნჩქარე	„იჩქარა“
ӓდგრდდა	„გახდა“
ӓდგრდუნӓნ	„დადგა (ცუდ გუნებაზე)“
ӓმზგრი	„ლოცავს, ადღეგრძელებს“
ӓმგნჩხრინე	„ავარვარებს“
ӓნგლკუჰე	„მოიკითხა, მოიძია“
ӓნგნგრიშე	„იანგარიშა“
ӓნგნდუნე	„მოინდომა, მოისურვა“
ӓნგნყაჳე	„გვესტუმრა“
ӓნგრბიელӓნ	„ბევრი პური გამოაცხო“
ӓნგრდე	„გაზარდა“
ӓნგრმე	„დაიჭირა“
ӓსსგნე	„ბერტყავს“
ლӓშგნდობӓრ	„შესანდობარი“
ӓწგრჳელი	„წირავს, გალობს„
ӓჯგრშინე	„დაგიფენ, დაგიგებ, დაგიფენს“
ӓჰგნწი	„ნაკელის დაყრა“

და სხვ.

სვანურში **გ** იწვევს არა მხოლოდ თავკიდური ანუ ინიციალური **ა**-ს უმლაუტს, არამედ მისი მაუმლაუტებელი ძალა ვლინდება პოსტკონსონანტურ (resp. ინტერკონსონანტურ) პოზიციაში მყოფ **ა**-ზეც:

თაშგრა „ყველეული“
თაშმგჯაბ „ელარჯი“
კაღგნ „ზოგჯერ“
საფგრჴელ „საფეხურები, საქსოვი დაზგის ნაწილი“
კაცხგნდირ „ძველთაგანვე, იმთავითვე“

და სხვ.

სვანური ენის ფონოლოგიური სისტემის ხმოვანთა კლასიდან **ა** მაქსიმალური ღიაობით ხასიათდება, **გ** – მინიმალურით და ამ ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს (ნეიტრალური **ა** და **გ** ერთნაირად უპირისპირდებიან სვანურის სხვა სადა ხმოვნებს: **ი**-სა და **ე**-ს როგორც არაპალატალურები, ხოლო **უ**-სა და **ო**-ს როგორც არალაბიალურები).

მაქსიმალური ღიაობის **ა** ხმოვნის უმლაუტი (გადაბგერება) გამოიხატება მისი ღიაობის შემცირებაში (**ა** > **ə̄**), რასაც იწვევს მომდევნო მარცვალში პოვნიერი მინიმალური ღიაობის **გ.**

ტიპოლოგიურად სვანური უმლაუტის ეს სახეობა ისეთივე იზომორფიზმს ავლენს ადიღურ ენებში აღწერილ უმლაუტთან, როგორც სვანურის ე. წ. წინა წარმოების უმლაუტი გერმანული ენისათვის დამახასიათებელ უმლაუტთან.

!!!!!!!!ჳ-ს მიერ გამოწვეული უმლაუტიც რეგრესიული ხასიათისაა. ისევე როგორც **ე**, **გ**-ც მაუმლაუტიზებელ ძალას ავლენს მხოლოდ **ა**-ზე: **ა** > **ə̄.**

!!!!!!!!ჴ, ისევე როგორც **ē**, მაუმლაუტიზებელ თვისებას მოკლებულია. ზოგჯერ **გ** მიღებულია რომელიმე სხვა ხმოვანი ბგერის დავიწროვების შედეგად. უმლაუტის თვალსაზრისით **ი** > **გ**-ს ან **ე** > **გ**-ს შემთხვევაში, ეს არაფერს ცვლის. შეიძლება ასეთი სიტყვა-ფორმები პარალელურად თანაარსებობდნენ კიდეც სვანური ენის სხვადასხვა დიალექტში ან სულაც ერთი დიალექტის ფარგლებში. ა-ს უმლაუტი ყველა ასეთ შემთხვევაში თანაბრად იქნება რეალიზებული როგორც პალატალური ბგერების – **ი, ე**, ასევე **გ**-ს მიერ :

ხ-აჩხინა // ხ-აჩხგნა
„გარჭობილი, გაჩხერილი“
აცხრილი // აცხრგლი
„ცხრილავს, ცრის“
ლაცინდაჳ !!// ლაცგნდაჳ
„ბუდე“
ლამეზგრ // ლამზგრ
„სალოცავი“

და სხვ.

ქალდანი 1969 – მ. ქალდანი , სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, „მეცნიერება“, თბილისი.
შანიძე 1925 – აკ. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი”, ტფილისი.
შენგელია 1983 – ვ. შენგელია, ადიღურ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 112, №3.
შენგელია 2006 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, „ქართული ენა“, თბილისი.

Mikheil Kurdiani

"**Adygei**" **Type Umlaut in Svan**
(Extracts from Svan language Historical Phonetics II)

Summary

There are described two types of umlaut or partial assimilation of the vocals in Svan language and both of them are regressive by character. The first of them is called in Georgian scientific literature as "front direction" umlaut but another as "backward direction" umlaut (alongside with vocals articulation direction changes).

So called "front direction" umlaut is the palatal type and its explanation belongs to acad. Akaki Shanidze (1925):

a > ä; ā > ā̈; o > ö; ō > ō̈; u > ü; ū > ṻ.

Umlaut is provoked by palatal i and ī (in any case) and by e (only a>ā and, as a rule, at the expense of its own reduction);

So called "backward direction" umlaut is explained by prof. Maxim Kaldani (1969):

e >!ä ; i >!ä umlaut are provoked vocal **ъ** and sonant **w** (through reduction or without it).

I revealed and explained third type of umlaut in Svan, which I mentioned as "Adygei" type umlaut, as it is typologically close to the umlaut, that was revealed by V. Shengelia and described in Adygei languages (the Circassian language) in 1983: open **a** vocal mutation (umlaut) proceeded **ă** through the influence of following syllable narrow vocal **ə**. More broadly he argued about the thesis in his DPhil, where I was one of the opponents and namely I paid attention to the typological isomorphism that Adygei umlaut revealed in Svan language mentioned facts find out by me:

!**ă**bənt'q'lÑwi !!'Pluck", "Pick"

!!!!!!!!!!!!!!**ă**gərmäwi !!!!'To coal"

!**ä**dəlgimɬ̄n !!!ˈSettle", "Inhabit"

!!!!!!!!!!!!!!**ä**mənčxrine !ˈHeat"

!!!!!!!!!!!!!!**ä**nəlkuhe !ˈSaid Hello", "Investigate"

!!!!!!!!!!!!!!**ä**ssəne !ˈWhisks"

!!!!!!!!!!!!!!!!**ä** ɖərwēli !ˈLiturgies", "Psalms"

!!!!!!!!!!!!!!!!**ä**žəršine !ˈI cover to you", "I lay it to you", "He/she covers to you"

Etc.

ə !provokes not only initial **a** umlaut but reveals its umlaut power on **a** in the post consonant position as well:

t**ä**šəra	"Cheese-making"
täšməžäb	"Mashed cheese"
k**ä**lən	"Sometimes"
s**ä**pərqel	"Steps, part of knitted machine"
k**ä**cxəndir	"Form the ancient times", "Since"'

Etc.

Umlaut provoked by **ə** has a regressive character as **e,** and reveals umlaut power only on **a**: a>ä, ə as ē, has lack of umlaut power.

ახალი წიგნები

სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი) *შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი 2007 (388 გვ.)*

გასულ წელს შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით გამოიცა წიგნი „სვანური ენა“. რედაქტორი (ზ. ჭუმბურიძე) შესავალში აღნიშნავს, რომ „წიგნის mizania ერთგვარად შეამზადოს ნიადაგი“ სვანური ენის სასწავლო სახელმძღვანელოს შესაქმნელად, და ზუსტად ეს არის ის ერთადერთი, რაშიც შეიძლება ავტორს არ დაეთანხმო, რადგან წიგნის შინაარსი, სტრუქტურა და ვიზუალური მხარე მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ ხელთა გვავს სწორედ სახელმძღვანელო, დაწერილი გასაგები ენით და მკაფიო განმარტებებით.

წიგნი აგებულებისა და შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს 5 ძირითად ნაწილად:

I. სვანური ენის გრამატიკული ანალიზი, სადაც მოცემულია ზოგადი ცნობები სვანეთისა და სვანური ენის შესახებ, განხილულია ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები (ზ. ჭუმბურიძე, გვ. 7-186);

II. სვანური ენის პრაქტიკული კურსი – ა)სასაუბრო ტექსტები და სავარჯიშოები; ბ)დიალოგები (ლ. ნიჟარაძე, გვ. 187-264);

III. სვანური ტექსტები – პოეზია, პროზა, გამოცანები, ანდაზები (გვ. 265-316);

IV. სვანურ-ქართული და ქართულ-სვანური ლექსიკონი (რ. ქურდაძე, გვ. 317-371);

V. ბიბლიოგრაფია (გვ. 372-387).

სვანური ენის შემსწავლელთათვის ძალზე კომფორტული უნდა იყოს, რომ ყველა სიტყვა-ფორმა, როგორც თეორიულ ნაწილში, ისე ტექსტებში თარგმნილია ქართულად, ხოლო სავარჯიშოები თემატურად მრავალფეროვანია.

საინტერესო ნიმუშებია აღებული სვანური პროზიდან და პოეზიიდან. სახალისოა ასევე სვანური გამოცანები და ანდაზები.

დასკვნის სახით შეიძლება გულწრფელად ითქვას, რომ ამ წიგნის გამოცემა უდავოდ წინგადადგმული და დროული ნაბიჯია ქართველოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

ივანე ლეჟავა

Marine Bokhashvili, *"Einführung in die georgische Schrift", BUSKE, Hamburg, 2007 (95 გვ.)*

წიგნი ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილს განეკუთვნება შესავალი (გვ. 9-28), მეორე ნაწილში (გვ. 29-69) ქართული ასოების წერისა და გადაბმის ნიმუშებია წარმოდგენილი სავარჯიშოებითურთ, ამას მოსდევს დამატება, რომელშიც ძირითადად ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებული ქართული წერის ნიმუშებია მოყვანილი.

წიგნი ლამაზად არის გაფორმებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დადებითად დახასიათება ჭირს.

მოგახსენებთ რამდენიმე შენიშვნას:

1. მიუღებლად მიგვაჩნია **R**-ს შესატყვისად **რ**-ს, ხოლო **r**-ს შესატყვისად **ღ**-ს გამოყენება. ქართველოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ქართული სიტყვების, მათ შორის ქართული საკუთარი სახელების, ტრანსლიტერაციის ხანგრძლივი ტრადიცია და მისგან გადახვევა აზრიანი დასაბუთების გარეშე არ არის გამართლებული. თუ ეს მაინცდამაინც კომპიუტერის ადვილი გამოყენების მიზნით ხდება, მაშინ ჯობდა **R ღ**-ს შესატყვისად ყოფილიყო გამოყენებული, რადგან **ღ** უფრო იშვიათი ფონემაა ქართულში და კომპიუტერული პრაქტიკითაც იქნებოდა ეს უფრო გამართლებული. საინტერესოა, რატომ არ წერს ქ-ნი მარინე თავის სახელს **R**-თი, რა უნდა იფიქროს მკითხველმა (მისეული ლოგიკით), რომ მას მაღინე ჰქვია?

2. ამავე მიზეზით მიუღებლად მიგვაჩნია **ß**-ს ხმარება **ს**-ს შესატყვისად. საერთოდ **ს** არის ყველაზე ხშირი თანხმოვანი ქართულში, მას სიხშირის მიხედვით **რ** მოსდევს და ასეთი ხშირი ფონემების ტრანსკრიფციის ნებისმიერად შეცვლას უაზრო გართულებები მოსდევს.

3. ხელნაწერში რამდენიმე ქართული ასო რომ გამარტივებულად იწერება, ამას ავტორიც აღნიშნავს, მაგრამ რომელ ასოს ენიჭება უპირატესობა, ეს თვით იმან უნდა გადაწყვიტოს, ვინც წერს. ეს ავტორის მიერ მოყვანილი ხელნაწერების მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. სხვათა შორის, წიგნში მოყვანილი ხელნაწერებიდან არ ჩანს, რომ ხელნაწერი **დ** ნაბეჭდისაგან განსხვავდება. საკუთარი გემოვნების მიხედვით ხელწერის სწავლება გაუმართლებელია. ეს შენიშვნა განსაკუთრებით ასოების გადაბმის ნიმუშებს ეხება. ასოების გადაბმის ნიმუშების შესახებ კიდევ შემდეგი უნდა აღინიშნოს: 33-ე გვერდზე **ი**-სა და **ი**-ს გადაბმის მაგალითები ორჯერ არის მოყვანილი. საერთოდ მთელ ნიმუშებში უჯრებგარეთ დაწერილი ასოები ზომით უფრო მცირეა, ვიდრე უჯრებში, თანაც ზოგჯერ განსხვავებული ფორმისაც (მაგ., **უ** და **ფ**).

ხშირად მოყვანილია ისეთი თანხმოვნების გადაბმის მაგალითები, რომლებიც ერთად (თანხმოვანთკომპლექსები) არც ერთ ქართულ სიტყვაში არ გვხვდება. რატომ ვასწავლით უცხოელს, მაგალითად, შემდეგი ასოების გადაბმას: **ფღ, თღ, ღღ, ჯჟ, ბბ, კღ, ყღ, პღ, ჯჭ, ჯჯ,** და ბევრი სხვა მსგავსის, თუ ამგვარი ბგერათკომპლექსები არ არსებობს? ჯობდა ის ჰარმონიული ბგერათკომპლექსების შესატყვისი ასოების გადაბმაში

გვევარჯიშებინა, მაგრამ ავტორი, ჩანს, სულ არ ითვალისწინებს ქართული ენის ფონეტიკურ სტრუქტურას.

4. აბსოლუტურად გაუმართლებელია ავარჯიშო გერმანელი გერმანული სიტყვების ქართული ასოებით დაწერაში (სხვათა შორის, ავტორი გერმანულ სიტყვებს რატომღაც ლათინურ სიტყვებს უწოდებს – გვ. 30), შეიძლებოდა ამავე მიზნით საკუთარი სახელების გამოყენება, რაც ნაწილობრივ არის კიდევაც წიგნში მოცემული, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

5. ერთი რამ გვინდა კიდევ აღვნიშნოთ, ავტორი ასწავლის მკითხველს თავდაპირველად რამდენიმე ასოს (ა, ი, გ, დ, ლ და ბ-ს), შემდეგ კი სთავაზობს მას ამ ასოების ისეთ ასოებთან გადაბმის ნიმუშებს, რომლებიც მას ჯერ არ უსწავლია. მეთოდურად ეს აბსოლუტურად გაუმართლებელია.

6. ბოლოს რამდენიმე სიტყვა შესავალი წერილის შესახებ. სამწუხაროდ, წიგნის ამ ნაწილშიაც აღმოჩნდა ყოვლად სავალალო შეცდომები, რომლებიც ავტორს არ მიეტევება.

მაგალითად:

ა)მე-12 გვერდზე ავტორი მოიხსენიებს არსენ იყალთოელს, რომელსაც არსენას უწოდებს. არსენი თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელია. -ა დაბოლოება ასეთ სახელებს ჩვეულებრივ კუთხურ მეტყველებაში მოუდის, ან მაშინ, როცა მოსაუბრეს უნდა აგდებულად მოიხსენიოს ვინმე. ავტორს, როგორც ჩანს, არსენა ოძელაშვილის გავლენით (ყაჩაღის არსენად მოხსენიება ხალხში სულ არ არის გასაკვირი!) არსენ იყალთოელსაც არსენად ნათლავს.

ბ)იმავე გვერდზე ავტორი ახსენებს იაკობ ცურტაველს, რომელიც მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა, ანუ, ავტორის თქმით, იმ დროს, როცა ქართველები მაზდეანობასა და ისლამს ებრძოდნენ. საინტერესოა, როგორ ახერხებდნენ ისინი მე-5 საუკუნეში ჯერ არარსებული რელიგიის (ისლამის) წინააღმდეგ ბრძოლას?

გ)ავტორი ვაჟა-ფშაველას ნატურალისტად ნათლავს, ხოლო დავით კლდიაშვილისა და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებას ინდუსტრიულ ლიტერატურას უწოდებს (?!).

დ)ლიტერატურათმცოდნეობაში ავტორი ახალ აღმოჩენას აკეთებს, თურმე 1931 წელს აუცილებელი სასკოლო სწავლების შემოღებას მოჰყოლია შედეგად ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ლირიკის აღმავლობა და აქ ავტორი გალაკტიონს ასახელებს. კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია.

ე)საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადა და არა 1990 წელს!

ჩვენ აქ მხოლოდ თვალში საცემი შეცდომები ჩამოვთვალეთ. ყველა შეცდომის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ავტორი ვერ ერკვევა ქართული ენის, დამწერლობის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის საკითხებში და თავის თავს უფლებას აძლევს მოუთხროს მათ შესახებ გერმანელ მკითხველს.

ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი (მიუნსტერი)

შ ი ნ ა ა რ ს ი

ენა და კულტურა/ენის თეორია

კონსტანტინე ბრეგაძე 5
ნოვალისის ფრაგმენტი „მონოლოგი“
Konstantin Bregadze 9
Novalis’ Fragment "The Monologue"
ლევან დალაქიშვილი 10
ენა – ფილოსოფიური კვლევის საგანი
Levan Dalakishvili 15
Language - an Object of Philosophic Research
ვლადიმერ ლეკიაშვილი 16
სუბიექტის ვარაუდის აღმწერი ფრაზების ფორმალური
ანალიზის ფსევდოპრობლემები
Vladimir Lekiashvili 21
Pseudo Problems of Formal Analysis of the Propositional Attitude Reports
ირინე მელიქიშვილი 22
„თავისუფლების“ ცნების ეტიმოლოგიური დიაპაზონი.
სოციალურიდან ინდივიდუალურამდე
Irine Melikischwili 33
Über den etymologischen Umfang des Begriffes der "Freiheit"
Vom Sozialen zum Individuellen
თეო ჩხეიძე 35
„ავესტა“ – სუფიზმის ერთ-ერთი წყარო
Teo Chkheidze 37
"Avesta" – one of the sources of Sufism

კომუნიკაციური ლინგვისტიკა

რუსუდან ასათიანი, ნუცა წერეთელი 38
წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა:
იმპლიკაციური ტოპიკი ქართულში
Rusudan Asatiani, Nutsa Tsereteli 53
The Information Structure of a Sentence:
Implicational Topic in Georgian
ოლეგ კაპანაძე 54
ონტოლოგიურ-სემანტიკური ლექსიკონი ქართული ენისათვის
Oleg Kapanadze 74
Ontological-Semantic Lexicon for the Georgian Language
ნათია შუტკარაძე 75
ინტერნეტის ენის ზოგი საკითხისათვის
Natia Putkaradze 84
Some Questions of the Internet Language

მორფოლოგია/სინტაქსი

მარინა ალექსიძე
რუსულ ენაში პრედიკატული ერთეულის მთავარ კომპონენტთა შორის სინტაქსური კავშირის არსის შესახებ — 85

Marina Aleksidze
On the Essence of the Syntactic Relationship between the Main Components of the Predicative Unit in the Russian Language — 92

ქეთევან გიგაშვილი
II ხოლმეობითი საშუალი საუკუნეების ძეგლთა ენის მიხედვით — 93

Ketevan Gigashvili
The Second Conditional according to the Language of the Medieval Texts — 99

ვახტანგ იმნაიშვილი
რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი — 100

Vakhtang Imnaishvili
Some Questions Linked with the Orthography of the Ordinal Numerals — 108

მაია ლომია
მეგრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ერთი ტიპის კონსტრუქცია — 109

Maia Lomia
Construction typical for Megrelian Speech — 111

მაია სახოკია
ახალქართული აღწერითი პერფექტების დიაქრონიულ-ტიპოლოგიური ანალიზი: აღწერითი პარადიგმა — 112

Maia Sakhokia
New Analytical Perfects of Modern Georgian: Diachrony, Retrospection and Typology — 135

სემანტიკა/ფრაზეოლოგია/ლექსიკოლოგია

ლია აბულაძე
კომპონენტური ანალიზი და სინტაგმატური ლექსიკური მიმართებები — 136

Lia Abuladze
Componential analysis of meaning and syntagmatic lexical relations — 147

ნიკოლოზ ოთინაშვილი
შიდა ქართლის ძველი ტოპონიმები — 149

Nikoloz Otinashvili
Old Toponyms of Inner Kartli — 153

სოციოლინგვისტიკა

მარინე ჯაღიაშვილი
ახალგაზრდული ჟარგონის სემანტიკა და ფსიქოლოგიური ფუნქცია — 154

Marine Jaghiashvili
Semantics and Psychological Function of Youth Jargon — 167

ტექსტის ლინგვისტიკა

რუსუდან ენუქიძე
შესაძლებელია თუ არა დისკურსის ნაწილობრივი ფორმალიზაცია მხატვრულ ტექსტში? 168

Rusudan Enukidze
Is Partial Formalization of Discourse Possible in Fiction? 173

ფილოლოგია/ტექსტოლოგია

ჰაინც ფენრიხი
შენიშვნა ნეკრესის წარწერებისათვის 174

ფონეტიკა/ფონოლოგია

სოფიო მუჯირი
პროსოდიული სეგმენტაციის და ფუნქციონალური პერსპექტივის მახასიათებლები ზეპირ სპონტანურ ტექსტში 179

Sophie Mujiri
Peculiarities of Prosodic Segmentation and Distribution of Functional Perspective in Oral Spontaneous Text 192

მიხეილ ქურდიანი
„ადიღური“ ტიპის უმლაუტი სვანურში 193

Mikheil Kurdiani
"Adygei" Type Umlaut in Svan 196

ახალი წიგნები

სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)
შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი 2007 (ივანე ლეჟავა) 198

Marine Bokhashvili, *"Einführung in die georgische Schrift", BUSKE, Hamburg 2007 (ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი)* 199

გამომცემლობის რედაქტორი ცირა ჯიშკარიანი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 I. Chavchavadze Ave., Tbilisi, 0128
www.press.tsu.ge 995(32) 25 14 32